ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის
ლოცვა-კურთხევით

წინასიტყვაობა

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუღელეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დაუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი", — წერდა წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე).

ქართული მიწა გაპოხილია ეკლესიისა და მამულის კეთილ-დღეობისათვის შეწირულ შვილთა სისხლით. ათი ბევრი (100.000) ქართველი წარდგა ერთ დღეს უფლის წინაშე მოწამის გვირგვინით. ერთ ღამეში მოწყვიტეს უსჯულოებმა ექვსიათასი ბერი დავით გარეჯის უდაბნოში. მონასტრების შემოგარენი სავსეა წმიდანთა ნაწილებით. აჭარაში იძულებით გამუსულმანებული ქართველები დღესაც მონასტრების სამარხებიდან ამოღებული წმიდა ძვლების შეხებით კურნავენ ავადმყოფობისაგან უიმედოდ განწირულ შვილებს. ზარზმის მონასტერში ასვენია IX საუკუნეში მოღვაწე უცნობი ქართველი ბერის მთლიანად უხრწნელი სხეული, რომლის სამოსელიც კი დაუზიანებლად დაუცავს ჟამთა მეუფეს.

ქრისტესთვის ჯვარცმულ საქართველოს შვილთა სახელები და ღვაწლი ცათა შინა უკლებლივ არის აღწერილი, ქვეყანასა ზედა კი დედა ეკლესიამ მხოლოდ იმათი სახელები შემოგვინახა, რომლებიც თვითონ უფალმა გამოგვიჩინა მისაბაძად და მეოხად. ჩვენი ვალია, ვიცნობდეთ მათ, ვიცოდეთ მათი ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ და შესაბამის პატივსაც მივაგებდეთ მათ.

ჯერ კიდევ X საუკუნეში წუხდა წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერელი წმიდა გიორგი მერჩულე, რომ ჟამთა სიმრავლემ დავიწყების სიღრმეს მისცა „ყოვლადსახსენებელთა მათ განსაკვირვებელთა ნეტართა კაცთა საქმენი კეთილნი და ცხორებაჲ უბიწოჲ".

მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) (+1921) მწყემსმთავრული კადნიერებით ინანიებდა ქართველთა „დანაშაულს, პირშაობას, გარეწრობასა და დაუდევრობას" ზეციური საქართველოს წინაშე: „ნუ მოგვიძულებთ სრულიად თქვენს ესოდენ უძღებ, უმადურ და უღირს სულიერ შვილებს, შეგვავედრეთ მამობრივი გულს-

მოდგინებით თქვენს სასოს — ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რათა გაგვიღვივოს გულში თქვენებრ მძლავრი ალი ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულისა", — ითხოვდა კათოლიკოსი.

„როცა ვუყურებთ ჩვენს წარსულს, გაოცებაში მოვდივართ... ამდენ წინააღმდეგობაში ვით შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა თავისი ენა, ქრისტიანული სარწმუნოება და კულტურა... ჩვენი დღემდე არსებობისა და სულიერი სიმტკიცის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ შეურყევლად ვიდექით და ვდგავართ ქრისტიანულ ნიადაგზე... ქართველი კაცი დაუსრულებელი ომების დროსაც ახერხებდა ტაძრებისა და მონასტრების შენებას, ჭედდა თავის უბადლო კულტურას... ჩვენ უნდა ვიყოთ გამგრძელებელნი იმ დიდი საქმისა, რასაც შეეწირნენ ისინი", — წერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ჩვენი პირადი „დანაშაულისა და დაუდევრობის" გამოსასწორებლად და წინაპართა დიადი საქმის გაგრძელების სურვილით, ერთად შევკრიბეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ცნობები ქართველ წმიდანთა შესახებ, მოვიძიეთ და დავაწერინეთ მათი წმიდა ხატები.

წიგნში, რა თქმა უნდა, იქნება ჩვენი უმეცრებისა და უდებების გამო დაშვებული და უნებლიეთ გაპარული შეცდომები, რისთვისაც შენდობას ვითხოვთ მკითხველისაგან.

დეკანოზი **ზაქარია მაჩიტაძე**

> წიგნი რეკომენდებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში „მშობლიური ენისა და ლიტერატურის", „საქართველოს ისტორიისა" და „რელიგიის ისტორიისა და კულტურის" შესასწავლად.
>
> *საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი*

3 (16) — წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) +1953

4 (17) — ღირსნი მამანი ჩვენნი: ევაგრე, ილია დიაკონი და სხვანი (VI)

8 (21) — წმიდა მოწამე აბო თბილელი (ისმაიტელყოფილი) (+786)

14 (27) — წმიდა ნინო, მოციქულთასწორი, ქართველთა განმანათლებელი (IV)

15 (28) — წმიდა სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელი (IV)

18 (31) — ღირსი ეფრემ მცირე, ფილოსოფოსი (+1101)
— ღირსი ალექსი (შუშანია) (+1923)

19 (1.02)— ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, ათცამეტ სირიელ მამათაგანი (VI)

20 (2.02) — წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) (+1944)

25 (7.02)— წმიდა გაბრიელი (ქიქოძე) - იმერეთის ეპისკოპოსი (+1891)

26 (8.02)— წმიდა მეფე დავით IV, აღმაშენებელად წოდებული (+1125)

29 (11.02) — წმიდა მოწამე აშოტ დიდი, კურაპალატი, არტანუჯის ტაძარში წამებული (+829)

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) +1953
3 (16) იანვარი

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) დაიბადა გურიის სოფელ ლიხაურში. 1863 (ან 1862) წლის 5 ივნისს. მამამისი, აზნაური სიმონ თაყაიშვილი, ოფიცერი იყო, დედა — გიტული (გიტო) ნაკაშიძე კი მაზრის მოწინავე ქალთა შორის იხსენიება. წმიდანს მშობლები ადრე გარდაე-ცვალა.

ექვთიმეს ადრევე გამოუვლენია სწავლისადმი დიდი მისწრაფება. სამაზრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩაირიცხა. გიმნაზია ექვთიმემ 1883 წელს დაასრულა ვერცხლის მედლით.

1883 წელს ექვთიმე პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, 1887 წელს დაასრულა სწავლა და კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა თბილისში.

1895 წელს ექვთიმემ ცოლად შეირთო თბილისელი იურისტის, ივანე პოლტარაცკის ასული ნინო. ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურ მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ღვთისა და ერის სიყვარული წარმართავდა მის ყოველ მოქმედებას. თავისი მეცნიერული მუშაობის უმთავრეს მიზნად ექვთიმეს მიაჩნდა მასალების შეკრება საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის.

1889 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა ,,საქართველოს საეგზარქოსო მუზეუმი", რომელშიც თავს უყრიდნენ ძველ საეკლესიო წიგნებს, ხელნაწერებსა და სხვადასხვა ნივთებს. მუშაობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენაზე.

1907 წელს ექვთიმემ დააარსა ,,საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება". ამ საზოგადოების მიერ მოწყობილი ექსპედიციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოგზაურობა ,,სამუსულმანო საქართველოში". იქ ჩასული მეცნიერი თანამემამულეებს უღვიძებდა და უმტკიცებდა ეროვნულ გრძნობებს. ზოგიერთ სოფელში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებს ქართული ენა დავიწყებოდათ, მაგრამ

შეგნება, რომ ისინი წინათ ქართველები იყვნენ, თითქმის ყველას ჰქონდა. საზოგადოებამ შეგროვება-შესყიდვით რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვან მასალას მოუყარა თავი. მათ შორის იყო სხვადასხვა „საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთები", „ნაქსოვ-ნაკერები" ხელნაწერები... ცალკე კოლექციას შეადგენდა ეკლესია-მონასტრების კედლებიდან გადმოღებული ფრესკები (ფაქსიმილე) – სამოცდაცამეტი ძველი ფრესკის პირი.

ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ. ექვთიმე თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში 1918 წელს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ გაიტანა საბანკო ვალუტა, ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განძეულობა და ხელნაწერები. მათ მცველად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ. „ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან," – წერდა წმიდანი. საფრთხე კი ბევრი იყო: ბრიტანეთის და ნიუ–იორკის მუზეუმებს ექსპონატების შესყიდვა სურდათ, გრაფ ობოლენსკის ქვრივს, სალომე დადიანს სასამართლოში აღუძრავს საქმე – საქართველოს ეროვნული განძის საგრძნობი ნაწილის ერთადერთ კანონიერ მეკვიდრედ ასაღებდა თავს; მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებსაც გაუჩხრეკიათ ექვთიმეს ბინა, ბოლოს კი თავად საფრანგეთის მთავრობას განუცხადებია განძზე პრეტენზია.

წმიდა ექვთიმე უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა: 1931 წელს გარდაეცვალა მეუღლე ნინო. მარტო დარჩენილი მოხუცი შიმშილის, ყინვისა და ავადმყოფობისგან ბევრჯერ სიკვდილის პირამდეც მისულა, მაგრამ ღვთისა და ერისგან დაკისრებული მოვალეობისთვის არ უღალატია.

ბოლოს, 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქნა განძის საქართველოში დასაბრუნებლად. გათავისუფლებული საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მოლაპარაკების შედეგად იგი ამერიკულ თვითმფრინავზე დაიტვირთა და მცველების თანხლებით გადმოიგზავნა საქართველოში.

სამშობლოში პატივით მიიღეს ერისთვის დამაშვრალი მოღვაწე, აღადგინეს თბილისის უნივერსიტეტში პროფესორად, აირჩიეს აკადემიის წევრად, განახლდა უცხოეთში განაწამები მისი გული. მოხუცმა

მოიკრიბა უკანასკნელი ძალები და კვლავ ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მალე წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის წინააღმდეგ აღბორგდა ბოროტი, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა მთელ ქვეყანას: 1951 წლის დეკემბერში დააპატიმრეს მისი შვილობილი ლიდა პოლტორაცკაია, ვისთან ერთადაც ცხოვრობდა ბინაში, შემდეგ მომვლელმა ქალმაც შეწყვიტა სიარული, 1952 წლის დასაწყისში უნივერსიტეტიდან გაუგზავნეს უწყება, რომ თავისუფლდებოდა საქართველოს ისტორიის პროფესორის თანამდებობიდან „საკმარისი პედაგოგიური დატვირთვის უქონლობის გამო". მალე გაირკვა, რომ ხმები დაეყარათ, თითქოს ექვთიმეს შინაპატიმრობა ჰქონდა და ბევრი მეცნიერი ამის გამო მასთან მისვლას ვერ ბედავდა. თანამშრომლებსაც აუკრძალეს მასთან სიარული.

1953 წლის 21 თებერვალს წმიდა ექვთიმე თაყაიშვილმა სული უფალს შეჰვედრა. გარდაცვალების მიზეზი იყო გულის დამბლა. 24 თებერვალს მცირერიცხოვანმა პროცესიამ მიაცილა წმიდანი ვაკის სასაფლაომდე.

ათი წლის შემდეგ, 1963 წლის 10 თებერვალს, წმ. ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს ისე, რომ კუბოც არ აღმოჩნდა გამოსაცვლელი. ექვთიმეს ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც დაცული ყოფილა.

2002 წლის 17 ოქტომბრის წმიდა სინოდის განჩინებით მოხდა წმიდა ექვთიმეს კანონიზაცია და ეწოდა მას ექვთიმე ღვთისკაცი.

ღირსნი მამანი: ევაგრე, ილია დიაკონი და სხვანი (VI)
4 (17) იანვარი

ღირსი ევაგრე და ილია დიაკონი იყვნენ წმიდა შიო მღვიმელისა და იოანე ზედაზნელის თანამოღვაწეები. მათ უშუალოდ გააგრძელეს და დაამკვიდრეს თავიანთი წმიდა მოძღვრების ღვთივგაბრძნობილი სამონასტრო წესგანგებანი.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვაკურთხევით VI საუკუნეში ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოვიდა ცამეტი ასურელი მამა. მათმა სულიერმა მოძღვარმა, იოანემ (ხს. 6 მაისს), საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა ისინი სამოღვაწეოდ. მათ სახელებთანაა დაკავშირებული ბევრი მონასტრის დაარსება და საქართველოში ბერმონაზვნობის აღორძინება-განმტკიცება.

თვითონ იოანე ზედაზნის მთაზე დარჩა და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწეობდა ილია დიაკონთან ერთად.

წმიდა იოანეს ერთ-ერთი თანამოღვაწე, ანტიოქიელი ღვთისმოსავი დიდებულის შვილი, ღირსი შიო მღვიმელი კი სარკინეთის მთებში დაეყუდა. მიყრუებულ მთებში მოღვაწე ბერს, ღვთის განგებით, მტრედი უზიდავდა საზრდოს.

ერთხელ ღირსი შიო მღვიმელი ნახა ამ მხარეში სანადიროდ მყოფმა ციხედიდის მთავარმა ევაგრემ (ხს. 4 თებერვალს) და წმიდა ბერის სასწაულებით გაკვირვებულმა, მასთან სამოღვაწეოდ დარჩენა გადაწყვიტა.

ასე დაედო საფუძველი საქართველოში ზედაზნისა და შიო მღვიმის სახელით ცნობილ პირველ მონასტრებს. მხოლოდ ღმერთმა უწყის ასურელ მამათა მიერ საქართველოში დაარსებულ მონასტრებში მოღვაწე წმიდა მამათა რიცხვის და ღვაწლის შესახებ. საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღირსი ევაგრესა და წმიდა ილია დიაკონის სახით მეოხებას ითხოვს ასურელ მამათა თანამოღვაწე და მათი წმიდა საქმის გამგრძელებელი ყოველი ღირსი და ღმერთშემოსილი მამისაგან, რომელთა ღვაწლითაც დაფუძნდა საქართველოში მონასტრები და განმტკიცდა მონაზვნური ცხოვრება.

წმიდა მონამე აბო თბილელი (+786)
8 (21) იანვარი

წმიდა აბო თბილელი დაიბადა დაახ. 750 წელს არაბთა სამეფოს დედაქალაქ ბაღდადში. წმიდანის მშობლები მუსულმანები იყვნენ და აბოც მუსულმანური ტრადიციებით აღიზარდა. მშობლებისაგან ისწავლა აბომ იმ დროისათვის ძალიან საჭირო და დაფასებული ხელობა - ნელსაცხებელთა დამზადება. ამ საქმეში მეტად დახელოვნებული აბო არაბთა ამირას, მუმნი აბდილას, კარზე მსახურობდა.

ამ დროს სარკინოზთა უღელმა მძიმე დღეში ჩააგდო ქართლი. არაბები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ქართველთა დასათრგუნად. მტერმა ჩვენი განადგურების საუკეთესო საშუალებად ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა მიიჩნია, ბევრი გადადრიკეს კიდეც ჭეშმარიტებისაგან მძლავრებითა და ცბიერებით. შიშისაგან განლეული ქვეყანა ირყეოდა, „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა". სამღვდელოება და ერის საუკეთესო შვილები ეძებდნენ გამოსავალს. 766 წელს კახეთის აჯანყება მტერმა სისხლში ჩაახშო, დამარცხდა აჯანყებული ქართლიც. ქართლ-კახეთის აჯანყების ხელმძღვანელობა ქართლის ერისმთავარს, ნერსეს, დაბრალდა და არაბთა ამირამ, მუმნი აბდილამ, ის ბაღდადში იხმო.

სამი წელი გაატარა ნერსემ არაბთა ტყვეობაში. მან იქ გაიცნო ჩვიდმეტი წლის მენელსაცხებლე აბო, რომელიც ნერსეს განთავისუფლების შემდეგ თან წამოჰყვა ერისმთავარს საქართველოში. მიუხედავად ერის უბედურებისა, აბო გაკვირვებული იყო ქართველთა ზნეობით; იგი სწავლობდა ქართულ ენას, დადიოდა ეკლესიაში, ესაუბრებოდა სამღვდელოებას, ლოცულობდა მათთან ერთად და მარხულობდა. აბო მთელი სულითა და გულით ცდილობდა ქრისტიანობის მიღებას და ნერსესთან ერთად ხაზარეთში ყოფნისას მოინათლა კიდეც. აბო თან გაჰყვა არაბთა რისხვას განრიდებულ ერისმთავარს აფხაზეთში. იგი მადლობდა ღმერთს, რომ იხილა ადგილი, სადაც ყველა ქრისტიანი იყო და ერთი პირითა და ერთი გულით ადიდებდა შემოქმედს. შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ნერსეს საშუალება მისცეს, ისევ ქართლს დაჰბრუნებოდა. აფხაზთა მეფემ სთხოვა აბოს, დარჩენილიყო აფხაზეთში: „მეშინის მე შენთჳს,

ნუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტესისა ნებსით, გინა უნებლიეთ და ესოდენი შრომაჲ შენი წარწყმიდო", — უთხრა მან აბოს. „განმიტევე მე, რაჲთა ეუწყოს განცხადებულად ქრისტიანობაჲ ჩემი ქრისტეს მოძულეთა მათ", — უპასუხა ნეტარმა.

სამი წელი მოღვაწეობდა აბო თბილისში და ქადაგებდა ქრისტიანობას. ძველმა თანამემამულეებმა დაასმინეს იგი, შეიპყრეს და სატუსაღოში ჩააგდეს, მაგრამ სტეფანოზ ერისთავის თხოვნით მალე გაათავისუფლეს.

თბილისში ახალი ამირა დასვეს. ქრისტიანებმა გაიგეს, რომ ამირა შეპყრობას უპირებდა ნეტარ აბოს, გააფრთხილეს და ურჩიეს, დამალულიყო, მან კი, გახარებულმა, ასე უპასუხა: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთჳს, არამედ სიკუდიდცა."

ამირას მსახურებმა შეიპყრეს ნეტარი აბო და მსაჯულს წარუდგინეს. მან წმიდანს ქრისტეს დაგმობა და მამა-პაპათა სჯულზე დაბრუნება შესთავაზა. ყოველნაირად ეცადნენ აბოს გადაბირებას, მაგრამ წმიდანი მტკიცედ იდგა. განრისხებული მსაჯულის ბრძანებით, აბოს ხელ-ფეხზე ბორკილი დაადეს და საპყრობილეში ჩასვეს. ქრისტესთვის დათმენილმა ჭირმა კიდევ უფრო მეტი სიყვარულით აღავსო ნეტარი, მან სთხოვა ქრისტიანებს, გაეყიდათ მისი სამოსელი, ეყიდათ სანთელ-საკმეველი და ქალაქის ეკლესიებისათვის შეეწირათ.

ნამების დღეს წმიდა აბომ დაიბანა პირი, იცხო ზეთი, მიიღო წმიდა ზიარება და ასე სადღესასწაულოდ განემზადა საწამებლად. „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ, ლოცვით წარმგზავნეთ და მშჯდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ",— ამხნევებდა იგი მისი მოსალოდნელი სიკვდილით დამწუხრებულ ქრისტიანებს. ამირამ მისი მოკვლა ბრძანა. წმიდა აბომ დაიწყო გულზე ხელები და სიხარულით მოუდრიკა ქედი მახვილს.

ჯალათებმა სამჯერ მსუბუქად დაჰკრეს მახვილი იმ იმედით, რომ სიკვდილის შიშით წმიდანი უარყოფდა ქრისტეს, მაგრამ აბო ბოლო წუთებშიც მხნედ და უდრეკად იდგა. სირცხვილეულმა და დამარცხებულმა უსჯულოებმა წმიდანის გვამზეც კი იძიეს შური, მისი წმიდა სხეული ტანსაცმელთან და მისივე სისხლით გაჟღენთილ მიწასთან ერთად ტომარაში ჩადეს, ქალაქიდან გაიტანეს და მტკვრის პირას დაწვეს, ფერფლი ცხვრის ტყავში გაახვიეს და მტკვარში გადააგდეს.

წმიდა ნინო, მოციქულთასწორი, ქართველთა განმანათლებელი (IV)
14 (27) იანვარი

წმიდა ნინო დაიბადა კაბადოკიაში დაახ. 308 წელს. იგი სახელგანთქმული მშობლების, რომის მხედართმთავრის - წმიდა ზაბულონის და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დის, წმიდა სოსანას ერთადერთი ასული იყო (ხს. 20 (2. 06) მაისს). როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ.

წმიდა ქალაქში მისვლის შემდეგ ნინოს მამამ, ზაბულონმა, ბერად აღკვეცა გადაწყვიტა, გამოემშვიდობა ოჯახს და იორდანის უდაბნოს მიაშურა სამოღვაწეოდ.

ქმრის წასვლის შემდეგ სოსანა იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალმა დიაკონისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მისცა მოხუც ქალს, სარა ნიაფორს. აღმზრდელი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს, უამბობდა მაცხოვრის მინიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი საქართველოში.

იმ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ კვართის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს. ყოვლადწმიდა ქალწულმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი". ამაზე ნეტარმა ნინომ უპასუხა: „როგორ შემიძლია მე, სუსტ ქალს, რომ ასეთი დიდი სამსახური გავუწიო ქრისტეს და რით შემიძლია ვერწმუნო ასეთი ჩვენების ჭეშმარიტებას?" ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა: „მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა". გამოღვიძებულ ნინოს, მართლაც, ჯვარი ეჭირა ხელში. მან სიხარულის ცრემლებით დაალტო და საკუთარი თმებით შეკრა იგი.

წმიდა ნინომ ბიძას, პატრიარქ იუბენალს, უამბო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოცხადების შესახებ და გაუმჟღავნა საქართველოში საქადაგებლად წასვლის სურვილი.

იუბენალმა აღსავლის კარებთან დააყენა დისწული, ხელი დაადო თავზე და უფალს შეჰღაღადა: „უფალო, ღმერთო მარადისობისაო, შეგავედრებ ობოლსა შვილსა დისა ჩემისასა და წარვავლინებ მას ქადაგებად ღვთაებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომა შენი და სადაც სასურველი იყოს შენთვის მიმოსვლა და ქადაგება მისი, ექმენ, ქრისტე ღმერთო, მას მეგზურად, ნავსადგურად, მოძღვრად და ენის შემამეცნებელად ისე, ვითარცა იქმოდი ამას წინამორბედთა, მოშიშთა სახელისა შენისათა, მიმართ".

რომში ჩასული ნინო შეხვდა მეფის ასულ რიფსიმეს და მის დედამძუძე გაიანეს, რომლებიც ქრისტეს სჯულზე მოაქცია. ამ დროს რომის იმპერატორი იყო ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი დიოკლეტიანე. მას ძალზე მოეწონა რიფსიმე და გადაწყვიტა, ცოლად შეერთო იგი. წმიდა ქალწულები მიხვდნენ, რომ ეს მტრის ფარული ხრიკები იყო, კერპთაყვანისმცემელი იმპერატორი ვერ იქნებოდა მეუღლე ქრისტიანი ქალისა, რომელსაც ზეციური სასიძო ამოერჩია. წმიდა ნინო, რიფსიმე, გაიანე და მათთან ერთად ორმოცდაათი ქალწული სომხეთში გაიქცნენ.

დიოკლეტიანემ მალემსრბოლები აფრინა ლტოლვილთა მოსაძიებლად, შემდეგ თრდატ სომეხთა მეფეს გაუგზავნა ეპისტოლე, აუწყა მომხდარი და უბრძანა: „მოიძიე იგი და რა იპოვნო, მხლებელნი მისნი სიკვდილით მოაკვდინე, ხოლო თვით ის, სახელად რიფსიმე, მე გამომიგზავნე და თუ შენ გთნდეს, შენთვის დაიგულე, რამეთუ არავინ იპოვება სხვა მსგავსი იონთა ქვეყანაში".

თრდატ მეფემ იპოვა ქალები, მოიხიბლა რიფსიმეს სილამაზით და მისი ცოლად შერთვა განიზრახა. წმიდანი არ დაემორჩილა მეფის სურვილს, რისთვისაც თრდატმა აწამა იგი დედამძუძე გაიანესა და სხვა ორმოცდაათ ქალწულთან ერთად.

წმიდა ნინო ვარდის ბუჩქებში დაიმალა. უფალი სხვა ღვაწლისთვის ამზადებდა მისი სიყვარულით ანთებულ ქალწულს. წმიდა ნინო საქართველოსკენ წამოვიდა. ფარავნის ტბასთან მან გაიცნო მცხეთელი მწყემსები, ისევ მიიღო ღვთისგან ზეგარდამო ლოცვა-კურთხევა „მცხეთას წარმართთა ქადაგებისა", თანამგზავრებიც იპოვა და ტანჯვა-წვალებით მოაღწია ქალაქ ურბნისამდე. წმიდანმა იქ სულ ერთი თვე დაჰყო, არმაზის კერპის თაყვანსაცემად წასულ ქართველებს ისიც შეუერთდა და ჩავიდა მცხეთაში.

საშინელი სანახაობა დახვდა აქ წმიდანს: მეფე, მთავარნი და ყოვე-

ლი ერი შიშით ძრწოდა კერპთა წინაშე. შეწუხდა ქალწული: „უფალო, მოხედენ წყალობით ამათ ზედა ნათესავთა, რათა ყოველმან ერმან მხოლოსა ღმერთსა თაყვანის გცენ იესოს მიერ ძისა შენისა“,— შეჰღაღადა მან ღმერთს. დაჰბერა საშინელმა ქარმა, ნამოვიდა სეტყვა და შეიმუსრა კერპები. შეშინებული ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა .

წმიდა ნინო სამეფო ბაღში დასახლდა, ბაღის მცველის უშვილო ოჯახს წმიდა ნინოს ლოცვით ღმერთმა შვილი მიჰმადლა. გახარებულმა ცოლ-ქმარმა აღიარა ქრისტე და დაემონაფა წმიდანს. ნინოს ირგვლივ თანდათან იკრიბებოდნენ ქრისტეს სჯულის თაყვანისმცემლები.

ერთხელ ნანა დედოფალი სასიკვდილოდ დასნეულდა, სასოწარკვეთილი დედოფლის მსახურნი წმიდა ნინოსთან მივიდნენ, აუწყეს ყოველივე და სასახლეში გაყოლა სთხოვეს. „არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა განვიდე, სადა შვება ჩვენი არა არს, არამედ დედოფალი მოვედინ საყოფელსა ამას ჩემსა და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა“,— უპასუხა წმიდანმა. ნანა დედოფალი დამორჩილდა მოციქულთასწორის ბრძანებას. წმიდა ნინომ ილოცა, ჯვარი გადასახა და განკურნა დედოფალი. ამის შემდეგ ნანამ აღიარა ქრისტე.

ერთხელ მეფე მირიანი სანადიროდ წავიდა. ნადირობისას მოულოდნელად მზე დაბნელდა. მარტო დარჩენილი მირიან მეფე დიდხანს ამაოდ უხმობდა შემწედ კერპებს. როცა იმედი გადაუწყდა, ქრისტეს შეევედრა: „ღმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მაჩვენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყვანისვსცე მას, აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა". მაშინვე გამობრწყინდა მზე. გახარებულმა მირიანმა მადლობა შესწირა ქვეყნიერების შემოქმედს. მცხეთაში დაბრუნებულმა მეფემ ინახულა წმიდა ნინო და აუწყა განზრახვა. წმიდა მოციქულთასწორის ღვაწლით საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა.

წმიდა ნინოს ცხოვრება მისივე მონათხრობიდან ჩაწერეს სალომე უჯარმელმა და პეროჟავრა სივნიელმა (ხს. 15 იანვარს).

წმიდანის სურვილისამებრ, მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში დაფლეს. შემდგომ მის საფლავზე მირიან მეფემ წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო.

წმიდა სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელი (IV)
15 (28) იანვარი

წმიდა სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელი ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს (ხს. 14 იანვარს და 19 მაისს) უახლოესი თანაშემწენი იყვნენ. მათ წმიდა ნინოსთან ერთად უამრავ ჭირი და განსცდელი გადაიტანეს ქრისტეს სარწმუნოების გასავრცელებლად.

სალომე უჯარმელი მირიან მეფის (ხს. 1 ოქტომბერს) ვაჟის, რევის, ცოლი იყო. პეროჟავრაც ქართლის ერისთავის მეუღლე გახლდათ. მათ დედოფლის პატივთან ერთად „ტყვე ქალის" - წმიდა ნინოს მსახურებაც იტვირთეს და მუდამ იწვრთნებოდნენ წმიდა ნინოსაგან ლოცვით, მარხვითა და სხვა კეთილი საქმეებით.

ქართლის მოქცევის შემდეგ, წმიდა ნინოს შთაგონებითა და წმიდა მეფე მირიანის ბრძანებით, წმიდა სალომემ უჯარმაში პატიოსანი ჯვარი აღმართა.

ღვთის განგებით, წმიდა ნინო დაბა ბოდინში (ბოდბე) დასნეულდა. ავადმყოფთან სასწრაფოდ შეიკრიბნენ მისი სიწმიდის თაყვანისმცემლები, რომელთა შორისაც იყვნენ სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელიც. დედოფლებს „გამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი თუალთაგან მათთა განშორებისათვის მოძღვრისა მოღუაწისა და სნეულთა მკურნალისა". მათ სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვულ წმიდანს ჰკითხეს:„ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა, მაუწყე ჩუენ საქმეშშენი! რაჲსა იტყჳ ტყვეობასა, ტყვეთა მხსნელო სანატრელო?"

წმიდა სალომე უჯარმელმა და პეროჟავრა სივნიელმა ჩაწერეს ქართველთა განმანათლებლის, წმიდა მოციქულთასწორი ნინოს ცხოვრება. მათ ხსენებას საქართველოს სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს 15 იანვარს, წმიდა ნინოს ხსენების მომდევნო დღეს.

ღირსი ეფრემ მცირე, ფილოსოფოსი (+1101)
18 (31) იანვარი

წმიდა ეფრემ მცირეს - XI საუკუნის უდიდესი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, მწერლის, მთარგმნელისა და ფილოსოფოსის ცხოვრება, სამწუხაროდ, უცნობია, მაგრამ მისი „მოსახსენებელი" და სხვა წყაროები საშუალებას გვაძლევენ, გავითვალისწინოთ ღირსი მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ეტაპები.

1027 წელს, საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის, ტახტზე ასვლისას საბერძნეთში საცხოვრებლად წავიდნენ ტაოელი აზნაურები. მათი სამშობლოდან აყრის მიზეზი იყო საქართველოსა და ბიზანტიას შორის ჩამოვარდნილი შუღლი „ზემო ქვეყანათა", ანუ ტაო-კლარჯეთის, მიწების გამო და ის შინააშლილობა, რაც ამ პოლიტიკურ დაძაბულობას მოჰყვა.

აზნაურთა შორის იყვნენ „ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოზი იოანე". მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ეფრემ მცირე იყო ვაჩეს შვილი.

ეფრემმა კონსტანტინოპოლში მიიღო განათლება და ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა, შემდგომ კი ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავ მთას მიაშურა სამოღვაწეოდ. იმ დროს იქ სამოცამდე ქართველი ბერი ცხოვრობდა და დიდი ლიტერატურული მოღვაწეობა იყო გაჩაღებული.

შავ მთაზე მისული ეფრემი თავდაპირველად იქაურ ქართველ მოღვაწეებს დაემონაფა. თავის „მოსახსენებელში" ღირსი ეფრემი ამბობს, რომ შავთელმა საბა თუხარელმა „ქრისტეს მიმსგავსებულითა სახიერებითა მიტკრთა ჟამსა სიუცბისა და სიჭაბუკისა ჩემისასა და სხუათავე ქველისმოქმედებათა თანა ესეცა აჩუენა ჩემზედა, რომელ ბერძულისაცა წიგნთა კითხვისა სწავლაჲ იღუანა ჩემთჳს ადგილსა შინა ჯეროვნად მომზავებულსა, რომელ არს მონასტერი წმიდისა სჳმეონ საკრველთმოქმედისაჲ". როგორც ჩანს, ეფრემმა საბა თუხარელისაგან შეისწავლა საეკლესიო წიგნების კითხვის წესი. საკმაოდ დავალებულად მიიჩნევს თავს ეფრემი იოანე ფარაკნელისაგანაც. ერთ ანდერძში ნეტარი გვაუწყებს: „ვიდრეცა იგი ჯერეთ ჩუენ თანა იყო ნეტარი იგი და ყოვლად რჩეული მოღუაწეთა შორის ბერი იოვანე ფარაკნელი, მან... განკვეთილობის ნიშნების გამოყენება მასწავლა". გაბრიელ მღვდელი არჩევდა წიგნებს ეფრემის სათარგმნელად.

ეფრემის ანდერძ-მინაწერები მადლიერებით იხსენიებენ შავ მთაზე მოღვაწე მამებს: საბა თუხარელს, ანტონ ტბელს, ეფრემ ოშკელს, არსენ იყალთოელს, სტეფანე ჭულეველს, იოანე ფარაკნელს, მღვდელ გაბრიელს და სხვებს. განუზომელია ეფრემის ღვაწლი ქართული სასულიერო და ფილოსოფიური მწერლობის წინაშე. მისი შრომების რიცხვი ასამდე აღწევს და ეხება საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგს.

წმიდა ეფრემმა შექმნა მთარგმნელობის საკუთარი თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგი დროის ქართულ მწერლობას. ამ თეორიას სამი არსებითი ნიშანი ახასიათებს:

1. თხზულება უნდა ითარგმნებოდეს აუცილებლად თავდაპირველი დედნიდან, იმ ენიდან, რომელზედაც იგი შეიქმნა;

2. შესრულებული თარგმანი ზედმიწევნით ზუსტი უნდა იყოს, მაგრამ სიზუსტემ არ უნდა შელახოს იმ ენის ბუნება, რომელზედაც ძეგლი ითარგმნება;

3. თარგმანზე დართული უნდა იყოს საგანგებო კომენტარები, რომლებშიც განხილული იქნება თხზულებასთან დაკავშირებული ისტორიულ-გრამატიკულ-ტექსტოლოგიური საკითხები.

დედნის აზრის უკეთ გასაგებად და გასაადვილებლად ეფრემ მცირემ შეიმუშავა პუნქტუაციის ხმარების საკუთარი წესიც. როგორც თავად წერს, იგი წერტილს იყენებდა „მცირედ სასუენად, ორნერტილს განსაკუეთელად სიტყვისა და სამწერტილს დიდად სასუენად და ექუს წერტილს სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიტყვისა."

ეფრემს უთარგმნია დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი ხუთი თხზულება, ბასილი დიდის და ეფრემ ასურის „ასკეტიკონი", ეპისტოლეთა და ფსალმუნთა კომენტარები, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა" და უამრავი სხვა.

ეფრემ მცირის ორიგინალურ ნაშრომთაგან გამოირჩევა „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების".

XI საუკუნის II ნახევარში ანტიოქიისა და შავი მთის ბერძენი ბერები საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას არ ცნობდნენ. სხვა მიზეზთა შორის ასახელებდნენ იმას, რომ თითქოს საქართველოში ქრისტიანობა არც ერთ მოციქულს არ უქადაგია. საჭირო გახდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების დაცვა-დადასტურება. იქაურ ქართველ მოღვაწეებს ეფრემისათვის დაუვალებიათ ამ საქმის მოგვარება. ეფრემმა საგანგებოდ შეისწავლა ბერძნული წყაროები, „მცირედი სიტყუანი, ვითარცა თესლის მკრებელმან, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან" ერთად შეკრიბა და მეცნიერული არგუმენტებით

დაასაბუთა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა.

ბერძნული წყაროებით ასაბუთებს ეფრემი ქართველთა შორის წმიდა ნინოს ქადაგების ფაქტს, კათოლიკოსთა ხელდასხმისა და მირონის კურთხევის ნებართვის მოპოვების თარიღს.

ღირს ეფრემ მცირეს არასოდეს დაუტოვებია შავი მთა. 1091 წლის ახლო ხანებში ის კასტანას მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს.

ღირსი ეფრემი გარდაიცვალა 1101 წლის ახლო ხანებში. რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) აქტები მას მიცვალებულთა შორის იხსენიებს.

ეკლესიისა და ერის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ღვთივსათნო ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეფრემი წმიდანად შერაცხა.

ღირსი ალექსი (შუშანია) (+1923)
18 (31) იანვარი

წმიდა მამა ალექსი (შუშანია) დაიბადა 1852 წლის 23 სექტემბერს სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში, ღრმად მორწმუნე ქრისტიანების ოჯახში. შვიდი წლის ასაკში ალექსი სკოლაში შეიყვანეს. აქ მან დიდი ნიჭიერება გამოიჩინა, მაგრამ მალე მძიმედ დაავადდა, სწავლა ვეღარ გააგრძელა და მამამ ოზურგეთში ნაიყვანა, სადაც თავად ვაჭრობდა.

ალექსის 1868 წელს გარდაეცვალა მამა. სიკვდილის წინ მან დალოცა შვილი და ანდერძად დაუბარა, ეზრუნა ოჯახისათვის. ამ დროს მომავალი მღვდელ-მონაზონი თექვსმეტი წლისა იყო. ამავე წელს ალექსი იერუსალიმში გაემგზავრა და იქაური სიწმიდეები მოილოცა, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში ჩავიდა ბიძასთან, ისლამ შუშანიასთან, რომელიც იყო დიდვაჭარი და, ამასთან, ფრიად განსწავლული კაცი, მცოდნე მრავალი აღმოსავლური ენისა, დიდად ღვთისმოსავი. ბიძასთან ყოფნის ჟამს ალექსი შეეჩვია ვაჭრებს და იმდენად მოეწონა ეს ხელობა, რომ თავადაც ვაჭრად გახდომა მოუნდა, მაგრამ ღვთის განგებამ სხვა გზა უჩვენა.

ერთხელ ალექსიმ ბიძას გამოართვა წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატარა ხატი, თავის ოთახში განმარტოვდა და დაეწყო დიდი შინაგანი ბრძოლა: ცალკე საერო ცხოვრება იზიდავდა თავისი ახალგაზრდული სიამოვნებით, ოჯახისა და ტოლ-სწორებისადმი სიყვარულით, ცალკე კი უხილავი ძალა მოუწოდებდა წმიდა და მაღალი ცხოვრებისაკენ. ასეთ ბრძოლაში გავიდა რამდენიმე საათი. ბოლოს ალექსიმ იკითხა: „რა ვუყო მამის ანდერძს, მან ხომ ოჯახი ჩამაბარა, რა ვუყო ჩემს ვალდებულებას? " უხილავმა მოძღვარმა კითხვითვე უპასუხა: „ახლა რომ მოკვდე, ვინ გაარიგებს შენს საქმეს?" ალექსიმ მიუგო: „ღმერთი!" კვლავ გაისმა ხმა: „მაშინ შენც მოკვდი ღვთისათვის საწუთროსაგან და ღმერთს მიანდევი ყოველივე შენი საქმე და იგი გაარიგებს." ამის შემდეგ ალექსი საოცრად გამოიცვალა: თითქმის გამუდმებით, თვეობით იჯდა თავის ოთახში, კითხულობდა საღმრთო წიგნებს და მკაცრად მარხულობდა.

ალექსის ამგვარმა ყოფამ ბიძამისს კონსტანტინოპოლზე გული აუ-

ცრუა და მალე ყველანი საქართველოში დაბრუნდნენ.

შინ დაბრუნებულმა ალექსიმ ოჯახს განუცხადა, რომ ბერად აღკვეცის აღთქმა დადო. დები და ძმა დიდად შეწუხდნენ, დედამ კი მადლობა შესწირა ღმერთს და დალოცა შვილი. იმ დღიდან მან მკაცრი ასკეტური ცხოვრება დაიწყო. დადიოდა სოფლებში, უვლიდა ჭლექით, ქოლერით და სხვა მძიმე ავადმყოფობებით დასნეულებულებს, მარხავდა უპატრონო მიცვალებულებს. ასე განვლო რამდენიმე წელმა. ერთხანს ალექსი სალოსურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი ძლიერი მქადაგებელი იყო ღვთის სიტყვისა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა კეთილი მაგალითი იყო მრავალთათვის. მისი ქადაგების გავლენით მალე მონაზვნად აღიკვეცნენ დედამისი ელენე, უმცროსი და სალომე და ძმა ბესარიონიც (შუათანა და, სოფიო, ღვთის განგებით, ალექსიზე ადრე აღიკვეცა მონაზვნად თეკლათის დედათა მონასტერში). ბესარიონმა მოილოცა იერუსალიმის სიწმიდენი, იქ რამდენიმე წლის განმავლობაში იღვაწა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა, მარტვილის მონასტერში მღვდლად აკურთხეს, სადაც მოღვაწეობდა სიკვდილამდე.

ალექსი ათონის მთაზე გაემგზავრა სიწმიდეების მოსალოცად და იქ მოღვაწე მამების ცხოვრების გასაცნობად, სადაც მან მრავალი სასულიერო წიგნი გადაწერა. ათონიდან მობრუნებულმა დიდი სასოებით მოილოცა კიევის მღვიმეთა მონასტერი, საქართველოში დაბრუნდა და კვლავ განაგრძო თავისი ჩვეული მოღვაწეობა ლოცვით, მარხვით და კეთილი საქმეებით.

დაახლოებით 1885 წელს ალექსი შუშანია დაემკვიდრა გელათის მონასტერში. 1886 წელს იგი ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო 1888 წელს კი – მღვდელ-მონაზვნად.

1890 წელს ალექსი ბერი ავადმყოფობის გამო თეკლათის მონასტერში დაემკვიდრა თავის მონაზონ დედასთან და დებთან ერთად.

ღვთის განგებით, 1891 წელს ალექსი ბერმა ბერული სენაკის მშენებლობა დაიწყო მენჯში, ე.წ. მთავარანგელოზთა გორაზე. ღვთისნიერ ადამიანთა დახმარებით ნელ-ნელა გამოიკვეთა ძველი, სანახევროდ დანგრეული მთავარანგელოზთა ტაძარი. შემოიკრიბა მონაფეები და შეუდგა ამ სავანეში დაყუდებულ მოღვაწეობას. მამა ალექსის ჯანმრთელობაც ისე გაუმჯობესდა, რომ წირვა-ლოცვის შესრულება შეეძლო. შემოწირულ თანხას იგი სამ ნაწილად ჰყოფდა: ერთ ნაწილს პირადი საჭიროებისათვის, მეორეს – ეკლესიისა და სტუმართათვის, მესამეს კი – დავრდომილთა და გლახაკთათვის.

1898 წლიდან ალექსი ბერმა დაყუდებული ცხოვრება დაიწყო. სენაკში მას ჰქონდა კაცის სიმაღლის ხის ჯვარი, რომელსაც ლოცვის დროს

ზურგით იპყრობდა ხოლმე, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობდა, ჯვრის ასე პყრობა გოლგოთაზე ამავალ ქრისტეს აგონებდა. მნახველთა მისაღებად მხოლოდ შაბათ-კვირას გამოდიოდა. მიუხედავად ალექსი ბერის მკაცრი, ასკეტური ცხოვრება-მოღვაწეობისა, ის მაინც საოცრად ახლოს იყო ხალხთან, ახერხებდა მათთან სულიერ სიახლოვეს . ხანგრძლივი მოღვაწეობით დამაშვრალი ბერი 1923 წლის 18 იანვარს მიიცვალა.

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში ალექსი ბერი ყოველდღე ეცხადებოდა სქემმონაზონ ფასტოს, რომელიც თავის დასთან, სქემოსან აკეფსიმასთან ერთად მამა ალექსის სავანეში დარჩა სამოღვაწეოდ.

ქრისტესმოძულე მთავრობის მიერ სავანის მოსალოდნელი დარბევის შიშით დებმა, ფასტომ და აკეფსიმამ, წმიდა ბერი თეკლათის დედათა მონასტერში დაკრძალეს, თვითონ კი მთავარანგელოზების მონასტერში დარჩნენ.

1960 წლის 8 იანვარს ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის, ეფრემ სიდამონიძის (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის), ლოცვა-კურთხევით მამა ალექსის უხრწნელი გვამი თეკლათის დედათა მონასტრიდან გადაასვენეს და დაკრძალეს ტაძრის აღმოსავლეთის კედლის მახლობლად. 2001 წელს წმიდა ალექსი ბერის საფლავზე პატარა ეკლესია აიგო.

ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, ათცამეტ სირიელ მამათაგანი (VI)
19 (1.02) იანვარი

ღირსი ანტონ მარტომყოფელი ცამეტ ასურელ მამასთან (ხს. 7 მაისს) ერთად ჩამოვიდა საქართველოში. წმიდა იოანე ზედაზნელის კურთხევით ანტონი კახეთს დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. მისმა მადლმოსილმა ლოცვამ და სასწაულებმა უამრავი ხალხი მიიზიდა. ანტონმა მათთვის ეკლესია ააშენა ალაზნის გაღმა, თვითონ კი მივარდნილ ადგილას დაეყუდა სამოღვაწეოდ. იგი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს. ღირსი მამა დღედაღამ ლოცულობდა სასწაულთმოქმედი ხატის წინ და ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანას ავედრებდა უფალს.

უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებულ მოღვაწესთან ყოველ საღამოს მოდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ. ერთ საღამოს ირმები ადრე მივიდნენ, დაფეთებულნი. უკან დაჭრილი ნუკრი მისდევდათ. ანტონი ირმის კვალს გაჰყვა და ნახა, რომ მთის ძირას, ველზე, ვიღაც წარჩინებული ნადირობდა. ის აღმოჩნდა მახლობელი დაბის მამასახლისი. გაოგნებულმა მონადირემ დაინახა მხცოვანი ბერი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა ირმებს შორის. მამასახლისმა საშიშ კაცად ჩათვალა უცნობი და მხლებლებს უბრძანა, წმიდანი მჭედელთან წაეყვანათ ხელის მოსაჭრელად. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ, როგორც კი აღმართა წმიდა მამის ხელის მოსაჭრელად, „დავარდა ქუე და ჴელნი, ვითარცა შეშანი შეექმნეს". მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა, წმიდა ანტონმა კი მას ჯვარი გადასახა და განკურნა.

ეს სასწაული სასწრაფოდ აუწყეს მამასახლისს. ის მიხვდა, რომ მის წინაშე ღვთის მადლით შემოსილი კაცი იდგა, თაყვანი სცა და შეევედრა: „რაი გნებავს სთქუ და ყოველი მიგცე". ანტონმა ქვამარილის ნატეხი ითხოვა. ღირს მამას მაშინვე მარილის ორი ლოდი მიართვეს. მან მხოლოდ მცირეოდენი ჩამოტეხა და კვლავ თავის სადგომს მიაშურა, ქვამარილი კი სენაკის ახლოს დადო ირმებისათვის. წმიდა ანტონის სახელი მახლობელ სოფლებს მოეფინა. მასთან აუარებელმა ხალხმა იწყო

სიარული. ბევრს ისე მოეწონა მისი ცხოვრება, რომ იქვე დარჩა სამოღვაწეოდ. მამა ანტონმა მათთვის მონასტერი ააშენა, თვითონ კი მთის მწვერვალზე, სვეტზე დაეყუდა და იქ მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ღირს მამას უფლისაგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე, მოუწოდა მონაფეებს, უკანასკნელად დაარიგა და აკურთხა ისინი, თვითონ კი ხატის წინ დაჩოქილი აღესრულა.

ღირსი ანტონის გვამი სვეტიდან ჩამოასვენეს და მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს, ღვთისმშობლის ხატის წინ.

წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) (+1944)
20 (2.02) იანვარი

იღუმენი ექვთიმე (ესტატე კერესელიძე) დაიბადა 1865 წელს რაჭაში, სოფელ სადმელში, სოლომონ და მართა კერესელიძეების კეთილმორწმუნე ოჯახში. სადმელის სამრევლო სასწავლებლის დასრულების შემდგომ რაჭაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო თხუთმეტი წლის ყმაწვილი ესტატე გაემგზავრა ჯერ ქუთაისში, შემდგომ — თბილისში, სადაც ერთ-ერთი სასტუმროს მზარეულის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. აქ მან გაიცნო წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) ხაზინადარი და მოურავი, მაქსიმე როსტომის ძე შარაძე. მათ სხვა მორწმუნე ახალგაზრდებთან ერთად თბილისში დააარსეს უფასო „საღმრთო წიგნთ-საკითხავი", რომლის მიზანი მოსახლეობაში მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება და ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა და გავრცელება იყო. „საღმრთო წიგნთ-საკითხავს" სულიერ ხელმძღვანელობას უწევდნა წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე (+1907).

ძველ ქართულ საეკლესიო გალობას საძმოს წევრები სწავლობდნენ ცნობილი მგალობლის, თავად მელქისედეკ ნაკაშიძისაგან, რომელიც ათონის წმიდა მთის ქართველთა სავანეში იყო განსწავლული.

1890-იანი წლებიდან მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ წმიდა ილია მართლის შუამდგომლობით შეიძინეს სტამბა, რომლის საშუალებითაც ინტენსიურად შეუდგნენ საღმრთო წიგნების ბეჭდვასა და გავრცელებას.

მაქსიმეს და ესტატეს მიმოწერა ჰქონდათ ათონის წმიდა მთაზე ქართველთა სავანის ბერებთან და მათგან ივერთა მონასტრის წიგნთსაცავიდან გადმოწერილ წმიდანთა ცხოვრებასა და ქადაგებებს ღებულობდნენ, ბეჭდავდნენ და უფასოდ ავრცელებდნენ. მათ თავიანთი სტამბის საშუალებით ოცდახუთი წლის განმავლობაში დასტამბეს ოთხი ათასამდე სასულიერო შინაარსის სხვადასხვა გამოცემა. ხალხი სამართლიანად უწოდებდა მათ სტამბას „ბერების სტამბას", რადგან იქ მომუშავე ადამიანები გამოირჩეოდნენ კეთილმსახურებითა და წმიდა

ცხოვრებით.

1891 წელს მაქსიმესა და ესტატეს ცნობილმა მომღერალმა და მუსიკოსმა ფილიმონ ქორიძემ ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა. ესტატე კერესელიძეს განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა და ამიტომ ფილიმონ ქორიძე მას ანდობდა საგალობელთა სანოტო ხელნაწერების გადათეთრებას.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობით გაუქმებას სავალალო შედეგები მოჰყვა: იძარცვებოდა და ნადგურდებოდა უძველესი ეკლესიის ფასდაუდებელი საუნჯე. ქართული საეკლესიო გალობაც გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგა. საჩქაროდ უნდა გამონახულიყო ქართული საეკლესიო კილოების დაფიქსირების გზა და საშუალება, რადგან ძველი საგალობო დამწერლობის მცოდნენი დღითიდღე მცირდებოდნენ და ეს მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური საგანძური სამუდამოდ იკარგებოდა.

წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის თაოსნობით 1884 წელს ქუთაისში დაარსებულმა ქართული გალობის აღმდგენმა კომიტეტმა შეკრიბა ძველი ქართული გალობის მცოდნე სასულიერო პირები და ერისკაცნი. ფილიმონ ქორიძემ ათასობით საგალობელი გადაიტანა ნოტებზე, რომლის დაბეჭდვა საკუთარი ხარჯებით თავს იდეს ესტატე კერესელიძემ და მაქსიმე შარაძემ.

1907 წელს, წმიდა ილია მართლის მოწამეობრივი აღსასრულიდან ექვსი თვის თავზე გარდაიცვალა მაქსიმე შარაძე. ეს უდიდესი დანაკარგი ესტატე კერესელიძისათვის აუნაზღაურებელი დარჩა. დაღონებულ ესტატეს განსაცდელი უერთგულესი მეგობრის დაკარგვისთანავე ეწვია — მარტოდ დარჩენილ მოღვაწეს სტამბისა და მისი ქონების გაყოფას სთხოვდნენ; მისდა სავალალოდ, ქონების ჩამონათვალში უძვირფასესი ხელნაწერებიც შედიოდა, რომელთა ნაწილი ჩამოართვეს და უცნობი მიმართულებით წაიღეს. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ სანოტო კრებულები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში მოხვდა, რომლის ხელმძღვანელი იმხანად წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) იყო.

ესტატე კერესელიძემ მალე ჟურნალ „შინაური საქმეების" რედაქტორის, მღვდელმოწამე სვიმონ მჭედლიძის, დახმარებით სტამბა და ხელნაწერები ქუთაისში გადაიტანა. სამწუხაროდ, არსებული მძიმე ვითარების გამო მათი თანამშრომლობა ვერ მოხერხდა. ქუთაისში ესტატემ კვლავ სცადა სანოტო კრებულების დაბეჭდვა, მაგრამ უბინაობის გამო გაიძარცვა ყუთები, სადაც დაბეჭდილი ფურცლები ინახებოდა და დამწუხრებულმა მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიაგნო ქუთაისის ბაზარში

ხორცის გამყიდველთან.

მალევე, ბახმაროში ყოფნისას, გარდაიცვალა დიდი მოღვაწე ფილიმონ ქორიძე. მთელი ოცდაათი წლის ნაშრომი — ათეულობით ხელნაწერი — ექვთიმეს პასუხისმგებლობაში დარჩა. მხოლოდ მან იცოდა ამ საგანძურის ნამდვილი ფასი.

ესტატე კერესელიძემ საბოლოოდ აირჩია მონაზვნობის გზა, რომლისთვისაც სიყრმიდანვე განიმზადებდა თავს. მას სულიერ ხელმძღვანელობას უწევდა იმ დროის უდიდესი მოსაგრე, ღირსი მამა ალექსი შუშანია.

1912 წლიდან იმერეთის ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის კურთხევით ესტატე კერესელიძე მორჩილად განწესდა გელათის მონასტერში, ხოლო ამავე წლის 23 დეკემბერს ღირსი ექვთიმე მთაწმიდელის სახელზე ბერად აღკვეცა იღუმენმა ანთიმოზმა. 1913 წლის მაისიდან იგი იეროდიაკონია. ამ დროიდან იწყება მამა ექვთიმეს ყველაზე დაძაბული მოღვაწეობა. გელათი იყო ის ადგილი, სადაც ჯერ კიდევ ტიპიკონის სრული წესების დაცვით სრულდებოდა ღვთისმსახურება. მამა ექვთიმემ გადაწყვიტა, ზედმიწევნით მოეწესრიგებინა ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადატანილი საგალობლები და ტიპიკონის მიხედვით გაეწყო. ამისათვის მრავლად შეიძინა სანოტო ფურცლები და შეუდგა უმძიმეს და უდიდეს საქმეს — ხელნაწერი ნოტების მოწესრიგებასა და გადათეთრებას.

1917 წელს მამა ექვთიმე იმერეთის ეპისკოპოს გიორგის მიერ ხელდასხმული იქნა მღვდელ-მონაზვნად. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, მისი ავტორის — კოტე ფოცხვერაშვილის თხოვნით, 1918 წელს მამა ექვთიმემ დასტამბა.

დადგა ავადსახსენებელი 1921 წელი. ქუთაისში კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე მამა ექვთიმე დააპატიმრეს, როგორც ახალი წყობისათვის არასაიმედო პიროვნება. საბედნიეროდ, ბრალდების არქონის გამო რამდენიმე თვეში იგი გაათავისუფლეს. ეს იყო უმძიმესი პერიოდი დევნისა და შევიწროებისა; გელათის ბერები ყოველდღე ელოდნენ შეურაცხყოფასა და დარბევას. მღვდელ-მონაზონი ექვთიმე ამ წლებშიც კი აგრძელებდა საგალობელთა კრებულებზე მუშაობას. „მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!.. მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროსმჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი ამაში ხელს ურევ!“ — ამბობდა წმიდა მამა.

1923 წელს უღმერთო მთავრობის მიერ გელათის მონასტერი გაუქმებულად გამოცხადდა. გელათის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს, მისცეს რამდენიმე დღის ვადა, რათა სამუდამოდ დაეტოვებინათ მონასტერი. შეძრწუნებულმა მამა ექვთიმემ იმის შიშით, რომ საგალობელთა ხელნაწერები არ განადგურებულიყო, ორმოცამდე უზარმაზარი კრებული ქუთაისში საიმედო ოჯახში გადამალა.

1924 წელს კომკავშირლებმა საძირკვლამდე დაანგრიეს წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის, სახელობის საკათედრო ტაძარი. იმავე წელს უღმრთოთა ხელით დახვრეტილ იქნა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად. სასულიერო პირთა დევნა-განადგურების ისტერიამ პიკს მიაღწია.

მამა ექვთიმე იძულებული გახდა დაეტოვებინა გელათი და ხელნაწერები შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაეტანა.განსაცვიფრებელია, ასეთ დროს, როდესაც თბილისი-ქუთაისის გზაზე სრულიად უმიზეზოდ მოიკლა ათასობით ადამიანი, როგორ მოახერხა მამა ექვთიმემ ერთი ურემი ხელნაწერების ქუთაისიდან მცხეთაში მარტოდ-მარტომ გადატანა.

ამ პერიოდიდან მღვდელ-მონაზონი ექვთიმე განწესებულ იქნა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც საგულდაგულოდ გადამალა სასწაულებრივად გადარჩენილი ხელნაწერები. 1925 წელს, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი მეტეხის ციხეშია დატყვევებული, ხოლო საქართველოს ეკლესიის უკლებლივ ყველა მსახური საშინელ დევნას განიცდის, საღმრთო განგებულებით, მამა ექვთიმე კვლავაც აგრძელებს საეკლესიო გალობის იშვიათი ნიმუშების გადარჩენას. სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნთსაცავში მან მიაკვლია ძლისპირთა უძველეს ნევმირებულ კრებულს. ძველი ქართული სამუსიკო დამწერლობის საუკეთესო მცოდნე მოღვაწემ ეს საგალობლებიც ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადაიტანა.

1929 წლიდან მამა ექვთიმე ზედაზნის მონასტერში განაწესეს. მან ახლა იქ აიტანა ქართული გალობის ხელნაწერები და დიდ რკინის ყუთებში საიმედოდ დაცული მიწაში დაფლა.

თბილისის „მეტეხის" მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა - დავით დავითაშვილმა, რომელიც ფარული ქრისტიანი იყო, ბეთანიის ბერებთან - წმიდა აღმსარებლებთან - არქიმანდრიტ იოანე მაისურაძესა და გიორგი მხეიძესთან საუბრისას მწუხარება გამოთქვა ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი ძველი ქართული საგალობლების დაკარგვის გამო და როდესაც მათგან შეიტყო, ხსენებული ხელნაწერები ზედაზნის მონასტერში იღუმენ ექვთიმესთან ინახებაო, იმავე დღეს ზედაზ-

ნის მონასტრისკენ გაეშურა.

ისტორიკოსებისა და მუსიკოსების შემადგენლობით შეიქმნა კომისია, რომელმაც ამ ხელნაწერების განსაკუთრებული ფასეულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა. მამა ექვთიმემ 1935 წლის ნოემბერში სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 34 სანოტო კრებული, რომელიც 5532 საგალობლისა და რამდენიმე სასულიერო შინაარსის ხელნაწერისაგან შედგებოდა. ყველა ეს საგალობელი ამჟამად დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

1944 წლის ზამთარში ზედაზნის მონასტერში მარტო მცხოვრები მამა ექვთიმეს სანახავად ასულ სამთავროს მონასტრის დედებს წმიდანი უკვე სასიკვდილოდ დასნეულებული დახვდათ, მამა ექვთიმემ დალოცა დედები და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. იგი დაკრძალეს ზედაზნის მონასტრის ეზოში, საკურთხეველთან.

წმიდა გაბრიელი (ქიქოძე), იმერეთის ეპისკოპოსი (+1891) 25 (7.02) იანვარი

წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (გერასიმე ქიქოძე) დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, მღვდელ მაქსიმე ქიქოძის - გურიის მთავრის, მამია გურიელის კარის მოძღვრის - ოჯახში.

1840-45 წლებში გაბრიელი სწავლობდა თბილისის, შემდეგ ფსკოვის და პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში. 1849 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასუ-ლიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით, ამავე წელს დაოჯახდა და დაბრუნდა საქართველოში; 1849 წელს დაინიშნა თბილისის სემინარიის ინსპექტორად, 1854 წელს ეგზარქოსის მიერ ხელ-დასხმულ იქნა დიაკვნად, შემდეგ კი — მღვდლად.

1856 წელს, ოცდათორმეტი წლის ასაკში, მას თავს დაატყდა უბედურება: გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი. ამ ტრაგედიის შემდეგ მამა გაბრიელი ეგზარქოს ისიდორეს ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა დავით-გარეჯის მონასტერში. 1858 წელს გაბრიელი მონასტრის წინამძღვრად გაამწესეს, იმავე წელს აკურთხეს გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1860 წლის 2 ივლისს იმერეთის ეპარქიაში გადაიყვანეს და გარდაცვალებამდე ამ სამწყსოს მღვდელმთავარი იყო. 1869 წელს მის განმგებლობაში შევიდა აფხაზეთის ეპარქია, ხოლო 1873 წელს სამეგრელოს ეპარქია. მრევლის განათლების მიზნით მეუფე გაბრიელი ხშირად მოგზაურობდა ეპარქიის ფარგლებში, ხალხთან პირად შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სოფლიდან სოფელში გადადიოდა და დღეში სამ-ოთხ ადგილას დამოძღვრავდა ხოლმე სამწყსოს, მაგრამ ყველაზე მეტად მრევლზე გავლენას ახდენდა გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნება, მისი პირადი მაგალითი. როგორც პედაგოგმა და მოძღვარმა, მან იცოდა ზნეობრივი აღზრდის საშუალებები. ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს მან, იაკობ გოგებაშვილის თქმით, „ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად

განსაზღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელოვანი და არსებითი წესები...“ კეთილი, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას. ამ წესს იგი თვითონაც მკაცრად იცავდა: ჭრიდა შეშას, თოხნიდა, პირუტყვს საზრდოს უზიდავდა, ქათმებს აპურებდა, ახალი ტაძრების მშენებლობის დროს ხშირად თვითონ იყო არქიტექტორი, სოფელ-სოფელ ეძებდა კარგ ოსტატებს, ზრუნავდა წესრიგზე: „თუ სადმე ეკლესიაში უსუფთაობას ნახავდა, მოიტანდა ცოცხს და თავისი ხელით დახვეტდა“. ეპისკოპოსი გაბრიელი მხოლოდ პირადი ღირსებებით შემკულ ხალხს აკურთხებდა ღვთის მსახურებად და არ უწევდა ანგარიშს არც თავადს, არც მთავარს და არც გუბერნატორს. მეუფე გაბრიელი „ადამიანებს ენდობოდა, რადგან მათში, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ხატებას ხედავდა და ამიტომაც მათი შიში არ ჰქონდა“. ერთი მოგზაურობის დროს ავაზაკი დაეცა თავს და გაძარცვა მოუნდომა. გაბრიელმა ჯვარი გადასახა და უთხრა: „შვილო, მე საწყალი ბერი ვარ, გაბრიელ ეპისკოპოსი, ფული სადა მაქვს“. ეს სახელი ავაზაკსაც გაეგონა და შეკრთა. მეუფე არ მოეშვა, სანამ თან არ წაიყვანა, გაზარდა და სკოლაში მასწავლებლად განამწესა.

მთხოვნელის გარჩევა მეუფემ არ იცოდა. დიდი და პატარა, შორეული თუ ახლობელი, თავადი თუ გლეხი მისთვის ერთი იყო. უკანონობას არ მოითმენდა და უზნეო თხოვნას არავისას არ შეასრულებდა. მისი უბრალო და მარტივი ხასიათი მის ტანსაცმელშიც ჩანდა, საცხოვრებელ ოთახშიც და სმა-ჭამაშიც. ხშირად მნახველს ძველ სამოსელში გამოწყობილი ბერი მოსამსახურედ მიუღია.

ეპისკოპოსი გაბრიელი იყო საოცარი მოწყალე და ქველმოქმედი, თავისი სამწყსოს ქვრივთა და ობოლთათვის ლუკმის მიმწოდებელი. ერთ დიდსა და სასტიკ ზამთარში, როცა ქუთაისის ღარიბები დიდ გაჭირვებაში და განსაცდელში ჩაცვივდნენ, მღვდელმთავარმა თავისი ფეხით დაიარა გაჭირვებულთა ქოხმახები და აღმოუჩინა მათ შემწეობა, რამდენადაც შეეძლო. იგი ღრმად თანაუგრძნობდა მდაბალ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, მრავალ მოსწავლეს უწვდიდა დახმარების ხელს, საკუთარ სახლში ინახავდა და სწავლის ქირასაც უხდიდა. ამ ყმაწვილებთან სადილობდა და ბაასობდა იმ მიზნით, რომ მათში გაეღვიძებინა კეთილშობილური აზრები, მათ ნორჩ გულებში დაენერგა სიყვარული სიმდაბლისადმი. მისი დევიზი იყო: „მე არა მეკუთვნის რა, ყველაფერი ღვთისაა“. გაბრიელ ეპისკოპოსის დღიურები საშუალებას გვაძლევენ შევიტყოთ, თუ რამდენი უპატრონო მკვდარი დაუსაფლავებია, რამდენი შიშველი შეუმოსავს, რამდენი გზის

ქირა გადაუხდია, რამდენი შეგირდისთვის სასწავლო ნივთები უყიდია, რამდენი სნეულისთვის უექიმია. დიდ ზამთრებში ხშირად ქვრივ-ობლებს შეშასა და ფულს უგზავნიდა ღამ-ღამობით, ჩუმად.

მეუფე გაბრიელის თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ საოცარი სახილველი იყო ლოცვად დამდგარი ეპისკოპოსი. წირვა-ლოცვა ძლიერი სასოებით იცოდა.

მიუხედავად ამისა, გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ ხშირი იყო გესლიანი წერილები, ეჭვები, უსაფუძვლო ცილისწამებანი. მას აბრალებდნენ უსამართლობას, უზნეობას, კარიერისტობას, საეკლესიო ნივთებით ვაჭრობას, მაგრამ თვით მტრებიც იხსენიებენ მას, როგორც „უნიჭიერეს და ყოვლად შესანიშნავ მოძღვართმოძღვარს", ადარებდნენ „ეკლესიის თვით პირველ წმიდა მოძღვრებს", უწოდებდნენ „საკვირველ პედაგოგს", „არაჩვეულებრივ სიტყვის მეუფეს", „სიმართლის მასწავლებელს".

მეუფე გაბრიელი ერთ-ერთი მხურვალე დამცველი იყო ქართული ენისა, რომელიც XIX საუკუნეში, საუბედუროდ, გადაგვარების მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ის გაბედულად ებრძოდა ყველას, ვინც ეჭვქვეშ აყენებდა მშობლიური ენის არსებობის აუცილებლობის საკითხს. ამ მიზნით დაწერა მრავალი წერილი და ქადაგება, მან ამხილა ვაიქართველი მუხრანსკი, რომელიც წერდა, რომ მცირე ერები, მათ შორის ქართველებიც, „დიდ" ხალხში გათქვეფის აუცილებლობას ვერ აცდებოდნენ და რაც უფრო მალე მოხდებოდა ეს მოვლენა, მით უკეთესი იყო. „რით ამტკიცებ შენ, რომ ეს მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნების წესი?" — ეკითხება გაბრიელ ეპისკოპოსი მუხრანსკის. — „პირიქით, ხალხი უნდა ეცადოს ენის გავრცელებას, გამდიდრებას და არა დამარხვასა და დაკარგვას". გაბრიელი თვლიდა, რომ „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი" სწორედ ენაა. მშობლიურ ენას მოკლებული ყოველი ხალხი მოკლებულია ყოველგვარ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებას და „უსარგებლოა თავისთვისაც და სხვისთვისაც".

ეროვნულ ნიადაგზე უთანხმოება ჰქონდა გაბრიელს ეგზარქოს ევსევისთანაც, რაც შემდგომში განხეთქილებამდეც მისულა. ზემდგომ დაწესებულებებთან და პიროვნებებთან ამგვარ დაპირისპირებას ხშირად მათი გულისწყრომაც მოჰყვებოდა ხოლმე. დროდადრო გაბრიელზე საიდუმლო მეთვალყურეობაც ყოფილა დაწესებული, რადგანაც ის მთავრობისათვის არასაიმედო კაცად იყო მიჩნეული.

1885 წელს მოკლეს გაბრიელ ეპისკოპოსის მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი). მეუფემაც მიიღო

მუქარის წერილები. მან საქართველოდან წასვლა დააპირა. „ჩემი სულის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ. დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არა მაქვს, მაგრამ, რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტაო“.

სიცოცხლის ბოლოს მეუფე გაბრიელს მძიმე სულიერი ბრძოლები დაეწყო, ხშირად ტანჯავდნენ საშინელი მოჩვენებანი. კაცთა მოდგმის მტერმა უკანასკნელი ბრძოლა გამართა, რათა ფიზიკურად დასუსტებული მოხუცი სულიერად ეძლია. გარდაცვალების წინა დღეს მეუფე შემდეგ სიტყვებს იმეორებდა: „ღმერთო, მონყალე მექმენ მე ცოდვილსა“, ხოლო სულის ამოსვლის წინ ამბობდა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. 1896 წლის 25 იანვარს მღვდელმთავარი გარდაიცვალა. უჩვეულოდ დიდი ზამთარი ყოფილა იმ წელს ქუთაისში. გზები თოვლისგან იყო შეკრული. მიცვალებულის ღირსეული გაპატიოსნება, გელათში წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდა უამინდობის გამო, ამიტომ გადაწყვიტეს, დაეცადათ გაზაფხულამდე, ვიდრე თოვლი არ გადნებოდა და გზები არ გაიხსნებოდა. მანამდე კი გაბრიელის ცხედარი ქუთაისის საკრებულო ტაძარში დაასვენეს.

ორმოცდაექვსი დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო და მთელი ამ დროის მანძილზე მისი გვამი არ გახრწნილა.

გარდაცვლილის პირადი ქონება, მისივე სურვილით, მთლიანად ქვრივ-ობლებსა და ღარიბებს დაურიგდა. გამოქვეყნდა გაბრიელ ეპისკოპოსის გამოსათხოვარი სიტყვა. მეუფე უკანასკნელ შენდობას ითხოვდა ყველასგან და თვითონაც ყველას მიუტევებდა შეცოდებებს.

წმიდა მეფე დავით IV, აღმაშენებელად წოდებული (+1125)
26 (8.02) იანვარი

წმიდა დავით მეფე, აღმაშენებელი, საქართველოს მეფის, გიორგი II-ის ძე, დაიბადა 1073 წელს. ამ დროს საქართველო ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე იყო. თურქეთის სულთანმა მელიქ-შაჰმა დაიპყრო სამშვილდე, აიღო და დაარბია ქუთაისი, არტანუჯი, კლარჯეთის უდაბნო. ქართველებმა მთებსა და ტყეებს შეაფარეს თავი. დაცარიელებული ქვეყანა უსჯულოებმა დაიპყრეს, ააოხრეს ეკლესია-მონასტრები, ამოხოცეს მოსახლეობა.

ერთ დროს ქრისტესმოყვარე ერი უსჯულოებამ და ცოდვამ მოიცვა... „ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა". აღდგომის დღეს „მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ". საშინელმა მიწისძვრამ ყველაფერი დაანგრია. ასეთი უბედურების ჟამს „იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგმამან დავით, ღმრთისა მამისაგან და თჳთ სამეოცდამეცხრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით". საქართველოს იმედად და პატრონად მოევლინა განსწავლული, ბრძნადმეტყველი, ღვთისმოშიში, დავრდომილთა ხელისამპყრობელი, ქვრივობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, დაუმარცხებელი მეომარი, მახვილი მესიისა — წმიდა დავით აღმაშენებელი.

1089 წელს გიორგი II-მ უარი თქვა მეფობის პატივსა და სიმძიმეზე და თავის თექვსმეტი წლის „მარტოშობილ ძეს... დაადგა გკრგჳნი მეფობისა". „თჳთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თჳსი და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას"... უფალმა წყალობითა და ჭეშმარიტებით შემოსა მოწყალე და გლახაკთა მფარველი მეფე, „უზეშთაეს ყო იგი უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა". წინ იყო ბრძოლის, შრომის, აღმშენებლობის, მოღვაწეობის ოცდათექვსმეტწლიანი გზა.

უპირველეს ყოვლისა, დავით მეფემ დიდი თურქობის დროს გაქცეული და მიუვალ ადგილებს შეხიზნული ქართველების დაბრუნება დაიწ-

ყო ძველ ნამოსახლარებზე, აზნაურებს მოუყარა თავი და მათთან ერთად შეუდგა ერის შეკრებას.

მეფემ შეგონებებითა და პირადი მაგალითებით შეძლო, ერთად შეეკრიბა პატრიოტულად განწყობილი ქართველი დიდებულები და დაიმორჩილა ორგული და „გზასა არაკეთილსა“ მდგომი ურჩი თავადებიც. მან კარგად იცოდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს აუცილებელი ქვაკუთხედი შინაგანი მშვიდობა და ერთობა იყო. ამასობაში იერუსალიმი და ანტიოქია ჯვაროსნებმა აიღეს. ამით ისარგებლა დავით მეფემ და თურქებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა.

ღვთივგანბრძნობილმა მეფემ თავისი გონიერი მზერა ეკლესიას მიაპყრო. მან მოიწვია საეკლესიო კრება „ღვთისმოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა — რუისისა და ურბნისისა“. კრებამ აღადგინა და გააძლიერა ეკლესიის ავტორიტეტი, აღკვეთა თავგასულ ფეოდალთა და უღირს სასულიერო პირთა თავნებობა. ეკლესია გახდა ძირითადი დასაყრდენი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების განხორციელების საქმეში. „არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაიდგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ, მონამე არს ჭეშმარიტება“, — ვკითხულობთ ამ კრების ძეგლისწერაში.

დავით მეფე აქტიურად შეუდგა საქართველოს სრულ გაერთიანებას და უპირველესად კახეთ-ჰერეთს მიმართა. თურქები და მოღალატე ფეოდალები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდნენ. ღვთის წყალობას მინდობილი ლაშქარი ერწუხთან უშიშრად შეება თურქთა უზარმაზარ მხედრობას. რიგითი ჯარისკაცივით იბრძოდა მეფეც, მეომრებს ლომივით შეუძახებდა, გრიგალივით დაჰქროდა. სამი ცხენი მოუკლეს ამ ბრძოლაში, მეოთხეზე ამხედრებულმა დაასრულა ბრძოლა საკვირველი გამარჯვებით.

რამდენიმე წელი ქვეყნის შიდა პოლიტიკის რეფორმას და აღმშენებლობას მოახმარა კეთილმსახურმა დავითმა, შემდგომ კი შეუდგა თურქთაგან საქართველოს სრულ განწმენდას.

თურქთა სულთანმა მუჰამედმა ასი ათასიანი ლაშქარი დაძრა საქართველოსკენ. თავად მეფე ათას ხუთასი კაცით თრიალეთისაკენ წავიდა. განთიადისას შეება ერთმანეთს უთანასწორო მხედრობა. „შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი თურქთა“. ამასობაში გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავიც წაართვა დამპყრობლებს. 1115 წელს მტკვრის

ხეობა მთლიანად შეუერთდა საქართველოს. ერთი წლის შემდეგ კი კარნიფორსა და ბასიანს შორის დაბანაკებული თურქებიც განდევნეს.

სიმდიდრით და დიდებით აივსო სამეფო. იმავე წელს დავითმა თავისი ასული კატაᲐ ბერძენთა იმპერატორს, ალექსი კომნენოსს, მისცა სძლად, მეორე ასული კი შირვანს გაგზავნა დედოფლად, „რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი".

„ძლევანი საკვირველნი" გრძელდებოდა, წმიდა მეფე ახალ-ახალი დიდებით იმოსებოდა. სწორუპოვარ მამას გვერდით ედგა ღირსეული შვილი, „სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმხნევითა უმჯობეს მამისა" — დემეტრე (შემდგომ ღირსი დამიანე ხს. 23 მაისს).

დავით აღმაშენებელი კარგად ხედავდა, რომ მცირერიცხოვან ქართულ მხედრობას საქართველოს ქალაქებისა და ციხეების უსაფრთხოების დაცვა და იმავდროულად მუდმივმოქმედ არმიაში ყოფნა გაუჭირდებოდა. საჭირო იყო მუდმივი ლაშქრის შექმნა. ბრძენმა მეფემ განიზრახა, ყივჩაღთაგან შეექმნა ასეთი არმია. ის კარგად იცნობდა ამ ხალხს, იცოდა მათი ომის ხელოვნების და მხნეობის ამბავი. მისი მეუღლე, გურანდუხტ დედოფალიც, ხომ ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული იყო. ყივჩაღთა მშვიდობიანი გზის უზრუნველსაყოფად მეფე და მისი აღმზრდელი, გიორგი ჭყონდიდელი, ოსეთს წავიდნენ. ოსეთში გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, „აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუანლთა მისთა". დამწუხრებულმა მეფემ ორმოც დღიანი გლოვა გამოაცხადა მთელ სამეფოში.

დავითმა ყივჩაღთაგან შექმნა ორმოცათასიანი არმია. ამას ხუთი ათასი ქართველიც მიემატა და იმ დღიდან საქართველოს განმგებლობაში მუდმივად იყო ორმოცდახუთი ათასი კაცისაგან შემდგარი სპა.

დავითმა საქართველოში და მის მახლობლად მცხოვრები თურქების ნავარდობას ბოლო მოუღო. წმიდა მეფე დღითი დღე ამტკიცებდა, კრავდა და აძლიერებდა ქვეყანას. მტრები ვერ ბედავდნენ ღვთივკურთხეულ მეფესთან შებმას. „ესევითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი" სულთან მაჰმუდს ეახლნენ ბაღდადში. გლოვისა და გაჭირვების ნიშნად შავად შეიღებნენ და ასე აუწყეს ამიერკავკასიაში მიმდინარე ამბები. სულთანმა არაბთა მეფე დურბეიზს უხმო, მისცა თავისი ძე, მალიქი, ექვსასათასიანი არმია შეკრიბა და საქართველოსაკენ დაძრა.

1121 წლის აგვისტო იდგა. ქვიშასავით მოადგა ურიცხვი მტერი თრიალეთს, მანგლისს, დიდგორს, „თჳთ ფერჴთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ

ადგილთა". უშიშარმა მეფემ წყნარად, უშფოთველად და ბრძნულად განაწყო სპა ისე, რომ არა მარტო გამარჯვებაზე იზრუნა, არამედ თავის მცირერიცხოვან მხედრობასაც გაუფრთხილდა.

ბრძოლის დაწყების წინ მეფემ სიტყვით მიმართა ლაშქარს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უმალ მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხერგებით შევკრათ და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ"...

პირველსავე ბრძოლაში მტერმა დიდი ზარალი ნახა. „ჴელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას და წმიდა მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა". ბაღდადის მმართველი ილ-ღაზი მძიმედ დაიჭრა, სახელგანთქმულ სარდალს, დურბეიზ სადაყას ძეს, ისე ახლოს მიეჭრნენ ქართველები, რომ გულიდან ოქროს ძვირფასი მანიაკი ჩამოგლიჯეს და შემდგომ, დიდგორთან მოპოვებული გამარჯვების პატივსაცემად, ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირეს.

1122 წელს თბილისი აიღო დავით აღმაშენებელმა და ოთხასწლიანი ტყვეობის შემდეგ დედაქალაქი სამშობლოს დაუბრუნა. 1123 წელს დავითმა დმანისიც შემოიერთა და ამით საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ განასრულა.

გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა. უფალი შეეწეოდა ღვთის მადიდებელ მეფეს. ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო დავით მეფემ თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის გვირგვინის — გელათის მონასტრის მშენებლობა. „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი ყოვლადწმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა... შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადაცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ჴორციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძია, მოიყვანნა და დაამკჳდრნა

მას შინა". ასე დაედო საფუძველი უმაღლეს სასწავლებელს — გელათის აკადემიას, „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად".

დავითის მზრუნველი ხელი დაეტყო საქართველოს საზღვრებს გარეთ, წმიდა ადგილებში, მრავლად არსებულ ქართულ სავანეებს.

მეფემ სნეულთათვის ქსენონი ააშენა, ყველა აუცილებელი ნივთი მოუმზადა. სიუხვითა და წყალობით საავსე, თვითონაც ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს, ამხნევებდა მათ, მამასავით ეპყრობოდა. დავითს ყოველთვის თან დაჰქონდა ქისა მოწყალების გასაცემად.

განსწავლული და მწიგნობარი მეფე თავისუფალ დროს საღმრთო წერილისა და სხვა მეცნიერებათა წვდომას ანდომებდა. დავითს წიგნები ომშიც თან დაჰქონდა, ჯორებით და აქლემებით დაატარებდა ბიბლიოთეკას. როცა კითხვით გადაიღლებოდა, სხვას აკითხებდა, თვითონ კი ყურადღებით უსმენდა. ყველაზე უფრო წმიდა წერილის კითხვა უყვარდა. დავით მეფის ცხოვრების აღმწერი ამბობს: „წინადაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოს წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწადისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ: ოცდაოთხჯერ წარეკითხა".

საოცარი მწიგნობარი მეფე სნორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო. მისი „გალობანი სინანულისანი" თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს. ქართველ მეფეთა შორის ყველაზე უშიშარმა, ძლევამოსილმა და მართალმა შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, სადაც მწარე გოდებით მოიხსენია ყველა ცოდვა, ნებსით თუ უნებლიეთ ქმნილი და შეწყალება გამოსთხოვა ყოვლისმპყრობელ მსაჯულს: „ჟამი რაჲ წვლილთა და ხმელთა აღმოფშჳნვათაჲ წარმოდგეს, ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაჲ დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!"

1125 წელს ანდერძი დაწერა ღვთივგვირგვინოსანმა მეფემ, დასვა სამეფო ტახტზე დემეტრე, დაადგა გვირგვინი, მახვილი შემოარტყა წელზე და „დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერებით". თვითონ კი ორმოცდაცამეტი წლის ასაკში აღესრულა „სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის; მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის;

მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის; კაცთმოყვარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის; საყვარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მკვირცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თჳთმპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრისმპყრობელთა შორის" (არსენი ბერი).

წმიდა დავით აღმაშენებელი დაკრძალეს მის მიერ აგებული და სამეფო საძვალედ დადგენილი გელათის მონასტრის შესასვლელში. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია კეთილმსახური მეფის უკანასკნელი სურვილი: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე".

წმიდა მოწამე აშოტ დიდი, კურაპალატი, არტანუჯის ტაძარში ნამეგული (+829)
29 (11.02) იანვარი

წმიდა აშოტ დიდი, კურაპალატი, ქართლის ერისთავ ადარნერსეს შვილი იყო. აშოტი 786 წელს გახდა ქართლის ერისმთავარი. ამ დროს საქართველო ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი: ქართლი, ანუ თბილისი მისი შემოგარენით და შუა ნაწილი საქართველოსი არაბთა ამირას ემორჩილებოდა; აღმოსავლეთი კახთა მთავარს, გრიგოლს, ეპყრა; დასავლეთ საქართველოს აფხაზთა მეფე განაგებდა; სამხრეთ საქართველო კი, ღვთის ნებით, იქცა სამკვიდრებლად აშოტ კურაპალატისა და მისი შთამომავლობისა.

ერისმთავრად დადგინების დღიდანვე დაიწყო აშოტმა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ისარგებლა არაბთა დაუძლურებით და თბილისიდან განდევნა აგარიანნი. „თბილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი, თჳნიერ ალი შუაბის ძისა", ქართლის შემომტკიცების შემდეგ ბარდავიც ქართლს შეუერთა აშოტმა და სამი წლის მანძილზე მის „სახლად იყო ტფილისი და ბარდავი".ამასობაში არაბთა ხალიფას ტახტზე ახალი მბრძანებელი ავიდა, „განძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან". თბილისი კვლავ არაბებმა ჩაიგდეს ხელში. აშოტი იძულებული გახდა, ქართლს განრიდებოდა და საბერძნეთში წასულიყო ცოლ-შვილთან და მცირერიცხოვან სპასთან ერთად. ჯავახეთს მიწევნული ლტოლვილები ფარავნის ტბასთან შეჩერდნენ დასასვენებლად. მძინარეებს სარკინოზთა ლაშქარი დაესხათ თავს. მცირერიცხოვანი სპა სასიკვდილოდ იყო განწირული, მაგრამ „შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და კნინსა ლაშქარსა მისსა, მოსცა ძლევა მას ზედა და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი". ერისმთავარმა ამ გამარჯვებაში ღვთის ნიშანი განჭვრიტა, საბერძნეთში წასვლა გადაიფიქრა და შავშეთ-კლარჯეთში დარჩენა გადაწყვიტა. ამ დროს სამხრეთ საქართველო საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უსჯულოთაგან დარბეული ხალხის გაჭირვებას ქოლერის ეპიდემიაც დაემატა და „მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ".

სასომიხდილმა და უბედურებისაგან ქანცგაწყვეტილმა მოსახლე-

ობამ სიხარულით მიიღო აშოტ კურაპალატი. იგი შეუდგა დანგრეული ქვეყნის აღდგინებას, „რომელნიმე სოფელნი მის ქუეყანაჲსანი მოიყიდნა საფასოთი, ზოგნი ოჴერნი აღაშენნა და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა". აშოტ კურაპალატმა აღადგინა წმიდა კეთილმსახური მეფის, ვახტანგ გორგასლის (ხს. 30 ნოემბერს), აშენებული არტანუჯის ციხე, რომელიც მურვან-ყრუს მიერ იყო აოხრებული, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და კლარჯელ ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა იგი, ააგო წმიდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია. „მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლასა შინა".

კლარჯეთი ახალ სიცოცხლეს იძენდა. სრულიად საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად ქცეული მხარე სულიერადაც მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა. ღირსი გრიგოლ ხანძთელის (ხს. 5 ოქტომბერს) და მისი თანამოსაგრეების ძალისხმევით უდაბნო დაბა-სოფლებად იქცა, აშენდა ეკლესია-მონასტრები, ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლები, ერის საუკეთესო შვილები მიდიოდნენ კლარჯეთში და ღმერთშემოსილი მამების გვერდით საქართველოს კეთილ მომავალს ჭედდნენ.

საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი წმიდა აშოტ დიდი ღვთის მოშიში და მოყვარული იყო. მან დიდი სიხარულით და პატივით ისტუმრა თავის სასახლეში წმიდა მამა გრიგოლი, „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი". ღირსმა მამამ აკურთხა ხელმწიფე: „არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთაჲ ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე".

წმიდა აშოტ კურაპალატი ღირსი გრიგოლის კეთილ საქმეს მატერიალურადაც შეეწია. „შესწირა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა". მეფის შვილებმაც — ადარნერსემ, ბაგრატმა და გუარამმაც, დიდძალი საფასე გაიღეს კლარჯეთის უდაბნოთა ასაღორძინებლად.

ბრძოლებში შეუდრეკელი აშოტი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ეკლესიის მსახურებს. ზნეკეთილ მეფეს, „გარდარეული სიყუარულით" შეუყვარდა ერთი ქალი, დაივიწყა ღირსებაც, პატივიც, მოვალეობაც ღვთისა და ერის წინაშე და დედოფლისთვის აღდგენილ არტანუჯის სასახლეში მიიყვანა იგი. ღირსმა გრიგოლმა შეიტყო „საქმეჲ იგი სულისა განმხრწნელი", „შეწუხდა ფრიად", ეახლა მეფეს და ამხილა მისი უღირსი საქციელი. შეცბუნებულმა აშოტმა აღუთქვა განტევება ქალისა, მაგრამ სიტყვა ვერ შეასრულა, „რამეთუ დაემონა გულის-თქუმასა". ღირსმა გრიგოლმა აშოტ კურაპალატის დაუკითხავად დედაკაცი სასახლიდან

წაიყვანა და მერეს დედათა მონასტერში წინამძღვარ თებრონიას (ხს. 5 ოქტომბერს) მიჰგვარა. მეფემ დედა თებრონიას ქალის გაშვება სთხოვა: მონაგები ჩვენი მის ხელთ არისო. დედა თებრონიამ მკაცრად შეახსენა მეფეს, „მიზეზებად მიზეზთა კაცთა თანა, რომელნი იქმან უსჯულოებასა". ხორციელად ძლიერმა ხელმწიფემ თავი დადრიკა „სულით ძლიერი" დედის წინაშე და ოხვრით წამოსცდა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს". ღვთისმოშიშმა მეფემ, რომელსაც „მამხილებელად აქუნდა თჳსი გონებაჲ", სძლია თავის პირად გრძნობებს და, მიუხედავად უდიდესი შინაგანი ბრძოლისა, „სიხარულით წარვიდა, რამეთუ გულითა წმიდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა მისისა საუკუნოდ გკრგჳნოსან-მყოფელთაჲ".

ღვთისა და ქვეყნის მოყვარული მეფე მთელი ქართლის დაბრუნებისათვის ემზადებოდა, მაგრამ „მოვიდა ხალილ იაზიდის ძე არაბი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი".

წმიდა აშოტი საბრძოლველად მოემზადა, მალემსრბოლი გაგზავნა ლაშქრის შესაკრებად, მაგრამ, სანამ ჯარი შეიკრიბებოდა, „დაესხნენ სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი". ხელმწიფემ ნიგალის ხევს მიჰმართა და „იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი". საუბედუროდ, წვეულთა შორის მოღალატენიც აღმოჩნდნენ. მეფე ძალიან გვიან მიხვდა ღალატს. მან თავი ტაძარს შეაფარა, მაგრამ იუდას ცოდვით დამძიმებულებმა იქაც შეაღწიეს და მოკლეს მეფე „მახკლითა საკურთხეველსა ზედა". „დაკლეს იგი, ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესაცა საჩინოდ სახილველ არს", — წერს სუმბატ დავითის ძე თავის წიგნში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა".

ასე მოწამეობრივად აღესრულა პირველი ბაგრატოვანი ხელმწიფე, „კეთილად მორწმუნე, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ".

ქართველებმა მტერს არ შეარჩინეს საყვარელი ხელმწიფის სიკვდილი. დოლისყანას მყოფებმა გაიგეს, რომ „მოიკლა მათი უფალი აშოტი", დაედევნნენ მკვლელებს, ჭოროხის მიდამოებში დაეწივნენ გაქცეულებს და ისე ამოწყვიტეს, რომ ამბის წამღებიც არ დარჩენილა.

წმიდა მოწამის, აშოტ დიდის, ნეშტი დაკრძალეს მის მიერ აშენებულ წმიდა მოციქულთა, პეტრესა და პავლეს, სახელობის ეკლესიაში.

4 (17) —ღირსი ევაგრე, ციხედიდის მთავარყოფილი (VI)

6 (19) —ღირსი არსენ იყალთოელი (+1127)

10 (23) —ღირსი იოანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი (XIII)

12 (25) —ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული; წმიდანნი: პროხორე ქართველი (XI); ლუკა იერუსალიმელი (მუხაის ძე) (+1273); ნიკოლოზ დვალი (+1314) და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებულნი — ყოველნი ქართველნი მოწამენი და ღირსნი მამანი.

14 (27) —წმიდა ილარიონ ქართველი (ყანჩაველი), ახალი (XVIII-XIX)

17 (1.03)—მღვდელმოწამე თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX)

18(2.03)—წმიდა ნიკოლოზი კათოლიკოს-პატრიარქი (+1591)

22 (6.03)—წმიდა მოწამენი - ცხრანი ყრმანი კოლაელნი (VI)

ღირსი ევაგრე, ციხედიდის მთავარეპოფილი (VI)
4 (17) თებერვალი

ღირსი ევაგრე მონოზვნად აღკვეცამდე ციხედიდის მთავარი იყო. ღვთისმსახურ და მორწმუნე დიდებულ მშობელთა შვილი სიყრმიდანვე საღმრთო წერილით იზრდებოდა. ახოვანი და მხნე მთავარი ქართლის მეფე ფარსმანის ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი და თანაშემწე იყო.

ერთხელ ევაგრე სანადიროდ წავიდა სარკინეთის მთაზე, სადაც ღირსი მამა შიო მღვიმელი (ხს. 9 მაისს) მოღვაწეობდა. ნადირობისას მხლებლები დაიფანტნენ. მარტო დარჩენილმა ევაგრემ მიდამო დაათვალიერა. უცებ მან დაინახა მტრედის მსგავსი უცხო ფრინველი, რომელმაც ნისკარტით რაღაც საჭმელი მიიტანა ერთ გამოქვაბულში. ევაგრემ დაიმახსოვრა ის ადგილი, სადაც მტრედი მიფრინდა, მეორე დღეს მოიძია და იხილა გამოქვაბულში დაყუდებული ბერი. გაოცებულმა ევაგრემ ვინაობა გამოჰკითხა განდეგილს. ღირსმა შიომ უთხრა: „კაცი ვარ უცხოᲲ და ქრისტეს მოსავი, და ვარ ქუაბსა ამას შინა მცირესა, რაᲲთა დაყუდებით აღვასრულნე დღენი ცხორებისა ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად სათნო ვეყო ღმერთსა". საოცარი სახილველით გაკვირვებული ევაგრე საღმრთო შურით აღივსო და ღირს მამას უთხრა: „ცხოველ არს უფალი, არა დაგიტეო შენ და არცა წარვიდე სახედ ჩემდა". წმიდა შიომ ევაგრეს ურჩია, გადაეფიქრებინა გადაწყვეტილება, რადგან ფუფუნებაში აღზრდილი მეუდაბნოეობის სიმძიმეს ვერ იტვირთებდა, მაგრამ ევაგრემ მტკიცედ მიუგო: „დაღაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არა დაგიტეო".

ღირსმა შიომ წმიდა ევაგრეს კვერთხი მისცა და უბრძანა: „ კუერთხი ესე ჩემი ჩაყავ მტკუარსა, ხოლო იგი გზას გცემს და განვედ Ყმელად, და წარვედ სახედ შენდა და ყოველივე საცხოვრებელი შენი განაგე და წარმოვედ და, ვითარცა მოიწიო მტკუარსა ზედა, კუალად ჩაყავ კუერთხი ჩემი და უკუეთუ გზა გცეს, მოვედ ჩემდა და უკუეთუ არა გზა გცეს, წარვედ შინა, რამეთუ არა სთნავს ღმერთსა საქმე ეგე, რომელსა Ჰლამი''. წმიდა ევაგრემ მორჩილებით მიიღო ღირსი მამის კვერთხი და მდინარეს შეახო. მტკვარი გაიპო და წმიდანი მშვიდობით გავიდა მდინარის მეორე ნაპირზე.

სასახლეში დაბრუნებულმა ევაგრემ თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა, სახლეულს გამოემშვიდობა და მამა შიოსთან დაბრუნდა. მტკვართან კვლავ აღსრულდა სასწაული: მდინარე ორად გაიპო და ანგელოზებრივი ცხოვრების გზაზე შემდგარი მოღვაწე გაატარა.

მალე ღირსი მამების ღვაწლი გაცხადდა და სარკინეთის მთას მრავალმა ქრისტიანმა მიაშურა. ფარსმან მეფემ გვიან გაიგო თავისი საყვარელი და ერთგული მთავრის მონაზვნად აღკვეცა და თავად მოინახულა ღირსი შიოს უდაბნო. მას უნდოდა, ევაგრე ისევ საერო სამსახურზე დაეყოლიებინა, მაგრამ ღირსმა მამამ მეფეს მონაზვნური სიმშვიდით უპასუხა: „ჰოჲ, მეფეო, რად მაწუხებ დაბადებულსა ღვთისასა, რათა შევირაცხო მსგავსად ძაღლთა, კუალად მიქცეულთა ნათხევარსავე". ფარსმანმა ღირსი შიოს გამოქვაბული მოინახულა და, როცა საკვირველი მადლით განათებული მისი სახე იხილა, სამეფო გვირგვინი მოიხადა და საკვირველი ბერის წინაშე დაიჩოქა.

ღირსმა შიომ ღვთისმოსავი მეფე აკურთხა და თავისი ხელით დაადგა თავზე გვირგვინი. ფარსმანმა მეფისთვის დამახასიათებელი გულუხვობით დიდი შესაწირავი გაიღო მონასტრისათვის, რომელთა შორის იყო ვახტანგ გორგასლის (ხს. 30 ნოემბერს) მიერ შემკობილი სახარება, ოქროს ბარძიმ-ფეშხუმი, ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოთხი დაბა...

ღირსი შიოს, ევაგრესა და მათ თანამოსაგრეთა მოღვაწეობის ამბავი მთელმა საქართველომ გაიგო. მრავალნი, საღვთო შურით აღვსილნი, ტოვებდნენ საერო ცხოვრებას და სამონაზვნო სქემით იმოსებოდნენ. როცა ღირსი შიო მოხუცდა, ერთად შეკრიბა საძმო და უთხრა: „გამოირჩიეთ ერთი ძმათაგანი, რომელი იღუწიდეს ცხორებისა თქუენისათჳს; რამეთუ მე ამიერითგან მეგულვების შთასვლა მღჳმესა შინა, რომელი შევმზადე საყოფელად და საფლავად ჩემდა". ძმებს ეძნელებოდათ მოძღვართან დაშორება, დიდხანს ევედრებოდნენ, მონასტერში დარჩენილიყო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს სთხოვეს, წინამძღვარი თავად აერჩია. წმიდა მამამ ღირსი ევაგრე გამოარჩია.

წმიდა ევაგრეს ეძნელებოდა ძმათა წინამძღვრობა: „ვერ შემძლებელ ვარ ჯერისაებრ სრულ ქმნად მსახურებასა ძმათასა, ვინაცა ნუ მაიძულებ მე ხელ ყოფად საქმესა ამას, უზეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რამეთუ კაცი უმეცარი ვარ და უძლური ტვირთვად ესე ოდენთა მონაზონთა ჯეროვანსა მეურნეობასა", — შეევედრა იგი წმიდა შიოს. მან კი ასე დაამშვიდა: „უკუეთუ მორჩილ გუექმნა, ფრიადი სასყიდელი მიიღო ღუთისაგან და ნეტარება მორჩილთა დაიმკჳდრო დიდებასა მას უხილავსა". ღირსმა ევაგრემ მორჩილებით მიიღო მოძღვრის კურთხევა. იგი, ღვთის შეწევნით და მამა შიოს ლოცვით, ბრძნულად განაგებდა მონასტერს. აღესრულა მშვიდობით. დაკრძალულია შიო მღვიმის მონასტერში.

ღირსი არსენი იყალთოელი (+1127)
6 (19) თებერვალი

ღირსი არსენი იყალთოელი დაიბადა დაახ. XI-ს.ს. შუა წლებში. მამამისი, კახეთის თავადი იბად ვაჩნაძე, იმ დროისათვის ცნობილი კაცი იყო. მან შვილს საუკეთესო სამეცნიერო და საღვთისმეტყველო განათლება მიაღებინა.

სასულიერო და საერო მეცნიერების უბადლო მცოდნე „ბრძენი და მეცნიერი" არსენი იყალთოელი იყო წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის, ერთ-ერთი საიმედო მრჩეველი და „მოძღვარი სამეცნიერო". წმიდა არსენიმ დააარსა ცნობილი იყალთოს აკადემია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინების საქმეში.

სრული ბიოგრაფიული ცნობები წმიდა მამის შესახებ არ შემონახულა, ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო უმცროსი თანამედროვე ღირსი ეფრემ მცირისა. მას საფუძვლიანი და ღრმა განათლება კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიაში მიუღია, სადაც უთარგმნია თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება, გიორგი ჰამარტოლის „ხრონოგრაფი", აქვე, მანგანის მონასტერში თარგმნა არსენიმ დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის კრებული, რომელსაც ქართულ მწერლობაში „დოგმატიკონი" ეწოდება. იგი შემდგომ თანდათან შეივსო სხვადასხვა პირთა მიერ ნათარგმნი თხზულებებით.

სწავლის დამთავრების შემდეგ არსენი შავ მთაზე წავიდა და მოღვაწეობა ღირსი ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით (ხს. 8(31) იანვარს) დაიწყო. ეფრემის გარდაცვალების შემდეგ არსენიმ დატოვა შავი მთა, ისევ მანგანის მონასტერში დაბრუნდა და გააგრძელა მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

1114 წელს წმიდა არსენი, მეფე დავით აღმაშენებლის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა და მოღვაწეობა დაიწყო გელათის აკადემიაში. აქ ყოფნისას თარგმნა მან „დიდი სჯულისკანონი". გელათის მონასტრის ერთ-ერთ ნუსხაში ვკითხულობთ: „ქრისტიანეთა წინამძღუარი, დიდი ესე სჯულის კანონი, საუკუნოდ მოჴსენებულისა და ჩუენ ქართველთათჳს ფრიად ჭირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელის

თარგმნილი". შემდეგ არსენი კახეთში გადავიდა და იყალთოს მონასტერთან დააარსა უმაღლესი სკოლა-აკადემია.

წმიდა არსენი ესწრებოდა დავით აღმაშენებლის თაოსნობით მოწვეულ კრებას. დავითის ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ მოუწოდა „არსენი იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა".

„ღვთისმეტყუელი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, ანატომოსი, ალიღორიულთა შეთხზვათა შინა ქებული, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიო ტიპიკონთა მეტყუელი" წმიდა არსენი იყალთოელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. იგი დაკრძალულია იყალთოში, მონასტრის დამაარსებლის, წმიდა ზენონის, გვერდით.

ღირსი იოანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი (XIII)
10 (23) თებერვალი

ღირსი იოანე ჭიმჭიმელის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება: იგი იყო XII-XIII საუკუნეების მიჯნის დიდი საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი და ფილოსოფოსი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი წერს, რომ წმიდა დემეტრე მეფის (ხს. 23 (5.06) მაისი) „დიდებითა, სიმჴნითა და გუარითა ცხორებასა აღმოაჩენს იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა —მოთხრობა".

იოანემ განათლება პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში მიიღო. მან თარგმნა რამდენიმე ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულება: 1) „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ" მიტროფანე სმირნელისა; 2) „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ" ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა; 3) „თარგმანებაჲ მარკოზის სახარებისაჲ" თეოფილაქტე ბულგარელისა; 4) მისივე „თარგმანებაჲ ლუკას სახარებისაჲ".

ღირსი იოანე ჭიმჭიმელის თხზულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სასულიერო მწერლობისათვის. ღირსი იოანეს ფრესკა გამოსახული ყოფილა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

XVIII ს-ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი), თავის „მიმოსლვაში" აღწერს ჯვრის მონასტრის ფრესკებს და შარავანდედითა და გვირგვინით გამოხატულ წმიდა მამათა და მოწამეთა შორის ღირს მამას — იოანე ჭიმჭიმელსაც ასახელებს.

მოსე ჯანაშვილი „საქართველოს ეკლესიის ისტორიაში" აღნიშნავს, რომ იოანე ჭიმჭიმელს გრემში სალიტერატურო სკოლა ჰქონდა, სადაც იგი ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ბერძნულ, ასურულ და არაბულ ენებს ასწავლიდა.

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 12 (25) თებერვალი

იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842) ბიზანტიის იმპერიაში ხატმბრძოლობის საშინელი ერესი მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით, იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ.

ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს. იმპერატორის გაგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ეს ხატი, ერთ-ერთმა მათგანმა „მახვილი დასცა პირსა ხატისა", ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ (ერთი გადმოცემით, მეომარი, რომელმაც ხატს მახვილი ჩასცა, სინანულით დაემხო სიწმიდის წინაშე, უარყო ერესი და შემდგომ მონაზვნად აღიკვეცა). ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ, დილით კი, ღვთის განგებით, მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ წყალში ჩაუშვა. ზღვის ტალღებზე აღმართული ხატი დასავლეთისკენ გაემართა.

ამ ქვრივ ქალს ჰყავდა ვაჟი, რომელიც განერიდა ხატმბრძოლთა რისხვას, დატოვა ნიკეა და ათონის მთაზე მონაზვნად შედგა. იქაურმა მამებმა მისგან შეიტყვეს ნიკეაში მომხდარი სასწაულის შესახებ.

გავიდა ხანი. ერთხელ, მიმწუხრისას, ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღე გაგრძელდა. წმიდა მთის მამები ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ნათლის სვეტი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ როცა მიახლოება გადაწყვიტეს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა.

ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა ერთი ქართველი ბერი, გაბრიელი (ხს. 12 ივლისს). წმიდა მთის მამებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი წმიდა ხატის ზღვიდან გამოყვანებისა. იმავდროულად დედა ღვთისა თავად გაბრიელსაც გამოეცხადა და უთხრა: „შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი სავანისადმი".

ათონის ბერებმა ქართველთა მონასტერს მიაკითხეს, მოძებნეს წმიდა გაბრიელი და გალობით და საკმევლის კმევით ზღვის ნაპირთან ჩავიდნენ. გაბრიელი ზღვაში შევიდა, ისე გაიარა ტალღებზე, როგორც ხმელეთზე და წმიდა ხატი ნაპირზე გამოაბრძანა.ეს მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

ზღვიდან გამოსვენებული ხატი ნაპირზე დააბრძანეს და სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. იმ ადგილას ცივმა და საამო წყარომ ამოხეთქა. ამის შემდეგ ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაასვენეს. მეორე დილით კანდელის დასანთებად მისულ ბერს ხატი ადგილზე არ დახვდა. იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს, ყოვლადწმიდა ქალწული ისევ გამოეცხადა გაბრიელს და უთხრა: „გამოუცხადე ძმათა, რათა ამიერიდან უმეტეს არღა განმხდიდნენ მე, რამეთუ მე მნებავს არა იგი, რათა მიცავდეთ თქვენ, არამედ რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ, არა მხოლოდ ამა ცხორებასა შინა, არამედ მომავალსაცა და ვიდრემდე იხილვებოდეს სავანესა ამას შინა ხატი, არა მოგაკლდეს თქვენ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა".

ბერები გამოუთქმელი სიხარულით აღივსნენ, იქვე ააგეს პატარა ტაძარი სადიდებლად ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა და საკვირველთმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს. პორტაიტისას, ანუ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

წმიდანი: პროხორე ქართველი (XI); ლუკა იერუსალიმელი (მუხაის ძე) (+1273); ნიკოლოზ დვალი (+1314) და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებულნი ყოველნი ქართველნი მოწამენი და ღირსნი მამანი

12 (25) თებერვალი

წმიდა პროხორე დაიბადა დაახ. 985-990 წელს. წმიდანი ბავშვობიდანვე მონასტერში აღიზარდა. ყოველხმრივ გამორჩეული ახალგაზრადა მოღვაწე მონაზვნად აღკვეცეს პროხორეს სახელით და მალე მღვდელ-მონაზვნად დაასხეს ხელი. დაახ. 1010-1015 წლიდან წმიდანი იერუსალიმში წავიდა და 1025 წლამდე მოღვაწეობდა წმიდა საბას ლავრაში. შემდეგ კი, ექვთიმე გრძელის ბრძანებით, მან „იწყო შენება მახლობლად იერუსალიმისა საკანისა, რომელსა უწოდიან ჯუარისა მონასტერი".

გადმოცემის მიხედვით, ამ ადგილას აბრაამის ძმისწულ ლოთს სამი ხე – სარო, ფიჭვი და ნაძვი დაურგავს. შემდეგ ეს ნერგები სასნაულებრივად შეერთებულან და ერთი დიდი ხე აღმოცენებულა. ტაძრის შენებისას, სოლომონის ბრძანებით, ეს ხე მოუჭრიათ, მაგრამ მშენებლობისათვის აღარ გამოუყენებიათ. წმიდა გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ ხისგან გაკეთდა ჯვარი, რომელზეც გააკრეს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ეს მიწა IV საუკუნეში უბოძებიათ მირიან მეფისთვის (ხს. 1 ოქტომბერს). V საუკუნეში ვახტანგ გორგასალს (ხს. 30 ნოემბერს) აქ აუგია ჯვრის მონასტერი, რომელიც VII-XI საუკუნეებში არაერთხელ დაუნგრევიათ.

მონასტრის აღსადგენად ამბა პროხორეს დიდძალი საფასე მისცა საქართველოს მეფემ, ბაგრატ კურაპალატმა.

ღირსმა პროხორემ ყოველმხრივ შეამკო მონასტერი. მან თავის გარშემო ოთხმოცი ბერი შემოიკრიბა, რომელთაც საბაწმიდის ლავრის მსგავსი წესი და კანონი განუჩინა.

წმიდა პროხორეს ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ შრომისა და სიბერისგან სხეული მოუუძლურდა, მონაფეთაგან ერთი, სახელად გიორგი, მონასტრის მამასახლისად დაადგინა, თვითონ კი ორი მონაფის თანხ-

ლებით უდაბნოში გავიდა და მცირედი ხნის შემდეგ, დაახლ. 1066 წელს, სული უფალს შეავედრა.

წმიდა ლუკა იერუსალიმელი პატიოსან და წარჩინებულ ქართველთა ოჯახიდან იყო. მისმა დედამ ქმრის გარდაცვალების შემდეგ შვილები დატოვა, მონაზვნად აღიკვეცა და იერუსალიმს დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. როცა წმიდა ლუკა ოცი წლისა შესრულდა, იერუსალიმს გაემგზავრა, ისიც მონაზვნად აღიკვეცა და მალე დიაკვნადაც აკურთხეს. ღირსმა მამამ მალე შეისწავლა არაბული ენა. როცა ძმებმა იხილეს „ორკერძოვე სიბრძნე" და სიწმიდე მისი, ჯვრის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. ნეტარი ლუკა კეთილად განაგებდა მონასტერს სამი წლის განმავლობაში.

კაცთა წარწყმედის მოსურნე ეშმაკი შურით აღენთო ღვთის სათნო მამის მიმართ და მის წინააღმდეგ ბოროტებით აღსავსე სპარსელი, სულთნის კარზე გავლენიანი შეხ ხიდარი აამხედრა. მან სულთან ფენდუხტისგან ჯვრის მონასტერი გამოითხოვა. მონასტრის ხელში ჩაგდების შემდეგ ბოროტი სპარსელი „ვითარცა მხეცი, მიუდგა ძმათა ჩუენთა ქართველთა და არარაჲთ შეარჩინა". ღირსი ლუკა, როგორც წინამძღვარი, წავიდა სულთანთან საშუამდგომლოდ. ქრისტიანებმა წმიდა მამა გააფრთხილეს: „შეხ ხიდარი გემუქრება, ამიტომ გაიქეცი და დაიმალეო". ლუკამ ყურადღება არ მიაქცია ამ გაფრთხილებას, პირიქით, წუთისოფლის ცხოვრებას ქრისტესთვის სიკვდილი არჩია, მივიდა შეხ ხიდართან და უთხრა: „რათა განუტევოს მამანი და მისგან ითხოვოს, რაჲცა უნებს". ბოროტებით აღვსილმა სპარსელმა ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა, სამაგიეროდ ამირობა და „ტაძრის თავადობა" აღუთქვა ნეტარს. წმიდა პროხორემ მტკიცედ აღიარა შეხის წინაშე ქრისტიანობა. უარით განაწყენებულმა და გულისწყრომით აღვსილმა შახმა ბრძანა, თავი მოეკვეთათ ქრისტეს ერთგული მსახურისათვის.

სასჯელის აღსრულების შემდეგ ლუკას წმიდა მოკვეთილი თავი აღმოსავლეთისკენ შებრუნდა, გაიცინა და მადლობა შესწირა უფალს. შეხ ხიდარის ბრძანებით, წმიდანის პატიოსანი გვამი ცეცხლში დაწვეს.

წმიდა მოწამე ნიკოლოზ დვალი მართლმორწმუნე მშობელთა შვილი იყო. ღვთისმოშიშმა დედ-მამამ იგი შობიდანვე უფალს შესწირა. თორმეტი წლის ყრმა ნიკოლოზი კლარჯეთის უდაბნოში წავიდა, იქ აღიკვეცა და დაიწყო მოღვაწეობა. შემდეგ წმიდანი იერუსალიმს წავიდა და ქართველთა ჯვრის მონასტერში დაემკვიდრა. ქრისტესთვის მოწამეობრივად აღსრულების სურვილით ანთებული წმიდა ნიკოლოზი მხნედ ქადაგებდა სარწმუნოებას მუსულმანებში და თან უშიშრად ამხელდა მათ ცდომილებებს.

უსჯულოებმა წმიდა ნიკოლოზი შეიპყრეს და მრავალფერი სატანჯველის შემდეგ ციხეში გამოკეტეს. ქრისტიანებმა შეძლეს და საპყრობილიდან გამოიხსნეს აღმსარებელი. წინამძღვრის ბრძანებით წმიდა ნიკოლოზი კვიპროსზე წავიდა, ქართველთა მონასტერში. იგი მოწამეობრივ აღსასრულს ეკვედრებოდა უფალს და წმიდა იოანე ნათლისმცემლის მიერ მიიღო გამოცხადება: დამასკოში უნდა წასულიყო.

დამასკოში ჩასულმა წმიდანმა უსჯულოთა წინაშე ისევ მხნედ აღიარა ქრისტე და ამხილა მათი უგუნურება. განრისხებულმა უღმრთოებმა შეიპყრეს წმიდა აღმსარებელი, სასტიკად გვემეს და დილეგში ჩააგდეს. ქრისტიანებმა ძლივს მოახერხეს მისი გამოხსნა ტყვეობიდან. ახლადგანთავისუფლებული წმიდა ნიკოლოზი კვლავ მივიდა უსჯულოთა შესაკრებელში, კვლავ ჰგმო მათი უგნურება, რისთვისაც სასტიკად ანამეს, ხუთასჯერ დაჰკრეს შოლტი და საპყრობილეში ჩააგდეს. წმიდა მოწამე ნათლისმცემლის სასწაულებრივი გამოცხადებით განიკურნა, ორი თვის შემდეგ კი კვლავ გაათავისუფლეს.

ქალაქის ამირამ შემთხვევით ნახა იერუსალიმში გასამგზავრებლად მომზადებული წმიდა ნიკოლოზი, შეიპყრო და ამირათ-ამირას, დენგიზს, გაუგზავნა. დენგიზმა წმიდანს მაჰმადიანობის მიღება შესთავაზა. წმიდა ნიკოლოზმა გაბედულად აღიარა ქრისტე.

ამირათ-ამირამ მისი მოკვდინება ბრძანა. სანატრელი მოწამე აღმოსავლეთით მიბრუნდა, სიხარულით მოუდრიკა მახვილს ქედი და თქვა: „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ღირს მყავ შენთკს სიკვდილსა". მახვილმა თავი წარკვეთა წმიდა ნიკოლოზს. მოჭრილმა თავმა შვიდგზის ადიდა ღმერთი და ხმა-ჰყო: „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო!" ამ სასწაულის მხილველმა სპარსელებმა წმიდანის გვამი დაწვეს. მისი წამების ადგილს სამი დღე ნათლის სვეტი ადგა.

როცა წმიდა ნიკოლოზის მოძღვარმა თავისი სულიერი შვილის მოწამეობრივი აღსასრული შეიტყო, ადიდა ღმერთი და შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის, შეირაცხა თუ არა ნიკოლოზი წმიდა მოწამეთა შორის. ერთ დღეს, წიგნის კითხვისას, მან სასწაულებრივი გამოცხადებით იხილა ნათლითა და სურნელებით სავსე მთა და ბრწყინვალედ შემკობილი გუნდი წმიდა მოწამეთა, რომელთა შორის გამორჩეულად ბრწყინავდა დიდმოწამე გიორგი. წმიდა გიორგიმ წმიდა ნიკოლოზი იხმო: „ნიკოლოზ! გამოვედ და იხილე ბერი ესე, შენი მოძღვარი, რამეთუ მრავალნი ცრემლნი დასთხინა შენთკს". ნიკოლოზმა მოიკითხა მოძღვარი: „აჰა, მიხილე მეცა და ჩემი ადგილიცა და ამიერითგან ნუღარა მწუხარე ხარ ჩემთვის", — დაამშვიდა მან იგი. წმიდა ნიკოლოზ დვალი ეწამა 1314 წლის 19 ოქტომბერს, სამშაბათს.

წმიდა ილარიონ ქართველი (ყანჩაველი), ახალი (XVIII-XIX) 14 (27) თებერვალი

წმიდა ილარიონ ქართველი (ერობაში – იესე ყანჩაველი) დაიბადა 1776 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ ლოსიათხევში. ღვთისმოსავი აზნაურების, ხახული და მარიამ ყანჩაველების, ოჯახში. ექვსი წლის იესე ბიძამ, ბერდიაკონმა სტეფანემ, თავისთან წაიყვანა მონასტერში.

მამა სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ იესე ტაბაკინის მონასტერში გადავიდა, მაგრამ როცა თბილისში სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ შეიტყო, ქართლისკენ გაეშურა. გზად ლოცვა–კურთხევისათვის ნიქოზის ეპისკოპოსთან შეიარა. ამ უკანასკნელმა კი, იესეს მადლიანი ლოცვით დამტკბარმა, ურჩია: „შვილო ჩემო, შენ სასწავლებელში ისეთს ვერაფერს გასწავლიან, რაც უდაბნოში გისწავლია. ასე რომ, დაბრუნდი შინ. უფალი ღმერთი, რომელმაც ლოცვა გასწავლა, აგრეთვე შენი ბერის ლოცვები, ისეთ მდგომარეობაში მოგიყვანენ, როცა ღვთის ეკლესიისა და შენი ერისთვის სასარგებლო იქნები." შინ დაბრუნებული ყმაწვილი მამამ მალე ქუთაისის სასახლეში მიიყვანა და მეფის კარზე მიაბარა აღსაზრდელად. მეფემ გადაწყვიტა, სისპეტაკით და ღვთისმოსაობით გამორჩეული იესე მღვდლად ეკურთხებინა, რათა მისი სახით საიმედო მოძღვარი და მრჩეველი ჰყოლოდა.

იესემ ცოლად შეირთო თავადის ასული, სახელად მარიამი. მალე წმიდანი მღვდლად აკურთხეს და მეფის კარის ეკლესიაში დაადგინეს.

1801 წელს ქართლ–კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, რუსეთის მთავრობამ იმერეთის მეფესთან დაიწყო მიმოწერა მისი სამეფოს რუსეთთან შეერთების თაობაზე.

ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის დაძაბვის ფონზე, თავი იჩინა სამეფო ტახტის სიმტკიცის შერყევითა და სხვადასხვა გარემოებებით გამოწვეულმა შურმა, ანგარებამ და ღალატმა. მეფე სოლომონის წინაშე ორი არჩევანი იდგა, ან რუსეთში „საპატიო" მდგომარეობაში ცხოვრება, რისთვისაც ძალიან დიდი თანხები იყო გამოყოფილი რუსეთის მიერ,

ან თურქეთში გაქცევა და იქიდან სამეფოს დაბრუნებაზე ზრუნვა. დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ, მეფემ გადაწყვიტა, თურქეთში გადასულიყო. პროტოპრესვიტერმა იესე ყანჩაველმა არც ამ განსაცდელში მიატოვა მეფე – მცირე ხანში მანაც არზრუმს მიაშურა და სოლომონ II–ის ყველა ჭირსა და ტკივილს იზიარებდა. სოლომონ II თურქეთში აღესრულა 1814 წელს. მისი ნეშტი ტრაპიზონის მიწას მიაბარეს.

მამა იესემ შეძლო, მეფის ამალაში მყოფი დიდებულებისთვის რუსეთის მეფისგან წყალობა გამოეთხოვა: ყველას დაუბრუნდა ადრინდელი წოდებები და მამულები. თავად იესე მშობლიურ კუთხეში აპირებდა დაყუდებულ ცხოვრებას, მაგრამ დედოფალმა მარიამმა მოსკოვში უხმო, სადაც იგი სოლომონის თურქეთში გადასვლის შემდეგ ჩაეყვანათ. მან მოსკოვში ჩაიტანა მეფე სოლომონის მიერ თურქეთში წაღებული უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი. დედოფალმა იგი სასახლის ეკლესიაში მოათავსა. იმპერატორის კარზე გამეფებულმა ფუფუნებამ და განცხრომამ ძალიან დაამძიმა მამა იესეს ღვთისმოყვარე სული. მან აბრეშუმის სამოსელი გლახაკის ძონძებით შეიცვალა და 1819 წელს ათონის წმიდა მთას მიაშურა.

ათონელ ბერებს წმიდანი მოსალოცად ჩასულ ღარიბ ქართველად გაეცნო. მან ჯერ ივერიონი მოილოცა, შემდეგ კი დიონისეს მონასტერში გადავიდა.

1821 წელს წმიდანი ბერად აღიკვეცა ილარიონის სახელით.

მამა ილარიონი სიყვარულით ასრულებდა მორჩილის საქმეებს. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ბერძნულის უცოდინარობის გამო ღვთის სიტყვის მოსმენას მოკლებული იყო, ამიტომ იღუმენისგან ითხოვა კურთხევა, ქართული წიგნების გამოსათხოვად ივერონში წასულიყო. მამა ილარიონი იცნო ბერძენმა არქიმანდრიტმა, რომელმაც იგი ჯერ კიდევ მოსკოვში გაიცნო. მალე მთელს ათონს მოეფინა ხმა იმის შესახებ, რომ მონასტერში უბრალო ბერის სამოსით მეფის მოძღვარი იმალებოდა. ამიერიდან მას ყველგან თან სდევდა საერთო პატივისცემა. ამგვარი მოპყრობით შეწუხებული მამა ილარიონი დიონისეს მონასტრის ახლოს, უდაბნოში გადასახლდა.

ამ ხანებში მთელს საბერძნეთში საშინელი სისხლისღვრა იყო გაჩაღებული: თურქები დაუნდობლად ჟლეტდნენ აჯანყებულ ბერძენ ქრისტიანებს. 1822 წელს აბდულ რობუტ–ფაშა მრავალრიცხოვანი ლაშქრით ათონის საზღვართან დაბანაკდა და ბრძანა, ყველა მონასტრის წინამძღვარი ხლებოდა. დიონისეს მონასტრის წინამძღვრის ნაცვლად ურჯულოს წინაშე მოწამეობის სურვილით ანთებული მამა ილარიონი წარდგა სხვა ორ ბერთან ერთად. როცა ფაშამ შეიტყო, რომ მამა

ილარიონი ქართველი იყო, გაიხარა, აღმოჩნდა, რომ თვითონაც ქართველი ყოფილა. ბავშვობაში თურქებს მოეტაცათ და გაემაჰმადიანებინათ. მან წმიდანს მოუწოდა, დაეტოვებინა ათონი, სანაცვლოდ კი საცხოვრებლად საკუთარ სასახლეს სთავაზობდა თესალონიკში. მამა ილარიონმა მტკიცე უარით უპასუხა და ამხილა ქრისტეს უარმყოფელი.

ათონზე დაბრუნებული მამა ილარიონი წუხდა, რომ ვერ მიემთხვია მისთვის სანატრელ მოწამეობრივ აღსასრულს. მან წინამძღვრისაგან კურთხევა გამოითხოვა და ხელახლა ეახლა ფაშას.

წმიდანი სამი დღე ზედიზედ მიდიოდა ფაშასთან, ამხელდა მის უსჯულოებას. მეოთხე დღეს მამა ილარიონმა ფაშას მუსულმანობისა და თვით მისი დამაარსებლის, მუჰამედის სიცრუეზე დაუწყო საუბარი. ფაშამ სიცილით იკითხა: „როგორ ფიქრობ, სად წავალთ ჩვენ?" მამა ილარიონმა ირგვლივ შემოკრებილი სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე უამრავი ადამიანის წინაშე გაბედულად განაცხადა, მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის წიაღში შობილი ჭეშმარიტი მორწმუნენი გადარჩებიანო. ყველა ირგვლივ მყოფმა ერთად შესძახა: „სიკვდილი მაგას!" და აბდულრობუტ–ფაშაც იძულებული გახდა, მისი სიკვდილით დასჯის ბრძანება გაეცა. მამა ილარიონი სიხარულით გაჰყვა აღტკინებულ ბრბოს დასჯის ადგილისკენ, მაგრამ წარმოშობით ქართველმა, ორმა ჯარისკაცმა ფაშასგან კვლავ მისი გათავისუფლების ნებართვა გამოითხოვა: თავი მოგვეჭრება, რას იტყვიან ჩვენზე, ერთი თანამემამულე შეგვხვდა და ისიც რომ მოვკლათო.

წმიდანს ათონზე დაბრუნება უბრძანეს, მაგრამ მან მოყვასის სიყვარულის გამო ტუსაღთა მსახურების ღვაწლი იტვირთა: ექვსი თვის მანძილზე თავგანწირვით ემსახურებოდა თესალონიკის ციხეში გამომწყვდეულ პატიმრებს. მამა ილარიონმა ბევრი პყრობილი გადაარჩინა აშკარა სიკვდილს, ბოლოს კი, ღვთის ჩაგონებით, დატოვა თესალონიკი და ათონის გზას დაადგა.

წმიდა მთაზე დაბრუნებული მამა ილარიონი სამი წელი ცხოვრობდა გამოქვაბულებში. აქ მისი ცხოვრების წესი ასეთი იყო: პარასკეობით არაფერს ჭამდა, სხვა დღეებში ნვრილყელიან ხაპში ჩაყრილი დანამცეცებული ორცხობილიდან იმდენს იღებდა, რამდენიც ერთ პეშვს ამოყვებოდა და ამას სჯერდებოდა. წყალსაც ცოტას სვამდა – ერთ ჭიქას დღეში. ხშირად დემონები საზარელი სახით ეცხადებოდნენ წმიდანს.

მლოცველები ხშირად არღვევდნენ მამა ილარიონის მყუდროებას. ერთ დღეს ბერმა დატოვა გამოქვაბული და ტყეში მიიმალა. ძლიერმა ასკეტურმა მოღვაწეობამ ფიზიკურად ისე დაასუსტა წმიდანი, რომ იძულებული გახდა, დაყუდების ღვაწლზე ხელი აეღო. მეგობრის, ქართვე-

ლი ბერის, ბენედიქტეს, ზედამხედველობით წმიდანი თანდათან მომ-ჯობინდა. ამის შემდეგ იგი მოღვაწეობდა ივერონში, დიონისეს მონას-ტერში რუსიკში...

ივერონში მან წიგნთსაცავს მიხედა. შეადგინა კატალოგი, შემდეგ წიგნებიდან და ხელნაწერებიდან ამონაწერები გააკეთა, რაც თორმეტ ტომად მოამზადა სათაურით „ყვავილნარი". წიგნებში, ძირითადად, წმი-დანთა ცხოვრება იყო აღწერილი, ეს კრებული გადაეცა ზოგრაფის ილუ-მენს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა. მან გამოსცა თორმეტივე ტომი ქართულ ენაზე, შემდგენლის მიუთითებლად.

სიცოცხლის მიწურულს წმიდა ილარიონი მძიმედ დასნეულდა, რისთვისაც ღმერთს მადლობდა. „დიდება უფალს! მსურდა მოწამეობა, მაგრამ ღმერთმა არ მაღირსა, ახლა კი ავადმყოფობა მომივლინა. ეს მოწამეობის ტოლია, თუ მოთმინებით და ღვთის ნების ერთგულებით გადაიტან".

სიკვდილის წინ მამა ილარიონს თავისი მოწაფისთვის, მამა საბას-თვის, უთხოვია, მისი ნეშტი მალულად დაეკრძალა. გარდაიცვალა 1864 წლის 12 თებერვალს.

მამა საბა იძულებული გახდა, მამა ილარიონის საფლავის ადგილ-სამყოფელი გაეცხადებინა. 1867 წელს, ამაღლების წინა ღამისთევის ლოცვისას, ბერებმა ამოასვენეს მამა ილარიონის წმიდა ნაწილები, რომ-ლებიც საოცარ კეთილსურნელებას გამოსცემდა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მღვდელ-სქემმონაზონი ილარიონი (ყან-ჩაველი) წმიდანთა დასში აღირიცხა და ეწოდა ილარიონ ქართველი, ახ-ალი.

მღვდელმონამე თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX)
17 (1.03) თებერვალი

წმიდა თეოდორე აჭარელი ეკუთვნის საქართველოს უძველესი კუთხის, აჭარის, მკვიდრთა იმ მრავალათასიან წმიდა მონამეთა დასს, რომელნიც ქრისტიანობისთვის ეწამნენ ოსმალთაგან.

წმიდა თეოდორე დაიბადა XVIII სს 70-80-იან წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც ოსმალებმა უკვე თითქმის დაასრულეს საქართველოს ამ კუთხის ძალად გამუსულმანების პროცესი, თითქმის მთლიანად ამოხოცეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც უარი თქვეს მაჰმადიანობის მიღებაზე და დაიწყეს იმ ოჯახების გადასახლება, რომლებიც, მიუხედავად მუსულმანური სარწმუნოების გარეგნული აღიარებისა, მაინც საეჭვოდ ითვლებოდნენ დამპყრობლების თვალში. ზოგმა თვითონ დატოვა მშობლიური კუთხე და სულის გადარჩენის მიზნით უცხოობაში არჩია ცხოვრება. ერთ-ერთ ასეთ ოჯახში დაიბადა წმიდა თეოდორეც, ის თვალნათლივ ხედავდა ძალად გამუსულმანებული ქართველი მოსახლეობის მუსულმანური ტრადიციებისადმი იძულებით მორჩილებასა და მათ ფარულ ქრისტიანულ ცხოვრებას.

წმიდანის ცხოვრებიდან არ ჩანს, თუ რა მიზეზით აღმოჩნდა მათი ოჯახი ტრაპეზუნტში, ან მათმა რამდენმა თაობამ იცხოვრა სამშობლოს გარეთ; ცნობილია, რომ წმიდა თეოდორემ უარი თქვა მუსულმანობაზე. მან მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება და, რადგანაც ეს ძალიან საშიში იყო, წმიდა თეოდორემ თავი შეაფარა ქალაქ სმირნაში (იზმირი) არსებულ ერთ-ერთ ქართულ მონასტერს, იქვე აღიკვეცა მონაზვნად და თავისი ძმის შვილიც მოაქცია ქრისტიანობაზე. წმიდა თეოდორე მალე ამ მონასტრის პროიღუმენიც გამხდარა.

1822 წელს წმიდა თეოდორემ ათონზე ქართველთა მონასტერში წასვლა გადაწყვიტა. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ოსმალეთი ცდილობდა, სისხლში ჩაეხშო ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლები. ოსმალთა ჯარებით იყო გარშემორტყმული ათონის წმიდა მთაც. სწორედ მათ შეუპყრიათ ათონს მიმავალი ბერი და მრავალგვარი ტანჯვისა და ნამების შემდეგ მოუკლავთ, მონამის გვამი კი უსჯულოებს ზღვაში გადაუგდიათ.

წმიდა ნიკოლოზი, კათოლიკოს-პატრიარქი (+1591)
18 (2.03) თებერვალი



წმიდა ნიკოლოზი, კათოლიკოს-პატრიარქი დაიბადა დაახ. 1510-15 წლებში, იგი კახეთის მეფის, ლეონ I-ის ძე იყო. სიყრმიდანვე მონაზვნური ცხოვრებისკენ მიდრეკილი ნიკოლოზი მონასტერში წავიდა სამოღვაწეოდ. სამეფო გვარისთვის დამახასიათებელი სიმტკიცე და სიბრძნე, მონაზვნური მორჩილება და ღმერთზე მინდობის უდიდესი სათნოება საოცრად იყო შერწყმული წმიდა ნიკოლოზში. ღვთის განგებით, იგი კათოლიკოსად იქნა დადგენილი. „ქორონიკონსა სობ (1584 წელს) მიიცვალა ბარათაშვილი, კათალიკოზი ნიკოლოზ და ბრძანებითა ღმრთისაჲთა კათალიკოზ იქმნა ძე კახთა მეფისა ლეონისა, თუესა თებერვალსა კ(28), დღესა შაბათსა", - ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში".

წმიდა ნიკოლოზს მიწერ-მოწერა ჰქონდა რუსეთის პატრიარქ იობთან, წმიდა კათოლიკოსმა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარს შესწირა 1049 წელს დაწერილი, მშვენიერი ყდით შემკული, ტყავზე ხელნაწერი სახარება.

მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი) „მიმოსლვაში" მოგვითხრობს ათონის ივერთა მონასტერზე და აღნიშნავს, რომ სატრაპეზოში არის წმიდა ნიკოლოზ კათოლიკოსის ხატი. იგივე ავტორი აღწერს აშოთან მუხრანბატონის მიერ აშენებულ სატრაპეზოს და უმატებს: „იქ მიცვალებულა კათალიკოზი ნიკოლოზ, მგონი ეს ბატონიშვილი იყოს".

წმიდა მოწამენი: ცხრანი ყმანი კოლაელნი (VI)
22 (6.03) თებერვალი

წმიდა მოწამე ცხრა კოლაელი ყრმა VI საუკუნეში აღესრულა მოწამეობრივად. ისინი მდინარე მტკვრის სათავეში საკუთარ მშობელთა მიერ იქნენ ჩაქოლილნი ქრისტეს აღსარებისათვის.

სოფელი კოლა მდინარე მტკვრის სათავეში მდებარეობდა. აქ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქრისტიანები და წარმართები. უმეტესობა კერპთაყვანისმცემელი იყო.

ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვები მთელი დღეების განმავლობაში ერთად თამაშობდნენ. საღამოობით, როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის ზარებს დარეკავდნენ, ქრისტიანი ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და ტაძარში მიდიოდნენ სალოცავად. ქრისტიან ბავშვებთან ერთად წარმართი ყრმები ეკლესიამდე მიჰყვებოდნენ თავიანთ თანატოლებს, მაგრამ ტაძარში ვერ შედიოდნენ: „თქუენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერარს შემოსლვაᲐ თქუენი სახლსა ღმრთისასა“, — ეუბნებოდნენ მათ.

ყრმები თანდათან უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ ქრისტიანული მოძღვრებით; ბოლოს გადაწყვიტეს ქრისტიანებს შეერთებოდნენ. „უკუეთუ გნებავს შემოსლვად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ნათელ-იღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტეანეთა“, — აუხსნეს ყრმებს მეგობრებმა.

ყრმებმა სიხარულით აღუთქვეს ქრისტიანებს, რომ მოინათლებოდნენ. კოლაელი ქრისტიანები სოფლის მღვდელთან მივიდნენ და აუწყეს ყრმათა სურვილი. იგი არ შეუშინდა წარმართთაგან მოსალოდნელ რისხვას და ზამთრის სუსხიან ღამეს ბავშვები მდინარეზე წაიყვანა მოსანათლად. ხუცესმა გაყინულ მდინარეში ჩაიყვანა ბავშვები და ნათელსცა მათ. ნათლობის დროს მოხდა სასწაული: წყალი გათბა და ყრმებმა ნათლის ანგელოზები იხილეს. ანგელოზთაგან განმტკიცებულმა ბავშვებმა აღარ ისურვეს წარმართ მშობლებთან დაბრუნება და ქრისტიანებთან დარჩნენ. მშობლებმა მალე გაიგეს შვილების ნათლისღების ამბავი, ძალით გამოიყვანეს ისინი ეკლესიიდან და ცემა-ტყეპითა და ლანძღვა-

გინებით მიიყვანეს სახლებში.

ბავშვებმა საოცარი მოთმინებით აიტანეს ყოველგვარი შეურაცხყოფა და ტანჯვა-წამება, შვიდი დღე-ღამე მშიერ-მწყურვალნი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ჩუენ ქრისტიანენი ვართ და არა ჯერარს, ვითარმცა ვჭამეთ და ვსუთ ნაგები კერპთა". ვერც მოფერებამ, ვერც სხვა სიკეთეთა აღთქმამ ვერ მოხიბლა ქრისტეშემოსილი ყრმები. „ჩუენ ქრისტიანენი ვართ და არარაჲ გკჴმს თქუენგან, არამედ განგკტევენით და წარვიდეთ ქრისტეანეთა თანა", — ითხოვდნენ ისინი.

შვილების სიჯიუტით განრისხებული მშობლები მთავართან მივიდნენ და ყოველივე აუწყეს. მთავარმა მათ უთხრა: „შვილნი თქუენნი არიან, ჴელმწიფებაჲ გაქუს, უყავთ, რაჲცა გნებავს". წარმართებმა მთავრისგან ბავშვების ქვით ჩაქოლვის ნებართვა ითხოვეს, მდინარის სათავესთან, იქ, სადაც ყრმებმა ნათელიღეს, დიდი ორმო ამოთხარეს და ბავშვები შიგ ჩაყარეს. „ჩუენ ქრისტეანენი ვართ და მისთჳსცა მოვსწყდებით და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელ-ვიღეთ",— ეს იყო ყრმათა უკანასკნელი სიტყვები. უსჯულო მშობლებმა პირველებმა აიღეს ქვები, შემდეგ თავმოყრილმა ბრბომაც მიჰბაძა მათ და მალე ორმო ქვებით ამოავსეს. წარმართებმა სიკვდილის პირას მიიყვანეს სოფლის ხუცესიც, გაძარცვეს და ნაძარცვი თვითონ დაინაწილეს.

ეს ამბავი მოხდა სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ტაოში.

3 (16) —წმიდა იოანე IV (ოქროპირი) კათოლიკოსი (+1001)

10 (23) —ღირსი იოანე ხახულელი (X-XI)

12 (25) —საქართველოს სამოციქულო ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917)
—წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289)

16 (29) —წმიდა ამბროსი აღმსარებელი — სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (+1927)
—ღირსი პიმენ სალოსი და ანტონი მესხი (XIII)

17 (30) — მღვდელმოწამე გაბრიელ მცირე (+1802)

28 (10.04) — წმიდა იოანე მანგლელი (+1751)

წმიდა იოანე IV (ოქროპირი), კათოლიკოსი (+1001)
3 (16) მარტი



წმიდა იოანე - ოქროპირ კათოლიკოსი დაიბადა დაახ. X-სს. 20-იან წლებში. წმიდანი დაახლოებით 980– 1001 წლებში განაგებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას.

კათოლიკოს ბასილი III-ის (1065– 1080) თხზულებაში, „თხრობაᲘ სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოსა", მოთხრობილია, რომ წმიდა იოანეს მშობლებს დიდხანს არ ჰყავდა შვილი და წმიდა შიო მღვიმელს (ხს. 9 მაისს) ევედრებოდნენ მეოხებას. შვილის შეძენის შემდეგ ღვთისმოშიშმა მშობლებმა შვილი აღსაზრდელად შიო მღვიმის მონასტერში მიაბარეს, სწორედ მონასტერში შეიძინა წმიდა იოანემ ის სიწმიდე და სიბრძნე, რის გამოც ერმა მას ოქროპირ კათოლიკოსი უწოდა და ასე შევიდა იგი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში. წმიდა იოანე-ოქროპირ კათოლიკოსის შესახებ ვკითხულობთ, რომ იგი „ყოვლითურთ იქნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკეთუ ვინმეს უნდენ ცნობად მიიღედ ხელად მისთვის აღწერილი წიგნი" (რომლიც, სამწუხაროდ, დაკარგულია და აღარ მოგვეპოვება).

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილია მეორე იოანე-ოქროპირ კათალიკოსი, რომელსაც 1033–1049 წლებში ეპყრა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტახტი. იგი იყო აღზრდილი და მემკვიდრე წმიდა მელქისედექ კათალიკოს-პატრიარქისა (ხს.1 ოქტომბერს), რომლის ცხოვრებაც ისევე წმიდა იყო, როგორც მისი წინამორბედი და შემდგომი კათოლიკოს-პატრიარქებისა, ამიტომაც წმიდა იოანე IV-ს და იოანე V–ს ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან.

ღირსი იოანე ხახულელი (X-XI)
10 (23) მარტი

ღირსი იოანე ხახულელი (X-XI) საქართველოს მეფე ბაგრატ III-ის თანამედროვე სასულიერო მოღვაწე, მთარგმნელი და კალიგრაფი იყო. მას, როგორც მჭევრმეტყველ მქადაგებელს, „ოქროპირი" უწოდეს.

სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ღირს იოანეს ხელი დაასხეს ჯერ ბოლნისის, შემდეგ კი — ხახულის ეპისკოპოსად.

დაახლოებით 1019 წელს ღირსმა იოანემ ხახულის კათედრას თავი დაანება და არსენ ნინოწმინდელთან ერთად ათონის მთას მიაშურა სამოღვაწეოდ.

ჯერ კიდევ საქართველოში შესრულებული ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: „ლოცვა ყავთ ნეტარისა ბერისა იოანე გრძელის ძისა და სულიერი შვილისა მისისა იოანე ოქროპირისთვის, რომელნი ფრიად დაშურეს შრომასა და წერასა ამის წმიდისა წიგნისა".

ათონის მთაზე ღირსი იოანე ერთგულად ამოუდგა მხარში წმიდა ექვთიმე ათონელს (ხს. 13 მაისს) და გულითად მეგობრობას უწევდა მას.

„გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან" ჩანს, რომ ღირსი იოანე ხახულელი ათონზე აღსრულებულა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917) 12 (25) მარტი

გადმოცემის მიხედვით, სულთმოფენობის შემდგომ, როცა მოციქულებმა წილი ჰყარეს და სხვადასხვა ქვეყანაში წავიდნენ საქადაგებლად, საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ერგო, მაგრამ, მაცხოვრის გამოცხადებით, ივერიაში წამოსასვლელად წმიდა ანდრია პირველწოდებული აკურთხა და თან თავისი ხატი გამოატანა.

წმიდა მოციქულებმა ანდრიამ და სვიმონ კანანელმა ქრისტეს სჯული იქადაგეს დიდაჭარაში, სამხრეთ საქართველოში, შემდგომ შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. წმიდა სვიმონ კანანელი აფხაზეთში დარჩა და იქვე აღესრულა მონამეობრივად (დაკრძალულია ანაკოფიაში). სხვადასხვა დროს საქართველოში ყოფილან მოციქულები: მატათა და ბართლომე. მატათას საფლავი არის აჭარაში, გონიოს ციხესიმაგრეში.

IV საუკუნის დასაწყისში, სანამ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა, დასავლეთში, კერძოდ, ბიჭვინთაში, საეკლესიო იერარქია უკვე არსებობდა: პირველ მსოფლიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი.

წმიდათა მოციქულთასწორთა მირიან და ნანას მეფობის ჟამს საქართველოში ღვთის სიტყვის საქადაგებლად ჩამოვიდა წმიდა ნინო, რომლის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. შემდეგ, მირიან მეფის თხოვნით, წმიდა კონსტანტინე დიდმა გამოგზავნა იოანე ეპისკოპოსი (325 წელს ნიკეის I საეკლესიო კრებამ იგი ანტიოქიის პატრიარქად აირჩია) ორი მღვდლითა და სამი დიაკვნით. იოანეს ანტიოქიის პატრიარქად არჩევამ განაპირობა ის ფაქტი, რომ კრებამ საქართველოს ეკლესიაც ანტიოქიის საპატრიარქოს მიათვალა.

წმიდა მეფის, ვახტანგ გორგასლის, თაოსნობით 472 წელს ქართლის კათოლიკოსად დადგინდა წმიდა პეტრე და მთავარეპისკოპოსად — წმიდა სამოელი. მანვე დაადგინა თორმეტი საეპისკოპოსო. „აქათგან იწყეს კათოლიკოსთა მთავრობად", — წერს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორი. წმიდა ვახტანგ გორგასლის დროიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო იერარქია, რომელიც უფლებამოსილი იყო, თავისი შინაგანი საქმეები, ეპისკოპოსთა ხელდასმა-გადაყენება, თვითვე განეგო.

იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმისა და ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს ანტიოქიაში ქართლიდან ჩავიდნენ ქართველი ღვთისმსახურები და პატრიარქს იბერიის ეკლესიის გასაჭირი მოახსენეს: სარკინოზთა შიშით ქართლსა და ანტიოქიას შორის მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, ამიტომ ანტიოქიის პატრიარქის, ანასტასის, დროიდან ქართლის კათოლიკოსის კურთხევა აღარ ხდებოდა. ანტიოქიის ეკლესიის ადგილობრივმა კრებამ გადაწყვიტა, ქართლის ეკლესიისთვის მიეცა კათოლიკოსთა ხელდასხმის უფლება, სამაგიეროდ, ქართლის ეკლესიას ანტიოქიიდან უნდა მიეღო მირონი და მასში ათასი დრაჰკანი გადაეხადა. ამასთან, ქართლის ეკლესიის წირვა-ლოცვაში პირველ ადგილზე უნდა მოეხსენებინათ ანტიოქიის პატრიარქი.

ცოტა მოგვიანებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ღირსი ეფრემ მაწყვერელის ღვაწლით მიიღო მირონის კურთხევის უფლება. „ეფრემ, ქრისტეს მიერითა ბრძანებითა, მიჰრონისა კურთხევა ქართლს განაწესა", — წერს გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" (მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის გამოკვლევებითა და ვარაუდით, ქართული ეკლესია IV საუკუნეში ხარშავდა და აკურთხებდა მირონს მცხეთაში, ანტიოქიიდან კი მხოლოდ „წმიდა მირონის არომატი" ნივთიერებები მოჰქონდათ).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასა და მოციქულებრივ ღირსებას სხვადასხვა დროს იცავდნენ ღვთივგაბრძნობილი ქართველი მამები. XI საუკუნეში ანტიოქიის ეკლესიამ მწვავედ დააყენა მრავალჭირნახული იბერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი. ათონის მთაზე მომხდარი დაპირისპირების შემდეგ სვიმონწმიდელმა მამებმა ანტიოქიის პატრიარქთან, თევდოსისთან, დაასმინეს ივერთა მონასტერში მოღვაწე ქართველი მამები: „არა უწყით, რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი". წმიდა გიორგი მთაწმიდელმა არა მარტო დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის სამოციქულო პატივი, არამედ აჩვენა მისი უპირატესობა ანტიოქიის ეკლესიასთან შედარებით: „ერთი ღმერთი გკცნობიეს, არღარა უარგკყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი... შუენის

ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“ (ანტიოქიის ეკლესია წმიდა პეტრე მოციქულის დაარსებულია).

საქართველოს ეკლესია მაჰმადიანურ სამყაროსთან ჭიდილში საუკუნეების მანძილზე მოძღვრავდა, ზრდიდა და სულიერად კვებავდა ქართველობას.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მე-8 მუხლში ბუნდოვნად არის ახსნილი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა: „ხოლო მართებისათვის საქართველოსა ეკლესიათასა და მინ-ერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთვის უკუე დაინერების სხვაჲ არტიკული“.

1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა სახელმწიფოებრიობამ არსებობა შეწყვიტა და ორი გუბერნიის სახით შეუერთდა რუსეთის იმპერიას.

1811 წელს რუსეთის მთავრობამ და სინოდმა უკანონოდ (მხოლოდ იმ მიზნით, რომ საქართველოს ეკლესიაც უნდა გაერთიანებულიყო რუსეთის ეკლესიის სინოდში და მართვა-გამგეობის ამ ფორმით შეუთავსებელი იყო, ჰყოლოდა კათოლიკოს-პატრიარქი) გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გადაასახლეს. რაღაც ათიოდე წლის მანძილზე საქართველომ მეფეც დაკარგა და მამამთავარიც. პოლიტიკურ თავისუფლებადაკარგულმა საქართველომ ეკლესიური დამოუკიდებლობაც დაკარგა.

საქართველოს ეკლესიას რუსეთის სინოდი ხელმძღვანელობდა ეგზარქოსის მეშვეობით. 1811-1817 წლებში ამ მოვალეობას ასრულებდა ვარლამ ერისთავი. მის შემდეგ ყველა ეგზარქოსი რუსი იყო. ქართული ენისა და ტრადიციების, ქართველ წმიდანთა და დღესასწაულთა არცოდნამ გადაულახავი ბარიერი წარმოქმნა ქართველ მართლმადიდებელთა და ეკლესიის მესვეურთა შორის, ამას ემატებოდა ცალკეულ უღირს ეგზარქოსთა საქციელიც, ისინი ძარცვავდნენ მტერთა შემოსევებს გადარჩენილ ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის უიშვიათეს ნიმუშებს და რუსეთში გაჰქონდათ. მოიშალა საეკლესიო კათედრები. ოცდაოთხი ეპარქია, რომლის მღვდელმთავრებიც სამწყსოსთან ერთად იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებასა და სიმძიმეს, საეგზარქოსომ ხუთ ეპარქიამდე შეამცირა. ქართული წირვა-ლოცვა, მრავალხმიანი ქართული საგალობლები შეიცვალა რუსულით. სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ის, რასაც საუკუნეებ-

ის მანძილზე რუდუნებით აშენებდა და აგროვებდა.

საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლის წინ „სანიტარული წესრიგის“ საბაბით თეთრად გადაღებეს სვეტიცხოვლის, ალავერდის, ერთაწმიდის უნიკალური ფრესკები. გაიძარცვა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, გაიტაცეს ოქროსა და ვერცხლის ხატები, საეკლესიო ნივთები. ეგზარქოსმა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის, მკვლელობის გამო სიონის ტაძრის ამბიონიდან დაწყევლა ქართველი ერი. დიმიტრი ყიფიანმა საჯაროდ ამხილა ეგზარქოსი და უთხრა, რომ უფლება არ ჰქონდა, დარჩენილიყო იმ ერის სულიერ მამად, რომელიც ანათემაზე გადასცა. ამ მხილების გამო მხცოვანი მამულიშვილი სტავროპოლში გადაასახლეს და განთავისუფლების წინა დღეს მოკლეს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა ქართველ სამღვდელოებასთან ერთად დაიწყეს ზრუნვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ეახლა და ოფიციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. მეფის მთავრობამ დანიშნა სხდომა, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ ეპისკოპოსები: წმიდა კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), პროფესორები: ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, ნიკო მარი. ქართველებმა დაასაბუთეს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო ეკლესიის კრებების კანონებს. სხდომაზე მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ ნიკო მარმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.

1917 წლის 12 (25) მარტს ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო კრებაზე აღდგენილად გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

იმავე წლის სექტემბერში საქართველოს ეკლესიამ ას ექვს წლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ კვლავ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი. ეს პატივი და ჯვარი წილად ხვდა ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, წმიდა კირიონს (საძაგლიშვილი), რომელიც შემდგომ ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში.

ღვთის განგებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური, რომლის უქონლობის გამოც ჩვენს წმიდა წინაპრებს ხშირად უხდებოდათ ბრძოლა საქართველოს მრავალტანჯული ეკლესიის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად.

ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრი-

არქის, ილია II-ის დაუღალავი მოღვაწეობით მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა. ამავე წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა, ყოვლადუწმიდესმა დიმიტრიოსმა, საზეიმო ვითარებაში გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების და საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების სიგელები.

ეს იყო უდიდესი გამარჯვება და სიხარული. ამ ამბავს გამოეხმაურა სრულიად საქართველო. როგორც უწმიდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღნიშნა, ეს იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საზეიმო და საბოლოო აღიარება.

წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289)
12 (25) მარტი

წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის (ხს. 1 მაისს) შვილთაშვილი იყო. სიყრმიდანვე განსაცდელებით წვრთნიდა უფალი მომავალ მეფესა და მონამეს. ჩვილი იყო, როცა მონღოლებმა დედა – გვანცა დედოფალი მოუკლეს. გადმოცემით, სიკვდილის წინ დედოფალს პატარა დემეტრე ნოინის ცოლისთვის ჩაუბარებია. წარმართ დედაკაცს უშვილებია უფლისწული და ასეთი მორჩილებისთვის ღვთისგან სასწაულებრივი კურნება მიუღია – უშვილო ქალს მალე ვაჟი შესძენია.

ათი წლისას მოუკვდა მამა – დავით-ულუ. თორმეტი წლის ყრმა დემეტრე ქართველმა დიდებულებმა მონღოლთა ყაენ აბაღას მიჰგვარეს ურდოში. ყაენს მოეწონა ქართველი უფლისწული, „რამეთუ იყო ქმნულ-კეთილ, და შუენიერი ხილვად", მეფობის დასტური უბოძა დემეტრეს, სამაგიეროდ, თავისი უფლებების განსამტკიცებლად „წარმოატანა თანა სადუნი, რომელსაც უბოძა მეფემან დემეტრე ათაბაგობა". სადუნ მანკაბერდელი ყაენის კარზე დაახლოებული, მისი ნების აღმასრულებელი, თბილისში გაზრდილი გასომხებული ქურთი იყო.

თბილისში ჩამობრძანებული მეფე დაჯდა დავითიან-თამარიან ტახტზე. „აღასრულეს წესი კურთხევისა კათალიკოზმან და ეპისკოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსათა ჰერეთით, კახეთით, სომხითით, ქართლით და ჯავახეთით და ტაოთ, რომელნი შეკრებულ იყუნეს".

მეფე გონივრულად და გულმოწყალებით განაგებდა ქვეყანას. „აქუნდა ჩუეულება, აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, და თკსითა ჴელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა და ამისთკს გლახაკნი ღამით ფოლორცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხკვნენ მეფესა".

თხუთმეტი წლის მეფეს, პოლიტიკური მოსაზრებით, ცოლად შერთეს ტრაპიზონის კეისრის ასული.

წმიდა დემეტრე მეფემ ააშენა და განაახლა ეკლესია-მონასტრები, გაამაგრა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-

სიმაგრე. „ააგო პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღვთისმშობელისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელნი და ზვარნი და განუჩინნა მონაზონთა საზრდელი და განაგო კეთილითა"... მეტი არ დასცალდა დემეტრე მეფეს – ყაენმა ეგვიპტეზე სალაშქროდ იხმო. დემეტრე მეფე მონაწილეობდა 1278 წელს გილანის დალაშქვრაში, 1280 წელს ეგვიპტის ახალი სულთნის, მელიქ მანსურის, წინააღმდეგ და 1281 წელს ქალაქ ამასიასთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში.

ამდენი ლაშქრობებისაგან ქვეყანა გაღატაკდა. დემეტრეც იძლია ბოროტისაგან, წარმართებს აღერია, მოკვდავთ მიენდო. ქვეყნის ინტერესებმა კვლავ მსხვერპლი მოითხოვა მეფისაგან, ამჯერად მონღოლთა ნოინის ასული სოლღარი შეირთო ცოლად.

სხვის ომში სისხლისაგან დაცლილი საქართველო ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა: დაიწყო შინაბრძოლები. ქართველები ისე დაეცნენ, რომ ეკლესიებსაც კი სტაცებდნენ მიწებს და სოფლებს. ამაოდ ამხელდა სამწყსოს ქართლის კათოლიკოსი ნიკოლოზი, – არავინ უგდებდა ყურს მის სიტყვებს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამპარტავნებაში, ანგარებაში, უნესობაში.

დემეტრეც ახალი საცდურის წინაშე აღმოჩნდა: გულისთქმას ველარ გაუძლო ახალგაზრდა მეფემ – სიყვარული დაეუფლა მის გულს, გადაწყვიტა, ერთხელ მაინც ყოფილიყო ბედნიერი პირად ცხოვრებაში და მოიტაცა ბექა ჯაყელის ასული ნათელა. მისგან დემეტრე მეფეს შეეძინა „უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ჭელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა" — გიორგი V, ერისგან ბრწყინვალედ წოდებული.

ერის დაცემით შეძრწუნებულმა კათოლიკოსმა ნიკოლოზმა ვერ შეძლო აზვირთებული უზნეობის შეჩერება და მოთოკვა. მრავალჯერ ამხილა და დამოძღვრა მან მეფე და რაკი ვერ არწმუნა, დაუტევა კათოლიკოსობა და „წარვიდა მამულად თკსად".

მეფის სამხილებლად ათონის მთიდან ჩამოვიდა ღირსი ბასილი მონაზონი (ხს. 18 აპრილს), ამხილა იგი უწესო ქორწინებისათვის. მეფეს ამხელდა აგრეთვე ლეკთა განმანათლებელი ღირსი პიმენ სალოსი და მისი თანამოსაგრე ანტონი (ხს. 16 მარტს).

უფალმა სასჯელი მოუვლინა „საზეპურო ერს". ვნების ოთხშაბათსა და ხუთშაბათს მინა იძრა „სამხილებელად უსჯულოებათა ჩუენთათჳს". აღდგომის სიხარულად განმზადებულ ერს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. პარასკევს კვლავ იძრა მიწა, შაბათს კი საფუძვლითურთ შეარყია და შეაძრწუნა ქვეყანა: ეკლესია-მონასტრები, მთა და ბორცვი

დაინგრა, მიწა გაიპო და იქიდან შავმა კუპრისმაგვარმა წყალმა ამოხეთქა, ხეები ამოიძირკვა. აწყურის ეკლესია ჩამოინგრა, გუმბათი ჩამოვარდა და ქუდივით დაემხო ტაძრის შუაში დასვენებულ ხატს. დაინგრა მცხეთა, მთელი სამცხე. ურიცხვი ადამიანი დაიღუპა.

აბაღა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყაენის ტახტისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს აბაღას ძმა, აჰმადი და შვილი, არღუნი. დემეტრე მეფე იძულებული იყო, მონაწილეობა მიეღო შეთქმულებებში. არღუნის წინააღმდეგ მოწყობილი ერთ-ერთი შეთქმულების მეთაურობა დაბრალდა არღუნის პირველ ვეზირს, ბუღას, რომელიც მზახლად ეკუთვნოდა დემეტრეს. ყაენმა შეიპყრო და თავი მოჰკვეთა ბუღას, იგივე დღე ეწია მის ნათესავ-მომხრეებსაც.

ყაენის კარზე დაიბარეს მეფე დემეტრე. მეფე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ყაენისგან ხმობა, მოიწვია კათოლიკოსი, ეპისკოპოსნი, მონასტრებისა და გარეჯის უდაბნოს მამები, შეკრიბა დარბაზის ერი და განუცხადა: „ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმანია ასაკად სისრულისა და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა და თანადგომითა თქუენითა წარვმართე მეფობა და აქამომდე მშჯდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი... და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთჳს, თუ არა წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი! და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოჴრდებიან, კაცნი და ჯუარნი დაიმუსრვიან... რა სარგებელ არს ცხორება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე თჳთ მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს".

დარბაზი გაკვირვებული მისჩერებოდა „შესახედავად ტურფა, თმითა და წუერითა მწყაზარ და შუენიერ" მეფეს, რომელიც ერის გადასარჩენად აშკარა სიკვდილზე მიდიოდა. ყველამ ერთხმად სთხოვა მეფეს, შეეფარებინა თავი მთიულეთისთვის, მაგრამ მეფემ მშვიდად ბრძანა: „მეწყალვის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი უღონო არიან და არა-სადა აქუნ ნუგეშინისცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოს წასვლას".

„არა არს საქმე, მეფეო, განწირვა სულისა შენისა, რამეთუ მრავალთა მეფეთა მიურიდნია, და დაუცავს თავი თჳსი. აწ თუ შენ დასდებ სულ-

სა შენსა ერისათჳს, ჩუენ ყოველნი, ეპისკოპოსნი, ვიტჳრთავთ ცოდვათა შენთა, არამედ წინაშე ღმრთისა ვწამებთ, რათა მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე, ვითარცა უფალი სახარებასა შინა ბრძანებს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თჳსი მოყუსისათჳს". და უკეთუ ერთისა მოყუსისათჳის სულის დადება კეთილ არს, რავდენ ურიცხუთა სულთა ცხოვნება ეგოდენ სარგებელ არს", — ბრძანა აბრაჰამ კათოლიკოსმა.

მეფე განემზადა ურდოში წასასვლელად, თან იახლა აბრაჰამ კათოლიკოსი, მოსე მღვდელი, ძე თვისი დავითი და რჩეული ერისთავები. ყაენის გამოგზავნილი სიუქოლ ნოინი შემოხვდა დემეტრეს, ყველაფერი ჩამოართვა, ხელები გაუკრა და ყაენს მიჰგვარა, ვითარცა ერთი უპატიოთაგანი.

ვერანაირი დანაშაული ვერ აღმოუჩინეს ქართველთა ახალგაზრდა მეფეს. დაფიქრდა ყაენი. იცოდა, „უკეთუ ბოროტი უყოს მეფესა, არღარავინ არს ღირსი მეფობისა", არც დაუსჯელობა ივარგებდა, რადგან დემეტრე „მიმდგომი და მზრახავი იყო ბულასი". მაშინ წინ წარსდგა ხუტლუ-ბუღა მანკაბერდელი, ძე სადუნისა, მონღოლთა მოენე და დამსმენი და ყაენს უთხრა: „ნუ იურვი მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისი (ნარინის), სახელით ვახტანგი, და მას მიუბოძე მეფობა, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს". მოღალატის სიტყვებმა ყველაფერი გადაწყვიტა. დემეტრეს უბრძანეს, აღეწერა ყოველი სიმდიდრე მისი, შემდეგ ხელები შეუკრეს, არგნებით სცემეს და საპყრობილეში ჩააგდეს. ქართველმა დიდებულებმა მოახერხეს დილეგში მყოფი მეფის მონახულება და გაქცევა შესთავაზეს. ქვეშევრდომების ერთგულებით გახარებულმა მეფემ კვლავ მშვიდად მიუგო: „პირველვე უწყოდე სიკუდილი ჩემი, გარნა დავდევ თავი ჩემი და სული ჩემი ერისათჳს ჩემისა. ხოლო ან თუ წარვიდე, უბრალო ერი მოისრას, რა სარგებელ არს, უკეთუ ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო".

სიკვდილის წინ ილოცა მეფემ, მიიღო წმიდა ზიარება და მშვიდად მოუდრიკა ქედი მახვილს. მოულოდნელად ღვთივმოვლენილმა სასწაულმა შეძრა ყოველი. მზე დაბნელდა და საშინელი სიბნელე ჩამოწვა. ამ სასწაულმა ისე შეაშინა წარმართები, რომ ხელი აიღეს უფლისწულის მოკვლაზე.

დემეტრეს წმიდა გვამს, ყაენის ბრძანებით, დარაჯები იცავდნენ. კათოლიკოსმა და მოსე მღვდელმა ფარულად გამოიხსნეს ცხედარი, თბილისელი მეთევზეების დახმარებით საქართველოში ჩამოასვენეს და დაკრძალეს მცხეთას, სვეტიცხოველში, „სამარხოსა მამათა მათთასა".

წმიდა ამბროსი აღმსარებელი — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (+1927)
16 (29) მარტი



წმიდა ამბროსი აღმსარებელი (ერისკაცობაში — ბესარიონ ხელაია) დაიბადა 1861 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში. პირველდაწყებითი განათლება მან სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1885 წელს. წმიდა ამბროსი დიაკვნად აკურთხა სოხუმის ეპისკოპოსმა. მალე მას მღვდლად დაასხეს ხელი. 1896 წელს წმიდანი დაქვრივდა; 1897 წელს მან სწავლა გააგრძელა ყაზანის სასულიერო აკადემიაში.

მისი ნაცნობები იგონებდნენ, რომ ის იყო ნიჭიერი, უაღრესად პატიოსანი, კეთილი, სათნო და ერთგული ადამიანი. ყაზანში მყოფი, თვალყურს ადევნებდა საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას, ქართველთა ბრძოლას ეროვნული თვითგამორკვევისათვის; ჩვენი ისტორიის პირველწყაროებზე მუშაობდა და მომზადებული ჰქონდა რამდენიმე ისტორიული და სხვა ხასიათის ნარკვევი. მისმა საკანდიდატო დისერტაციამ, „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში", ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ პროფესორს უთხოვია, შეევსო ზოგიერთი თავი და წარედგინა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

წმიდა ამბროსიმ 1901 წელს სწავლა დაამთავრა, იმავე წელს ბერად აღიკვეცა და საქართველოში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებული ღირსი მამა ერის სხვა საუკეთესო შვილებთან ერთად დაუღალავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ამის გამო 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. სამშობლოში კვლავ დაბრუნების შემდეგ მას ჭელიშის მონასტრის წინამძღვრობა დაევალა. ჭელიშის მონასტერი თავის დროზე მთელი რაჭის საღმრთო სწავლა-განათლების კერა იყო, მაგრამ შემდეგ თანდათან გაუდაბურდა. მამა ამბროსიმ მონასტერში დაიწყო სემინარიელების მომზადება.

მამა ამბროსიმ ბევრი იღვაწა ოდესღაც უმდიდრესი ჭელიშური ხელნაწერების მოსაძიებლად და აღსადგენად. მონასტერის ეზოში არგ-

ნით გამოსული წინამძღვრის ყურადღება მიიპყრო ყრუ ხმამ, რომელიც მიწის სიღრმიდან ამოდიოდა, გაათხრევინა ის ადგილი და უძველესი სახარება აღმოაჩინა. შემდგომ მუშაობდა თბილისში, სინოდალური კანტორის წევრად, მოკლე ხანში კი ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი გახდა.

1908 წელს მამა ამბროსის საშინელი ცილი დასწამეს: ბრალად დასდეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა. მღვდელმსახურება აუკრძალეს და გაგზავნეს რიაზანის სამების მონასტერში, სადაც ერთ წელზე მეტი სასტიკი რეჟიმის ქვეშ გაატარა. რუსეთის სინოდი უგულებელყოფდა არქიმანდრიტის ყოველ თხოვნას სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ბოლოს, 1917 წელს, წმიდა ამბროსი დაბრუნდა საქართველოში და კვლავ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. წმიდა ამბროსი ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ კი აფხაზეთის მიტროპოლიტად გაამწესეს.

1921 წელს იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად იქნა არჩეული, იმავე წლის 25 თებერვალს საქართველოს კვლავ დაადგეს მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს სამშობლოში ფეხის შემოდგმის დღიდანვე დაიწყო სარწმუნოების დევნა.

ერის სულიერმა მამამ და მწყემსმა 1922 წლის 7 თებერვალს გენუის კონფერენციის წარმომადგენლებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომლის თითოეული სიტყვა არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულითა და ჭირისუფლობით არის განმსჭვალული, არამედ მასში წინასწარმეტყველურად არის დანახული ქრისტიანული სათნოების გარეშე დარჩენილი ერისა და სახელმწიფოს ბედი, მისი უნუგეშო მომავალი.

გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ამ ფაქტს მთავრობა გულხელდაკრეფილი არ შეხვედრია და მალე წმიდა ამბროსი დააპატიმრეს. სასამართლო პროცესზე პატრიარქთან ერთად საკათოლიკოსო საბჭოს წევრებიც განისჯებოდნენ. მათ ბრალად დასდეს გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, საქართველოს ეკლესია-მონასტრების საგანძურის გადამალვა, სამხედრო ტაძრის კომკავშირისათვის გადაცემისა და სატრაპეზოს დაშლის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა.

სამსჯავროზე წმიდა ამბროსის სიტყვები და მხილება ყველას

მოაგონებდა ძველ ქრისტიანთა თავდადებასა და შეუპოვრობას. ის თამამად ამხელდა მთავრობას ბოროტებაში, უსამართლობაში, მკრეხელობაში. ერთ-ერთ დაკითხვაზე პატრიარქმა თქვა: „სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს. ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებული ძალით. ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიც, საქართველო არ იქნება გამონაკლისი საზოგადო კანონებიდან".

სასამართლო პროცესის ბოლოს, მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვაში წმიდა ამბროსიმ ჯალათებს უთხრა: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული — საქართველოს, გვამს კი, რაც გნებავთ, ის უყავით".

სასამართლომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შვიდი წლით, ცხრა თვითა და ოცდარვა დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1924 წლის ბოლოს გამოცემული ამნისტიით ამბროსის და საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს სასჯელი მოუხსნეს, მაგრამ უკვე ხანში შესულ და ჯანგატეხილ ერის მამას დიდხანს აღარ უცოცხლია: იგი სამი წლის შემდეგ, 1927 წელს გარდაიცვალა.

1994 წელს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ამბროსი ხელაია შერაცხილ იქნა წმიდანთა დასში ამბროსი აღმსარებლის სახელით.

ღირსი პიმენ სალოსი და ანტონი მესხი (XIII)
16 (29) მარტი

წმიდა პიმენ სალოსი დაიბადა XIII ს-ის 60-იან წლებში. წმიდანი წარმოშობით კახეთის თავადთა გვარიდან იყო - „კეთილშობილთა-აგანი". წმიდა პიმენი ბავშვობიდანვე ღვთისმოშიშებით იზრდებოდა. საერო და სასულიერო მეცნიერების „ხედვითი და ღვთისმეტყველე-ბითი სიბრძნის" უბადლო მცოდნე პიმენი დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა ღვთისსათნო ცხოვრებით.

წმიდა პიმენი თავის „ხედვით და ღვთისმეტყველებით სიბრძნეს" მოგონილი სისულელით მალავდა „და იქმნა იგი ქრისტესათვის სალოს". წმინდანი უშიშრად ამხელდა ძლიერთა ამა სოფლისა, მეფეთა და მთავართა უსამართლოებასა და უწესოებას. ღრმად განათლებული წმიდა მამა „იყო მამხილებელ უსამართლოებასა და უწესოებასა ზედა მეფეთა და მთავართა არა თუ სიტყვით, არამედ წერილებითაცა".

წმიდა ანტონი მესხი, ღრმად განათლებული „მოღვაწე და მმართველობითა სრული" წმიდა მამა, დავით გარეჯის ლავრაში მოღვაწეობდა, ბიოგრაფიული ცნობები წმიდა ანტონის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ „მას სახელ-სდვეს ქართველთა მზედ", ბევრ რამეზე მეტყველებს.

წმიდა მამები ერთად მოღვაწეობდნენ ღვთის სადიდებლად და ქვეყნის სასარგებლოდ, ქვეყანა კი ამ დროს საოცრად დაცემული და განადგურებული იყო: მონღოლთა შემოსევებით გამწარებულ მოსახლეობაში იმძლავრა ურწმუნოებამ, თვით წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულიც (ხს. 12 მარტს) აღერია უწესობაში, მაგრამ იყვნენ ღვთისა და ერის წინაშე თავდადებულნი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ხალხის ქრისტესკენ მობრუნებას. კათოლიკოსმა ნიკოლოზმა მეფე დემეტრე (ხს. 12 მარტს) ამხილა უსჯულოებაში. მეფის ურჩობამ კათოლიკოსი აიძულა, თავისი ნებით დაეთმო საპატრიარქო ტახტი და უბრალო განდეგილი ბერის ცხოვრებით ეცხოვრა. წმიდა ათონის მთიდან ჩამოვიდა მონაზონი ბასილი (ხს. 18 აპრილს), მანაც უშიშრად ამხილა მეფე.

საღვთო მადლით გაბრწყინებულმა მამებმა, პიმენმა და ანტონმა, კარგად იცოდნენ, თუ მეფე და მთავრები შეინანებდნენ, შეინანებდა

ხალხიც, და ამიტომ მათ ერზე ზრუნვა მეფის დამოძღვრითა და მხილებით დაიწყეს. „ქართლის ცხოვრებაში" წერია, რომ წმიდა ბერები ამხელდნენ „მეფესა და ყოველსა ერსა, გარნა არარაი ისმინეს".

ბერებმა სალოსობის, მეფისა და ერის მხილების საოცრად დიდ და გაბედულ ღვაწლს წარმართებს შორის ქადაგებაც დაუმატეს. ლეკეთში გადადიოდნენ და იქ ქადაგებდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ წმიდა პიმენმა „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცია, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა".

ღვთის ნებითა და წმიდანთა ლოცვით აღსრულდა წმიდა პიმენ სალოსისა და ანტონი მესხის დიდი სურვილი — მეფე დემეტრემ არა მარტო თავისი უსჯულოება შეინანა, არამედ მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე. ერი ფეხზე წამოდგა, მისთვის თავდადებული ბერები წმიდანთა დასში შერაცხა და მათი ხსენება ერთად დააწესა.

მღვდელმონამე, გაბრიელ მცირე, (+1802)
17 (30) მარტი

ღირსი გაბრიელ მცირე ერისკაცობაში თბილისში ცხოვრობდა. მას ქალაქში სამკერვალო სახელოსნო ჰქონდა, წმიდანი ცნობილი იყო როგორც ღრმად განათლებული, უაღრესად ქველმოქმედი და პატიოსანი მენარმე. მაღალი სულიერებითა და პატიოსნებით გამორჩეული კაცისთვის ძნელი იყო ქალაქის მშფოთვარე ცხოვრება. ერთ დღეს მან ყველაფერი დატოვა, წავიდა დავით-გარეჯში და მონაზვნად აღიკვეცა.

მონასტერში ღირსმა მამამ მწიგნობრულ საქმიანობას მიჰყო ხელი. მისმა სამწერლო მოღვაწეობამ სათანადო კვალი დააჩნია ქართულ სასულიერო მწერლობას. მან შეადგინა რამდენიმე ლიტურგიკულ-ზნეობრივი ხასიათის კრებული, გადმოკეთებული ცნობილ თეოლოგთა თხზულებებიდან, შექმნა ორიგინალური სასულიერო თხზულებებიც, მათ შორის: 1) მღვდელმთავრისა ლიტურლიისა განმარტებაი სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსავე მღვდელმოქმედებასა მისსა საიდუმლოებით ძალი უპყრიეს; 2) მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის კანონისათვის; 3) სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყუარეთანი; 4) ცხოვრება და მოღვაწეობა ღირსისა მამისა ჩვენისა სქემოსან ონისიფორესი; 5) მოკლე მოთხრობა პორფირისათვის.

მიუკლებელ მოღვაწეობაში, მარხვასა და ლოცვაში მყოფი ღირსი მამა ძმებისადმი საოცარი სიყვარულითა და მსახურებით გამოირჩეოდა, ყველას ეხმარებოდა, უვლიდა, ამხნევებდა.

ერთხელ, დიდმარხვის დღეებში, ნათლისმცემლის უდაბნოში თბილისელი მთავარდიაკონი ჩავიდა. რამდენიმე ხანში დიაკონს ოჯახი მოენატრა, მონასტერში ვეღარ გაჩერდა და თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. ღირსმა გაბრიელმა გააცილა მთავარდიაკონი, მაგრამ გზაში ლეკები დახვდნენ, შეიპყრეს წმიდა გაბრიელი და წამებით მოკლეს.

ძმებმა ნეტარი მამის წმიდა ცხედარი მონასტერში გადაასვენეს და იქვე დაკრძალეს

წმიდა იოანე მანგლელი (+1751)
28 (10.04) მარტი

წმიდა იოანე მანგლელი (სააკაძე) დაიბადა 1668 წელს. იგი ბავშვობიდანვე გარეჯის უდაბნოში აღიზარდა, აქ ისწავლა მან მონაზვნური ცხოვრება. ძმებისაგან სათნოებით გამორჩეული წმიდა იოანე მალე მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს, შემდეგ კი მანგლისის კათედრაზე დაადგინეს ეპისკოპოსად.

1724 წელს წმიდა იოანე დარუბანდში წავიდა, ხის ეკლესია ააშენა და დაღესტანში ქადაგება დაიწყო. მას თან ახლდა თერთმეტი სასულიერო პირი. წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით იოანემ მალე მიიპყრო ლეკების ყურადღება. არც მთავრობას დარჩენია შეუმჩნევლად მისი მოციქულებრივი საქმიანობა. ამ დროს ვახტანგ VI-სა და პეტრე დიდს მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან კასპიისპირეთის საქმეებზე. ორივე მეფე მალე მიხვდა იოანეს ღვაწლის მნიშვნელობას და დიდი ნივთიერი შემწეობა გაუწიეს მას. წმიდა მამამ ღვთისმშობლის შობისა და წმიდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძრები ააგო.

1737 წელს იოანემ თავისი მონაფეები დაღესტანში დატოვა, თვითონ კი ასტრახანში გადავიდა. აქ მან ააგო წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია, რომელიც 1746 წელს რუსეთის მთავრობამ მონასტრად გადააკეთა და არქიმანდრიტად იოანეს მოწაფე, ქართველი ბერი გერმანე დანიშნა.

ასტრახანში იოანემ შეიტყო, რომ ყიზლარში მცხოვრებ ქართველებს ეკლესია არ ჰქონდათ. ისიც გაიგო, რომ ოსეთში ქრისტიანობას უჭირდა და ყიზლარს მიაშურა; იქ ქართველების დახმარებით ეკლესია ააგო და გახსნა სკოლა მქადაგებელთა მოსამზადებლად.

ოთხმოც წელს გადაცილებული იოანე ყიზლარში აღესრულა 1751 წლის 28 მარტს და თავისსავე აგებულ მონასტერში დაკრძალეს. შემდგომ, თეიმურაზ მეფის ბრძანებით, წმიდა იოანეს მირონმდინარე ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს. წმიდა იოანე მანგლელის საფლავი არის სიონის ტაძარში, მანგლისის ღვთისმშობლის ხატის წინ.

აპრილი

1(14)—ღირსი იოანე შავთელი და ევლოგი
წინასწარმეტყველი — სალოსი (XIII)

2(15)—წმიდა გიორგი მაწყვერელი (IX-X)

10(23)—წმიდა მამანი და დედანი, ქვაბთახევის
მონასტერში წამებულნი ჟამსა თემურ-ლენგისასა
(+1386)

15(28)—წმიდა მოწამენი: სუქია და მოყვასნი მისნი (II)

17(30) —წმიდა ეფრემ დიდი, მაწყვერელი (IX)

18(1.05)—ღირსი ბასილი (რატიშვილი) (XIII)

29(12.05)—წმიდა ლაზი მოწამენი, სარწმუნოებისა და
საქართველოსთვის დუდიკვათსა და პაპათში
მოწყვეტილნი (XVII-XVIII)

ღირსი იოანე შავთელი და ევლოგი წინასწარმეტყველი — სალოსი (XIII) 1(14) აპრილი

წმიდა იოანე შავთელისა და ევლოგი წინასწარმეტყველის ხსენებას საქართველოს ეკლესია XIII საუკუნიდან აღასრულებს.

ღირსი იოანე შავთელი XII-XIII საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი, ფილოსოფოსი და რიტორი იყო. „ქართლის ცხოვრება" მას მოიხსენიებს, როგორც „ლექსთა გამომთქმელს და მოღუაწებათა შინა განთქმულს".

ღირსმა იოანემ ახალგაზრდობაში მიიღო უმაღლესი განათლება გელათის მონასტერთან არსებულ აკადემიაში, სადაც შეისწავლა წმიდა მამათა თხზულებები, ანტიკური და არაბული ისტორია, ფილოსოფია, ლიტერატურა, შემდეგ მონაზვად აღიკვეცა და დიდხანს მოღვაწეობდა ვარძიის მონასტერში. როდესაც ქართველთა სპა დავით სოსლანის წინამძღოლობით ბასიანისკენ გაეშურა იკონიის სულთნის, რუქნადინის, წინააღმდეგ საბრძოლველად, წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი ოძრხეში ნავიდა სალოცავად. მას თან ახლდა ქართლის კათოლიკოსი თევდორე, ეპისკოპოსებთან და მონაზონებთან ერთად, რომელთა შორის ბრწყინავდა „იოანე შავთელი, კაცი ყოვლად განთქმული და საკკრველი მოღუაწებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი". აქ ერთი სასწაული აღსრულდა: ღვთისგან წინასწარმცნობელობის მადლით დაჯილდოებული ევლოგი სალოსი წირვის დროს სამგზის დაეცა მიწაზე, შემდეგ ხელები აღაპყრო და დაიძახა: „აჰა, დიდება ღმერთსა! ქრისტე ძლიერ არს. ხელნო ევლოგისნო, სპარსთაგან არა გეშინით, განუტევეთ, რათა ვიდოდის მშვიდობით. წყალობა ღვთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია". ყველა მიხვდა, რომ ევლოგიმ საღვთო გამოცხადება მიიღო. ღირსმა იოანე შავთელმა მეფეს უთხრა: „უწყოდე, მეფეო, რომელ ჩვენება იხილა სულელსაგონებელმან, გარნა ჩვენებასა კეთილსა ვჰგონებ!" ევლოგი სალოსმა იოანე შავთელს განუცხადა საიდუმლო — ღვთის შეწევნით, ქართველებმა ბასიანში დაამარცხეს მტერი და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვესო.

წმიდა ევლოგი, რომელიც ქრისტესთვის მოგონილ სისულელეში

მალავდა თავის სულიერ ღვაწლს, ამჯერად გაექცა კაცთაგან განდიდებას — „მყის წარვიდა პირისაგან მათისა და დაიმალა".

წმიდა იოანე შავთელმა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების სამადლობლად დაწერა „გალობანი ვარძიის ღვთისმშობელისანი". მასვე ეკუთვნის ცნობილი ოდა „აბდულ-მესიანი" (ქრისტეს, მესიის მონა). წმიდანები ღრმა სიბერეში აღესრულნენ მშვიდობით.

წმიდა გიორგი მაწყვერელი (IX-X)
2(15) აპრილი

წმიდა გიორგი მაწყვერელი აწყურის ეპისკოპოსი იყო. ცნობილ მწერალს და საეკლესიო მოღვაწეს კარგად იცნობდა მისი თანამედროვე საქართველო, თუმცა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ცნობები წმიდა გიორგი მაწყვერელის შესახებ შემოგვინახეს გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის (ხს. 5 ოქტომბერს) ნაწარმოებებმა.

გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" წერს: „ვეჰგონებდ ცხოვრებისა ამის დანერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა", შემდგომ ჩამოთვლის ცნობილ საეკლესიო მწერალთა სახელებს, რომელთაგანაც თანამედროვენი მოელოდნენ ღირსი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერას და მათ შორის ასახელებს ღირს გიორგი მაწყვერელს. ბასილი ზარზმელის თქმით, გიორგი მაწყვერელი, სამცხის საეკლესიო ცხოვრების მეთაური, „აღმოსცენდა ჴევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა; ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას".

უმთავრესი ცნობები ღირსი სერაპიონ ზარზმელის (ხს. 29 ოქტომბერს) შესახებ ბასილისთვის მიუწოდებია გიორგი მაწყვერელს — „ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანაჲსკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის ვიტყჳ მაწყუერელს".

ღირსი გიორგი მაწყვერელი მეტად დაახლოებული ყოფილა წმიდა სერაპიონ ზარზმელთან (ხს. 29 ოქტომბერს), დასწრებია მის დასაფლავებას და დიდად შეუწყვია ხელი მისი ცხოვრების დაწერისთვისაც.

ღირსმა გიორგიმ აწყურის კათედრა დაიკავა სამცხის დიდი ფეოდალის, გიორგი ჩორჩანელის, გარდაცვალების მეოთხე წელს, როდესაც ჩორჩანელთა გვარში და სახლეულობაში, და საერთოდ მთელ სამცხეში დიდი მღელვარება, მტრობა და ძმათაკვლა იყო გაჩაღებული მისი მემკვიდრეობის გამო. ამ განუკითხაობის ჟამს ღირსმა გიორგი მაწყვერელმა „ხელთიდვა განგებაჲ სამცხისაჲ" და „დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი, ვითარცა წეს იყო და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი".

ღირსი გიორგი მაწყვერელი მშვიდობით აღესრულა X ს-ის პირველ მეოთხედში.

წმიდა მამანი და დედანი, ქვაბთახევის მონასტერში ნამეგზულნი ქამსა თემურ-ლენგისასა (+1386) 10(23) აპრილი

გიორგი ბრწყინვალის ძისწულის, ბაგრატ V-ის, მეფობის დროს, სამარყანდელი თემურ-ლენგი შვიდგზის შემოესია საქართველოს ურიცხვი ლაშქრით, „რომელსა ვერ იტევდნენ მთანი და ველნი და ყოველნივე არენი და სანახნი საქართველოისნი". მტერმა პირისაგან მიწისა აღგავა მრავალი ეკლესია-მონასტერი. შვიდგზის მიიღო ქართლმა „ვნებაი მისგან მახვილისა მიერ ტყვეობისა და ცეცხლისა და შენობითთა საფუძველთა აღმოყრისა".

თემურ-ლენგმა ტყვედ იგდო ბაგრატ მეფე, ქართლი ააოხრა და სხვა დიდებულებთან ერთად მეფე-დედოფალი შირვანს წაიყვანა. უსჯულო თემურ-ლენგი ყოველნაირად აიძულებდა მეფეს ქრისტიანობის დატევებას, სამაგიეროდ კი მეფის ტიტულის შენარჩუნებასა და სხვა ტყვეებთან ერთად განთავისუფლებას ჰპირდებოდა.

დიდხანს ვერ მოდრიკეს ბაგრატი, მაგრამ ბოლოს „უღონოქმნილი ყოვლისაგან კაცობრივისა შენევნისა... სარწმუნოებისაგან სათანადოისა მოაკლდა", მაგრამ შემდეგ კვლავ აღდგა მასში ღვთისადმი სასოება, მოტყუებით მოიმადლიერა თემურ-ლენგი და ქართლში მეფობის პატივის შენარჩუნებით დაბრუნების ნებართვაც მიიღო. ბაგრატის თხოვნით თემურ-ლენგმა მეფეს თან გამოაყოლა თორმეტათასიანი სპა, რომელიც მას თითქოს საქართველოს გამაჰმადიანებაში უნდა დახმარებოდა.

ხუნანს მიახლებულმა ბაგრატმა თავის ძეს, გიორგის, მოუწოდა ლაშქრითურთ და თემურ-ლენგის მხედრობა „აღსწყვდა... მახკლთა ერთისაცა ბარბაროსთაგანისცა განურინებელად".

ლაშქრის განადგურების შესახებ ცნობამ განარისხა თემურ-ლენგი და, „ჩუენ ზედა განმხედრებად აღძრული", წამოემართა შურის საძიებლად. ქართველებმა მტრის პირველი შემოტევა მოიგერიეს, მაგრამ თემურ-ლენგმა დამხმარე ლაშქარი მოიშველია, დაქანცულ ქართველებს ახალი ძალით შემოუტია და უკან დაახევინა. თათრებმა მოაოხრეს თბილისი, ნისანი, კალისი, ქართლის ქალაქები და სოფლები დაწვეს, წმიდა ეკლესიები დაარღვიეს და „ესრეთ მარბიელობით"

ჩააღწიეს ქვაბთახევის მშვენიერ მონასტრამდე.

ქვაბთახევში მტერს დაუხვდა „გარემო მახლობელთა მონასტერთაგანნი მონაზონნი, მრავალნი მამანი და დედანი, აზნაურთაგანნი და მღდელნი და დიაკონნი და თვით მონასტრისა მის ძმანი". გარდა სასულიერო პირებისა, „ერისკაცთა მათ სიმრავლე სოფელთაგან მახლობელთა იყო არა მცირეᲘ"... ბარბაროსებმა მონასტრის კარები შეამტვრიეს, გაძარცვეს იგი, „განიტაცეს ჭურჭელნი და გამოიღეს სიმდიდრენი მონასტრისა საუნჯეთა არა მცირედი, რამეთუ ფრიად მდიდარი იყო მონასტერი იგი". მოხუცებულნი და უძლურნი, რომელთა ტყვედ წასხმაც შეუძლებელი იყო, მახვილითა მოწყვიტეს.

ღვთის სამკვიდრებელში შესულმა უღმრთოებმა შეაგინეს წმიდა ტაძარი — გააშიშვლეს მახვილები, „ჰკაფდეს უწყალოდ ვენახსა მას სიტყჳერსა ანუ ხილნარსა მტილისა ღუთისასა", უფლის ღირს მონათა ცხედრები ცის ფრინველთა საჭმელად და „მჴეცთა ქუეყანისათა" საჯიჯგნად დატოვეს.

როცა ბარბაროსებმა კვლისა და ტყვეთა შეკვრისაგან მოიცალეს, წმიდა სამღვდელო კაცთა, მონაზონთა, ქალწულთა და მოწესეთა დაცინვა დაიწყეს — ეჟვნები შეაბეს მათ, თვითონ კი, ეშმაკისგან გაგიჟებულებმა, „იწყეს ხლდომად და როკვად". „ვაᲲ ჩუენდა, მონაზონთა," — ქვითინით და ვაებით გოდებდნენ მოწამეები. ამის შემდეგ ბარბაროსებმა ყველა იქ მყოფს მიმართეს: ან უარყავით ქრისტე, ან შეკრულებს შეგყრით ეკლესიაში, შეშას შემოგიწყობთ და დაგწვავთო. ტყვეექმნილნი პასუხობდნენ: „ჩვენ უკუე მიცემულთა ხელთა მიმართ თქუენთა ცოდვათათვის ჩვენთა, რომელნი ვქმნენით და განვარისხეთ შემოქმედი ჩვენი და ღმერთი და არა თუ სიმართლისათვის თქუენთა ვესავთ, ვითარმედ განგვწმიდნეს პატიჟითა ამით დროებითითა და განგვისვენნეს უწელიწდოებითსა შინა საუკუნოსა... ვერა რაᲲმემან განმაშორნეს სიყუარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან, ანუ იწროებამან, დევნამ, ანუ სიყმილმან, შიშლოებამან, ანუ ურვამან, ანუ მახვილმან".

მოწამეები ერთმანეთს ამხნევებდნენ და გალობდნენ ფსალმუნის სიტყვებს: „შენთჳს მოვსწყდებით ჩუენ მარადღე და შევირაცხენით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კულადნი".

როცა მარტვილნი ეკლესიის კარებთან მიიყვანეს, ასე მიმართეს უფალს: „შევიდე სახლსა შენსა, თაყუანის-ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა, უფალო, მიძღოუ მე სიმართლითა შენითა, მტერთა ჩემთათჳს წარმართე შენ წინაშე გზაᲲ ჩემი". ღვთის ტარიგნი ბარბაროსებს ეუბნებოდნენ: „აღანთენით ჴორცნი, ბოროტმსახურნო, რათა ცეცხლითა საღმრთოᲲთა მთებარენი სულნი უბრწყინვალეს მზისა

განბრწყინდეს სასუფეველსა შინა ზეციერსა მამისასა, ნუ იცადებთ შეწირვასა ჩუენსა, რათა სახილველ ვიქმნეთ სოფლისა და ანგელოსთა და კაცთა, დაღაცათუ ჯერეთ სურკლსა ჩუენსა მხოლოდ უფალი ჰხედავს და სიმართლისათჳს ჩუენისა ნუგეშინის გვცემს".

მტარვალებმა შეშა მოზიდეს და დიდი ცეცხლი აღაგზნეს. ალი მაღლა ადიოდა, ხშირი ნაკვერცხლები ცვიოდა, „ქუხილსა სახმილისასა მთანიცა ხმას სცემდეს", ყოვლადდასაწველთა ნეტარი სულები კი გალობდნენ: „აკურთხევდით ცეცხლი და სიცხე უფალსა, უგალობდით და ზესთა აღამაღლებდით მას უკუნისამდე", „აკურთხევდით მღუდელნი უფალსა, აკურთხევდით მონანი უფალსა, უგალობდით და ზესთა აღამაღლებდით მას უკუნისამდე".

ასე შეინირნენ ღვთის მიმართ ტარიგნი უბიწონი.

ეკლესიის იატაკზე მოწამეთა დამწვარი სხეულების კვალი აღიბეჭდა „და ვიდრე დღეინდელად დღემდე იხილვების შინაგან იატაკსა ზედა წმიდისა ეკლესიისასა და დამწვარნი სახენი მათნი დღესაცვე ზედან სხენან".

წმიდანი მოწამენი: სუქია და მოყვასნი მისნი (II) 15(28) აპრილი

წმიდა მოწამენი სუქია და მოყვასნი მისნი ქართველი დიდებულები იყვნენ. ისინი ალბანეთის მთავრის კარზე მსახურობდნენ და შესაბამისი პატივიც ჰქონდათ მთავრისაგან.

სომეხთა მეფის, არტაქსარის (88-123 წწ), მეფობის დროს წმიდანები არტაშატში, სომხეთის მაშინდელ დედაქალაქში მოხვდნენ. ისინი ახლდნენ ალბანეთის მთავრის ასულ სათენეკს, რომელიც სომეხთა მეფეს გაჰყვა ცოლად. აქ ქადაგებდა წმიდა თადეოზ მოციქულის მოწაფე ხუცესი ქრისოსი. ქართველი დიდებულები დაემოწაფნენ მას და გადაწყვიტეს, უფლის სამსახურისთვის გადაედოთ თავი. ქრისოსმა ახალმოქცეულები მესოპოტამიაში გამგზავრებისას თან წაიყვანა და ევფრატის წყალში მონათლა. ნათლისღებისას მათ იხილეს ბორცვზე მდგარი ქრისტე. ახალნათელღებული ქრისტიანები იქვე დარჩნენ სამოღვაწეოდ, მაცხოვრის გამოცხადების ადგილას ჯვარი აღმართეს და მას ჯვარი ხარებისა უწოდეს.

ამის შემდეგ ქრისოსთან არტაქსარ მეფის გაგზავნილი კაცები მივიდნენ და სთხოვეს, დედოფალ სათენეკის თანმხლები სუქია და მასთან მყოფი დიდებულები სომხეთში დაებრუნებინა. ქრისოსმა უპასუხა: „ნებისაებრ თვისისა აღირჩიონ მათ სარგებელი თვისი". მოძღვრის სიმტკიცით განრისხებულმა ბარბაროსებმა ქრისოსი და ოთხი მოწაფე მახვილით მოსწყვიდეს, სუქიასთვის კი ხელი არ უხლიათ, რადგან ეშინოდათ დედოფლისა, რომელსაც წმიდანი ნათესავად ეკუთვნოდა.

სუქიამ და მისმა თანამოძმეებმა დაფლეს სიმართლისათვის ვნებულნი, თვითონ კი „დაადგრეს სამხოლოსა მათსა ანგელოსებრივითა ცხოვრებითა".

ქრისოსის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ საძმოს სულიერი მოძღვარი წმიდა სუქია გახდა. მალე ისინი გადავიდნენ სუკაკეთის მთაზე, რომელიც სოფელ ბაღდევანდის ახლოს მდებარეობდა. ყოფილი დიდებულები მეტად ასკეტურად ცხოვრობდნენ. მათი საჭმელი იყო

მთის ბალახი, სასმელი კი — ცივი წყაროს წყალი. გამუდმებით ღია ცის ქვეშ ცხოვრებამ მოღვაწეთა კანი გამომწვარ თიხას დაამსგავსა.

ნარმართული ალბანეთის ახალმა მთავარმა დატიანოსმა შეიტყო, რომ მისმა ქვეშევრდომმა დიდებულებმა ნათელიღეს და განმარტოებით ცხოვრობდნენ. მან თავის კარისკაც ბარლაპას უბრძანა, სპითურთ წასულიყო სუკაკეთს და პატივით მოეყვანა სუქია და მისი თანმხლებნი, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი მახვილით მოეწყვიტა ისინი.

ბარლაპამ სუკაკეთის ტყეში მოიძია მამაკაცები. მან მეფის ბრძანება გადასცა სუქიას, პასუხად კი წმიდანმა მიუგო: „ჩვენ სახელისათვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა, რომელ არს შემოქმედი და უფალი ყოველთა მყოფთა, ნებსით მკუდარ ვიქმნენით და დავიწყებულ ხორციელად და რად სადამე სახმარ მკვდართა პატივი მთავრობითი, რომელნიცა ქრისტეს ჩვენისაგან მისთანა უკვდავსა და უბერებელსა, წარუდგინებელსა და სამარადისოსა მოველით დიდებასა ანგელოსთა თანა წმიდათა“.

წმიდანთა სიმტკიცით განრისხებულმა ბარლაპამ ბრძანა, შეეკრათ ძმები და ცეცხლი შემოენთოთ. ცეცხლმოკიდებული წმიდა მოწამენი ბარლაპას ბრძანებით მახვილებით აკუწეს, მათი დანახშირებული ნაწილები კი მიმოაბნიეს (ერთი ცნობით, წმიდა სუქიასთან ერთად კიდევ თექვსმეტი კაცი ეწამა, სხვა ცნობით კი ცხრამეტი).

ეს მოხდა 123 წელს (სხვა გადმოცემით — 130 წელს, ათონის ივერთა მონასტრის XI ს-ის პერგამენტის მიხედვით — 100 წელს). ღვთის განგებულებამ ორას ოცდაათი წლის განმავლობაში დაუმარხავი წმიდა ნაწილები უხრწნელად დაიცვა. IV საუკუნეში ქრისტიანებმა შეაგროვეს ისინი, ლუსკუმაში ჩაასვენეს და დაფლეს.

წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლმა, სომეხთა განმანათლებელმა (+335), წმიდა სუქიასა და მისი ძმების წამების ადგილზე ააგო ეკლესია და დააარსა მონასტერი. შემდგომ ამ ადგილას მაკურნებელმა წყალმა ამოხეთქა.

წმიდა ეფრემ დიდი, მაწყვერელი (IX)
17(30) აპრილი

წმიდა ეფრემ დიდი, მაწყვერელი, იყო წმიდა გრიგოლ ხანძთელის (ხს. 5 ოქტომბერს) მოწაფე და თანამოსაგრე.

საეკლესიო საქმეებისთვის აფხაზეთს მიმავალმა ღირსმა გრიგოლმა ქართლში „ნებითა ღმრთისაჲთა... პოვა ეფრემ ყრმაჲ, ჭაბუკი ღირსი და ღირსებასა შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწევნული სიწმიდითა და სიწმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთმოქმედი". უკან დაბრუნებულმა გრიგოლმა ყრმა ეფრემი თან წაიყვანა ხანძთას არსენთან (ხს. 25 სექტემბერს) ერთად და აღსაზრდელად თავის თანამოღვაწეებს, ქრისტეფორესა და თეოდორეს (ხს. 5 ოქტომბერს), ჩააბარა.

ხანძთის სავანეში ყრმების გამოჩენამ საძმოს უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ეს მონასტრის წესდებით აკრძალული იყო. ბერებმა ღირს გრიგოლს მიმართეს: „საქმენი შენნი განუკითხველ არიან ყოველნი თჳნიერ ამისა, რომელ ყრმანი ესე მოიყვანენ და წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეხუების მომავალთა ჟამთა საკდემელად ჩვენდა. დაღაცათუ უშიშ არს გული ჩუენი ჟამისა ამისათვის, არამედ გარეშე წესისა არს საქმე ესე და აწ ესე არს სიტყვა ჩვენი, წმიდაო ღმრთისაო". ღირსმა გრიგოლმა ძმებს აუწყა, რომ ყოველივე ღვთაებრივი გამოცხადებითა ჰქმნა: „ქრისტემან ღმერთმან წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა ამათი საქმე ყოველი, რამეთუ ვითარცა ეფრემ ასური და არსენი ჰრომაელი, კაცთაგან განშორებულნი და ღმრთისა მიახლებულნი, ესრეთ იყვნენ ღირსნი ესე ყრმანი აღზრდილ უბიწოდ ხანძთას ჟამამდე პატივისა მათისა".

ღირსი ეფრემი აწყურის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. ის უდიდესი მოღვაწე იყო იმდროინდელი საქართველოს ეკლესიისა. ჯავახეთში შეკრებილ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც კათოლიკოსის ტახტზე არსენის დარჩენა-გადადგომის საკითხი უნდა გადაეწყვიტა, ერთ-ერთი უპირველესი ეპისკოპოსთაგანი, რომლის სიტყვასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, სწორედ ეფრემ მაწყვერელი იყო. ეფრემი იყო წინამძღოლი ეპისკოპოსთა და სამღვდელოთა იმ დასისა, რომელიც კათოლიკოსის ტახტზე უკანონოდ აღსაყდრებული არსენის

გადაყენებას მოითხოვდა. კრების მონაწილენი მისგან ელოდნენ ჭეშმარიტი მსჯავრის დადებას, ამიტომაც პირველი სიტყვის თქმა მას სთხოვეს: „ბრძანე პასუხი, რაი ჯერ არს". ღირსმა ეფრემმა მორჩილად თქვა: „სადა მამაი გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად". გრიგოლ ხანძთელმა ეკლესიის მამებს და კრების ორგანიზატორს, გუარამ მამფალს, აუხსნა, რომ არსენი ღვთის ნებით შეიქნა კათოლიკოსი საქართველოისა, „არამედ მირეან მამამან მისმან აუგიან ყო უჟამოდ შესწრაფებითა, ვითარცა ადამ ჭამა ხილი იგი, რომელ არღა მწიფე იყო". კრების შემდეგ ეფრემისა და არსენის სიყვარული კვლავ განახლდა.

წმიდა ეფრემ მაწყვერელმა უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოოდ განმტკიცების საქმეს. მისი შემწეობით საქართველოს ეკლესიამ მირონის მცხეთაში კურთხევის უფლება მიიღო. მანამდე საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლები წმიდა მირონს ანტიოქიის ეკლესიიდან იღებდნენ (მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის გამოკვლევითა და ვარაუდით, ქართული ეკლესია IV საუკუნეში ხარშავდა და აკურთხებდა მირონს მცხეთაში, ანტიოქიიდან კი მხოლოდ „წმიდა მირონის არომატი" ნივთიერებები შემოჰქონდათ).

წმიდა ეფრემი ორმოცი წელი განაგებდა აწყურის კათედრას. მას ღვთისგან მიმადლებული ჰქონდა განჭვრეტის, სასწაულთა ქმნისა და კურნების ნიჭი.

წმიდა ეფრემ დიდი, მაწყვერელი, ღრმად მოხუცებული მიიცვალა. მის წმიდა ნაწილებთან სარწმუნოებით მისულნი მრავალგვარ სნეულებათაგან იკურნებოდნენ.

(სხვა ცნობები წმიდა ეფრემ მაწყვერელზე იხილეთ 25 სექტემბრის, ღირსი არსენი დიდის ხსენების დღის საკითხავში).

ღირსი ბასილი (რატიშვილი) (XIII)
18(1.05) აპრილი

ღირსი ბასილი (რატიშვილი) იყო საქართველოს კათოლიკოს ევფემიოსის (ექვთიმე III) ბიძა. წინასწარჭვრეტის მადლით გაბრწყი-ნებული წმიდა ბასილი ათონის მთაზე მოღვაწეობდა.

წმიდა დემეტრე თავდადებულის (ხს. 12 მარტს) მეფობის დროს საქართველო საყოველთაო განუკითხაობამ მოიცვა. ქვეყ-ნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდი-ნარე, მეფე იძულებული იყო, მონღოლთა სურვილები აესრულებინა და ურჯულოთა მხარდამხარ ებრძოლა. გაუთავებელ ომებს ქართველთა სისხლი ეწირებოდა. ამას ზედ დაერთო ჩვენი ცოდვების გამო გარდამოვლე-ნილი სასჯელი ღვთისა — საშინელი მი-წისძვრა, რომელმაც მთელი სამცხე და ქართლი დაანგრია.

ქვეყანა გაღატაკდა, გავერანდა, დაიწყო შინაომები. თხუთმეტი წლის მეფე დემეტრე პოლიტიკური მოსაზრებით ტრაპიზონის სამეფო ტახტის მფლობელის, კომნენოსის, ასულზე დააქორწინეს. შემდეგ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მონღოლთა ნოინის ასული სოლღარი შერთეს, მესამე ცოლად კი თავად მოიყვანა ბექა ჯაყელის ასული ნათელა. ასე რომ, ყოველგვარი სულიერი სათნოებით შემკული მეფე სამი ცოლის პატრონი შეიქნა.

ამგვარი საქციელის გამო მეფე ამხილა საქართველოს კათოლიკოსმა ნიკოლოზმა და, როცა ვერარა შეასმინა, თავად განიძარცვა ეკლესიის საჭეთმპყრობლის პატივი.

წარმართებში აღრეული მეფის სამხილებლად წმიდა ათონის მთიდან ჩამოვიდა ღირსი ბასილი, მეფეს მიეახლა და ამხილა ცოდვათა გამო, მოუწოდა, დაეტოვებინა „უწესონი ქორწინებანი", სამაგიეროდ კი შეჰპირდა: „მე თავს-მდებ გექმნე, რათა კეთილად წარგემართოს მეფობა შენი". ღირსმა ბასილიმ მეფესთან ერთად მთავრებიც ამხილა და მათი დაფარული გულისზრახვანი გააცხადა. დემეტრემ და მისმა ამალამ უგულებელჰყვეს სათნოებით გაბრწყინებული მონაზვნის ნათქვამი. მაშინ წმიდა ბერმა მომავალი უწინასწარმეტყველა მეფეს: „ბოროტად და უპატიოდ მოიკლა მძლავრთა მიერ და ოჴერ იქმნე სამეფოსაგან შენისა და შვილნი შენნი მიმოდაიბნინენ და სხუამან

დაიპყრას მეფობა შენი და იავარ-ყონ სიმდიდრე შენი. და აჰა, ესერა შენ და მთავართა გეტყჳ და ვესავ ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა, რომელ სრულ იქმნეს და აღესრულოს სიტყუაი ჩემი, უკეთუ ეგო უწესობასა მაგას. მე აჰა ესერა წარვალ".

გაოგნებულმა მეფემ მდუმარედ მოისმინა ბერის სიტყვები და თავი დადრიკა, რადგან წმიდა კაცთა პატივისმცემელი იყო.

მალე გაცხადდა წმიდა ბასილი მთაწმიდელის წინასწარმეტყველება. საქართველოს მეფესა და მის ერზე განსაცდელი გარდამოვიდა. მონღოლთა სამეფო კარზე ატეხილი ინტრიგების გამო დემეტრე მეფე ურდოში დაიბარეს. „ბოროტად და უპატიოდ" მოიკლა ქრისტეს მიერ შეყვარებული მეფე მძლავრთაგან, „სხუამან დაიპყრა" სამეფო მისი — იმერეთიდან დავით ნარინის ძე მოიხმეს და მას ჩააბარეს დემეტრეს ტახტი, „შვილნი მისნი მიმოდაიბნინენ": ტრაპიზონის მეფის ასულმა შვილებითურთ — ვახტანგით, ლაშათი და მანოველით მთიულეთს შეაფარა თავი, სოლღარმა თავის სახლობას წაიყვანა შვილები: ბაადური, იადგარი და ჯიგდა-ხათუნი, უმცროსი ძე კი — გიორგი (მომავალი გიორგი ბრწყინვალე), ნათელასთან ერთად ბაბუამ, ბექა ჯაყელმა შეიკედლა და გამოზარდა.

საქართველოს ასე მოუვლენდა უფალი „ჟამით-ჟამამდე" სამხილებლად და გამოსაფხიზლებლად წმიდანებს, რომელთა სახელები ცათა შინა არს დაწერილი.

სარწმუნოებისა და საქართველოსთვის დუდიკვათსა და პაპათში მოწყვეტილნი წმიდა ლაზი მონამენი (XVII-XVIII) 29(12.05) აპრილი

ლაზეთი კოლხური წიაღის განუყოფელი ნაწილია. იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ძარღვი და ჩვენი კულტურის უძველესი კერაა. წმიდა ანდრია მოციქულმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქართველი ერის მოქცევა სწორედ აქედან დაიწყო.

ბიზანტიის და ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453) ოსმალები მთელი სამი საუკუნის მანძილზე ცდილობდნენ, აღმოეფხვრათ ლაზებში ქრისტიანობა და ეროვნული ცნობიერება. თავის მხრივ, რომმაც გააძლიერა ამ მხარეში მისიონერების მოღვაწეობა. ამ ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული ლაზები მტკიცედ იცავდნენ მართლმადიდებლობას, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგმა კათოლიკებსა და მონოფიზიტებს „შეაფარა" თავი, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ შემდგომში მთლიანად დაკარგა სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერება. ძალად გამუსულმანებულმა ქართველებმა შეინარჩუნეს ენა, ეროვნულ-კულტურული ტრადიციების ნაწილი, ხსოვნა მათი წინაპრების ქრისტიანობის შესახებ და საქართველოს სიყვარული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II - ის ლოცვა-კურთხევით საფუძველი ჩაეყარა თურქეთში მცხოვრები ლაზებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა შეხვედრებისა და ურთიერთობების ტრადიციას. ქრისტიანულ სარწმუნოებას დაუბრუნდნენ საქართველოში მცხოვრები ლაზები. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს მათ წარუდგინეს მასალები XVII-XVIII ს-ს - ში სარწმუნოებისა და საქართველოსთვის ათასობით ლაზის მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1600 - 1602 წლებში მომხდარი ორი მოვლენა: უსჯულოთა მიერ ლაზების ძალად გამუსულმანების წინააღმდეგ აჯანყებული, ერთ-ერთ მთაზე დაბანაკებული სამასი ლაზი მეომარი მტერმა შეიპყრო. ტყვეებს მტერმა ქრისტიანობის უარყოფის სანაცვლოდ თავისუფლება და სხვადასხვა

მიწიერი პატივი აღუთქვა. ბრძოლებში სიმამაცითა და სიმხნევით განთქმულმა ლაზებმა უდიდესი სარწმუნოებრივი სიმტკიცე გამოიჩინეს. სამასივე მეომარს მოჰკვეთეს თავი და მდინარეში გადაყარეს, რის შემდეგაც ამ ადგილს დუდიკვათა (თავისკვეთა) უწოდეს. დუდიკვათა ეწოდა მოწამეთა სისხლით შეღებილ მდინარესაც.

ანალოგიურად აღესრულნენ მეორე მთაზე მდებარე მამათა მონასტერში მყოფი სასულიერო პირები. მათ მრავალგვარი ტანჯვისა და წამების შემდეგ თავები მოჰკვეთეს. ამ მთას ხალხმა პაპათას (სამღვდელოთა) მთა უწოდა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 2003 წლის 18 სექტემბრის წმიდა სინოდის სხდომამ აღნიშნული მასალების საფუძველზე განაჩინა: XVII-XVIII საუკუნეებში „პაპათისა“ და „დუდიკვათას“ გორაზე მოწყვეტილი მართლმადიდებელნი სასულიერო და საერო პირნი, ასევე ქრისტიანობისათვის წამებული ყოველი ლაზი შერაცხილ იქნან წმიდანად და ეწოდოთ მათ სარწმოებისა და საქართველოსთვის დუდიკვათსა და პაპათში მოწყვეტილნი წმიდა ლაზი მოწამენი.

1 (14)—წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი (+1213)
—წმიდა ზოსიმე კუმურდოელი (XVI)

3 (16)—წმიდა მამაი კათოლიკოსი (+744)
—ღირსნი მამანი: მიქაელ და არსენ ქართველნი, ულუმბოელნი (IX)

7 (20)—ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი ათორმეტი მოწაფე (VI)

9 (22)—ღირსი შიო მღვიმელი (VI)

11 (24) —ნეტარი ქრისტესია, ქრისტეფორე დწოდებული (+1771)

13 (26) —ღირსი ექვთიმე მთაწმიდელი (+1028)
—წმიდა ღირსმოწამენი, ათონის ივერთა მონასტერში ლათინთაგან მოწყვეტილნი (XIII)

18 (31) —წმიდა მოწამენი: დავითი და ტარიჭანი (+693)

19(1.06)—წმიდა მოციქულთასწორი ნინოს საქართველოში შემოსვლა (323) (წმიდა ნინოს ცხოვრება იხილეთ 14 იანვარს).

20 (2.06)—ღირსი ზაბულონი და სოსანა, წმიდა მოციქულთასწორი ნინოს მშობლები (IV)

23 (5.06)—ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დემეტრე, „შენ ხარ ვენახის" მთქმელი (+1157)

27 (9.06)—ღირსი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ III-ისა (XI)
—ღირსი მიქელ პარეხელი (VIII-IX)

წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი (+1213)
1 (14) მაისი

წმიდა თამარ მეფე დაიბადა 1166 წელს. თამარის მამამ, საქართველოს მეფე გიორგი III-ემ, თავისსავე სიცოცხლეში იგი მეფედ გამოაცხადა. დიდებულებმა ფიცი დადეს და მუხლი მოიყარეს თორმეტი წლის მონარქის წინაშე, რომელსაც განგებით ებოძა მძიმე ჯვარი ერის წინამძღოლობისა.

1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოს ერთადერთ მბრძანებლად და პატრონად იქცა თვრამეტი წლის თამარი. ქვეყანამაც ერთგულად და სიყვარულით მიიღო „მზე მზეთა და ნათელი ნათელთა". განიხარა სრულიად საქართველომ, დაიწყო დიდებით და გამარჯვებებით, აღმშენებლობით და მოღვაწეობით, უძილო ღამეებით და ცრემლიანი ლოცვებით აღსავსე გზა მონარქთა შორის გამორჩეულის, „მზეთა მზის" და „დედოფალთა დედოფლის", „შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებული" თამარის მეფობისა.

ხელისუფლების სათავეში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით აღნიშნა: მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ მღვდელმთავართა და მამათა სიმრავლეს მან მდაბლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჴადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა. ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳს, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათჳს, თქუენ სიტყჳთა, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ჴელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღჳვნეთ: თქუენ, ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური".

თამარის მეფედ კურთხევის წელს მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუარსლანმა, რომელიც ამირსპასალარობას მიელტვოდა, ისანში კარვის დადგმა მოითხოვა, სადაც, მისი გეგმით, ყველა საშინაო და საგარეო საქმე უნდა განხილულიყო და მეფისთვის ეცნობებინა შედეგი. ისნის კარავს ხელში უნდა აეღო მეფის ძირითადი უფლებები. ამით არა მარტო სამეფო ტახტი შესუსტდებოდა, არამედ ქვეყნის ერთიანობასაც საფრთხე ემუქრებოდა.

თამარის ბრძანებით ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს, მაგრამ მისმა თანამოაზრეებმა იარაღით ხელში მოითხოვეს წინამძღოლის განთავისუფლება. ქვეყანა ძმათა შორის ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მეფემ ყველაზე კეთილშობილურ ხერხს მიმართა: შეთქმულთა ბანაკში გაგზავნა ორი ნარჩინებული და პატივდებული მანდილოსანი — ხუაშაქი ცოქალი და კრავა ჯაყელი. პატიოსანთა დედათა მოციქულობამ ისე იმოქმედა მეამბოხეებზე, რომ „მოჰყვეს ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანისცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნებისმყოფლობისა მათისა“.

სამღვდელოებამ და დიდებულებმა თამარს მოსთხოვეს, დაქორწინებულიყო და სასიძოდ შეარჩიეს რუსი უფლისწული, სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძე — გიორგი. მეფემ წინააღმდეგობის გაწევა სცადა: „ვითარ ღირს არს შეტყუებული ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამისა უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მჴედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“.

ქვეშევრდომებმა არ შეისმინეს მეფის სიტყვა და მალე დიდვაჭარმა ზაქან ზორობაბელმა საქართველოში ჩამოიყვანა „მოყმე სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად“. პირმშვენიერ გიორგი რუსს არც ვაჟკაცობა და სიმამაცე აკლდა. მისი წინამძღოლობით ქართველთა ლაშქარი მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა. საუბედუროდ, გიორგიმ მალე გამოამჟღავნა „სკვითურნი, ვითარ ნაღებთა ბუნებითნი და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესოებად იწყო მრავალთა“. ორწელიწადნახევარს ითმენდა თამარი ქმრის უმსგავსო საქციელს, ბოლოს უხმო კათოლიკოსს, ეპისკოპოსთ, დიდებულთ და ბრძანა: „დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე „არა განშორებად პირველსა საწოლსა“, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თჳსი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელი არს ტაძრისა ღმრთისა და მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა მე შენ მიერ“.

გიორგი რუსს ურიცხვი განძი უბოძეს და კონსტანტინოპოლს გაისტუმრეს.

მეზობელ სახელმწიფოთაგან მრავალი მეფე იყო თამარის მშვენიერებით მოხიბლული. ქართველთა ხელმწიფეს ქორწინება აღარ უნდოდა, მაგრამ დარბაზის ერი „წინააღუდგებოდეს, უშვილოებასა მოაჴსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტჳინვიდეს“. ამიტომ

თამარმა ყურადღება მამიდის, რუსუდანის, რჩევა და ჯვარი დაიწერა ოვსთა მეფის ძეზე, ბაგრატიონთა, კერძოდ, გიორგი I-ის შთამომავალ დავით სოსლანზე.

1193 წელს თამარს და დავითს შეეძინათ ვაჟი, „ყოვლითურთ მსგავსი პაპისა და დაარქუეს სახელი გიორგი“ და რადგანაც ძალზე ლამაზი იყო, მეტსახელად უწოდეს ლაშა (ნათელი, ქვეყნის მანათობელი).

ქართველთა გამარჯვებებით შეძრწუნებულმა თურქებმა 1195 წელს მუსლიმთა დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს ადარბადაგანის ათაბაგ აბუბაქარის სარდლობით.

თამარმა ანტონ ჭყონდიდელს დაავალა: „ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მხედრობა და კუალად მოემცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საჴმარი გლახაკთათჳს, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ღმერთი, ნუ სადა თქუან წარმართთა: სადა არს ღმერთი იგი მათი“.

მეფეთ მეფემ დალოცა ლაშქარი, „წარუძღუანა ძელი ცხორებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი“. თვითონ კი „შიშულითა ფერჴითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობელისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად“.

უთანასწორო ბრძოლა ციხე-ქალაქ შამქორთან, სადაც თურქნი ბევრად აღემატებოდნენ ქართველთა ლაშქარს, ქრისტიანთა გამარჯვებით დამთავრდა. წმიდა შალვა ახალციხელმა (ხს. 17 ივნისს) სეფე დროშა მოსტაცა აგარიანებს. შემდგომ თამარმა ეს დროშა ძვირფას თვლებთან ერთად ხახულის ღვთისმშობელს შესწირა.

საქართველოს გაძლიერებამ შიშის ზარი დასცა თურქებს. რუმ-იკონიის სულთანმა რუქნადინმა იკისრა საქრისტიანოზე გამოლაშქრება. „არა დაუტევა თვინიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამჴედრნა“.

რუქნადინმა ჯარი ბასიანის ახლომახლო დააბანაკა, თამარს კი მოციქული გამოუგზავნა და, ჯარის სიმრავლით გათავხედებულმა, ისიც კი იკადრა: სჯულის გამოცვლის საფასურად ცოლობა შესთავაზა, ხოლო თუ თამარი ქრისტიანად დარჩებოდა, მაშინ სულთანი მას ხარჭად დასმით ემუქრებოდა.

თამარის ბრძანებით, რუქნადინის გამოგზავნილ ელჩს წერილი გაატანეს სულთანთან. „...შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმრთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა

მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ... იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი!" — წერდა წმიდა მეფე ბილწ სულთანს.

თამარმა ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა მხედრობა, შემდეგ ფეხშიშველი წარუძღვა წინ, დალოცა და „ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი". ბასიანთან ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. ამ ომში ქართველთა გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სრულიად საქრისტიანოსთვის.

ამგვარმა გამარჯვებებმა მეფე კიდევ უფრო მეტად ღვთისმოსავი გახადა. დღისით იგი, სამეფო ბრწყინვალებით მოსილი, ბრძნულად განაგებდა საქვეყნო საქმეებს, ღამე კი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და ცრემლმდინარე ევედრებოდა უფალს საქრისტიანოს გაძლიერებას, ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა და თავის ნამუშაკევს გლახაკებს უნაწილებდა.

ერთხელ ლოცვით და ხელსაქმით დაღლილ თამარს ჩასთვლიმა და ჩვენება იხილა: ლამაზ სახლში შევიდა, თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს ტახტი ნახა, იფიქრა: „მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უზენაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომი", — და გაემართა, რათა დამჯდარიყო. უცებ ნათლით მოსილმა კაცმა შეაჩერა და უთხრა: „შენი არა არს საჯდომი ისი, რამეთუ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად მისა". გაოცებულმა თამარმა იკითხა: „ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი?" მან უპასუხა: „საყდარი ისი შენისა მოჯალაბისა არს, ამისთვის რომელ ათორმეტთა მღდელთა მისთა ჴელთა შესთული ჰმოსიეს, რაჟამს წარდგენ შესაძრწუნებელსა და საშინელსა ტრაპეზსა შეწირვად უსისხლოსა და პატიოსნისა მსხუერპლისა. ამისთჳს იგი უზეშთაეს შენსა არს, დაღაცათუ შენ მეფე ხარ, კმა არს შენდა დიდება ესე, დაღათუ საყოფელი შენი აქვე არს", — და უჩვენა სხვა ადგილი. თამარმა საკუთარი ხელით დაიწყო რთვა და ქსოვა და თორმეტი მღვდელი შემოსა.

ისტორიამ შემოგვინახა ამაღელვებელი ამბავი წმიდა მეფის ცხოვრებიდან. ერთხელ, თურმე, თამარ მეფე სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გელათში და ლალებს იმაგრებდა სამეფო შესამოსელზე, როცა მოვიდნენ და უთხრეს, მონასტრის კოშკის კარებთან მდგომი მათხოვარი ითხოვს წყალობასო, მეფემ ბრძანა, დაეცადა მათხოვარს. როცა პალატიდან გავიდა და წყალობის გაცემა ინება, მათხოვარი ველარ იპოვა. შეცბუნებული მეფე საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბ-ღატაკი დედაკაცის სახით უარი უთხრა

თვით უფალ იესოს, მოიხსნა ის, რამაც დააბრკოლა და ღვთისმშობლის ხატს შესწირა.

თამარის დროს აშენდა ქალაქი ვარძია, რომლის მონასტერშიც დიდმარხვას ატარებდა ღმერთშემოსილი მეფე. ამ დროს აშენდა ფიტარეთი, ქვაბთახევი, ბეთანია... წმიდა მეფემ არა მარტო საქართველოს ეკლესია-მონასტრები გაამდიდრა, არამედ უხვად შეამკო ლავრები და სავანეები პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრინონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კონსტანტინოპოლში.

ღვთივგაბრწყინებულმა მეფემ სასტიკად აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება. გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია სათაყვანებელ მეფეს. დიდხანს მალავდა მეფე ავადმყოფობას, სხვის შეწუხებას ერიდებოდა, დღითი დღე დაუმძიმდა ჭირი და, როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდა, მხოლოდ „მაშინღა განაცხადა".

ლოცვად დადგა სრულიად საქართველო, ლიტანიობდა, ღამეს ათევდა, ცრემლით გამოსთხოვდა უფალს მზის დარი გვირგვინოსნის განკურნებას. თითოეული ქართველი საკუთარ თავს და შვილებს მიუპყრობდა უფალს და ევედრებოდა: „რათა მარტო ეს დარჩეს და ჩუენ ყოველნი მოგუსრენ".

სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარმა მეფემ დარბაზის ერი იხმო და მიმართა: „ძმანო ჩემნო და შვილნო! ... აწ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საკკრველითა. გევედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მაჴსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკკდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ, რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხუენით ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი". შემდეგ უკანასკნელად შეავლო თვალი ერთგულ ქვეშევრდომებს, გადაისახა პირჯვარი, თქვა: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულთა და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა".

დღემდე საიდუმლოებითაა მოცული თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელი. ზოგიერთი ისტორიული წყარო წმიდა მეფის საძვალედ გელათს ასახელებს, ზოგიც — იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.

წმიდა ზოსიმე ეპისკოპოსი კუმურდოელი (XVI)
1 (14) მაისი

წმიდა ზოსიმე II, კუმურდოელი ეპისკოპოსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XV ს-ის ბოლოსა და XVI ს-ის შუა წლებში. მისი საერო სახელი იყო ზებედე, რომელიც აღზარდა ქართლის მეფე გიორგი VIII–ის (1446–1466) ასულმა ქეთევანმა.

1515 წელს ზებედე ბერად აღკვეცილა. ამავე წელს ვარაუდობენ მის ეპისკოპოსად ხელდასხმასაც. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს კუმურდოს ტაძრის მინაშენზე არსებული წარწერა: „ზოსიმე კუმურდოელსა შეუნდოს ღმერთმან ამინ.“

ეპარქიაში სამღვდელმთავრო, საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი მოღვაწეობის გარდა, აღსანიშნავია წმიდა ზოსიმეს უდიდესი ღვაწლი იერუსალიმის წმიდა მიწაზე. როგორც ცნობილია, XV– XVI სს მიჯნაზე განსაკუთრებულად იყო გამწვავებული ბრძოლა გოლგოთის გარშემო, ისტორია მოგვითხრობს, თუ რა დიდი ჯაფა გადახდათ ქართველებს იერუსალიმის წმიდა მიწაზე მოპოვებული უფლებების დასაცავად. სწორედ ამ დროს ჩასულა იერუსალიმში წმიდა ზოსიმე და თავისი წვლილი შეუტანია კათოლიკებისაგან გოლგოთის გამოხსნის საქმეში, რის გამოც მის სახელზე ორი სამუდამო კანდელი დაუკიდიათ გოლგოთასა და ჯვრის ტაძარში.

აღნიშვნის ღირსია, რომ XV ს–დან კუმურდოელ მღვდელმთავართა სახელები მოიხსენიება ერთგულების წიგნში. კუმურდოს საეპისკოპოსო საყდარი ყოველთვის იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთიანობის იდეის დამცველი და ქვეყანაში სარწმუნოებრივ–ეროვნული ცნობიერების ქვაკუთხედი.

წმიდა ზოსიმე კუმურდოელის კანონიზაცია მოხდა 2002 წლის 17 ოქტომბერს, კუმურდოს უძველესი საეპისკოპოსო კათედრის აღდგენასთან ერთად.

წმიდა მამაი კათოლიკოსი (+744)
3 (16) მაისი

წმიდა მამაი კათოლიკოსი (+744) საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტზე იჯდა 731-744 წლებში.

ბიოგრაფიული ცნობები წმიდა მამაი კათოლიკოსის შესახებ არ შემონახულა, სავარაუდოდ, წმიდანი დიდგვაროვანთა წრიდან უნდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებას, წმიდა მამაი საოცრად ღრმა სულიერებისა და განათლების მქონე პიროვნება იქნებოდა.

წმიდა მამაი კათოლიკოსი მოხსენიებულია ზედაზნელ მამათა სიაში. „ზედაძენს დაჯდა მამაი [ოცდა]გ წელს, მცხეთის კათალიკოსად დაჯდა ათოთხმეტ წელ". როგორც ჩანს, ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი გამორჩეული სულიერებისა და მოღვაწეობისათვის საქართველოს კათოლიკოსად აურჩევიათ.

ღირსნი მამანი მიქაელ და არსენ ქართველნი (IX)
3 (16) მაისი

ღირსნი მამანი მიქაელ და არსენ ქართველნი — ულუმბოელნი, იერუსალიმის პატრიარქის, სერგის (843-859), თანამედროვენი იყვნენ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები მოიხსენიებს „წმიდათა მამათა ჩუენთა მიქაელ და არსენს, რომელთა აღაშენეს ულუმბოჲ". როგორც ჩანს, არსენს და მიქაელს ჩაუყრიათ საფუძველი ქართველთა ბერმონაზვნობისთვის ულუმბოზე.

პავლე ინგოროყვას ვარაუდით, ერთ-ერთი მოხსენიებული პირი — არსენი არის წმიდა გრიგოლ ხანძთელის მონაფე, „კაცი შუენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სიბრძნითა, შვილი დიდებულთა აზნაურთა, ტომი დიდისა ეფრემ მაწყუერელ ეპისკოპოსისა". იგი ხანძთიდან ეწვია პალესტინას, სადაც მაკარი ლეთეთელთან ერთად მოღვაწეობდა, შემდეგ კი მცირე აზიაში გადავიდა და ულუმბოს მთაზე დასახლდა.

როცა ოცი წლის შემდეგ ღირსი ილარიონ ქართველი (ხს. 19 ნოემბერს) ჩასულა ულუმბოზე, იქ მხოლოდ სამი ქართველი დახვედრია, უეჭველია, არსენისა და მიქაელის მონაფეთაგანნი.

ორ მონაფესთან ერთად ულუმბოზე მისულ წმიდა ილარიონ ქართველს ადგილობრივი ბერები მტრულად დახვდნენ. ბერძენთა ლავრის მამასახლისმა მათი გაძევება მოინდომა, ვითარცა „კაცთა უცხოთა და უმეცართა" ელინთა ენისა, რომელთა შესახებ არ იცოდა, „კეთილად ზრახვენ ანუ მართალი სარწმუნოებაჲ უპყრიეს". ასეთი „უმშჯავრო" განზრახვისათვის ღვთისმშობელმა ყვედრებით უთხრა მამასახლისს: „ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკჳდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი?"

ამის შემდეგ ულუმბოზე ქართველები მომრავლდნენ. X საუკუნის მეორე ნახევარში აქ მოღვაწეობდა ღირსი იოანე (ხს. 12 ივლისს) და მისი შვილი — ღირსი ექვთიმე (ხს. 13 მაისს).

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანთა დასში შერაცხა ულუმბოზე ქართული მონასტრის დამაარსებელნი, ღირსნი მამანი: მიქაელი და არსენი.

ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი ათორმეტი მოწაფე (VI)
7 (20) მაისი

ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე: აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმიდელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი და შიო მღვიმელი (VI) იყვნენ ასურელი მოღვაწეები, რომლებმაც საქართველოში სამონასტრო ცხოვრება ააღორძინეს და დაამკვიდრეს.

ღირსმა იოანე ზედაზნელმა სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დატოვა მაცდური წუთისოფელი, მონაზვნად აღიკვეცა და უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ. მისი სიმდაბლე, მარხვა და მღვიძარება, ცრემლი და ვედრება სათნოეყო უფალს და ერთგულ მსახურს მიჰმადლა სენთა კურნებისა და ეშმაკთა განსხმის ნიჭი. ღირსმა იოანემ სახელი გაითქვა წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით. მის სანახავად უამრავი ხალხი მიდიოდა, ამიტომ წმიდა მამამ საჭიროდ ჩათვალა, მოშორებოდა იქაურობას, წაიყვანა ზოგიერთი მოწაფე, აირჩია ერთი მივარდნილი ადგილი, ააშენა სენაკები და დაიწყო მოღვაწეობა.

ერთხელ ღირს იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, მოწაფეთა შორის თორმეტი ბერი აერჩია და მათთან ერთად საქართველოში წასულიყო, რათა ქრისტეს სჯული განემტკიცებინა.

წმიდა იოანემ ღვთისმშობლის ბრძანება თავის მოწაფეებს გამოუცხადა. ხანგრძლივი მარხვისა და ლოცვის შემდეგ ღვთის მინიშნებით მოწაფეთაგან თორმეტი გამოარჩია: შიო, დავითი, ანტონი, ისე, იოსები, თადეოზი, სტეფანე, ისიდორე, მიქაელი, პიროსი, ზენონი და აბიბოსი. უდაბნოში დარჩენილებს თავის ნაცვლად მოძღვრად ბერი ექვთიმე დაუტოვა, თვითონ კი ძმებთან ერთად საქართველოში წამოვიდა.

საქართველოს მეფეს და კათოლიკოსს ანგელოზისგან ეუწყათ შუამდინარეთს აღმობრწყინებულ წმიდა მამათა საქართველოში მობრძანების შესახებ. მცხეთას მოახლოებულ მამებს წინ მიეგებნენ

მეფე ფარსმანი და კათოლიკოსი ევლავიოსი კრებულითურთ.

ევლავიოს კათოლიკოსის კურთხევით წმიდა იოანე მოწაფეებთან ერთად ზედაზნის მთაზე დასახლდა, სადაც ადრე ზადენის კერპი იდგა. მოღვაწეები უბადრუკ სენაკებში ცხოვრობდნენ და მხოლოდ მცენარეულით იკვებებოდნენ.

ხალხმა გაიგო წმიდა იოანეს სასწაულები. ბევრს აღეძრა მონაზვნური ცხოვრების წრფელი სურვილი, ბევრმა დატოვა სოფლის ამაო, შფოთიანი ცხოვრება და ზედაზენს დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. ამგვარად, ზედაზნის მთა განდეგილთა სამყოფელი შეიქნა.

ერთ ღამეს წმიდა იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა საქადაგებლად. მეორე დღეს მან შეკრიბა ისინი, უამბო, რაც იხილა და უთხრა: „სარგებლისათჳს ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რამეთუ ახალ ნერგ არიან კაცნი ესე ამის სოფლისანი, ამისათჳსცა ჯერ არს, რაჲთა წარხჳდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებიეს ქრისტე, უფალი ჩუენი“.

მოწაფეების გასტუმრების შემდეგ წმიდა იოანე ზედაზენზე დარჩა, დატოვა თავისთან ილია დიაკონი (ხს. 4 იანვარს) და ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა. მოძღვარმა და მოწაფემ მრავალი წინააღმდეგობა და განსაცდელი დაითმინეს. ზედაზენი უწყლო ადგილი იყო. ილია დიაკონი ყოველდღე შორი მანძილიდან ეზიდებოდა წყალს. მოწაფის ფიცხელი შრომის შემხედვარე წმიდა იოანემ უფალს წყაროს აღმოცენება სთხოვა. სახიერმა უფალმა ისმინა ვედრება წმიდისა ბერისა და მთის მწვერვალზე მაკურნებელი წყარო აღმოცენდა.

წმიდა იოანეს ლოცვით აღმოცენებულ წყაროს დათვი შეეჩვია. წმიდა იოანეს ლოცვით მხეცი მოთვინიერდა. ამის შემდეგ ზედაზნის ტყის ბინადარი ნადირები კაცთაგან არავის ერჩოდნენ. ღირსი იოანეს ლოცვით, დიდი ხნის დავარდნილი სნეული და დამუნჯებული ადამიანი განიკურნა. წმიდა იოანე თავისთან იბარებდა მოწაფეებს, ხანაც თვითონ მიაკითხავდა ხოლმე და ამოწმებდა, სულიერების რა საზომს იყვნენ მიღწეულნი.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ წმიდა იოანეს უფლისაგან გამოეცხადა აღსასრულის მოახლოება. ღირსმა მამამ იხმო თავისი მოწაფეები, დაარიგა, აკურთხა და ანდერძად დაიბარა, დაესაფლავებინათ იმ მღვიმეში, სადაც მოღვაწეობდა.

მოძღვრის განშორებით დამწუხრებულმა მოწაფეებმა ზედაზნის ძირას მდებარე მონასტერში წაასვენეს მოძღვარი. მოულოდნელად მიწა

იძრა და არ დაწყნარებულა მანამ, სანამ არ გაიხსენეს წმიდა მამის ანდერძი და არ გულისხმაჰყვეს, რომ ეს მიწისძვრა ზეციური ნიშანი იყო. წმიდა იოანეს მოწაფენი მღვდლებისა და დიაკვნების თანხლებით მოძღვრის საფლავთან მივიდნენ, პატივით აღმოიყვანეს წმიდა ნაწილები და ანდერძისამებრ დაასაფლავეს. წმიდა ნაწილთა აღმოყვანების ჟამს მრავალი სნეული და ეშმაკეული განიკურნა.

X საუკუნეში, კათოლიკოს კლიმენტის (908-923) დროს, მღვიმის სამხრეთით წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია აშენდა. წმიდა იოანე ზედაზნელის საფლავი არის ტაძრის სამკვეთლოსთან.

წმიდა მღვდელმოწამე აბიბოსი მეფე ფარსმან VI-ის და ევლავიოს კათოლიკოსის თხოვნით ნეკრესის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელი მოგვები თავისუფლად ავრცელებდნენ თავიანთ ცრუსწავლებას და მძლავრობით მრავალს გარდადრეკდნენ ჭეშმარიტებისაგან. ერთხელ ცეცხლთაყვანისმცემელთა მზაკვრობის სამხილებლად წმიდა მღვდელმთავარმა აბიბოსმა წყალი დაასხა სამსხვერპლოზე დანთებულ ცეცხლს და ჩააქრო. განრისხებულმა სპარსელებმა წმიდა აბიბოსი შეიპყრეს და სასტიკად გვემეს, შემდეგ კი ქვებით ჩაქოლეს. მარზპანის ბრძანებით წმიდანის გვამი ღია ცის ქვეშ დააგდეს მხეცთა საჯიჯგნად, მაგრამ წმიდა მოწამის გვამს არ შეხებია არც მხეცი და არც ფრინველი.

ღამით რეხში მცხოვრები ქრისტიანები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმიდა მღვდელმოწამის ცხედარი სამთავისის მონასტერში. მოგვიანებით ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა წმიდა აბიბოსის უხრწნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენა და წმიდა ტრაპეზის ქვეშ დაფლა.

წმიდა ანტონ მარტყოფელი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, რომელიც ედესიდან ჩამოასვენა. განმარტოების მოყვარულმა წმიდა მამამ მადლმოსილი ლოცვითა და სასნაულებით მრავალი ქრისტიანი მიიზიდა. წმიდა ანტონმა თანამოსაგრეებისთვის მონასტერი ააშენა, ხოლო თვითონ ჯერ ალაზნის გაღმა წავიდა, შემდგომ კი აკრიანის მთას შეაფარა თავი. მარტომყოფელ ბერს, რომელიც ბალახებითა და ხის ქერქით იკვებებოდა, უფალმა საზრდოს მისაცემად ირმები გაუგზავნა. წმიდა ანტონმა მთის მწვერვალზე ააშენა სვეტი, დაეყუდა და იქ მოღვაწეობდა თვრამეტი წელი. ღირს მამას უფლისგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე. გარდაცვალების დროს მამა ანტონი მაცხოვრის ხატის წინ იყო დაჩოქილი და ლოცულობდა. ღირსი ანტონის გვამი მოწაფეებმა სვეტიდან ჩამოასვენეს და მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს,

ღვთისმშობლის ხატის წინ.

წმიდა დავით გარეჯელი საქართველოს ახალ დედაქალაქში, თბილისში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. ქალაქის განაპირას აღმართულ მთაზე დაყუდებულმა ბერმა თავისი საკვირველი ქადაგებითა და წმიდა ცხოვრებით მრავალი ადამიანი მიიზიდა და ბევრი ცეცხლთაყვანისმცემელი მოაქცია. განრისხებულმა მოგვებმა ფეხმძიმე როსკიპი დედაკაცი მოისყიდეს და მამა დავითს მასთან მრუშობა დასწამეს. წმიდანმა კვერთხი შეახო დედაკაცის მუცელს და წარმოთქვა: „შენ, ჩვილო, გიბრძანებ სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რათა გვაუწყო ჩვენ, ვარ თუ არა მე მამა შენი". ჩვილმა დედის მუცლიდან უპასუხა წმიდანს და სხვაზე მიანიშნა. განრისხებულმა ხალხმა დედაკაცი ქვებით ჩაქოლა. შეძრწუნებულმა დავითმა, რომელმაც გამძვინვარებული ბრბო ვერ შეაჩერა, მდინარე მტკვარზე გაფინა მოსასხამი, თავის მოწაფესთან, წმიდა ლუკიანესთან, ერთად ზედ შედგა და, მიუხედავად თბილისელების მხურვალე ვედრებისა, ქალაქი დატოვა.

მამა დავითი და ლუკიანე გარეჯის უდაბნოში დასახლდნენ. მოსაგრეებს უფალმა საზრდელი სასწაულებრივ გაუჩინა — მათთან ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, ირმები მიდიოდნენ, ლუკიანე წველიდა, მამა დავითი რძეს ჯვარს გადასახავდა და იგი ყველად იქცეოდა. გარეჯელ მამათა სასწაულები მთელმა ქვეყანამ გაიგო და მალე აქ „დაემკვიდრნეს სიმრავლენი მამაკაცთანი, უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემატკბობელნი".

ნინოწმიდიდან ღირს დავითთან მივიდა სათნოებით შემკული ბერი დოდო (ხს. ამაღლების შემდგომ ოთხშაბათს), რომელმაც მოძღვრის ბრძანებით კლდის რქაზე ააშენა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ღირსი დავითი იერუსალიმის მოსალოცად წავიდა. ბერმა თავისი უღირსების გამო წმიდა ქალაქში შესვლა არ ინება, კარიბჭესთან დიდხანს და მხურვალედ ილოცა, შემდეგ იმ ადგილიდან აიღო სამი ქვა და სიწმიდეებად წამოიღო საქართველოში. იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს, ელიას, უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ საქართველოდან მოსულ მამა დავითს თავისი სარწმუნოებით იერუსალიმის მთელი მადლი მიჰქონდა. პატრიარქის გაგზავნილმა კაცებმა ორი ქვა გამოართვეს მამა დავითს, მესამე კი წმიდა ბერმა საქართველოში ჩამოიტანა.

ხანგრძლივი და ღვთივსათნო ცხოვრების შემდეგ აღსრულებული მამა დავითი იქვე, გარეჯის სავანეში დაკრძალეს.

წმიდა ისე წილკნელი მამა იოანეს რჩევით ევლავიოს კათოლიკოსმა წილკნის ეპისკოპოსად აკურთხა. ღირსმა მამამ „ფრიადი ურწმუნონი სწავლითა მოაქციენა, მოძღურება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თვისსა". ერთხელ ღირსმა იოანემ გადაწყვიტა, სათნოებაში და სულიერებაში გამოეცადა თავისი მოწაფეები. წმიდა ისე მდინარე ქსნის ნაპირას ჩავიდა, ჯვარი გადასახა მდინარეს, შემდეგ კვერთხი შეახო და თქვა: „სახელითა უფლისათა გიბრძანებ, ჩემ მიერ კსინვით ვიდოდე და შემომიდეგ, ვიდრეცა ვიდოდე". მდინარეს წყლის ნაკადი გამოეყო და ღირსი ისეს კვერთხს შეუდგა. ღირსმა მამამ წილკნის საყდრამდე მოიყვანა წყალი. ამ სასწაულმა მრავალი ხალხი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

წმიდა ისემ უფლისაგან წინასწარ შეიტყო ხორცთაგან განსვლის დღე, ეზიარა წმიდა საიდუმლოს და ლოცვით შეჰვედრა სული უფალს. წმიდა მამა იქვე, წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.

წმიდა იოსებ ალავერდელი განუშორებლად ატარებდა მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის ძელისგან გაკეთებულ ჯვარს. წმიდა იოანე ზედაზნელის კურთხევით იგი კახეთის სხვადასხვა ადგილას ქადაგებდა, ბოლოს ალავერდის უდაბნო აირჩია და იქ დაიწყო მოღვაწეობა. ერთხელ სრულიად მარტო მყოფი ბერი შეხვდა მონადირე დიდებულს, რომელსაც ღვთის სიტყვა უქადაგა. მამა იოსების მადლიანი სწავლებით გახარებულმა დიდებულმა საფუძველი დაუდო ალავერდის მონასტერს. ხალხმა გაიგო მოღვაწე ბერის ამბავი და იწყო სიარული, რათა ეხილა საკვირველი მამა და მოესმინა მისი სწავლება. ბევრი იქვე დარჩა. დროთა განმავლობაში მეუდაბნოეთა რიცხვი გაიზარდა და დიდი კრებული შეადგინა.

დიდი ხნის მოღვაწეობითა და შრომით მოუძლურებულმა ამბა იოსებმა მოწაფეებს წინამძღვარი დაუდგინა და ღვთივ მიისვენა. იგი დაკრძალეს მის მიერ აშენებულ ალავერდის ტაძარში. ამბა იოსების საფლავზე მრავალი სასწაული აღესრულება.

წმიდა შიო მღვიმელი სარკინეთის კლდეთა შორის მდებარე მღვიმეში მოღვაწეობდა. უდაბურ ადგილას მოღვაწე ბერი თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხა სასწაულებრივი გამოცხადებით. ღირს მამას მტრედი უზიდავდა საზრდოს. ეს ნახა სარკინეთის მთაზე სანადიროდ მყოფმა ციხედიდის მთავარმა ევაგრემ (ხს. 4 თებერვალს), მოინახულა საკვირველი ბერი და დაემონაფა მას. მალე იქაურობა მეუდაბნოე მამებმა აავსეს. წმიდა შიომ სარკინეთში სავანე დააარსა და ორი ათას ბერს მოუყარა თავი. წმიდა შიომ აღთქმა დადო, რომ დარჩენილ სიცოცხლეს მღვიმეში გაატარებდა. მღვიმე თავისსავე მონასტერში გათხარა და შიგ ჩავიდა. ღირსი შიო თხუთმეტი

წელი მოღვაწეობდა მღვიმეში.

წმიდა ისიდორე სამთავნელი მოძღვრის კურთხევით დიდხანს ქადაგებდა ქართლში. შემდეგ რეხულას აღმოსავლეთით დააარსა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის სამთავისის მონასტერი, ღირსი მამა მოწაფეებმა მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს.

წმიდა თადეოზ სტეფანწმიდელი თავდაპირველად მცხეთაში მოღვაწეობდა. მან ზედაზნის ძირას ააშენა მონასტერი. წმიდანი ქადაგებდა ქართლში, სადაც მრავალი ეკლესია ააშენა, მათ შორის, წმიდა პირველმოწამე სტეფანეს სახელობის ტაძარი ურბნისში. შემდეგ დაეყუდა წლევის მთის მღვიმეში (კასპთან). აღესრულა და დაკრძალულია იქვე.

წმიდა სტეფანე ხირსელი თანამოსაგრეებთან ერთად ქადაგებდა კახეთში. დაკრძალულია წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის ტაძარში, სამკვეთლოსთან.

წმიდა ზენონ იყალთოელი ქადაგებდა კახეთის მთიანეთში, შემდეგ იყალთოში დააარსა მონასტერი და იქ მოღვაწეობდა სიკვდილამდე. დაკრძალულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ტაძარში.

წმიდა პიროს ბრეთელმა, „ღვთაებრივმან ხატმან სინანულისამან", მდინარე ჯვარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ბრეთში, დააარსა სავანე. მისი წმიდა ნაწილები ამ მონასტერშია დაკრძალული.

წმიდა მიქაელ ულუმბოელი ქადაგებდა ზემო ქართლსა და ოსეთში. ულუმბოს ახლოს დააარსა დიდი სავანე. იქვე განისვენებენ მისი სასწაულთმოქმედი წმიდა ნაწილები.

ღირსი შიო მღვიმელი (VI)
9 (22) მაისი

ღირსი შიო მღვიმელი, ცამეტ ასურელ მამათაგანი, ანტიოქიელი იყო. მისმა მშობლებმა, ღვთისმოსავმა აზნაურებმა, მშვენიერი განათლება მისცეს ერთადერთ შვილს. თავმდაბალ, კეთილსა და ღვთისმოყვარე შიოს განსაკუთრებით უყვარდა საღმრთო წერილის კითხვა. ოცი წლის შიომ გაიგო დიდი მოღვაწის, წმიდა იოანეს (ხს. 7 მაისს) ამბავი, რომელიც თავის მოწაფეებთან ერთად უდაბნოში ცხოვრობდა და მშობლებისგან ფარულად წავიდა მის სანახავად. წმიდა იოანემ, რომელიც წინასწარჭვრეტის მადლით იყო დაჯილდოებული, სიხარულით მიიღო შიო, აკურთხა და წინასწარმეტყველურად უთხრა მოწაფეებს: „იყოს ჭაბუკი ესე შვილი ღმრთისა და მამა მრავალთა მონაზონთა, რამეთუ ღმერთსა გამოურჩევიეს“, შიოს მოწაფეთა შორის მიღებას დაჰპირდა იმ პირობით, რომ შინ დაბრუნებულს მშობლებისაგან ნებართვა აეღო.

გავიდა ხანი. შიოს მშობლები მონასტერში წავიდნენ სამოღვაწეოდ. შიომ გაყიდა საცხოვრებელი, გაათავისუფლა ყველა მონა და მამა იოანესთან წავიდა. ღირსმა იოანემ სიხარულით მიიღო შიო, აღკვეცა და უდაბნოში დარჩენის ნება დართო. ოცი წელი დაჰყო ღირსმა შიომ უდაბნოში მამა იოანესთან. უანგარო მოღვაწეობისა და მორჩილებისათვის მან კურნების ნიჭი მიიღო.

შემდეგ ღირსმა იოანემ იხილა ზეგარდამო ჩვენება, ამოერჩია მოწაფეები და ივერიაში წასულიყო ქართველთა საწმუნოების განსამტკიცებლად. იმ თორმეტ თანამოსაგრეს შორის, რომელიც თან გაიყოლა წმიდა მამამ, შიოც იყო.

საქართველოში ჩამოსული მამები ზედაზნის მთაზე დაბინავდნენ, შემდეგ კი, კათოლიკოს ევლავიოსის კურთხევით და მამა იოანეს რჩევით, სხვადასხვა კუთხეში წავიდნენ საქადაგებლად.

დაყუდებისმოყვარე შიომ თავისი სულიერი მამისაგან უდაბნოში წასვლის ნებართვა ითხოვა. მცხეთის მახლობლად, სარკინეთის კლდეებში იპოვა მღვიმე და დაიწყო მოღვაწეობა. ის ადგილი იმ დროს მიუვალი, უწყლო, მხეცებით სავსე იყო. მრავალი ნაკლულევანება და შიში გამოცადა აქ მამა შიომ, მაგრამ ყველაფერი დაითმინა და

ყველანაირ საცდურს სძლია. ღირს მამას წმიდა ელია თეზბიტელის (ხს. 20 ივლისს) მსგავსად ფრინველი უზიდავდა საზრდელს.

ერთხელ, მთელი ღამის ლოცვის შემდეგ, განთიადისას, მთელ ხევს საკვირველი ნათელი მოეფინა და წმიდა შიოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა წმიდა იოანე ნათლისმცემელთან ერთად. ყოვლადწმიდა ქალწულმა განსაცდელთა შინა გაძლიერება აღუთქვა წმიდა ბერს და საზრდოდ თოვლის მსგავსი რამ მისცა. შემდგომ ამისა ღირსი შიო მეტი გულმოდგინებით მოღვაწეობდა იმ ხევში მარტოდმარტო.

ერთხელ სარკინეთის მთებში სანადიროდ წავიდა ფარსმან მეფის სპასპეტი, ციხედიდის მთავარი ევაგრე (ხს. 4 თებერვალს), აქ მან ღირსი მამა გაიცნო და მასთან დარჩა სამოღვაწეოდ. გამოჩენილი სპასპეტის უდაბნოში წასვლა მალე მთელმა ქვეყანამ გაიგო. ღირს შიოსთან და ევაგრესთან მრავალი მლოცველი მიდიოდა. ბევრმა მათგანმა ღირს ევაგრეს მიბაძა და უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა. ღირსი შიო ლოცვად დადგა და ღმერთს შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის ეკლესიის ასაშენებელი ადგილი. წმიდანმა საცეცხლურის ნაცვლად ხელის გულით აკმია საკმეველი. ცეცხლმა ხელი არ დასწვა. წმიდანი საკმევლის კვალს გაჰყვა და იქ, სადაც კვამლმა პირდაპირ ცისკენ აიწია, თავისი კვერთხით ეკლესიის ადგილი დასახა.

როცა ფარსმან მეფემ ევაგრეს ბერად შედგომა გაიგო, თვითონ წაბრძანდა შიოს უდაბნოში. მეფემ ისეთი საკვირველი ღვთისმოსაობა იხილა წმიდანის სახეზე, რომ გვირგვინი მოიხადა და მის წინაშე დაიჩოქა. მამა შიომ მოწიწებით აკურთხა მეფე, წამოაყენა და თავისი ხელით დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი. მეფის მხლებლებმაც თაყვანი სცეს მამა შიოს და მისგან კურთხევა მიიღეს. მათ შორის იყო ერთი დიდებული, რომელსაც მარჯვენა თვალი ისრისაგან ჰქონდა დაზიანებული. მან მუხლი მოიყარა შიოს წინ, შეახო თვალი მის ფეხს და განიკურნა.

ფარსმან მეფემ ღირს მამას ჰკითხა, თუ რა სჭირდებოდა უდაბნოსთვის. წმიდა შიომ უპასუხა: „უფალო მეფე! გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს, ჰყავ". მეფემ უდაბნოში ეკლესიის ასაშენებელად დიდძალი საფასე, ოთხი დაბა, ბარძიმ-ფეშხუმი, ოქროს ჯვარი და მშვენივრად შემკობილი მეფე ვახტანგ გორგასლისეული სახარება შესწირა.

როცა ეკლესიის მშენებლობა დაასრულეს, ფარსმან მეფე უდაბნოში კათოლიკოსსა და ეპისკოპოსებთან ერთად ჩაბრძანდა. მივიდა თვით წმიდა იოანე ზედაზნელიც და ახლად აგებული ტაძარი აკურთხეს.

შემდგომ ამისა, მეუდაბნოე ძმათა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია.

უდაბნოში სასწაულთმოქმედი განდეგილის სანახავად და მისგან კურთხევისა და კურნების მისაღებად მრავალი ადამიანი მიდიოდა.

წმიდა შიო მრავალ სასწაულს იქმოდა. ერთხელ მონასტრის სახედრებს მგელი შეეჩვია და ბევრი მათგანი დაგლიჯა. წმიდა შიომ ილოცა და უფლისგან შემწეობა ითხოვა. ამის შემდეგ წმიდანის ლოცვით მტაცებელი მხეცი ძაღლივით შინაური გახდა და ერთგულად მწყემსავდა სახედრებს.

ერთხელ წმიდა იოანე ზედაზნელმა იხმო თავისი მონაფეები და უბრძანა, ეჩვენებინათ, სულიერების თუ რა საზომს მიაღწიეს. წმიდა შიომ ხელისგულზე დაიდო ნაკვერცხალი და საკმეველი დააყარა. სასწაულის მხილველი ხალხი გაკვირვებული ადიდებდა უფალს.

წმიდა შიომ თავისი სულიერი მამის, იოანე ზედაზნელის ლოცვა-კურთხევით შეკრიბა მონაფეები, მისცა მათ წესი, დაუნიშნა წინამძღვრად ღირსი ევაგრე და მის მიერვე გათხრილ მღვიმეში განმარტოვდა.

ღირსი შიო თხუთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მღვიმეში მარხვითა და ლოცვით. ბოლოს, ღვთისგან სიკვდილის მოახლოების გამოცხადების შემდეგ, მიიღო წმიდა ზიარება, ხელები აღაპყრო და მშვიდად ჩააბარა უფალს სული სიტყვებით: „ჰოჲ, უფალო! ხელთა შენთა შეევედრებ სულსა ჩემსა“.

ნეტარი ქრისტესია, ქრისტეფორედ წოდებული(+1771) 11(24) მაისი

წმიდა ქრისტესია დაიბადა დაახ. 1690 წელს სამეგრელოში. ბავშვობიდანვე შრომის, მორჩილებისა და მოწყალების სათნოებებით შემკული ქრისტესია მისი სახელის შესაბამისად ცდილობდა, ქრისტე ღმერთისთვის სათნო ყოფილიყო მისი ცხოვრება. ქრისტესიას სიყრმიდანვე ღვთისმსახურებისა და განდეგილობის სურვილი ჰქონდა, მაგრამ გლეხის ოჯახში გაზრდილმა ყმაწვილმა ბატონის ბრძანებით ცოლი მოიყვანა და ვაჟიც შეეძინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქრისტესიას ცოლ-შვილი დაეღუპა. ბატონს მეორეჯერ უნდოდა მისი დაქორწინება, მაგრამ ნეტარმა ყურად არ იღო ბატონის მოწოდება, წავიდა მოძღვართან, თავისი გასაჭირი უამბო და რჩევა სთხოვა. მოძღვარმა ურჩია, დაეტოვებინა მაცდური წუთისოფელი და გარეჯის უდაბნოს შეჰკედლებოდა. სულიერი მოძღვრის სიტყვებით ფრთაშესხმულმა ქრისტესიამ დატოვა ყველაფერი და გარეჯში, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში დაეყუდა. წმიდა მამამ მრავალი წელი გაატარა მორჩილებაში: წყალსა და ფიჩხს ეზიდებოდა მონასტერში.

ქრისტესია მოხუცებული იყო, როცა მონაზვნად აღიკვეცა. მას უწოდეს ქრისტეფორე. განდეგილობაში მისი ცხოვრების წესი ასეთი იყო: უდაბნოდან შვიდი კილომეტრის დაშორებით იდგა ჭური, რომელსაც ყოველდღე ავსებდა წყლით. იქვე ქოხი ჰქონდა. მის ზღურბლზე პატარა ჩარექა იყო ჩამოკიდებული. ჩარექა შორიდან ჩანდა და მოგზაურნი ქრისტესია ბერის ჭურთან იკლავდნენ წყურვილს. ნეტარ მამას იქვე პატარა ბოსტანი ჰქონდა გაშენებული მგზავრებისათვის.

წმიდა ქრისტესია როგორც კი გაიგებდა სადმე ჩხუბის ან სიძულვილის ამბავს, წავიდოდა მოშუღლეებთან და ტკბილი სიტყვებით შერიგებისკენ მოუწოდებდა: „შვილნო, უკეთუ არა ისმენთ ჩემსა, რომელიცა თქვენის მიზეზით მოვედი აქა, წარვალ მწუხარებით სავსე და განიხარებს ეშმაკი იგი, რომელსა არა ნებავს მშვიდობა კაცთა და მოაწევს უაღრესსა განსაცდელსა თქვენ ზედა და ვითარცა მოველ მშიერ, მშიერივე წარვალ თქვენგან“. მისი მადლმოსილი ქცევა და სიტყვები გულს უთბობდა მოჩხუბრებს და შერიგებას უადვილებდა.

მაისი

ერთხელ მამა ქრისტესია მწუხრის ლოცვის შემდეგ სოფელში წავიდა. წმიდა ბერი სიცხის გამო დაღამების შემდეგ გაუდგა გზას. ბნელი ღამე იყო, სიარული შეუძლებელი გახდა. წმიდა ქრისტესია გაჩერდა და ილოცა. მოულოდნელად მას გამოუჩნდა რაღაც მანათობელი, რომელიც გზას უნათებდა. შეშინებულმა ბერმა ნაბიჯი ვერ გადადგა, ლოცვით შეევედრა უფალს, განსაცდელი აერიდებინა მისთვის, შემდეგ პირჯვარი გადაისახა და გზას გაუყვა. მანათობელი წინ მიუძღოდა. ასე იარა მთელი ღამე, სანამ არ მიაღწია სოფელ სართიჭალას.

მისი სენაკი ვიწრო და უბადრუკი იყო. საწოლად ერთი ფიცრისგან შეკრული ტახტი ჰქონდა, საგებლად — ცხვრის ტყავი, რომელიც წელამდე ძლივს წვდებოდა, სასთუმლად ქვა ედო, ტანზე ემოსა ცხვრის დაბებკილი ტყავის სამოსი, ფეხთ ქალამანი ეცვა. თუ ვინმე ტანსაცმელს მოუკითხავდა, მაშინვე გლახაკებს მისცემდა, „თავის თავისათვის არარას ზრუნვიდა, საწუთოსათვის და ამაოსა, არამედ ყოველსავე იუნჯებდა მერმისსა მის საუკუნოისათვის“.

ოთხმოც წელს გადაცილებული წმიდა ქრისტესია, ქრისტეფორედ წოდებული, აღესრულა მონასტერში, თავის სენაკში (+1771). დასაფლავებულია ეკლესიის წინ, მამათა სასაფლაოზე.

ღირსი ექვთიმე მთაწმიდელი (+1028)
13 (26) მაისი

ღირსი ექვთიმე მთაწმიდელი დაიბადა X-ს-ის სამოციან წლებში. საოცრად და განსაკუთრებულად დაიწყო წმიდანის ცხოვრება: მამამისი, წმიდა იოანე მთაწმიდელი, ერისკაცობაში საქართველოს მეფის, დავით კურაპალატის, მხედართმთავარი იყო. წმიდა იოანემ დატოვა ოჯახი, ცოლ-შვილი, ნათესავები, სასახლის კარის ბრწყინვალე ცხოვრება, რადგან ჰქონდა „ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისაჲ გულსა მისსა მძაფრად აღტყინებული"; ოთხთა ეკლესიის ლავრას მიაშურა და იქ მოღვაწე მამებისაგან მიიღო მონაზვნობის კურთხევა.

იოანეს ცოლ-შვილი მოსავლელად სიმამრმა აბუჰაბრმა და ცოლისძმებმა წაიყვანეს. იოანე საქართველოდან ულუმბოს მთაზე წავიდა და ერთ მონასტერში ჯორთა მომვლელად დადგა. ამ დროს ბერძენთა მეფემ ზემო ქვეყნები მისცა დავით კურაპალატს, სამაგიეროდ კი, ერთგულების დასამტკიცებლად, აზნაურთა შვილები მოითხოვა მძევლებად. მძევალთა შორის აღმოჩნდა იოანეს მცირეწლოვანი შვილი, ექვთიმე.

ულუმბოს მთაზე მყოფმა იოანემ გვიან გაიგო შვილის კონსტანტინოპოლში ყოფნის ამბავი, ვერ მოითმინა, ეახლა ბერძენთა მეფეს და შვილი გამოსთხოვა, სიმამრს კი წყენით უთხრა: „რაჲ არს ესე? ნუუკუე შვილ არა გესხნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თჳსთა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ! გარნა უფალმან შეგინდვენ თქუენ". იოანემ ექვთიმე ულუმბოს მთაზე წაიყვანა. ამ დროს ექვთიმეს ქართული ენა სრულიად დავიწყებული ჰქონდა.

მალე მთელ ულუმბოსა და მის შემოგარენს მოეფინა ღირსი იოანეს სახელი, მას „პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი", ამიტომ „კუალად უცხოებასაავე მიჰმართა" — თავის ძესთან და რამდენიმე მონაფესთან ერთად ათონის მთაზე წავიდა და ღირსი ათანასე დიდის (ხს. 5 ივლისს) ლავრაში დაეყუდა.

სიყრმიდანვე გადმოვიდა ექვთიმეზე სულიწმიდის მადლი: ერთხელ ყმაწვილი მძიმედ დაავადდა. მამამ შვილის გადარჩენის იმედი დაკარგა, მღვდელთან კაცი გაგზავნა და სთხოვა, მომაკვდავი ეზიარებინა,

თვითონ კი ეკლესიაში ნავიდა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ ლოცვად დაემხო.

როცა წმიდა იოანე ეკლესიიდან სენაკში შებრუნდა, მაშინვე ეცა ნელსაცხებლის საამო სურნელი და ნახა, რომ რამდენიმე წუთის წინ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ყრმა სრულიად ჯანმრთელი იჯდა. მან მამას მოუთხრო, რომ სანამ ის ეკლესიაში იყო წასული, მასთან გამოცხადდა დიდებული დედოფალი და ქართულად ჰკითხა: „რაჲ არს, რაჲ გელმის, ეფთკმე?" — „მოვკუდები, დედოფალო", — მიუგია ექვთიმეს. მაშინ დედოფალს ხელი მოუხვევია მისთვის და უთქვამს: „არარაჲ არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ჴსნილად უბნობდი". ამ სასწაულებრივი განკურნების შემდეგ ექვთიმეს ქართული „აღმოუდიოდა პირითგან, ვითარცა წყაროჲ უწმიდეს ყოველ ქართველთასა".

ღირსმა იოანემ მადლობა შესწირა უფალს და შვილს აუხსნა, რასაც ნიშნავდა ეს ჩვენება: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ იღუაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან".

წმიდა ექვთიმე სიხარულით შეუდგა მამის ბრძანების შესრულებას და მალე ყველა გააკვირვა თავისი ღვაწლით.როდესაც კეთილმორწმუნე მეფემ, დავით კურაპალატმა, წაიკითხა მთაწმიდიდან გამოგზავნილი წიგნები, სიხარულით აღივსო, ადიდა ღმერთი და ბრძანა: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა". მეფე ჟამით-ჟამამდე შეკვეთას აძლევდა ათონელ მამას.

ღირსი ექვთიმეს ცხოვრების აღმწერელი, წმიდა გიორგი მთაწმიდელი (ხს. 27 ივნისს), ორმოცდაათზე მეტ თარგმანს ჩამოთვლის და დასძენს: „ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმნა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი".

მამის გარდაცვალების შემდეგ წმიდა ექვთიმე შეიქნა წინამძღვარი ათონის ივერთა მონასტრისა, წინამძღვრობამ ექვთიმეს უკვე სხვა საქმეებიც გამოუჩინა, ამიტომ ნეტარ მამას წიგნებზე მუშაობა ძირითადად ღამით, სანთლის შუქზე უხდებოდა. იგი მოსვენების უფლებას არ აძლევდა ისედაც მკაცრი მარხვით დაუძლურებულ სხეულს.

მრავალი სასწაული ქმნა მამა ექვთიმემ: ჯერ კიდევ მაშინ, როცა მამამისი, ღირსი იოანე, ცოცხალი იყო, საბერძნეთს საშინელი გვალვა დაატყდა თავს. ოთხმა თვემ უწვიმრად გადაიარა, ხე და ვენახი გახმა,

მიწა დასკდა. მამა იოანემ შვილს უბრძანა: „წარიყვანენ ძმანი და წარვედით ეკლესიასა წმიდისა ელიაჲსსა და ღამე ათიეთ და ჟამისწირვაჲ აღასრულეთ“. წირვაზე სახარების კითხვისას ცაზე ღრუბელი გამოჩნდა, წმიდა ზიარების დაწყებისას კი — წვიმა წამოვიდა.

ფერისცვალების დღესასწაულზე ათონის მთაზე სალოცავად ასულმა ხალხმა საკუთარი თვალით იხილა ცეცხლის ალში გახვეული მამა ექვთიმე. ხალხი მუხლებზე დაემხო მის წინაშე, ექვთიმემ კი დაამშვიდა ისინი: „ნუ გეშინინ, ძმანო, რამეთუ მოხედვაჲ საღმრთოჲ იქმნა და ქრისტემან თჳსი დღესასწაული ადიდა“.

მამა ექვთიმემ თავის მონასტერში მკაცრი და სამართლიანი წესი დაადგინა, რომლის აღსრულებაც ყველასთვის სავალდებულო იყო.

ეშმაკმა ვერ აიტანა მამა ექვთიმეს და მისი მონასტრის ძმების ასეთი ღვთივსათნო მოღვაწეობა და რაოდენ საოცარია, რომ ბოროტმა ძალამ წმიდა მთაზეც კი იპოვა მისი ნების შემსრულებელი — ორჯერ მკვლელი მიუგზავნა წმიდა ექვთიმეს, მაგრამ ღვთის განგებამ დაიცვა ექვთიმეს სიცოცხლე და ორივეჯერ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

წმიდა ექვთიმემ თოთხმეტ წელიწადს უწინამძღვრა ათონის ქართველთა მონასტერს, შემდეგ კი, რადგანაც სამწერლო საქმიანობისათვის დიდი დრო სჭირდებოდა, მამის, ღირსი იოანეს, ანდერძისამებრ, წინამძღვრობა მამა გიორგის (ხს. 28 ივლისს) გადააბარა, ხოლო თვითონ სენაკში ჩაიკეტა, რათა მთლიანად თარგმნისათვის მიეყო ხელი.

იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ, რომელსაც „დიდი სარწმუნოებაჲ და სიყუარული ჰქონდა მისა მიმართ ღირსებისა მისისათჳს“, წმიდა ექვთიმე სამეფო კარზე დაიბარა; ღირსმა მამამ ძმები შეკრიბა, ტრაპეზი განუმზადა და სთხოვა, ელოცათ მისთვის; შემდეგ თავის მეგობართან, თეოფანე ხუცესთან წავიდა, რომელთანაც სიყრმიდან იყო შეზრდილი. დამშვიდობებისას თეოფანე ხუცესი მოეხვია წმიდა ექვთიმეს და ტირილით უთხრა: „ვაჲმე უბადრუკსა, რამეთუ არღარა ოდეს გიხილო შენ ხორციელად, ჰოჲ, წმიდაო მამაო!“ ღირსმა ექვთიმემ დაუდასტურა წინასწართქმული.

იმპერატორმა დიდი პატივით ისტუმრა ღირსი მამა. წმიდა იოანე ღვთისმეტყველის (ხს. 8 მაისს) დღესასწაულის შემდეგ მამა ექვთიმემ მხატვართან მიბარებული ხატის სანახავად წასვლა გადაწყვიტა. მას ახლად ნაყიდი ჯორი შეუკაზმეს. გზაზე შავით შემოსილი გლახაკი გადაუდგა და მოწყალება სთხოვა. ღირსმა მამამ ჯიბეში ჩაიყო ხელი, მაგრამ ჩამოძონძილი გლახაკის დანახვაზე ჯორი შეშინდა, აიწყვიტა და წმიდანი ძირს ჩამოაგდო.

მომაკვდავ მამა ექვთიმეს მთელი საბერძნეთი დასტიროდა.

ლოცვით და ღმრთის დიდებისმეტყველებით აღესრულა წმიდა ექვთიმე და „წარვიდა წინაშე ღმრთისა ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა, ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღმერთსა“ (+1028).

წმიდა ექვთიმე ათონის მთაზე დაკრძალეს „სამარხოსა ლუსკუმასა ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“.

წმიდა ღირსმოწამენი, ათონის ივერთა მონასტერში ლათინთაგან მოწყვეტილნი (XIII)
13 (26) მაისი

ათონზე ლათინთაგან მოწყვეტილი წმიდა მამების ხსენების აღნიშვნა წმიდა ათონის მთიდან დაიწყო და შემდგომ თანდათან დამკვიდრდა სხვადასხვა ადგილობრივ ეკლესიაში.

როგორც ცნობილია, ქართველი ბერები ათონის მთაზე X საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყებენ დასახლებას და სულ მალე იქ ჩამოყალიბდა ივერონად წოდებული ერთ-ერთი უდიდესი მონასტერი.

ათონის წმიდა მთას ხშირად თავს ესხმოდნენ და არბევდნენ გარეშე მტრები, XIII საუკუნეში კი იგი ჯვაროსანთა სათარეშო ასპარეზად იქცა. პაპისტმა მხედრებმა 1259-1306 წლებში რამდენჯერმე მოაოხრეს იქაურობა. მართლმადიდებლური მრწამსის ერთგულებისათვის მხეცურად ამოწყვიტეს ზოგრაფის, ვათოპედის, პროტატის და სხვა სავანეთა ბერები... მათ რისხვას ვერც ივერთა მონასტერი გადაურჩა.

ამ დროს ათონის ქართველთა მონასტერში ერთად მოღვაწეობდნენ ქართველი და ბერძენი მამები და საქართველოდან ივერონში მრავლად მიდიოდა ქართველ ბერმონაზონთა ახალი თაობა.

მხედრებმა ივერონელ ბერებს კათოლიკური სარწმუნოების მიღება და პაპის უზენაესობის აღიარება მოსთხოვეს, მამებმა მხნედ ამხილეს მათი ცთომილება და მომხდურები ერესის ქადაგებისთვის ანათემას გადასცეს.

როგორც ათონური პატერიკი გვაუწყებს, პაპისტებმა ივერონელი მამები ძალით გამოყარეს სავანიდან, მათგან უხუცესნი — ორასამდე ბერი — მონასტრის გემზე დასხეს და ზღვაში ჩაძირეს, უფრო ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ბერები კი, რომელთა უმეტესობაც ქართველი იყო, სამონასტრო ქონებასთან ერთად იტალიაში გაგზავნეს და იუდეველებს მიჰყიდეს მონებად.

ეს ამბავი ივერთა ლავრაში, ერთი ცნობით, 1259 წელს მომხდარა, სხვა წყაროების მოწმობით კი — სავარაუდოდ, 1276-1280 წლებში.

წმიდა მოწამენი: დავითი და ტარიჭანი (+693)
18 (31) მაისი

წმიდა დავითი და ტარიჭანი (+693) ერისთავთა ცნობილი გვარის წარმომადგენლები იყვნენ. ქართველ მეფეთა კარზე დაახლოებული და დანათესავებული მათი მშობლები, ვარდანი და თაგინე, ღვთისმოშიშებით ზრდიდნენ ვაჟიშვილებს. ვარდან ერისთავი დავითისა და ტარიჭანის სირყმეში გარდაიცვალა. მისი მამული მძლავრებით მიიტაცა თაგინეს წარმართმა ძმამ, თევდოსიმ, თან გადაწყვიტა, წმიდა ოჯახი უსჯულოებისაკენ მიედრიკა: „დაუტევეთ შჯული ეგე ჯუარცმულისაჲ და იპყარით შჯული ჩემი შენ და შვილთა შენთა და იყვნენ ყრმანი ეგე შვილად ჩემდა და მე გავზარდნე იგინი შუებითა და სიხარულითა დიდითა“. თაგინე მტკიცედ აღუდგა წინ ძმის ბოროტ განზრახვას: „სამკვიდრებელი ესე შვილთა ჩემთაჲ და ყოველი მონაგები მამისა მათისაჲ კმა ეყავნ შენდა, ხოლო საფასე იგი გამოუპარველი და სამკჳდრებელი მიუღებელი მამისა მიერ ზეცათაჲსა და ღმრთისაჲ ვერ შემიძლოთ“.

როდესაც დის შეუპოვრობა იხილა, უკეთურმა თევდოსიმ ჩუმად იხმო დისწულნი, ამბორს-უყო მათ, კეთილად ისტუმრა და უთხრა: „თქუენ აწ შვილნი ჩემნი ხართ, დღეს მე ვითარცა მამაჲ თქუენი და აწ ჩემიცა თქუენი არს. ესე ხოლო ყავთ ჩემდა მომართ და რომელი გრქუა თქუენ, ისმინოთ ჩემი, ვითარცა შვილთა მორჩილთა საყუარელთა. შჯული ეგე, რომელი ეპყრა მამასა თქუენსა, განუტევეთ და მე უკეთესი შჯული მოგცე თქუენ“. წმიდა ყრმებმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ მტკიცედ მიუგეს ბიძას: „ჩუენდა კმა-არს შჯული იგი, რომელი ეპყრა მამასა ჩუენსა და ვჰგიეთ მას, ვიდრე სული ესე იყოს-ღა ხორცთა შინა ჩუენთა. ხოლო სიყუარულისათჳს და მოთმინებისა ღმრთისა სხუად თჳნიერ შჯულისა დატევებისა, განმზადებულ ვართ, ვითარცა მამისა ჩუენისა“.

განრისხებულმა თევდოსიმ ქრისტიანების შიშით ვერ გაბედა ყრმათა მოკვლა, მშვიდობით გაუშვა, გულში კი მათი მალულად მოკვდინება გადაწყვიტა.

თაგინემ იგრძნო მოსალოდნელი უბედურება და შვილებთან ერთად

ტაოში გადავიდა, ნათესავთან.

თევდოსის მრისხანება და სიძულვილი უღრღნიდა გულს. მან მსტოვრები გაგზავნა, გაიგო, რომ ძმები მაღალ მთაზე აძოვებდნენ ცხვარს, წაიყვანა მეომრები და ტყეში ჩაუსაფრდა წმიდანებს.

მთის წვერზე მოთამაშე ძმებმა ხმაური გაიგონეს, შემდგომ შეიარაღებული მეომრები იხილეს და შიშის ზარი დაეცათ. ნეტარმა დავითმა ბიძა იცნო და სიხარულით გაექანა მისკენ. უკეთურმა თევდოსიმ ამბორისყოფის წილ მახვილი უგმირა დისწულს და მოკლა. „პოვა მან მსწრაფლ გზაჲ ზეცისაჲ და მოიგო გვირგვინი იგი მოწამებისა". წმიდა მოწამის ხელიდან გავარდნილი კომბალი მიწაზე დაეცა და უზარმაზარ ხედ იქცა. ორასი წლის შემდეგ მლოცველებმა ის ხე წმიდა ნაწილებად დაინაწილეს.

ტარიჭანი სოფელ დივრისაკენ გაიქცა, მაგრამ მდევრები დაეწივნენ და ისიც მოკლეს. სოფლის მცხოვრებლებმა, რომლებმაც მათკენ მომავალი და შემდეგ უკან გაბრუნებული მეომართა ჯგუფი იხილეს, მივიდნენ იმ ადგილას, საიდანაც მეომრები უკუიქცნენ და ნახეს მოკლული ყრმა.

ტარიჭანის მკვლელნი დაბრუნდნენ მთაზე და იხილეს დაბრმავებული თევდოსი. მეომრები გაკვირვებამ შეიპყრო. ვერც ხმა ამოიღეს და ვერც ის ადგილი დატოვეს, სადაც ეს სასწაული და სასჯელი აღსრულდა. თევდოსი ღვთის სასჯელმა მოაქცია, სინანულით აღივსო და მწარედ აქვითინდა: „არა უჯეროჲ ვქმენა, რამეთუ მოვსწყვიდენი დისწულნი ჩემნი".

თაგინემ ტირილითა და გოდებით ამხილა ძმა: „რად მიმიხუენ ნათელნი თუალთა ჩემთანი? არა კმა-იყოა გლოვად ჩემდა სიქურივე ესე ჩემი? არა კმა გეყოა სამკვიდრებელი შვილთა ჩემთა და ყოფაჲ ჩემი წყუდიადსა ამას ქუეყანისასა? ვერ კმა-გეყოა სამკვიდრებელი ქმრისა ჩემისაჲ? რად დამიბნელე მზე ჩემი ჟამსა ოდენ პირველსა დღისასა? ვიდრემდის არა დასცხერი დევნად ჩემდა? არღარა მოიხსენეა საშოჲ იგი მშობელისა შენისა და ჩემისაჲ და ძუძუნი იგი, რომელთა გამოგუზარდნეს შენ და მე? რად დამივსენ სანთელნი ესე ჩემნი, ჰოჲ, უშჯულოვო?" ხალხი მდუმარედ უსმენდა გულმკვდარ დედას და ცხარე ცრემლებით დასტიროდა უმანკო ყრმებს. სხვებთან ერთად მწარედ ტიროდა თევდოსიც.

როდესაც დედა შვილების ცხედრებს მოეფერა, თევდოსიმ თაგინეს უთხრა: „შენ ნათელი გამოგიბრწყინდა მიუწვდომელი ნათლისა მისგან წარუვალისა და ჭეშმარიტისა მისგან დაუსრულებელისა ნათლისა... ევედრე შენ წმიდათა მოწამეთა, რაჲთა ყონ ჩემთჳს წყალობაჲ, რაჲთა

არა ღირსი ესე ვიქმნე ღირს ბეჭედსა შას ქრისტეს მოწყალისა ღმრთისასა, რომელი იგი მოვიდა ცოდვილთათვის. მრწამს მე ჭეშმარიტი ღმერთი".

ამ სიტყვებზე თაგინე გონს მოეგო, მიხვდა, რომ ღმერთმა მსხვერპლად შეინირა „მშუენიერნი საკუერთხნი", შვილნი მისნი, და ძმას უთხრა: „იყავნ ღმერთი მიმტევებელ შენდა და ნუ შეგირაცხოს შენ უფალმან მოწყალემან სიკუდილი შვილთა ჩემთაჲ და დისწულთა შენთაჲ, ვითარცა იგი ოდესმე პავლეს დისწული მისი სტეფანე პირველდიაკონი და პირველმოწამე", შემდეგ უფალს შეევედრა, კურნება მიენიჭებინა თევდოსისათვის, აიღო წმიდა დავითის სისხლით გაჟღენთილი მიწა, თვალებზე სცხო ძმას და მყის აღეხილნენ თვალნი. ხალხი გაოგნებული შეჰყურებდა წმიდა მოწამე დავითის ცხედართან ქმნილ სასწაულს.

კაცთმოყვარე ღმერთმა ჯერ-იჩინა ყველასათვის ეუწყებინა ძმათა სიწმიდე და მოწამეობა — ღამით მათ ცხედრებს ნათელი დაადგა.

თევდოსიმ შენდობა სთხოვა კათოლიკოსს, ცრემლით მოინანია დისშვილების მკვლელობა, მოინათლა და ეკლესია აღაშენა მის მიერ მოკლული დავითის სახელზე. დივრის მთავარმა წაასვენა წმიდა ტარიჭანის ნაწილები და მისი სახელობის ტაძარი აღაშენა.

ღირსი ზაბულონი და სოსანა, წმიდა მოციქულთასწორი ნინოს მშობლები (IV)
20 (2.06) მაისი

წმიდა ზაბულონი და სოსანა წმიდა ნინოს მშობლები იყვნენ.

წმიდა ზაბულონი დაიბადა კაბადოკიაში დაახ. 280 წელს. წმიდა ზაბულონის მშობლები ღრმადმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. ამ დროს კაბადოკიაში მრავლად ცხოვრობნენ ქართველური ტომები. მეცნიერთა ვარაუდით, წმიდა ზაბულონი ქართველთა ტომიდან იყო. ფიქრობენ, რომ წმიდა დიდმონამე გიორგი (ხს. 10 ნოემბერს და 23 აპრილს) წმიდა ზაბულონის დისშვილი იყო. როგორც წყაროები გვამცნობენ, წმიდა გიორგის წამების დროს რომში ჩავიდა „კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონა ღვთისა, სახელით ზაბულონი" და რომის იმპერატორის არმიაში დაიწყო სამსახური, მან მალე გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერმა მხედარმა და უბადლო მეომარმა. ფრანგებთან ბრძოლის დროს „მოსცა უფალმან ძალი ზაბულონს", შეიპყრო ფრანგთა მეფე და მთავარნი და რომის იმპერატორს მიჰგვარა. იმპერატორმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ტყვეებს.

წმიდა ზაბულონის ქადაგების გავლენით სიკვდილის წინ ტყვეებმა ქრისტიანული ნათლისღება ითხოვეს. ზაბულონმა იმპერატორს სთხოვა, შეესრულებინა ტყვეთა ბოლო სურვილი. სიკვდილმისჯილებს „მისცეს ნათელი ხელსა ქვეშე ზაბულონისსა". წმიდა ზაბულონმა თავისი ნათლულების შეწყალება ითხოვა და იმპერატორმა მიჰმადლა მას მისი სულიერი შვილების სიცოცხლე.

წმიდა ზაბულონის ღვაწლით მთელი მაშინდელი საფრანგეთი ეზიარა ქრისტეს წმიდა ნათელს. IX საუკუნის უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფი წმიდა ნინოს შესხმისას წერს: „ზაბულონ მამამან მისმან ფრანგნი უკუე მოაქცივნა მახვილითა, ხოლო ნეტარმან ნინო მოაქცივნა ქართველნი, ჯვრითა ცხოველითა".

წმიდა ზაბულონი იერუსალიმში წავიდა წმიდა ადგილების მოსალოცად. იქ მან მთელი მონაგები გლახაკებს დაურიგა და იერუსალიმის პატრიარქ იუბენალთან დაიწყო მსახურება. პატრიარქმა

ფრანგთა „მამასა და ემბაზს“, „ღვთისმოშიშებითა და სიბრძნით სრულ“ ზაბულონს თავისი და, სოსანა, მიათხოვა. წმიდა ზაბულონი და სოსანა ზაბულონის სამშობლოში - კაბადოკიაში წავიდნენ. აქ მათ შეეძინათ ქალიშვილი ნინო, რომელსაც ღვთისმოშიშებითა და სიყვარულით ზრდიდნენ „მსახურებასა შინა გლახაკთასა“.

როდესაც ნინო თორმეტი წლის შეიქნა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში წავიდნენ. ზაბულონმა პატრიარქ იუბენალისგან აიღო კურთხევა და უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ, „სადა ყოფა მისი უწყის ღმერთმან“. წმიდა სოსანა — „დედა იგი წმიდა ნინოსი მისცა პატრიარქმან მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა“. წმიდა ნინოს მშობლების შესახებ ცნობა მხოლოდ ქართულმა წყაროებმა შემოგვინახეს.

1996 წლის 10 (23) დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე მიიღეს განჩინება:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!

ქართველი ერის განმანათლებლის, წმიდა ნინოს მშობლები, ზაბულონ და სოსანა, ოდეს მძლავრობდა წარმართთა სარწმუნოება და მრავალნი ეწამებოდნენ ქრისტესათვის, იყვნენ დაუფარავი აღმსარებელნი ჭეშმარიტი ღმერთისა და ნათლისმცემელ მრავალთა, შემდგომად კი, დაუტევეს რა ყოველი მონაგები, შეუდგნენ ღმერთსა, ზაბულონ — უდაბნოსა შინა, ხოლო სოსანა — გლახაკთა მსახურებასა შინა.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი განაჩინებს, რათა წმიდა ნინოს მშობლები მოციქულთა სწორის აღზრდისათვის და ღვთივსათნო მოსაგრე ცხოვრებისათვის შერაცხილ იქნენ წმიდანთა დასში და ეწოდოთ: ზაბულონს — ღირსი მამა ზაბულონი და სოსანას — ღირსი დედა სოსანა“.

ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დემეტრე, „შენ ხარ ვენახის“ მთქმელი (+1157) 23 (5.06) მაისი

ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დემეტრე, იყო წმიდა კეთილმსახური მეფის, დავით აღმაშენებლის (ხს. 26. (8.02) იანვარს), შვილი. წმიდანი დაახ. 1095 წელს დიაბადა. დემეტრეს აღზრდაზე თანაბრად ზრუნავდნენ როგორც საასულიერო, ისე საერო და სამხედრო მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. როგორც მემატიანე წერს, დემეტრე „სიბრძნით, სიწმიდით, ახოვნებითა და სიმხნეევით უმჯობეს იყო მამისა“.

1125 წელს წმიდა დავით მეფემ სიცოცხლეშივე დასვა სამეფო ტახტზე დემეტრე, „დაადგა გკრგკნი მისითა ჴელითა“ და „შეარტყა წელთა ძლიერთა მახკლი“.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მეფობისას მოიხვეჭა დემეტრემ სახელი და დიდება: 1117 წელს დავითმა იგი შირვანს გაგზავნა სალაშქროდ. ახალგაზრდა სარდალმა „ქმნნა ომნი და ბრძოლანი, რომელ ყოველნი მხედველნი მისნი განაკვრვნა“, აიღო ქალაქორის ციხე და ურიცხვი ტყვითა და ალაფით დაბრუნდა, ძლევამოსილი.

წმიდა დემეტრე მხნედ შეუდგა მამის მემკვიდრეობისა და საქართველოს საზღვრების დაცვას. დემეტრეს მეფობის დროს აღორძინდა ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, არტაანი და ტაო, რომელნიც მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო და ჰერეთ-კახეთი შემოიერთა, თითქმის უკაცრიელი იყო.

ძლევამოსილი მეფე დემეტრე ვერ გადაურჩა ბოროტის მანქანებას: დავითიანთა კეთილ ძირს მიმსგავსებული, ღვთივდანერგული და ცხებული მეფე შეთქმულებებისა და ღალატის მსხვერპლი შეიქნა. ჯერ დიდგვაროვნები აუმხედრდნენ, რომლებსაც ტახტზე მისი ნახევარძმის, ვახტანგის (ცუატას), დასმა უნდოდათ. დემეტრემ სწრაფად ჩაახშო ერთიანი საქართველოს ძლიერების საწინააღმდეგოდ მიმართული ამბოხი. შემდეგ საკუთარი ძე — დავითი აუმხედრდა მამას. საყვარელი შვილის ღალატით საოცრად გულნატკენმა კეთილმსახურმა მეფემ უმწვავესი ფორმით იგემა ამ სოფლის ამაოება, მონაზვნად აღიკვეცა დამიანეს სახელით და დავით გარეჯის უდაბნოში დაეყუდა, სამეფო ტახტი კი დავითს დაუთმო. დავითმა მხოლოდ ექვს თვეს იმეფა

და გარდაიცვალა.

ქვეყნის ინტერესების დასაცავად დემეტრე ენერგიულად ჩაერია სახელმწიფო საქმეებში, კვლავ ავიდა ტახტზე და თანამმართველად თვისი შვილი, გიორგი, გამოაცხადა.

დავით გარეჯის უდაბნოში აღკვეცილმა მეფემ შთამომავლობას ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები დაუტოვა. ჩვენამდე მოღწეული იამბიკოებიდან განსაკუთრებით ცნობილია შესხმა ღვთისმშობლისა — „შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი, ედემს შინა დანერგული, ალვა, სუნნელი სამოთხეს აღმოსული, ღმერთმან შეგამკო ვერვინა გჯობს ქებული, თვით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული". ანტონ კათოლიკოსის თქმით, დემეტრე იყო „გამომთქმელი სტიხთა მაღალ შაირთა, რომელნიც დღესაც ჩანან აღწერილად". იოანე ბატონიშვილი კი წერს, რომ „ის იყო მშვენიერი რიტორი, პიიტიკოსი და შემთხზველი უცხოთ შაირთა, რომელმანც მრავალნი სწავლანი გამოთქვა".

წმიდა დამიანეს ფრესკა მაცხვარიშის (ლატალი) ეკლესიის მხატვრობამ შემოგვინახა.

ღრმა სულიერებისა და მტკიცე ქრისტიანული რწმენის მქონე დემეტრე-დამიანემ დაასრულა და აკურთხა დიდი დავითის დაწყებული გელათის ტაძარი. მეფეყოფილი წმიდა დამიანე გარდაიცვალა ბელტის ციხეში (+1157), დაასაფლავეს გელათის მონასტერში.

ღირსი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ III-ისა (XI)
27 (9.06) მაისი

ღირსი ბასილი იყო საქართველოს მეფის, ბაგრატ III-ის შვილი. ბავშვობიდან მონაზვნური ცხოვრებისაკენ მიდრეკილმა წმიდანმა ღრმად შეისწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, ფლობდა მრავალ უცხო ენას და მისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი იყო.

წმიდა ბასილი მოღვაწეობდა ხახულის ლავრაში და იქაურ სასულიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა. იოანე ბატონიშვილი (1768-1830) „კალმასობაში" ასე ახასიათებს მას: „ბასილი ბაგრატიონი იყო საფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან კეთილი და რიტორ-მიმთხრობელი და მაღალ ფრასასა ზედა დამთხზველი, მონოზონებითა სრული და განმანათლებელი ეკლესიათა, რომელსა უწოდეს ქართველთა ეკლესიათა სამკაულად".

ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს ძველ ისტორიაში" მიმოიხილავს ბაგრატ IV-ის დროინდელ საქართველოს კულტურულ ვითარებას და სხვა საეკლესიო მოღვაწეთა გვერდით მოიხსენიებს ბასილი ბაგრატის ძეს: „მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ: ბასილი ბაგრატის ძე"...

ბასილი ბაგრატის ძის შესახებ ცნობა შემოგვინახა გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებამაც": მიიყვანა თუ არა იაკობმა ათი წლის გიორგი ხახულში, ბიძებმა — ღირსმა მამებმა: გიორგი მწერალმა და საბამ (ხს. 19 დეკემბერს) ის ლოცვა-კურთხევის მისაღებად მიჰგვარეს ხახულის მაშინდელ წინამძღვარს, ღირს მაკარის (ხს. 21 დეკემბერს) და იქაურ მოღვაწეთ: ღმერთშემოსილ ანტონის და „დიდსა მას ბასილის, ბაგრატ მესამის ძესა, რომელი-იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაჲ..."

შემდგომ ღირსი ბასილი ათონის სავანეში გადასულა და იქ დაუწერია „გალობანი წმიდისა მამისა ეფთვმესნი".

საქართველოს ეკლესიის სამკაული და განმანათლებელი ქვეყნისა ჩვენისა, წმიდა ბასილი ბაგრატიონი, ათონის წმიდა მთაზე აღესრულა ივერთა მონასტერში.

ღირსი მიქელ პარეხელი (VIII-IX)
27 (9.06) მაისი

ღირსი მიქელ პარეხელი წარმოშობით შავშელი იყო, სოფელ ნორგიალიდან. იგი მიძნაძორს აღიკვეცა მონაზვნად და იქ მოღვაწეობდა. ცნობილია, რომ ის იყო ერთ-ერთი უდიდესი ასკეტი და ამასთანავე, თავისი ქვეყნის აღორძინებისთვის მებრძოლი მამა. როცა ხანძთაში მოღვაწე ბერთა შესახებ გაიგო, იქ ჩავიდა, პარეხს დაემკვიდრა და, ღვთის მოწოდებით, კაცთაგან მიუვალ, კლდოვან ადგილას მცირე ეკვდერი და ძმათა საცხოვრისი მოაწყო. თვითონ მარტომყოფობას ეძიებდა და ღვთივსათნოდ ცხოვრობდა. მას მრავალი მოწაფე ჰყავდა, „სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა". უფალს სათნოეყო ნეტარი მამის მოღვაწეობა და მიჰმადლა მას ნიჭი „სასნაულთა და ნიშთა ქმედებისა". წმიდა მიქელმა ღვთაებრივი გამოცხადებით მიიღო ბრძანება, რომ თავისი მოწაფეები, წმიდა სერაპიონი (ხს. 5(18) ოქტომბერი) და იოანე, სამცხეში გაეგზავნა მონასტრის ასაშენებლად. ისინიც ძმებთან ერთად გაემგზავრნენ სამცხეს და ზარზმაში შესანიშნავი სავანე ააგეს.

კაცთა მოდგმის უბოროტესი მტერი — ეშმაკი ხედავდა ღირსი მიქელ პარეხელისა და მის მოწაფეთა განმრავლებით მოწევნულ სიკეთეს და წმიდა მამის უდაბნოდან გაძევებას ათასნაირი საცდურით ცდილობდა.

ერთხელ მამა მიქელი სენაკისაგან მოშორებით კლდის თავზე ლოცულობდა. ეშმაკმა ბერი სიმაღლიდან გადმოაგდო, მაგრამ უფალმა უვნებლად დაიცვა. შეშინებულმა მიქელმა მოწაფე გაგზავნა ღირს გრიგოლ ხანძთელთან (ხს. 5(18) ოქტომბერი), თავისთან იხმო და აუწყა ყოველივე. ღირსმა გრიგოლმა ნუგეში სცა ძმას, ორი ჯვარი აღმართა სენაკის მარჯვნივ და მარცხნივ და უთხრა: „ორთა ამათ ჯუართა ქრისტესთა შუა უშიშად იყავ შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა და ძალითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა. ხოლო უკუეთუ წარჰვლო, კუალად განიცადო უძჳრესად პირველისა".

ქრისტესმიერმა ძმებმა ილოცეს და ღმერთი ადიდეს. ამის შემდეგ ნეტარმა მიქელმა სრული განსვენება მიიღო, რადგან სიმდაბლით დასცა ამპარტავანი მტერი.

ღირსი მიქელი დიდხანს მოღვაწეობდა პარეხში, აღესრულა ღრმა მოხუცებულობაში, დამარხეს მის მიერ დაარსებულ სავანეში.

წმიდა ბასილი ზარზმელის (ხს. 6 (19) ოქტომბერი) გადმოცემით, ღირსი მიქელ პარეხელის ცხოვრება, მოღვაწეობა, სწავლებანი და სასწაულები მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მოწაფეებმა აღწერეს. ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოულწევია. ცნობები ღირსი მამის, მიქელ პარეხელის, შესახებ შემონახულია გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.

1 (14)—ღირსნი მამანი: შიო ახალი, დავითი, გაბრიელი
და პავლე გარეჯელნი—ლეკთაგან მოწყვეტილნი
(+1696-1700)

8 (21)—წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი),
(+1609)

9 (22)—ღირსი მამა იოანე შავთელი (XIII) (ცნობები მის
შესახებ იხილეთ 1 აპრილის საკითხავში).

12 (25) —ღირსი იოანე (თორნიკე) მთაწმიდელი,
სვინგელოზი (X)

13 (26) —წმიდა ანთიმოზ ივერიელი (+1716)

16 (29) —წმიდა ქაიხოსრო ქართველი (+1612)

17 (30) —წმიდა მოწამე შალვა ახალციხელი (+1127)

21(4.07)—წმიდა მოწამენი, საქართველოს მეფენი:
არჩილი (+644) და ლუარსაბი (+1622)

27(10.07)— ღირსი გიორგი მთაწმიდელი (+1065);
—მღვდელმოწამე კირიონ II – სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (XX)

30 (13.07)—წმიდა დინარ დედოფალი (X)

ღირსნი მამანი: შიო ახალი, დავითი, გაბრიელი და პავლე გარეჯელნი — ლეკთაგან მოწყვეტილნი (+1696-1700)
1 (14) ივნისი

ღირსი მამანი: შიო ახალი, დავითი, გაბრიელი და პავლე დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდნენ. დავით გარეჯის მონასტერი ყოველთვის მონაზონთა სიმრავლითა და მკაცრი მოღვაწეობით გამოირჩეოდა, სოფლის ამაოებას განშორებული მოღვაწენი იქ პოულობდნენ სულის სიმშვიდეს. წმიდა სავანეში ერთნაირ პირობებში ცხოვრობდნენ სიმდიდრესა და პატივს გამოქცეული და უკიდურესი სიღარიბიდან გამოსული ბერმონაზონნი.

ღირსი შიო ქართლის სოფელ ვეძისიდან იყო. მისი მშობლები, პაპუნა და თამარი, იმ მხარეში სიმდიდრით იყვნენ ცნობილნი. მათ რვა შვილი — ხუთი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავდათ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ შიოს ძმებს ჩხუბი მოუვიდათ, უშვერი სიტყვებით გალანძღეს ერთმანეთი, შემდეგ კი უფროსმა დანით მოკლა უმცროსი. ნეტარმა შიომ გადაწყვიტა, გასცლოდა მაცდურ წუთისოფელს, რომლის სიყვარულმაც, შეიძლება ძმას ძმა მოაკვლევინოს და შვილს — მამა. „აღარა მნებავს ყოფა სოფელსა ამას შინა", — გაანდო მან მოძღვარს გულისნადები. მოძღვარმა მას დავით გარეჯის მონასტერში წასვლა და მონაზვნად აღკვეცა ურჩია. ამ დროს გარეჯის წინამძღვარი იყო მამა ონოფრე მაჭუტაძე, რომელმაც მანამდეც რამდენიმეჯერ შესთავაზა ნეტარ შიოს: „მოდი, ძმაო შიო, მონასტერსა ჩემსა და აქ აღვასრულნეთ ჟამნი ჩუენნი".

მამა ონოფრემ სიხარულით მიიღო ერში პატიოსნებით და ერთგულებით ცნობილი შიო, მას ცალკე სენაკი მიუჩინა და მორჩილების წესიც დაუდგინა.

ნეტარი შიოს დაუღალავმა მოღვაწეობამ, სიმდაბლემ, ძმათა სიყვარულმა შესაბამისი ნაყოფი გამოიღო, მასთან ბევრი მიდიოდა რჩევისათვის; ხშირად იგი მონასტრის საქმეებსაც განაგებდა წინამძღვრის ლოცვა-კურთხევით.

ერთხელ წინამძღვარი მამა ონოფრე მონასტრის საქმეებზე სხვაგან წავიდა, ძმები და მონასტერი ნეტარ შიოს ჩააბარა. მწუხრის ლოცვის

და ტრაპეზის შემდეგ შრომისა და ლოცვისაგან დასვენებულ საძმოს ლეკთა მოთარეშე ბანდა დაესხა, მღვდელ-მონაზონ შიოსთან ერთად შეიპყრეს და წამებით მოკლეს ბერები: დავითი, გაბრიელი და პავლე. ხმაურზე ზოგმა მოასწრო გაქცევა და დაიმალა, უსჯულოები გაქცეულებსაც მისწვდნენ და უწყალოდ აჩეხეს ხმლებით. სისხლმა აავსო ტაძარი და სენაკები. შემდეგ ლეკებმა წამებულები გაძარცვეს, დაამტვრიეს და ცეცხლს მისცეს საეკლესიო ნივთები, სამღვდელო შესამოსელთაგან ზოგი წაიღეს, ზოგიც იქვე ჭაში ჩაყარეს, ნაჯახით დაჩეხეს წმიდა ხატები.

წმიდა მოწამეთა აჩეხილი ნაწილები წმიდა დავით გარეჯელის (ხს. 7 მაისს და ამაღლების შემდეგ ხუთშაბათს) საფლავის სამხრეთით დაკრძალეს. წმიდა შიო ახალის თავის ქალა საქართველოს საპატრიარქოშია დაცული.

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი), (+1609)
8 (21) ივნისი

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი მოღვაწეობდა XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში. ამ დროს მძიმე დღეში იყო საქართველო. ოსმალეთი და ირანი ერთმანეთს ეცილებოდნენ დაპყრობილ ტერიტორიებს. 1609 წლის დასაწყისში ოსმალეთმა იძალა სპარსეთზე, წაართვა ბაღდადი, შემდგომ მიიტაცა სამცხე-საათაბაგო და იმავე წლის ივნისში ახალციხიდან შემოესია საქართველოს.

ამ დროს საქართველოში მეფობდა ახალგაზრდა მეფე წმიდა ლუარსაბ II (ხს. 21 ივნისს). ის მცირე ამალით ცხირეთის ციხეში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა. ოსმალებმა, რომლებმაც მეფის სამყოფელი იცოდნენ, გადაწყვიტეს, უმოკლესი გზით შეჭრილიყვნენ შიდა ქართლში, ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ.

ოსმალებმა სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი, ქართლში შემოსასვლელი გზების მცველი ქართველები ამოხოცეს და მოულოდნელად მიადგნენ მანგლისს. მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესია დარბევას სასწაულებრივად გადაურჩა. მემატიანე წერს: „ესევითარმა ღრუბელმა ზრქელმა და ნისლმა დაფარა იგი, ვიდრეღა პირისპირ მისა ჩავლეს ესოდენმა სიმრავლემან მეომართამან და ეკლესია იგი სოფლითურთ ვერ იხილეს". წმიდა ლუარსაბმა არაფერი იცოდა თავდასხმის შესახებ, მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი რჩებოდა. მანგლისიდან მეფის საზაფხულო რეზიდენციამდე რამდენიმე გზა მიდიოდა. ოსმალებს ვერ გადაეწყვიტათ, რომელ გზას დასდგომოდნენ.

მანგლისის ახლოს, სოფელ კველთაში, თათრებმა შეიპყრეს მღვდელი, „სახელად თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღვთისა და ერთგული მეფისა თვისისა". მღვდელი ეკლესიას კეტავდა, სხვებთან ერთად ტყეში გაქცევა ვერ მოესწრო, რადგან ეკლესიის განძეულობა გადამალა მტრის ხელყოფისგან. თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის გაწევა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამებით სიკვდილი

ელოდა. „ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან, აღირჩია სიკვდილი, ვიდრე განცემა მეფისა და განირვა საქართველოისა“. მღვდელმა ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. უგზოზე დიდი ხნის სიარულის მერე, როცა „გზასა ძნელთა და იწროთა და კლდოვანთა და სხვათა მათსა ცხენნი მრავალნი და კაცნი შთაცვივნეს კლდეთა და კაპანთა და მოსწყდეს“, ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ. „იხილეს რა თავნი თვისნი ესრე მოცთომილნი და შეიწრებულნი, კაცთა მათ სახელოვანთა შეიპყრეს ხუცესი იგი და თავი წარკვეთეს“.წმიდა თევდორეს თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშეებს მუსრი გაავლო.

წმიდა იოანე (თორნიკე) მთაწმინდელი (X)
12 (25) ივნისი

წმიდა იოანე (ერისკაცობაში თორნიკე ერისთავი) მონაზვნად აღკვეცამდე ქართლის სპასალარი იყო. სახელოვანი და ბრძოლებში წარმატებული, უებრო რაინდი გამორჩეულად უყვარდა მეფე დავით კურაპალატს. თორნიკეს მებრძოლი სული უფრო ამაღლებულს ითხოვდა, მას მხოლოდ ზეციერი მეუფის მსახურობა უნდოდა და გადაწყვიტა საბერძნეთში წასულიყო ულუმბოს მთაზე, სადაც მისი წინამორბედი სპასალარი, იოანე მოღვაწეობდა. ულუმბოს მთაზე მისულ თორნიკეს აუწყეს, რომ ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკემ მთაწმიდას მიაშურა და „კურთხევაჲ მონაზონებისაჲ ჴელთაგან იოვანესთა მიიღო". თორნიკეს მონაზვნობის სახელი იოანე უწოდეს. ღირსი მამები წმიდა ათანასეს ლავრაში დამკვიდრდნენ.

იოანეს მიერ თორნიკეს კურთხევის შემდეგ იმდენმა ქართველმა მოიყარა თავი ათანასეს ლავრაში, რომ იოანემ, წმიდა ათანასეს კურთხევით, ქართველთათვის ცალკე ააშენა ეკლესია იოანე მახარებლის სახელზე. ეკლესიასთან ერთად ქართველებმა სენაკებიც ააგეს და „მუნ იმყოფებოდეს მრავალჟამ ვითარცა ანგელოსნი ღმრთისანი". ამ დროს საბერძნეთის მცირეწლოვან მეფეებს, ბასილის და კონსტანტინეს, აუმხედრდა სარდალი ბარდა სკლიაროსი. დედოფალმა თეოფანიამ ბრძანა: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს", წარჩინებული კაცი სევისტოფორი გაგზავნა წმიდა მთაზე და ქართველ მამებს სთხოვა: „უღმრთოჲ სკლიაროსი გაგკდგა და ჴმელით კერძო ყოველი დაიპყრა. ან ვეედრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა". იოანე-თორნიკემ შორს დაიჭირა თხოვნა: „მიჯმნიეს ერთგზის და არღარა უკუნ ვიქცე". წმიდა ათანასემ და იოანემ სთხოვეს იოანე-თორნიკეს, ხლებოდა დავით კურაპალატს და დახმარებოდა ბერძენთა მეფეს.

ხანგრძლივი მუდარის შემდეგ იოანე-თორნიკემ შეისმინა მამათა ვედრება. ბასილი და კონსტანტინე მადლიერების ნიშნად ფეხებში ჩაუვარდნენ წმიდა მამას, დედოფალმა კი უთხრა: „რაჲცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა".

იოანე-თორნიკემ ისარგებლა შემთხვევით და „მრავალფერთა საქმეთათჳს ამხილა დედოფალი". მან სიმდაბლით შეინწყნარა მხილება და უთხრა: „წმიდაო მამაო, რაჲცა მიბრძანოს მამობამან თქუენმან, თქუენსა ბრძანებასა არა გარდავჴდე, ოდენ, ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომაჲ თავს-იდევ და რომლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატის წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუწყე და ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი უღმრთოჲ სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინნეთ".

იოანე-თორნიკე საქართველოში წამოვიდა. მეფემ დიდად გაიხარა ყოფილი სპასალარის ნახვით, შეინწყნარა დედოფლის თხოვნა და დამხმარე ჯარის სარდლად თვითონ იოანე-თორნიკე დანიშნა. წმიდა მამა დიდ უარზე იდგა, მაგრამ რაკი აღარ მოეშვნენ, დასთანხმდა და ქართველთა მხედრიონს ჩაუდგა სათავეში. ღვთის შეწევნითა და თორნიკეს სარდლობით ქართველთა თორმეტათასიანმა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება აგემა ღვთისა და მეფის წინააღმდგომ სკლიაროსს და საბერძნეთიდან განდევნა.

გამარჯვების შემდეგ თორნიკემ შვებით მიაშურა ათონის მთას, „ხოლო მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორ-უყვეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან კუალად მოაქცია მშვიდობით".

იოანე-თორნიკე საოცარი მორჩილებით გამოირჩეოდა: „განთქმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაჲ თჳსი მოიკუეთა", სრულებით მიენდო მოძღვარს და ესევითარი მჴურვალებაჲ აჩუენა, რომელ, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, თჳნიერ მისისა ბრძანებისა, არცამცა სიტყუაჲ ერთი აღმოთქუა, არამედ ყოველსავე მამაჲ იოვანე განაგებნ და მისცემნ, ვითარცა ენების და სადაცა ჯერ იყვის".

სიმდაბლით, სინრფოებითა და უმანკოებით გამორჩეული მოღვაწე იოანე-თორნიკე თავის მოძღვარს, მამა იოანეს, ეუბნებოდა: „მამაო, თჳთ იცი, რომელ დიდად ცოდვილი ვარ და სიკუდილი ჩემი მოახლებულ არს და უნებელი სიწმიდისა თქუენისაჲ არა ვარ, არამედ ნებაჲ ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი". რადგან თორნიკ-ყოფილი მრავალ ომში გამარჯვებული სპასალარი იყო, გარდასულ ამბავთა მოგონება უყვარდა. მონასტრის ძმებიც ხშირად აამბობინებდნენ მას „საქმეთა საგმიროთა". წმიდა იოანემ ურჩია: „აწ დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობაჲ და ამიერითგან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა". გაბრიელ ხუცესის პირიდან არანაირი ამსოფლიური სიტყვა არ ამოდიოდა, თვინიერ საღმრთოთა და სულიერთა. წმიდა იოანე თორნიკ-ყოფილმა პატიება ითხოვა

მოძღვრისაგან და შეჰღაღადა: „რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო?“ მამა იოანემ წამოაყენა მოხუცებული და უთხრა: „უფალმან შეგინდვენ, გარნა ან ხოლო ეკრძალენ!“ არავის გაუგონია ამის შემდეგ იოანე-თორნიკეს საუბარი, მან მდუმარებითა და ღვთის სასოებით გალია ცხოვრების დარჩენილი დღეები და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

წმიდა ანთიმოზ ივერიელი (+1716)
13 (26) ივნისი

წმიდა ანთიმოზ ივერიელი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, ფლობდა მრავალ უცხო ენას: ბერძნულს, რუმინულს, ძველ სლავურს, არაბულს, თურქულს, გათვითცნობიერებული იყო თეოლოგიაში, ლიტერატურასა და ბუნებისმეტყველებაში. იგი დაჯილდოებული იყო საოცარი ნიჭით, ბრწყინვალედ ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს, განსაკუთრებით მხატვრობას, გრავირებას, მოჩუქურთმებას, ქსილოგრაფიას. ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი კალიგრაფი, დახელოვნებული ხეზე მჭრელი და ნიჭიერი მოქანდაკე. ის იყო რეფორმატორი სალიტერატურო რუმინული ენისა, ბრწყინვალე მწერალი და აღიარებული ორატორი.

ანთიმოზ ივერიელმა სიცოცხლე შესწირა მეორე სამშობლოდ ქცეული ვლახეთის გათავისუფლებას თურქთა და ფანარიოტთა უღლისაგან. ცნობები ამ საოცარი ადამიანის სიყრმისა და სიჭაბუკის შესახებ მწირადაა შემონახული. ცნობილია, რომ ის იყო სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში და დიდად ეხმარებოდა ქართული სტამბის ჩამოყალიბებაში. საქართველოში დაბრუნებული ანთიმოზი კავკასიელმა მთიელებმა შეიპყრეს და მონად გაყიდეს. ტყვეობიდან ის გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა. საპატრიარქოში ყოფნის პერიოდი ანთიმოზმა თავისი განათლებისა და ოსტატობის სრულყოფისათვის გამოიყენა. უკვე სახელგანთქმული მხატვარი, გრავიორი და კალიგრაფი დაახლოებით 1690 წელს ვლახეთის მეფის, კონსტანტინე ბრინკოვიანუს, მიწვევით ვლახეთში წავიდა. ანთიმოზი ვლახეთში ჩასვლისთანავე სათავეში ჩაუდგა სასტამბო საქმეს. ბეჭდვითმა საქმიანობამ მთელს ქვეყანაში არნახული გაქანება ჰპოვა და უმაღლეს დონეს მიაღწია.

1694 წელს ანთიმოზი დანიშნეს სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრად. მან აქ საფუძველი ჩაუყარა ახალ სტამბას. 1696 წელს სნაგოვოს სტამბაში დაიბეჭდა „ღვთისმსახურების წესი 21 მაისს, დღესა წმიდანთა განდიდებისა“. მას ხელს აწერს იპოდიაკონი მიხაილი, შემდგომში

ცნობილი პირველი ქართული სტამბის გამმართავი მიხეილ იშტვანოვიჩი.

1705 წელს ანთიმოზს, „რჩეულს ვლახეთის რჩეულ წინამძღვართა შორის“, ხელი დაასხეს რიმნიკის ეპისკოპოსად, ხოლო 1708 წელს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი წერდა: „მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მინაზე, მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმან ბრძენ ივერთა მოდგმისა. ღმერთმა იგი დააჯილდოვა სიბრძნის უშრეტი წყაროთი, რათა მას მოემოქმედებინა კეთილი საქმენი და თავისი სტამბით მოეტანა სარგებლობა ხალხისთვის ამქვეყნად“.

წმიდა ანთიმოზის უშუალო ხელმძღვანელობით ვლახეთში ოცზე მეტი ეკლესია-მონასტერი აიგო, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმიდათა“ მონასტერი ქალაქ ბუქარესტის ცენტრში. ტაძრის მთავარი შესასვლელის მუხის კარი და ქვაზე ამოტვიფრული ქართული ორნამენტები თვით ანთიმოზ ივერიელმა შეასრულა. მიტროპოლიტმა ტიპიკონიც შეუდგინა ყოველთა წმიდათა მონასტერს. ანთიმოზი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მონასტრის დამოუკიდებლობის საკითხს, სახელდობრ, მან ყოველთა წმიდათა მონასტერი ბერძნული ეკლესიისგან დამოუკიდებლად გამოაცხადა.

მიტროპოლიტად დადგინების დღიდან წმიდა ანთიმოზმა დაუცხრომელი ბრძოლა დაიწყო ვლახი ხალხის განთავისუფლებისათვის უცხოელ დამპყრობთა ჩაგვრისაგან. პირველსავე დღეს მრევლის წინაშე წარმდგარმა ანთიმოზმა თქვა: „მართლმადიდებლობა თქვენ შეინარჩუნეთ წმიდად და შეუბღალავად, მიუხედავად იმისა, რომ გარშემორტყმულნი, შებოჭილნი ხართ უცხო ხალხთა ძალმომრეობით და განიცდით აურაცხელ გასაჭირსა და უბედურებას, რაც ყოველთვის გამომდინარეობს იმათგან, ვინც თვითნებურად ბატონობს ამ მიწა-წყალზე... თუმცა მე ვიყავი უღირსი და უმცროსი სხვათა შორის, ვითარცა დავითი იყო უმცროსი თავის ძმებს შორის, ღმერთმა არ შეხედა ჩემს სიღარიბეს და უცხოელობას... დაე, თქვენთან ერთად მე თავს გადამხდეს ყოველგვარი გასაჭირი, რასაც გვარგუნებს ჩვენ დრო და ჟამი“.

მისი სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 1714 წელს თურქებმა სიკვდილით დასაჯეს ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრინკოვიანუ, ხოლო 1716 წელს — უკანასკნელი ვლახი მთავარი სტეფანე კანტაკუზენე და სამეფო ტახტზე აიყვანეს ფანარიოტი ნიკოლო მავროკორდატი, რომლის მთელი საქმიანობა ვლახეთში თურქეთის ინტერესების დასაცავად იყო მიმართული.

ამ მძიმე დღეებში წმიდა ანთიმოზ ივერიელმა თავის გარშემო შემოიკრიბა ვლახ ბოიართა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო გაეთავისუფლებინა ვლახეთი როგორც თურქთა, ასევე ფანარიოტთა ბატონობისაგან. კონკრეტული ღონისძიებებიც დაისახა, მაგრამ ნიკოლო მავროკორდატიმ ანთიმოზს უბრძანა, ნებაყოფლობით ეთქვა უარი მიტროპოლიტობაზე. ანთიმოზმა კატეგორიული უარი შეუთვალა. მაშინ მავროკორდატიმ დახმარებისათვის კონსტანტინოპოლის პატრიარქ იერემიას მიმართა. ეპისკოპოსთა კრებამ, რომელსაც არც ერთი რუმინელი სასულიერო პირი არ ესწრებოდა, „შეთქმული და რევოლუციისკენ წამქეზებელი მეამბოხე" წმიდა ანთიმოზი მიტროპოლობიდან გადააყენა და „ღირსებაახდილად" გამოაცხადა. ნიკოლო მავროკორდატმა მიაღწია იმას, რომ წმიდა ანთიმოზი საბოლოოდ განედევნა ქვეყნიდან და სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში განამწესა. რუმინელი ხალხის ერთგული და მოსიყვარულე მიტროპოლიტი შუაღამისას გაიყვანეს ქალაქიდან, მაგრამ სინას მთამდე ანთიმოზ ივერიელს არ მიუღწევია. გალიპოლიის მახლობლად, ადრიანოპოლზე გამავალი მდინარის, დულჩიას, ნაპირზე თურქმა ჯარისკაცებმა ასო-ასო აკუწეს ანთიმოზ ივერიელი და მისი წმიდა ნაწილები მდინარეში გადაყარეს.

1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმიდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 14 (27) სექტემბერი, წმიდანის გარდაცვალების დღე, საქართველოს ეკლესია კი მას 13 (26) ივნისს იხსენიებს.

წმიდა ქაიხოსრო ქართველი (+1612)
16 (29) ივნისი

წმიდა ქაიხოსრო ქართველის შესახებ ცნობა გვხვდება XVIII ს-ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის, მიტროპოლიტ ტიმოთეს (გაბაშვილის), „მიმოსლვაში".

მეუფე ტიმოთე (გაბაშვილი) აღწერს რა იერუსალიმის სიწმიდეებს, ჯვრის ქართველთა მონასტრის აღაპებსა და ფრესკებს, აღნიშნავს: „...და კვალად იერუსალიმით მივედით მონასტრად ქართველთასა ჯვარს და განვიცადეთ, კედელთა ზედა წმიდანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა. ესენი..." ჩამოთვლილია წმიდანთა სახელები და მათ შორის „წმიდა მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომელიც აწამა ყეენმან შაჰ-აბაზ წმიდათა ხატთათვის, ქორონიკონსა ტ" (1612).

წმიდა მოწამე შალვა ახალციხელი (+1127)
17 (30) ივნისი

წმიდა მოწამე შალვა ახალციხელი გამორჩეული მეომარი იყო წმიდა თამარ მეფის (ხს. 1 მაისს) მხედრობაში. ერთგულების, სიმამაცისა და ვაჟკაცობისათვის დიდმა თამარ მეფემ იგი ახალციხის მთავრად დანიშნა. შამქორის გამარჯვების შემდეგ მან ხალიფას დროშა წამოიღო ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად.

უანგარო მსახურებისათვის წმიდა შალვას მეფე თამარმა მანდატურთუხუცესობა უბოძა. მეფის ბრძანებით, ბასიანის ბრძოლაში (1204 წ.) ქართველთა ძლევამოსილ მხედრობას მანდატურთუხუცესი შალვა წინამძღოლობდა ძმასთან, ივანე ახალციხელთან, ერთად.

წმიდა თამარის ასულის, რუსუდანის, მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში დიდძალი ლაშქრით. რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ ქართველებს მთავრად მოხუცებული ივანე ათაბაგი დაუდგინა.

სოფელ გარნისთან ექვსი ათასი ქართველი დადგა ორასი ათასი მუსულმანის წინააღმდეგ. მოწინავე ლაშქრის მეთაურობა სიმამაცითა და სიმხნევით გამორჩეულ ძმებს, შალვა და ივანე ახალციხელებს, დაევალა, ივანე ათაბაგი კი ძირითად ნაწილთან ერთად დარჩა გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

უშიშრად შეება თორ-ჯავახელების მცირერიცხოვანი ლაშქარი ურიცხვ მტერს, თავგანწირულად იბრძოდნენ ძმები, მაგრამ ამაოდ ელოდნენ მაშველ ჯარს, „არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა. ჰოჲ შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი“, — წერს ჟამთააღმწერელი. დამარცხდნენ ქართველები, ოთხი ათასი ქართველი დაიღუპა ამ უთანასწორო ბრძოლაში, მოიკლა თვითონ ივანე ახალციხელი, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს და ჯალალედინს მიჰგვარეს.

გაიხარა ჯალალედინმა საქვეყნოდ განთქმული მეომრის ნახვით, პატივით მიიღო ქართველი მანდატურთუხუცესი, ქალაქებიც კი უბოძა სამმართველოდ და უფრო „დიდ ნიჭსაც“ დაჰპირდა რჯულის გამოცვლის სანაცვლოდ.

„ჭეშმარიტისა ღმრთისა უარყოფაᲲ შეუძლებელ არს ჩემგან. დააცხრუე ჩემდა აღთქმანი ეგე არად საᲧმარნი ჩემნი, რამეთუ სურვილმან საღმრთომან განმაწესა მე მᲧედრად ქრისტესა“, — მხნედ უპასუხა წმიდანმა.

დიდხანს ცდილობდა Ჯალალედინი, უსᲯულოებისკენ მიედრიკა ზნესრული რაინდი და, როცა ვერას გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა. წამების ჟამს შალვა სიხარულით ამბობდა: „იხარებდ, ᲰოᲲ, შალვა, რამეთუ სამოსელსა თანა ხორცთასა ძუელსა კაცსა აღიძარცვ და ხრწნადთაგან სიმარᲯუეთა განთავისუფლდები... დავითმინოთ, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიც „ერთგზის წინა-უძს ყოველსა კაცსა“.

მრავალი ტანᲯვის შემდეგ ცოცხალ-მკვდარი მოწამე საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც „აღასრულა ᲰსრბაᲲ მარტᲩლებითი და ესრეთ ქრისტემან ღმერთმან, განმაძლიერებელმან მისმან, მისცუალა თᲩსთანა დიდი იგი გოდოლი კეთილმსახურებისა, მᲧედარი თᲩსი, გვირგვინოსანი გᲩრგᲩნითა სიმართლისათა“ (+1127).

წმიდა მოწამენი, საქართველოს მეფენი: არჩილი (+644) და ლუარსაბი (+1622)
21 (4.07) ივნისი

წმიდა მოწამე არჩილ მეფე ქართლის სამეფოს ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში განაგებდა. მისი მეფობის ჟამს იყო შეუპოვარი ბრძოლა უსჯულო დამპყრობლების წინააღმდეგ და საქართველოს გაერთიანებისთვის დაუცხრომელი ზრუნვა. არჩილის მამამ, ქართლის ერისთავმა ადარნასემ (მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი აღმშენებელი), ქართლის გამგებლად არჩილის უფროსი ძმა მირი დასვა. არჩილი ყოველხმრივ გვერდით ედგა უფროს ძმას და ღვთის შიშითა და სიყვარულით ზრუნავდა სამეფოზე. მირის მეფობის ჟამს ქართლში მურვან ყრუ შემოიჭრა, პირსისხლიანმა ჯალათმა „ყოველივე შენებული და სიმაგრენი საქართველოსნი" შემუსრა და სისხლით მორწყო ქვეყანა. მირი და არჩილი აფხაზეთში გაიხიზნენ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მხურვალედ ევედრებოდნენ შემწეობას. უფალმა ისმინა მართალთა ლოცვა: ერთ ღამეს წმიდა არჩილს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა: „აღდეგ და ებრძოლე უსჯულოთა მათ, რამეთუ ანგელოზი უფლისა წინა წარგიძღუეს თქუენ და თქუენ წილ უფალი ბრძოდის". მირი და არჩილი მცირედი მხედრობით „მინდობითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა" დაესხნენ თავს მტრის ბანაკს. შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. გაქცეულ უსჯულოებს ღმერთმა სასტიკი ქარი და ძლიერი წვიმა მოუვლინა, მდინარეები ადიდდა და აგარიანთა მხედრობა წალეკა. ცოცხლად გადარჩენილმა მომხდურებმა კონსტანტინოპოლს მიაშურეს, მაგრამ ზეგარდმო მოწევნულმა რისხვამ ისინი ზღვაში ჩაახრჩო.

ბრძოლაში დაჭრილი მეფე მირი მალე დასნეულდა, სიკვდილის წინ სამეფო თავის ძმას, არჩილს, გადააბარა, დარჩენილი შვიდი ასულის მფარველობა სთხოვა და მცხეთაში დასაფლავება დაიბარა.

მეფე არჩილმა შეასრულა მირის ანდერძი, მცხეთის ზემო ეკლესიაში დაკრძალა იგი, მისი შვიდი ასულიდან ექვსი ქართველ დიდებულებს მისცა შესაფერისი მზითვით, მეშვიდე, გურანდუხტი კი ბიზანტიის კეისარს მიათხოვა.

თორმეტი წელიწადი იჯდა არჩილი ქუთაისში და ყოველნაირად ცდილობდა სრულიად საქართველოს გაერთიანებას, შემდეგ ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ამ ულამაზესი კუთხის აღმშენებლობას შეუდგა, შემოიერთა კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი. არაბების ბატონობა, ფაქტიურად, თბილისსა და მცხეთის შემოგარენს ვერ სცილდებოდა.

მურვან-ყრუსაგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა ლაშქარმა ჭიჭუმ-ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისაკენ აიღო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, არჩილ მეფემ გადაწყვიტა „სულისა თვისისა დადებად საჴსრად ქრისტიანეთათჳს". „უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი, ვიდრეღა კუალად განრყუნად ეკლესიათა ქრისტესთა და ოხრებად ქვეყანისა ამის", — ბრძანა მეფემ და ჭიჭუმ-ასიმს ეახლა მშვიდობის სათხოვნელად. განიხარა ჭიჭუმ-ასიმმა მეფის მისვლით, პატივით მოიკითხა, „აქო სიკეთე და სისრულე ჰასაკისა მისისა და მშვენიერება პირისა მისისა".

რამდენიმე დღე დიდებულად ისტუმრა ჭიჭუმმა ქართველთა მეფე, შემდეგ კი მაცხოვნებელი სჯულის დატევება და სარკინოზთა სარწმუნოების მიღება მოსთხოვა, სანაცვლოდ „აღუთქუმიდა ნიჭთა დიდ-დიდთა". ზეგარდმო სულით აღვსილმა ცხებულმან უფლისამან ბრძანა: „მე რომ შენ დაგიჯერო, უნდა მოვკვდე სიკვდილით, რომლის შედეგადაც უნდა ვიტანჯო... ღმერთმან ჩვენმან და მაცხოვარმან ჩვენმან ჩვენი ხსნისათვის თავი დადო, ამიტომაც მე არ მეშინია სიკვდილის. თუ მომკლავ, მეც ისევე აღვდგები სიკვდილის შემდეგ, როგორც ღმერთი ჩვენი და კვლავ ვადიდებ მას".

განრისხებულმა ჭიჭუმმა ბრძანა „შეპყრობაჲ მისი და წარგზავნა იგი საპყრობილედ მრავლითა ჭირითა და იწროებითა, რამეთუ ჰგონებდა იგი, ნუუკუე შიშითა სატანჯველთაჲთა მოდრიკოს შეურყეველი გონებაჲ მისი", სასიკვდილოდ კი მაინც ვერ გაიმეტა ახოვანი და მშვენიერი მეფე ქართველთა.

ღვთისმოსავი მეფე არჩილი საპყრობილეში გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, მიენიჭებინა მისთვის ძალა სატანჯველთა დათმენისა.

ჭიჭუმ-ასიმის წინაშე წარდგა ერთი გარდაბნელი გამაჰმადიანებული სომეხი მთავარი, რომლის ბიძის მკვლელები არჩილის მამას — ადარნასეს სასჯელისაგან გაეთავისუფლებინა. სომეხს პაპის ჯავრი სჭირდა და გადაეწყვიტა, შური შვილიშვილზე ეძია.

სომეხმა ასიმს უთხრა: დიდებულო მთავარო, არჩილი არის სტეფანოზ მეფის ძე, ნათესავი ვახტანგ მეფისა, რომელიც იყო

შვილიშვილი მირიან მეფისა; ის თან ახლდა მამას, როცა იგი ქართლის სამეფო საგანძურს მალავდა და ისიც იცის, თუ სად დაფლა განძი ბერძენთა მეფე ჰერაკლემ.

ჭიჭუმ-ასიმმა საპყრობილიდან გამოიხმო ქართველთა მეფე და უთხრა, პირველად შენი სიკეთისა და მშვენიერებისათვის გაფასებდი, ახლა კი გავიგე, რომ ხარ შვილი დიდთა მეფეთა, ამიტომ განგადიდებ ჩემს წინაშე. შენი სამეფო და საგანძურიცა მამათა შენთანი შენი იყოს, ოღონდ მიჩვენე ბერძენთა მეფის საგანძური, რომელიც სპარსეთიდან წამოიღო და საქართველოში დაფლა. სჯულიც შეიცვალე, სარკინოზად მოიქეცი და სპასალარადაც დაგნიშნავ და ქართლის მეფობასაც მოგცემო. პასუხად წმიდა არჩილმა ჭიჭუმს უთხრა: „იცოდე, მძლავრო, არ დავუტევებ ჩემს უფალს, არ უარვყოფ ქრისტეს სახელს, არც საწუთო ცხოვრებაზე გავცვლი მარადიულს, არც ჟამიერ მეფობას — უჟამო თანაყოფაზე ქრისტესთან. საგანძურზე კი არაფერი ვიცი, რადგან პატარა ვიყავი, როცა ჰერაკლე მეფემ გაიარა ჩვენს ქვეყანაზე, მამაჩემმა და ჩემმა ძმამ მურვან ყრუს შემოსევისას ჩვენი განძი ამოიღეს და ბერძენთა ციხეში დაფლეს“.

ასიმმა ჰკითხა: „შენ იქ იყავი, როცა სარკინოზები დამარცხდნენ აფხაზეთში?“ წმიდა არჩილმა უშიშრად უპასუხა: „ღმერთმან ცხოველმან, რომელი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ, რომელი-იგი მოვიდა ზეცით ქუეყანად ჴსნისათჳს კაცთასა და სიკუდილითა თჳსითა მოკლა მკვლელი ჩუენი და ჩუენ მოგუანიჭა უკუდავებაჲ, მან უკუე ძლიერმან და ყოვლისა შემძლებელმან დასცნა და შემუსრნა იგინი“.

ამ სიტყვებმა გულისწყრომით აღავსო უსჯულო ჭიჭუმი, „ვინაჲთგან არა გნებავს ცხორებაჲ თავისა შენისაჲ და უმჯობესი შენი და მოკუდავისა მიმართ დაგიც სასოებაჲ, ჯერ არს, რათა შენცა მოკუდე ბოროტად“, — ბრძანა განრისხებულმა უსჯულომ.

წმიდანმა მცირე დრო ითხოვა სალოცავად, მუხლი მოიყარა და ხელაპყრობილმა მადლობა შესწირა შემოქმედს, მაცხოვარს შეევედრა, კეთილად დაეცვა ეკლესია, გაეძლიერებინა ქრისტიანობა საქართველოში, ილოცა ოჯახისთვის და მშვიდად მოუდრიკა ქედი მახვილს.

ღამით ქართველმა აზნაურებმა ფარულად წამოასვენეს წმიდა არჩილ მეფის გვამი და ნოტკორაში, მის მიერვე აგებულ ტაძარში დაკრძალეს. ეს მოხდა 744 წელს.

წმიდა მოწამე მეფე ლუარსაბი დაიბადა დაახ. 1592 წელს, იგი ქართლის მეფე გიორგი X-ის უფროსი ვაჟიშვილი იყო. მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ 1606 წელს სამეფო ტახტზე თოთხმეტი წლის

ლუარსაბი ავიდა. იმავე წელს იმერეთში გიორგი III, კახეთში კი — თეიმურაზ I აკურთხეს მეფედ.

1609 წელს თურქები ყირიმელ თათრებთან ერთად თავს დაესხნენ ქართლს. მეფე ლუარსაბი ამ დროს ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა მცირეოდენ ამალასთან ერთად და ალბათ ვერაფრით გადაურჩებოდა მტრის უეცარ დარტყმას, მაგრამ კეელთელმა მღვდელმა წმიდა თევდორემ (ხს. 8 ივნისს), რომელსაც უსჯულოებმა მეფის სამყოფლისაკენ უმოკლესი გზის ჩვენება დაავალეს, სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით ატარა ისინი. ამასობაში მეფემ შეკრიბა ჯარი და ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა მტერი. ამ დროს მეფე ჩვიდმეტი წლისა იყო. ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცით ზაზა ციციშვილი და გიორგი სააკაძე გამოირჩეოდნენ.

გიორგი სააკაძემ სახლში მიიწვია გამარჯვებით გახარებული მეფე. ნადიმზე ლუარსაბ მეფეს გიორგის და მოეწონა და, მიუხედავად სამეფო კარის წინააღმდეგობისა, მალე დაქორწინდა კიდეც მასზე.

შემდგომმა მოვლენებმა მტრობა ჩამოაგდო ლუარსაბ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის. ეს უკანასკნელი საქართველოდან გაიქცა და შაჰ-აბასს სთხოვა თავშესაფარი. ცბიერებით ცნობილი შაჰი ყოველგვარ ინტრიგას აწყობდა საქართველოს წინააღმდეგ: მან ჯერ ლუარსაბის და, ლელა (თინათინი), შეირთო, შემდეგ კი თეიმურაზსაც „დაუმოყვრდა" — მისი ულამაზესი და, ელენეც მოიყვანა ცოლად. შაჰმა წმიდა ლუარსაბ მეფეს თეიმურაზის მოკვლა და კახეთის სამეფო შესთავაზა, თეიმურაზს კი ლუარსაბის მოკვლის საფასურად ქართლის სამეფოს დაჰპირდა.

მიხვდნენ ქართველი მეფენი შაჰის მზაკვრობას. ღვთის შეწევნით, ამჯერად გადარჩა საქართველო ძმათა კვლის საშინელებას.

შეაშინა შაჰი ქართველთა ერთობამ, ვითომ სანადიროდ და დროის სატარებლად თავისთან მიიწვია ლუარსაბი და თეიმურაზი. მეფეებმა მოითათბირეს და ბრძოლა გადაწყვიტეს, ნარეკვავის მინდორზე ფიცით აღუთქვეს ერთმანეთს წინაშე „ქრისტეს ღმრთისა დადებად სულნი და სიკვდილი ქრისტესთვის". ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ქართველების გამარჯვებაში, მაგრამ ღალატის გამო დამარცხდნენ და თავი იმერეთს შეაფარეს.

შაჰ-აბასმა საშინლად ააოხრა ქართლ-კახეთი და გორში დაბანაკდა. აქედან შეუთვალა გიორგი მეფეს, გაეცა სტუმრები და სანაცვლოდ დიდძალ საგანძურს დაჰპირდა. გიორგი III-მ შორს დაიჭირა ვერაგი შაჰის პირობა, კათოლიკოსი მალაქია და პაატა აბაშიძე აახლა ყეენს, მათი პირით პატიება სთხოვა და შეუთვალა: „გევედრებით, რეცა პატივს-ვცე

და მისცე მეფეთა სამეფონი თჳსნი და იმსახურენ მით, ვითარცა პირველ მამათა შენთა და თქუენ ნარხვიდეთ". როცა შაჰ-აბასმა ნახა, რომ ძალით ვერას გახდებოდა, ცბიერებას მიმართა: დაიბარა ლუარსაბის გამზრდელი შადიმან ბარათაშვილი და სთხოვა, მომიყვანე ლუარსაბი, არაფერს დავუშავებ, თეიმურაზი კი მოსისხლე მტერია ჩემი, მას ვერ ვაპატიებო. თან ოქროთი მოოჭვილი ხმალი გაატანა ლუარსაბთან მეგობრობისა და თანადგომის ნიშნად.

ლუარსაბმა კარგად იცოდა შაჰის „მეგობრობა", მაგრამ მეფურმა სინდისმა სხვანაირად გადაწყვიტა — „უკუეთუ არა წარვიდე, ამიყრის ქუეყანათა და მოაოჴრებს, რა მადლი არს ჩემდა".

შაჰ-აბასმა ლიქნით და პატივით მიიღო მეფე, მეგობრულად მოექცა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქართლში ახალი მმართველი დანიშნა და ჯარებიც ჩააყენა. ლუარსაბი ჯერ ყარაიაში წაიყვანა, ვითომცდა სანადიროდ, იქიდან კი — სპარსეთში.

ყარაიაში ყოფნისას ლუარსაბმა ყველა განაცვიფრა ახოვანებით და ვაჟკაცობით. მისი ნანადირევის ხილვამ შურით აღავსო შაჰი. ლუარსაბის დამ, თინათინმა, რომელიც ყაენის ცოლი იყო, სთხოვა თავის ლამაზ და ჩინებულ ძმას, უბადრუკად მოეჩვენებინა თავი შურით აგზნებული აბასისთვის, მაგრამ მეფემ სევდიანად გაიღიმა და თქვა: „უწყი, რამეთუ არღარა განმიტევებს, ამისთჳს უმჯობეს არს სიკეთისა ჩუენება, ვიდრე სიავისა". დიდმარხვის დროს შაჰის ნადიმზე ლუარსაბმა შემოთავაზებული თევზი არ ჭამა, დღეს თევზით გინდა გამატეხინო მარხვა, ხვალ ხორცს შემომთავაზებ, შემდეგ კი ქრისტეს უარყოფასაც მომთხოვო, — გაამჟღავნა მან შაჰის დაფარული გულისზრახვა. სიბრაზისგან გაცოფებულმა შაჰმა პირდაპირ ქრისტეს უარყოფა და ალაჰის აღიარება უბრძანა მეფეს. მთელი ქვეყანა რომ მიბოძო, მაინც ვერ აღვასრულებ შენს ბრძანებას, რადგან ქრისტეს სახელით ნათელი მიმიღია და მხოლოდ ის მწამსო, — მხნედ უპასუხა წმიდა ლუარსაბმა.

დატყვევებული გვირგვინოსანი შირაზს წაიყვანეს და დილეგში ჩააგდეს. შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე შედიოდნენ მასთან ციხეში მოლები, „ჰოი, მეფეო! შეიწყალე სიჭაბუკე შენი და ნუ ეურჩები ბრძანებასა შაჰისასა, დაუტევე სარწმუნოება შენი და იწამე მაჰმადი, თორემ მწარე ტანჯვა და სიკვდილი მოგელის!" — ეუბნებოდნენ ისინი წმიდანს. „რაცა გნებავთ ყოფად ჩემდა, ჰყავით და აღასრულეთ ბრძანება ყაენისა", — პასუხობდა ლუარსაბი.

ყაენმა უკანასკნელად შეუთვალა ქართველთა მეფეს: „ანუ უარჰყავ ქრისტეჲ, ანუ თანა-გაძს სიკუდილი მძჯნვარეჲ". ლუარსაბმა კი, რომელსაც პატიმრობის შვიდი წელი ლოცვასა და მარხვაში

გაეტარებინა, „ბოროტთაგან შეურყეველმან და მომლოდინემან ნეტარისა მის სასოებისა და გამოჩინებისა დიდებისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეᲘსა“, ამჯერად დუმილით განაცხადა თანხმობა მოწამებრივ აღსასრულზე.

შაჰი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვერაფერი ვერ შეარყევდა ლუარსაბის სარწმუნოებას, განრისხებულმა საპყრობილეში გაგზავნა ჯალათები და მეფის წამებით მოკვდინება ბრძანა.

მტარვალები მივიდნენ ბრძანების აღსასრულებლად. მეფე მიხვდა, რომ დამდგარიყო ჟამი მისი განსვლისა ამიერ სოფლიდან და ჯალათებს უთხრა: „მაცალეთ, რათა ვილოცო უფლისა მიმართ და მერე აღასრულეთ ბრძანებული მის უსჯულოᲘსა“. წმიდა ლუარსაბმა ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაიჩოქა და მხურვალედ შეᲰღაღადა: „ᲰოᲘ, დედოფალო ჩვენო ღმრთისმშობელო, შენდამი დამიძს ყოველი სასოებაᲘ ცხოვრებისა ჩემისა, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენ ხარ ნუგეშინისმცემელი ჩემი, შენ მომეც მე შეწევნაᲘ ღუანლისა ამის ჩემისა, შენ მიოხე წინაშე ძისა შენისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

ლოცვის დამთავრებისთანავე ჯალათები დილეგში შევიდნენ და მშვილდის საბლით შეუბრალებლად მოაშთვეს ღვთისმოსავი მეფე. ღამით წმიდა მოწამის დაუფლეელ გვამს საკვირველი ნათელი დაადგა. მეორე დღეს წმიდა მოწამის სხეული ციხის ეზოში დაფლეს.

ეს მოხდა 1622 წელს.

წმიდა არჩილსა და ლუარსაბს ათასი წელი აშორებს ერთმანეთისგან, მაგრამ საქართველოს ეკლესიამ მათი ხსენება ერთ დღეს განაწესა ღვაწლისა და წამების მსგავსების გამო. კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (+1921) ამ ორი მეფის თითქმის ერთნაირ მოწამეობრივ აღსასრულს მიაწერს „ჩვენი წამებული და მრავალტანჯული სამშობლოს თითქმის ყოველ დროს ერთსა და იმავე ვაებას, ერთსა და იმავე სიმწარეს“ და წუხს, რომ „ლუარსაბის წმიდა ძვლები დღესაც ისევ სპარსეთში არიან და არჩილის საფლავი ერწოელ ფშაველსა და ხევსურს თუ უნახავს, თორემ სხვას არავის“.

წმიდა გიორგი მთაწმიდელი (+1065)
27 (10.07) ივნისი

წმიდა გიორგი მთაწმიდელი დაიბადა 1009 წელს თრიალეთში, ღვთისმოსავი ქრისტიანების და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, იაკობისა და მარიამის, ოჯახში.

შვიდ წლამდე გიორგი დედ-მამასთან იზრდებოდა. „და იყო იგი სიყრმითგან სავსე შიშითა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა". შვიდი წლის ყრმა ტაძრისის მონასტერში მიიყვანეს და ჩააბარეს ღვთისმოშიშებითა და სიბრძნით განთქმულ წინამძღვარს — წმიდა საბიანეს (ხს. 31 დეკემბერს). ტაძრისში გიორგიმ სამი წელი დაჰყო.

ათი წლის გიორგი მამამ ხახულის მონასტერში წაიყვანა და აღსაზრდელად ჩააბარა იქ მოღვაწე თავის ორ ძმას, ღირს გიორგი მწერალს და საბა ხახულელს (ხს. 19 დეკემბერს).

ბიძებმა ყოველგვარი სიკეთით შემკული ძმისწული ხახულის მონასტრის წინამძღვარს, სიწმიდით განთქმულ ღირს მაკარი მმარხველს (ხს. 21 დეკემბერს) მიჰგვარეს. გაიხარა ღვთისგან მომავლის განჭვრეტით დაჯილდოებულმა წინამძღვარმა ყრმა გიორგის ხილვით და „სულისა თვისისა შვილად უწოდა".

ამ დროს ხახულში მოღვაწეობდნენ „ქართველთა ეკლესიათა სამკაულად" ცნობილი მამა ბასილი, ბაგრატ III-ის ძე (ხს. 27 ივნისს), ილარიონ თვალელი (ხს. 21 ივლისს), „რომლისა სათნოებათა და მოღვაწებათა წარმოთქმაჲ შეუძლებელ არს", ანტონი მნათე — ღმერთშემოსილი, „ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი წერილთა" და სხვა მრავალნი, რომელთა ცხოვრებამ უდიდესი როლი ითამაშა გიორგის სრულყოფაში. თვითონ გიორგიმაც ყველა გააკვირვა თავისი გონიერებითა და სიბეჯითით, „საგალობელნი იგი საწელიწადონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა".

როცა თრიალეთის ერისთავმა ფერის ჯოჯიკის ძემ გიორგის ბიძა, გიორგი მწერალი, თავის სასახლეში მიიწვია მოძღვრად, მოხუცმა

გიორგიმ ძმისშვილიც თან გაიყოლა. ყრმა გიორგის სიკეთით განცვიფრებულმა ფერისის მეუღლემ, „საღმრთომან მან დედაკაცმან შვილად თვისად“ აღიარა იგი და „დაყვეს მრავალი ჟამი კეთილსა და ღმრთისა სათნოსა ცხორებასა შინა“.

1022 წელს ბიზანტიის კეისარმა ბასილიმ მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ფერისსაც დასწამა ცილი, კონსტანტინოპოლში დაიბარა და თავი მოჰკვეთა. ფერისის მეუღლე თორმეტი წელი დარჩა დედაქალაქში. ღვთისმოყვარე დედაკაცმა გიორგი „სასწავლოდ მისცა კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორთავე ცხოვრებითა შემკობილთა“. ღვთივგანბრძნობილმა ჭაბუკმა ნიჭიერებითა და გამჭრიახობით ყველა გააკვირვა.

თორმეტი წლის შემდეგ 1034 წელს კეისრის ბრძანებით ფერისის მეუღლე კვლავ სამშობლოში, ტვარწატაფს, დაბრუნდა და გიორგიც თან წამოიყვანა. გიორგი ხახულის მონასტერში მივიდა და ოცდახუთი წლისამ „ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისასა ქედი თჳსი მოუდრიკა. მოძღუარი მისი სულიერი და ღუაწლთა მიმართ მონაზონებისათა მწურთელი, დიდი ილარიონ წუთ ხორცთა-ღა შინა იყო და ჴელთაგან მ.სთა მიიღო კურთხევაჲ მონაზონებისაჲ, რამეთუ იგი იყო პირველი მოძღუარი მისი და მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ“.

1036 წელს „უცხოებისა და თვისთაგან განშორებით“ მოღვაწეობის სურვილით გიორგიმ ფარულად დატოვა მონასტერი და, გლახაკის ძონძებში გადაცმული, სირიაში გაემართა. „შრომითა და მოღვაწებითა შემკულმან მამამან“ გაჭირვებით მიაღწია შავ მთამდე. იქაური სიწმიდეების მოლოცვისა და მოღვაწე მამების მოკითხვის შემდეგ გიორგიმ „ყოვლისა პირველად იწყო ძიებად წინამძღვრისა სულიერისა, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ თჳნიერ მოძღურისა არა არს ცხოვრებაჲ სულისა და წარმატება მონაზონებისა“. იპოვა კიდეც მთის ნაპრალებში დაყუდებული საოცარი მამა — „კაცი ზეცისაჲ და ანგელოზი ქუეყანისაჲ, ყოვლითურთ უცხო და განშორებული ჴორცთა და ჴორციელთა ზრახვათაგან და გონებითა ღვთისა მიცვალებული“ — ქართველი ბერი გიორგი დაყუდებული (ხს. 3 ივლისს).

სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ გიორგი დაყუდებულმა „ჰასაკით, სიბრძნითა და გონიერებით“ სრულქმნილი გიორგი სქიმით შემოსა და იერუსალიმში გაუშვა წმიდა ადგილთა მოსალოცად, უკან დაბრუნებულს კი 1040 წელს მთაწმიდაზე წასვლა და „თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ ბერძულისაგან ქართულად“, ანუ წმიდა ექვთიმე ათონელის (ხს. 13 მაისს) საქმის გაგრძელება უბრძანა. გიორგი შეაკრთო ბრძანებამ. „შეუძლებელ არს ჩემგან და ესევითართა განღმრთობილთა

კაცთა შვენის, ვითარცა იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე“, — შეჰკადრა მან მოძღვარს. „შვილო, რომელმან წმიდაჲ იგი სიკვდილისაგან იხსნა და ქართული ენა განმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩუენი და თკთ მას წმიდასა მამასა ეფთჳმის ვევედრნეთ, რათა შეგეწიოს“, — დაამშვიდა ექვთიმე ათონელის ღირსეული მემკვიდრე გიორგი დაყუდებულმა და ათონს გაგზავნა.

ათონელმა ქართველებმა სიხარულით მიიღეს წმიდა მამა. გიორგიმ მონასტრის ყველაზე მძიმე საქმეები იტვირთა „ყოვლისა თავისა თჳსისა შეურაცხქმნითა... ვითარცა კაცმან ლიტონმან და უსწავლელმან“. როგორც მისი ცხოვრების აღმწერელი მოგვითხრობს, ღირსი გიორგი ყოველთვის თავდახრილი დადიოდა და „თჳნიერ საჭიროთა საქმეთა“ არავის შეხედავდა. მისი სულიერი თვალები კი „მარადის უხილავსა მას დიდებასა ღვთისასა“ განიცდიდა.

გიორგი დაყუდებულმა თავისი მონაფის, თეოდორეს, პირით კიდევ ერთხელ შეახსენა გიორგის ათონზე გაგზავნის მიზეზი და საყვედურიც შეუთვალა.

გიორგიმ პატიება სთხოვა მოძღვარს, მოწინებითა და შიშით მიიღო მღვდლობის პატივი, საღმრთო წიგნების თარგმნასაც მიჰყო ხელი და მალე მთელი საძმოს წინამძღვარიც შეიქნა. ამ დროიდან იწყება ფართო მოღვაწეობა მამა გიორგი მთაწმინდელისა. მან შეკრიბა ცნობები ექვთიმესა და იოანეს შესახებ, აღწერა მათი ცხოვრება, გადმოასვენა და დიდებულ ლარნაკში მოათავსა წმიდა მამათა ნაწილები, გაამშვენიერა და „ყოვლითურთ სრულჰყო წმიდა ეკლესიაჲ“.

საბერძნეთში იმპერატორ კონსტანტინე მონომახთან ჩასულმა ქართველთა მეფემ, ბაგრატ IV-მ საქართველოში დაბრუნება და ჭყონდიდის მიტროპოლიტობა შესთავაზა ღირს მამას, მაგრამ ქვეყნიურ დიდებას და შფოთს განრიდებულმა გიორგიმ მეფეს უარი მოახსენა.

წინამძღვრობა და მონასტრის საქმეებზე ზრუნვა ბევრ დროსა და შრომას, ხშირად კი მონასტრიდან გასვლასაც მოითხოვდა და ამიტომ სამწერლო მოღვაწეობისათვის ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. გიორგი წინამძღვრობიდან გადადგა და შავ მთაზე ნავიდა გიორგი დაყუდებულთან. გიორგი დაყუდებულმა ღვთის სიყვარულისთვის ისევ უკან დაბრუნება უბრძანა თავის სულიერ შვილს. გიორგი დამორჩილდა მოძღვრის ლოცვა-კურთხევას, ათონის მთაზე დაბრუნდა და ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა. ამ საოცარი მამის მიერ თარგმნილ წიგნთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის მისი მოღვაწეობის განუზომელ მნიშვნელობას: დიდი სვინაქსარი, საწელიწადო გამოკრებული, პავლენი

სრული, პავლენი გამოკრებული, საწელიწადო, თვენი, სადღესასწაულო, წიგნი ექვსთა დღეთა — ბასილი დიდისა, დავითნი, დიდი პარაკლიტონი, დიდი მარხვანი, ზატიკი, დაბადების თარგმანება იოანე ოქროპირისა, მეექვსე კრების ძეგლისწერა, წიგნი გრიგოლ ნოსელისა და სხვანი.

ერთხელ ბოროტისაგან შურით აღვსილმა სვიმონწმიდელმა ბერებმა მოინდომეს ქართველი მამების გაძევება მონასტრიდან. „გვიხსენ დიდისა ჭირისაგან და განგვათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხოთესლთა, რამეთუ არს მონასტერსა შინა ჩვენსა ვითარ სამეოცი კაცი, რომელნი ქართველად სახელ-იდებენ თავთა თჳსთა და არა უწყით, რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი", — შესჩივლეს მათ ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის. პატრიარქმა თავისთან დაიბარა ბერძნულად კარგად მოლაპარაკე წმიდა გიორგი მთაწმინდელი. ღირსმა გიორგიმ ისეთი სიბრძნით იქადაგა მართლმადიდებლობა, რომ მსმენელები განაკვირვა. პატრიარქმა ცუდისმზრახველი სვიმონწმიდელნი შერისხა.

ცოტა ხნის შემდეგ პატრიარქს კვლავ მოახსენეს, საქართველოში მოციქულებს არ უქადაგიათ, თვითონაც მცირერიცხოვანნი არიან, ამიტომ ჯერ-არს, ანტიოქიის პატრიარქის ხელმწიფების ქვეშ იყვნენო. პატრიარქმა მამა გიორგის აუწყა: „მეფე თქვენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და ჴელმწიფებასა ჩუენსა დაემორჩილოსო". წმიდა მამამ უპასუხა: „შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნასწავლნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სვიმონს ვიტყჳ კანანელსა — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ერთი ღმერთი გჳცნობიეს, არღარა უარ-გჳყოფიეს და არღა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი... ჯერ არს წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას და რათა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ!" ბოლოს კი დაამატა: „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოვებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად".

გაკვირვებულმა პატრიარქმა კეთილად გაიღიმა და თქვა: „ხედავთ ბერსა ამას, ვითარ მარტოჲ ესოდენსა სიმრავლესა გუერევის". შემდეგ თეოდოსიმ და ანტიოქიელებმა აღიარეს საქართველოს ეკლესიის მოციქულებრივი წარმოშობაც და სარწმუნოებრივი სიწმიდეც.

ღვთისმოყვარე ბაგრატ მეფე ხშირად სთხოვდა მამა გიორგის, საქართველოში ჩამოსულიყო სამოღვაწეოდ. ნეტარი მამა ჯერ

უარობდა, მაგრამ ბოლოს, როცა „სრულქმნა თარგმანებაი საღმრთო წიგნთაი“, აღასრულა მეფისა და კათოლიკოსის სურვილი. მათი ბრძანებით წმიდა მამამ გამოიკვლია მაშინდელი მდგომარეობა სასულიერო წოდებისა და მოაწესრიგა საეკლესიო ცხოვრება.

ხუთი წლის შემდეგ მამა გიორგი ისევ მთაწმიდაზე დაბრუნდა. ბაგრატ მეფემ პატივით და დიდძალი შესაწირავით გაისტუმრა ქართველთა მნათობი. ათონს მიმავალმა ნეტარმა მამამ თან ოთხმოცი ობოლი ბავშვი წაიყვანა აღსაზრდელად. კონსტანტინოპოლში ჩასულმა ნეტარმა გიორგიმ წინასწარ იგრძნო აღსასრულის მოახლოება და ბრძანა, ობოლნი იმპერატორის წინაშე წარსადგენად მოემზადებინათ. „უკუეთუ დღეს არა ვიხილო მეფე, ხვალე ხელთა არა გვაქვს!“ — ჩქარობდა წმიდა მამა.

მამა გიორგიმ „პატივი მისცა მეფესა და ჰრქუა, ვითარმედ „შემდგომად ღვთისა ხელთა შენთა შეევედრებ ობოლთა ამათ“. შემდეგ ყრმებს წმიდა სვიმეონ მიმრქმელის ლოცვა „ან განუტევე...“ აგალობა და მეორე დღეს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, მიიცვალა.

ათონელმა მამებმა წმიდანის გვამი ათონზე გადაასვენეს და „ლუსკუმასა შინა მარმარილოსა გიორგის თანა, მაშენებელისასა (ხს. 28 ივლისს), დაკრძალეს, ვითარცა მეორედ მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათა“.

ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲛᲝᲬᲐᲛᲔ ᲙᲘᲠᲘᲝᲜ II – ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ (XX)
27 (10.07) ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

მღვდელმოწამე კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), დაიბადა 1855 წელს გორის მაზრის სოფელ ნიქოზში, სასულიერო პირის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წმიდანმა სწავლა გააგრძელა გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1880 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა კიევის სასულიერო აკადემია და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ.

1883-1886 წლებში წმიდა კირიონი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა გორში, თელავში, ქუთაისში, თბილისში; 1886 წელს დაინიშნა საქართველოს მონასტრების ბლაგოჩინად და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად; აარსებდა სამრევლო სკოლებს, წიგნსაცავებს და ბიბლიოთეკებს, ამავე დროს ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ივერიელის, საძაგელოვის, ლიახველის ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე.

1886 წელს უფლის რჩეული მონაზვნად აღიკვეცა კირიონის სახელით და ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამ პერიოდში ღვთისმსახურების პარალელურად კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობასაც აგრძელებს: კრებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, სწავლობს ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მუშაობს ეკლესია-მონასტრების სიძველეებზე. თბილისის საეკლესიო მუზეუმსა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა საცავს იგი უხვად სწირავს ეკლესია-მონასტრების ნესტიან სენაკებში მიკვლეულ და საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ იშვიათ ხელნაწერებს.

1898 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი კირიონი აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად, რასაც ქართული საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. წმიდა კირიონმა საკუთარი საფასით დაიწყო განადგურების პირას მისული ალავერდის ტაძრის შეკეთება, ხელი მიჰყო კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლას. მან საქართველოს საეკლესიო

მუზეუმს სხვა ხელნაწერებთან ერთად გადასცა ბაგრატ IV –ის დროინდელი, 1089 წელს გადაწერილი სახარება, რომლის შესახებაც ქართულმა მეცნიერებამ მანამდე არაფერი იცოდა. ამავე დროს, კირიონმა ხმა აღიმაღლა სომხების მიერ ქართული ტაძრების მიტაცების გამო. მან ვრცელი დასაბუთებული ბარათით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს და მოითხოვა ამ ტაძრების დაბრუნება საქართველოს ეკლესიისთვის.

1901 წლიდან კირიონი გორის ეპისკოპოსია. ამ დროისთვის საქართველოს საეგზარქოსომ შენიშნა, რომ წმიდა მღვდელმთავრის ირგვლივ თავს იყრიდა განათლებული სამღვდელოება, რომელიც აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. მთავრობა ეპისკოპოსს ხშირად უცვლიდა ეპარქიებს: 1903 წელს იგი ხერსონში გაამწესეს, 1904 წელს – ორიოლში, 1906 წელს – სოხუმში. სოხუმში წმიდა კირიონმა ბევრი იღვაწა საქართველოს ეკლესია-მონატრების აღდგენისათვის. მალე იგი კოვნოს ეპარქიაში გადაიყვანეს.

1907 წლის სექტემბერში წმიდანს უფლება არ მისცეს, საქართველოში ჩამოსულიყო და უკანასკნელი პატივი მიეგო წმიდა ილია მართლის ცხედრისთვის. მან მხოლოდ დეპეშის გამოგზავნა მოახერხა. 1908 წელს კირიონს მთავრობის დადგენილებით ჩამოერთვა ეპისკოპოსის წოდება და დაპატიმრებულ იქნა. მთავრობის ამგვარი სიმკაცრის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო კირიონის დაუცხრომელი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის.

კირიონის დევნა-შევიწროება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. 1908 წლის 28 მაისს თბილისში მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი და მისი მკვლელობის ორგანიზება დევნილ მღვდელმთავარს დააბრალეს. ამგვარმა ცილისწამებამ აღაშფოთა როგორც საქართველო, ისე რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ევროპაში კირიონის დაცვის საზოგადოებაც კი შექმნეს და დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება მისი გათავისუფლების მოთხოვნით. წმიდა მღვდელმთავარი მასზე დაშვებულ ამ განსაცდელს ამგვარი განწყობით ხვდებოდა: ,,ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია"

მთავრობამ 1915 წელს შეწყვიტა კირიონის დევნა. იგი დანიშნეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლის ნება არ მისცეს.

წმიდანი უდიდესი ქველმოქმედი იყო. მისი მატერიალური დახმარებით რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სამასამდე ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება.

ჯერ კიდევ XIX ს-ის 90 –იან წლებში, როცა ქართული ენა ოფიციალური ხელისუფლებისაგან დევნილი იყო, კირიონმა გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად ქართული სიტყვიერების ისტორია შეადგინა.

1917 წელს აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და საქართველოს ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით 1917 წლის ზაფხულში ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოსკენ გამოემგზავრა. არაგვის ხეობაში მას შეეგება ასოცამდე ცხენოსანი, რომელთაც დიდი პატივით მიაცილეს დედაქალაქამდე. თბილისშიც ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს წმიდანს.

1917 წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც საზეიმოდ ეკურთხა იმავე წლის 1 ოქტომბერს.

სვეტიცხოველში აღსაყდრების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ბრძანა: ,,სამშობლო საყვარელო, ღვთისმშობლის წილხვედრო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისასა განწმედილო! შენთვის დაწული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მუდამ შენკენ ლტოლვილი, დღეს განვისვენებ ტკბილსა შინა წიაღსა შენსა არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენისა... ვიცი, შენი გულისყური ამჟამად ჩემკენაა მოქცეული და მეკითხები: რა მომიტანე, რა მალამოსა სცხებ იარებსა ჩემსა, რით მანუგეშებ სევდა მოსილსა? ყური მომიპყარ: ,,არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული სახსრად შენდა" (მთ.20, 28). მოვედი არა ვითარცა მნე სასყიდით დადგინებული, არამედ ვითარცა მნე ერთგული და მარად მორჩილი" .

კირიონ II-მ წერილები დაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, რომლებშიც მოკლედ და დასაბუთებულად გადმოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორია და მოითხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება.

საქართველოში სარწმუნოებრივი და ეროვნული პრინციპების დამკვიდრებისა და აღორძინებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი წმიდა პატრიარქის მოღვაწეობა ზღუდავდა ეკლესიის და ქვეყნის წინააღმდეგ შეკრებილი ბოროტი ძალების მოქმედებას, რომელთა გამოსვლები თანდათან უფრო და უფრო საშიშ და ცინიკურ სახეს იღებდა. ამ დროს მრავალი საეკლესიო და საერო მოღვაწე იქნა მოკლული. ბოროტების უპირველესი სამიზნე იყო ის წმიდა ადამიანები, რომელთა ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო ხალხში. საქართველოს წმიდა ეკლესიის სამოციქულო ტახტზე მჯდომი საჭეთმპყრობელის, წმიდა კირიონის, სარწმუნოე-

ბრივ-ეროვნული მოღვაწეობა მოსვენებას არ აძლევდა ეკლესიისა და ქვეყნის მტრებს, დაინყო დაუსრულებელი ცილისწამებები, პროვოკაციები, შანტაჟები, მუქარები და... 1918 წლის 26 ივნისს წმიდა კირიონ კათოლიკოსი მოკლული იპოვეს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო რეზიდენციაში.

მონამეობრივად აღსრულებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე წმიდანთა დასში შეირაცხა.

წმიდა დინარ დედოფალი (X)
30 (13.07) ივნისი

წმიდა დინარ დედოფლის შესახებ ცნობები გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში". რუსული საეკლესიო მატიანეებიც მოიხსენიებენ „ივერიის დედოფალ დინარას", რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე.

მეცნიერები დიდხანს დაობდნენ, საქართველოს რომელ ისტორიულ პირს გულისხმობდა რუსული საეკლესიო გადმოცემა. ფიქრობდნენ, რომ წყაროები გულისხმობდნენ წმიდა მეფე თამარს (ხს. 1 მაისს), მაგრამ ცნობები თამარამდელ პერიოდს მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრებას" დაცული აქვს ცნობა ჰერეთის დედოფალ დინარას შესახებ, რომელმაც თავის შვილ იშხანიკთან ერთად ჰერეთის ანუ ალბანეთის მრავალრიცხოვან მოსახლეობას აღუდგინა მართლმადიდებლური სარწმუნოება და იხსნა ისინი მწვალებელ-მონოფიზიტთა საეკლესიო უღლისაგან X საუკუნეში.

ჰერეთის ანუ ალბანეთის უდიდესი ნაწილი ძველთაგანვე დასახლებული იყო ქართველური ტომებით, ამიტომაც ძველი წყაროები მასაც ივერიას უწოდებდნენ და შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე გადაშლილი ქვეყნის (ივერიის) ნაწილად მიიჩნევდნენ. სლავურ-რუსული მეომარი ტომები, რომლებიც, მოსე კალანკატუელის თანახმად, ზოგჯერ ლაშქრავდნენ სამხრეთის მხარეებს და ამიერკავკასიაში შემოდიოდნენ კასპიის ანუ დარუბანდის კარით, ხვდებოდნენ ივერიელ (ჰერ) მოსახლეობას, ამიტომაც, როგორც ჩანს, ჰერთა ანუ ივერიელთა დედოფალ დინარას შესახებ ცნობებიც მათ გაიტანეს რუსეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები წმიდა დედოფალ დინარას შესახებ არის პირველი რუსული წერილობითი ძეგლი (1564 წ.) საქართველოზე.

საქართველოს ეკლესია დიდ პატივს მიაგებდა წმიდა დედოფალ დინარას. თუ არა მისი თავგამოდებული ღვაწლი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა შეემატებოდა მწვალებელ-მონოფიზიტთა რიგებს, რომელნიც აქ გაბატონებულნი იყვნენ სპარსელთა ხელშეწყობით.

მოსკოვის კრემლის სასახლეში, ოქროს სადედოფლო დარბაზის ჩრდილოეთის კედელზე, გამოხატულია თეთრ ცხენზე ამხედრებული მტერთა მძლეველი წმიდა დედოფალი დინარა.

3 (16)—ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული (+1068)

8 (21)—წმიდა მოწამე მირდატ მეფე (+410);

12 (25) —ღირსნი მამანი ჩვენნი, ათონელნი: იოანე — ექვთიმეს მამა და გაბრიელი (X)

18 (31) —ღირსი კოზმან ხუცეს-მონაზონი, მწიგნობართუხუცესი, მრავალმთას სპარსთაგან მოკლული (+1630)

20 (2.08)—წმიდა სალომე ქართველი, სპარსთაგან წამებული (XII)
—წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) (+1907);

24 (6.08)—წმიდა ილარიონ თუალელი (XI)

28 (10.08)—ღირსი გიორგი მაშენებელი —ათონელი (+1029)

29 (11.08)—წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელი (+551)

30 (12.08)—წმიდა ცოტნე დადიანი — საქართველოსთვის თავდადებული და აღმსარებელი (XIII)

31 (13.08)—წმიდა არსენ ნინოწმიდელი (+1082)

ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული (1068)
3 (16) ივლისი

წმიდა გიორგი ღმერთშემოსილი „კაცი ზეცისა და ანგელოზი ქვეყანისა“ დაიბადა X სს. ბოლოს. ბიოგრაფიული ცნობები წმიდანის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, წმიდა გიორგი ღმერთშემოსილი სამართლიანად ითვლება XI სს. საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს წმიდანად.

წმიდა გიორგი ღმერთშემოსილი ქართველი ბერების იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელთაც უცხოობაში ცხოვრება ირჩიეს სამოღვაწეოდ. განდეგილობისა და ამა სოფლის შფოთისაგან განრიდების სურვილით ის საქართველოდან წავიდა და შავ, ანუ საკვირველ მთაზე დაემკვიდრა. ამ დროს იქ უამრავი ეკლესია-მონასტერი იყო. ყველა ცდილობდა ადგილის დამკვიდრებას და არცთუ იშვიათი იყო სხვადასხვა ეროვნების ბერმონაზონთა შორის გაუგებრობანი. წმიდა მამამ მიუვალი მთის ნაპრალებში პოვა თავშესაფარი. წმიდა გიორგი დაყუდებული იყო უდიდესი ასკეტიც და ქვეყნიური მოღვაწეც, ყოველგვარ ეროვნულზე ამაღლებულიც და უდიდესი პატრიოტიც. მის პიროვნებაზე და მოღვაწეობაზე საუკეთესოდ მეტყველებს მისი წოდება — ღმერთშემოსილი.

როდესაც საქართველოდან ფარულად წასულმა წმიდა გიორგი მთაწმიდელმა (ხს. 27 ივნისს) შავი მთის მონასტრები მოილოცა, დაიწყო სულიერი მამის მოძიება, რადგან იცოდა, რომ თვინიერ მოძღვრისა „არა არს ცხოვრებაჲ სულისა და წარმართებაჲ მონაზონებისაჲ“. მან საკვირველ მთაზე იპოვა კლდის ნაპრალში დაყუდებული წმიდა ბერი, „ვითარცა გურიტი უბინოჲ და ტრედი უმანკოჲ, კაცი ზეცისაჲ და ანგელოზი ქუეყანისაჲ“. ეს იყო გიორგი ღმერთშემოსილი, ბერი „განშორებული ჴორცთაგან და ჴორციელ ზრუნვათაგან, გონებით ღმრთისა მიცვალებული“. წმიდა გიორგი შეყენებულმა დაიმოწაფა ღირსი გიორგი, მონასტერში დაამკვიდრა და სამი წელი შრომასა და მოღვაწეობაში, მარხვასა და მღვიძარებაში აცხოვრა.

გიორგი დაყუდებულმა აკურთხა წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელი, ათონზე წასულიყო და გაეგრძელებინა წმიდა ექვთიმე ათონელის (ხს. 13 მაისს) საქმე, ბერძნულიდან ქართულად ეთარგმნა საღმრთო წიგნები, თან შეურყეველი რწმენითა და სასოებით განმსჭვალული სიტყვებით გაამხნევა: „შვილო, რომელმან წმიდაჲ იგი (ექვთიმე ათონელი) სიკუდილისაგან იხსნა და ქართული ენაჲ განმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყუარს ნათესავი ჩუენი". ღირსი გიორგი წმიდა ათონის მთაზე გაემგზავრა, მაგრამ წიგნების თარგმნის ნაცვლად შვიდი წლის მანძილზე ასრულებდა მორჩილის საქმეს. ეს რომ გიორგი შეყენებულმა გაიგო, ათონზე თავისი მოწაფე გაგზავნა და „დიდი მდურვა მიუმცნო" გიორგის „არღა აღსრულებისათვის ნებისა მისისა". გიორგი მთაწმიდელმა, თანახმად მოძღვრის სურვილისა, მღვდლობის ხარისხი მიიღო და შემდგომ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც მიჰყო ხელი.

მიუხედავად იმისა, რომ წმიდა გიორგი დაყუდებული განდეგილ ცხოვრებას ეწეოდა, მან უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებას. მას მტკიცე კავშირი ჰქონდა ათონზე მოღვაწე ქართველ მამებთან, საიდანაც, მისი სიტყვით, „სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი საღმრთოჲთა ნათლითა განაბრწყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანი ახლად შეამკვნა". მან ლიტერატურული მოღვაწეობის გზაზე დააყენა წმიდა გიორგი მთაწმიდელი. მისივე თხოვნითა და დავალებით აღწერა გიორგი მცირემ თავისი მოძღვრის, წმიდა გიორგი მთაწმინდელის, ცხოვრება. წმიდა გიორგი დაყუდებულს გადაუწერია დავით მტბევარის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ცხოვრება სვიმეონ საკვირველთმოქმედის დედის, მართასი, და წმიდისა ბარლაამ სიროკავკასიელისა.

წმიდა გიორგი დაყუდებული გარდაიცვალა 1068 წელს, თავისი სახელოვანი მოწაფის - წმიდა გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ.

წმიდა მოწამე მირდატ მეფე (+410)
8 (21) ივლისი

წმიდა მოწამე მირდატ მეფე იყო ქართლის მეფე ვარაზ-ბაკურის შვილი. ის ბაბუამ, დედის მამამ, თრდატ მეფემ აღზარდა. მორწმუნე, ბრძენი და გონიერი პაპა ღვთისა და ერის სიყვარულს ასნავლიდა მომავალ მეფეს. მირდატიც გამოირჩეოდა სამეფო თვისებებით, ახოვნება, სიმხნე და უშიშრობა ბავშვობიდანვე დაჰყვა უფლისწულს. მას არც სიქველე და გონიერება აკლდა. ჭარბმა ენერგიამ საკუთარ ძალასა და ვაჟკაცობაზე მინდობილ მეფეს ქართლის სამეფოს სრული განთავისუფლება და გაძლიერება გადააწყვეტინა — „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა". „ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთსა, საზღვართა ქართლისასა", სპარსელებს კი ხარკის მიცემა შეუწყვიტა.

სპარსთა მეფემ ძლიერი სპა გამოგზავნა ქართველთა მეფის დასასჯელად. მირდატმა „არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთასა", მცირედი ჯარით მიეგება გარდაბანთან და ფიცხელი ომი გაუმართა მომხდურთ. დამარცხდა ქართველთა შიშველი შემართება უსჯულოთა სიმრავლის წინაშე, სპარსელებმა ტყვედ ჩაიგდეს ქედმოუხრელი მეფე და ბაღდადს წაიყვანეს ხალიფასთან. სჯულის გამოცვლა მოსთხოვეს ქართველ გვირგვინოსანს, მაგრამ ვერ გატეხეს ქრისტესთვის სიკვდილის მაძიებელი მეფის ნებისყოფა. ბორკილებდადებული და ნატანჯი მეფე საპყრობილეში ჩააგდეს და იქვე აღესრულა 410 წელს.

სიცოცხლეში თავის ერზე უსაზღვროდ შეყვარებულმა მეფემ ვერ მოასწრო ეკლესია-მონასტრების აშენება, ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ აპირებდა, ალბათ, ერის სულიერი ცხოვრების წინ წამონევას. საყვედურობს კიდეც ჟამთააღმწერელი: „არცა აღაშენა ეკლესიაი, არცა ჰმატა შენებულთაო", მაგრამ ღმერთმა გაამჟღავნა მისი ქრისტესადმი უსაზღვრო სიყვარული და საკუთარი მონამებრივი აღსასრულით აგვიგო ტაძარი ზეცაში, საიდანაც ისევე მხურვალედ ლოცულობს ჩვენთვის, როგორც იბრძოდა მტერთა წინააღმდეგ.

ღირსნი მამანი ჩვენნი, ათონელნი: იოანე — ექვთიმეს მამა და გაბრიელი (X)
12 (25) ივლისი

საქართველოს სამოციქულო ეკლესია ერთად იხსენებს წმიდა ათონის მთაზე ქართველ სასულიერო მოღვაწეთა სავანის დამაარსებელ მამებს — ღირს იოანესა და გაბრიელს.

ნეტარი მამა იოანე (ერისკაცობაში ვარაზვაჩე ჩორდვანელი) დაიბადა სამცხეში დაახ. 920 წელს. წმიდანის მამა საქართველოს მეფის, დავით კურაპალატის, კარზე დაახლოებული დიდებული იყო. იოანეს ბავშვობიდანვე საუკეთესო განათლება მიაღებინეს: „სიყრმითგან თვისით განსწავლულ იყო თავისუფლისა ხელოვნებათა და გონიერ გონებითა და გულისხმისყოფითა, მეცნიერი ენისა ელინთასა და სხვათაცა ენათა ზედმიწევნულობით სწავლული და აღსავსე სიბრძნითა და შიშითა ღვთისათა".

წმიდა იოანე მამის მსგავსად საერო სამსახურში ჩადგა. ყველა ამქვეყნიური პატივი და ბედნიერება უხვად მომადლა ღმერთმა ნეტარს: ჰყავდა ცოლ-შვილი, ჰქონდა სიმდიდრე და გარშემორტყმული იყო მოსიყვარულე და ერთგული მეგობრებითა და მეფის სიყვარულით, მაგრამ მან ქრისტეს სიყვარულის გამო დატოვა ამქვეყნიური დიდება, პატივი, ოჯახი, ცოლ-შვილი, ნათესავები და ფარულად მიაშურა ლავრას დიდებულთა ოთხთა ეკლესიათა.

მამა იოანეს ცოლ-შვილი მოსავლელად სიმამრმა აბუჰარბმა და ცოლისძმებმა წაიყვანეს. როდესაც მეფის კარზე გაიგეს იოანეს მონაზვნად აღკვეცის ამბავი, ის მამების კურთხევით საბერძნეთში გაემგზავრა და ულუმბოს მთის ერთ-ერთ მონასტერში შეუდგა მოღვაწეობას.

ამასობაში საბერძნეთის იმპერატორმა ზემო ქვეყნები მისცა დავით კურაპალატს, სანაცვლოდ, ერთგულების ნიშნად, ამ ქვეყნებიდან აზნაურთა შვილები მოითხოვა მძევლებად. მამა იოანეს ნათესავებმა სხვებთან ერთად იოანეს ძე — ექვთიმეც მიჰგვარეს ბერძენთა მეფეს. იოანემ ეს რომ გაიგო, კონსტანტინოპოლს წავიდა და იმპერატორს გამოსთხოვა თავისი შვილი, სიმამრსაც უსაყვედურა: „რაჲ არს ესე? ნუუკუე შვილნი არა გესხნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ

სწყალობდით, ვითარცა თკსთა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ! გარნა უფალმან შეგინდვენ თქუენ!"

მამა იოანემ თავისი ძე, ყრმა ექვთიმე (ხს. 13 მაისს) ნაიყვანა და რამდენიმე სხვა მონაფესთან ერთად ათონის მთაზე წავიდა (დაახ. 965 წელს); იქ წმიდა ათანასეს ლავრაში დაემკვიდრა და ორი წელი მორჩილებაში გაატარა.

ამ დროს წმიდა იოანესთან მივიდა ცნობილი ქართველი მხედართ-მთავარი თორნიკე ერისთავი (ხს. 12 ივნისს), ბერად აღიკვეცა იოანეს სახელით და წმიდა ათანასეს კურთხევით ლავრაში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ.

ათანასეს ლავრას იმდენმა ქართველმა მიაშურა, რომ იოანე იძულებული გახდა, ლავრისგან მოშორებით საკუთრად ქართველებისათვის აეშენებინა ეკლესია იოანე მახარებლის სახელზე. ეკლესიასთან ერთად ივერიელებმა სენაკებიც ააგეს საცხოვრებლად.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, როცა საბერძნეთის მეფეებს, ბასილისა და კონსტანტინეს, ბარდა სკლიაროსი განუდგა და ძლიერ შეავიწროვა. იმპერატორების დედამ, თეოფანიამ, წერილი გაუგზავნა ათონელ მამებს და სთხოვა, თორნიკე სასახლეში მისულიყო. თორნიკეს საერო საქმეში ჩარევა არ უნდოდა, მაგრამ, იოანესა და ათანასეს რჩევით, გამოცხადდა საბერძნეთის სამეფო კარზე და დედოფლის თხოვნით დავით კურაპალატს ეახლა საქართველოში.

დავით კურაპალატმა გაიხარა საყვარელი სპასალარის ხილვით, დედოფლის თხოვნაც შეასრულა და დამხმარე ლაშქარს თორნიკე დაუნიშნა სარდლად. ცხოვრებისაგან განდგომილ ბერს შეეშინდა, ურჩობით უფალი არ გაენაწყენებინა და კვლავ სპასალარის უფლებით სათავეში ჩაუდგა ქართველთა მხედრიონს.

ღვთის შეწევნით, აჯანყებული ბარდა სკლიაროსი დამარცხდა. გამარჯვებაში ლომის წილი ქართველთა ლაშქარმა შეიტანა. ბრძოლის ველიდან წამოღებული ნადავლი, დავით კურაპალატის სურვილით, იოანე-თორნიკემ ათონის წმიდა მთაზე წაიღო. „მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორი ჰყვეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან კვალად მოაქცია მშვიდობით".

ორი ღირსეული მამის მოღვაწეობამ ისე მოამრავლა მთაწმიდაზე ქართველები, რომ წმიდა იოანემ და თორნიკემ თავს იდვეს ახალი ეკლესია-მონასტრების აშენება. სულ მალე ათონზე ორი ეკლესია აშენდა: ერთი — ღვთისმშობლისა, მეორე კი — იოანე ნათლისმცემლის სახელზე. ღირსმა მამებმა მთაწმიდის სხვა ეკლესია-მონასტრებსაც გაუწოდეს დახმარების ხელი.

ბრძოლის ველზე დაუმარცხებელმა სარდალმა და უხილავ მტერზე გამარჯვებულმა იოანე-თორნიკყოფილმა მშვიდად ჩააბარა სინანულით განწმენდილი სული უფალს.

თორნიკეს გარდაცვალების შემდეგ მამა იოანეს წმიდა მთაზე ჩამოვარდნილი შუღლის გამო იქ ცხოვრება გაუძნელდა და გადაწყვიტა, რამდენიმე მოწაფესთან ერთად სხვაგან წასულიყო სამოღვაწეოდ, მაგრამ ბერძენთა მეფის თხოვნით ისევ ათონზე დარჩა.

მალე მამა იოანე ნეკრესის ქარებით დაავადდა და „მრავალთა წელთა ცხედართა ზედა დავრდომილი მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა". სიკვდილის წინ მან იხმო თავისი შვილი წმიდა ექვთიმე და მონასტრის წინამძღვრობა გადააბარა. შემდეგ, როგორც უკვე წინამძღვარს, სთხოვა, შეენდო მისთვის ადამიანური სისუსტეები და დაუბარა, თავის შემდგომ გიორგისთვის (ხს. 28 ივლისს) გადაეცა წინამძღვრობა, დალოცა მამები და ძმები, ნეტარი ექვთიმეც „აკურთხა... ზეგარდამოჩთა კურთხევითა და ჴელთა შინა მისთა წმიდაჲ სული თჳსი ღმერთსა შეჰვედრა და მშჳდობით მას ზედა დაწვა და დაიძინა".

ღირსმა ექვთიმემ ჯეროვანი პატივით შემოსა მამის წმიდა ცხედარი, შემდეგ კი მის საფლავზე წმიდა მთავარანგელოზთა ეკლესიაც ააშენა.

წმიდა გაბრიელ ქართველი ათონის მთაზე მოღვაწე ბერი იყო, ის ზაფხულობით მიუვალ კლდეებში ცხოვრობდა, ხოლო ზამთრობით სავანეში ჩადიოდა და იქაც მდუმარების ღვაწლში იმყოფებოდა, მარადჟამს ძაძა ემოსა და ბალახით იკვებებოდა, იყო ჭეშმარიტად კაცი ზეცისა და ანგელოზი ქვეყნისა.

როგორც ვარაუდობენ, წმიდა გაბრიელ ქართველი ერისკაცობიდანვე იცნობდა წმიდა იოანე და იოანე-თორნიკეს, ისიც დიდებულთა გვარიდან იყო, წმიდა გაბრიელმა იმდენად განაგდო თავისი თავისგან ყოველი ამქვეყნიური, რომ მისი ცხოვრებიდან ჩვენც წმიდა მამის მოღვაწეობის ზოგადი სახე და მსოფლიოსთვის ცნობილი სასნაულების შესახებ ვიცით მხოლოდ.

ერთხელ, საღამოს, ათონელმა ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. წმიდა მთის მამები შეიკრიბნენ, ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ზეციური ნათელი ღვთისმშობლის ხატს ადგა. მამები ნავებით შევიდნენ ზღვაში, მაგრამ როცა მიუახლოვდნენ, „შორს ივლტოდის ბრწყინვალება იგი მათგან და იყვნენ მჭმუნვარე ამისთვის". ბერები ლოცვად დადგნენ და უფალს შეჰღაღადეს, გამოეცხადებინა თავისი წმიდა ნება. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მამებს და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ქართველი იყო ღირსი მისი წმიდა ხატის გამოყვანებისა, იმავდროულად

იგი გამოეცხადა ღვთისმოშიშ ბერს და უთხრა: „შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი სავანისადმი“.

მამები მივიდნენ ივერთა მონასტერში, მოიკითხეს და მოძებნეს მთაში დაყუდებული მონაზონი. ბერებმა წმიდა მამა ზღვაში შეუშვეს. ცეცხლმნთებარე ხატიც მოუახლოვდა წმიდა გაბრიელს. მან წმიდა ხატი გულზე მიირქვა, ფეხით გაიარა ტალღებზე და სიწმიდე ნაპირზე გამოაბრძანა. იმ ადგილას, სადაც ხატი დაასვენეს, მაკურნებელმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღემდე აგრილებს სიცხისაგან დაღლილ ბერებს და მლოცველებს.

ეს სასწაული აღესრულა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

ზღვიდან გამოსვენებული ხატი ივერთა მონასტრის საკურთხეველში შეასვენეს. მეორე დილით კანდელის ასანთებად მისულ ბერს ღვთისმშობლის ხატი იქ არ დახვდა. შეშინებულმა მამებმა ხატი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ყოვლადწმიდა ქალწული გამოეცხადა წმიდა გაბრიელს და უთხრა: „გამოუცხადე ძმათა, რათა ამიერიდან უმეტეს არღა განმხდიდნენ მე, რამეთუ მე მნებავს არა იგი, რათა მიცავდეთ თქვენ, არამედ რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ, არა მხოლოდ ამა ცხორებასა შინა, არამედ მომავალსაცა და ვიდრემდე იხილვებოდეს სავანესა ამას შინა ხატი ჩემი, არა მოგაკლდეს თქუენ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა“.

ბერები გამოუთქმელი სიხარულით აღივსნენ, იქვე ააგეს პატარა ტაძარი სადიდებლად ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და საკვირველთმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს.

დღეს ათონის ივერთა მონასტერში ბრძანდება ხატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, ივერიისად წოდებული, რომელიც მთელი ათონის გულად ითვლება, მონასტრის შესასვლელში არის დიდი ხატი ივერონის დამაარსებელი ქართველი ბერებისა: იოანესი, ექვთიმესი და გიორგისა, რომლებსაც, როგორც ქტიტორებს, ყოველთვის იხსენიებს მთელი ათონის მთა. იქ ყველას უყვებიან საოცარი ქართველი ბერის — გაბრიელის შესახებ, იქვეა ქართველთა საძვალეც, იოანე-თორნიკეს ჯაჭვის პერანგი და უამრავი ქართული ხელნაწერი.

ღირსი კოზმან ხუცეს-მონაზონი, მწიგნობართუხუცესი, მრავალმთას სპარსთაგან მოკლული (+1630) 18 (31) ივლისი

ღირსი კოზმან ხუცეს-მონაზონი დაიბადა დაახ. 1590-იან წლებში. ღრმად განათლებული წმიდანი მონაზვნად აღიკვეცა და მოღვაწეობდა დავით გარეჯის ცნობილ მონასტერში.

ღირსი დავით გარეჯელის მიერ დაარსებული სამონასტრო კომპლექსი საუკუნეების მანძილზე იყო სრულიად საქართველოსთვის სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრი.

საქართველოს სამეფო კარი ყოველთვის ანგარიშს უწევდა გარეჯელ მამათა აზრს.

გარეჯის უდაბნო უმნიშვნელოვანესი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერა იყო. აქ იქმნებოდა ორიგინალური სასულიერო ხასიათის თხზულებები, მრავლდებოდა ძველი ქართული ხელნაწერები, მზადდებოდა ახალი.

გარეჯელი მოღვაწეები ადგენდნენ ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლებისა და ასკეტიკურ-ჰომილეტიკური თხზულებების კრებულებს, ეხმარებოდნენ სხვა მონასტრებთან არსებულ ლიტერატურულ სკოლებს.

აქ უმოღვაწია წმიდა კოზმან ხუცეს-მონაზონს. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ შემონახულა. ანტონ კათოლიკოსი გადმოგვცემს, რომ კოზმანი იყო „კაცი უმანკო, წრფელი, კეთილმწიგნობარი, შუენიერი მეფსალმუნე, სიბრძნით გამომთქმელ, წერილთ ჯეროვან ავქსონ", თან ამბობს, ჩემს სიყრმეში მინახავს, დედაჩემთან სტუმრად მოსულიო.

წმიდა კოზმანს დაუწერია „შესხმა ქეთევან დედოფლისა", რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

პლატონ იოსელიანის ცნობით, კოზმან ხუცეს-მონაზონი შეუპყრიათ უდაბნოს დასარბევად მოსულ ლეკებს და უწამებიათ (+1630).

წმიდა სალომე ქართველი, სპარსთაგან ნამებული (XIII)
20 (2.08) ივლისი

წმიდა სალომე ქართველის შესახებ ცნობას გვაწვდის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარი: „ამასვე დღესა (20 ივლისი) წამებაჲ სალომე ქართველისაჲ, რომელი პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კუალად აღიარა სარწმუნოებაჲ ქრისტესი და თავი წარეკუეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაჲ მისი".

მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი) თავის „მიმოსლვაში" აღნიშნავს, რომ „მუნ (ე.ი. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში) წამებულა წმიდა მონამე სალომე, რამეთუ შეუპყრიესთ უსჯულოთა და დატევებისათვის სჯულისა აიძულებდენ რა, განბასრა სარწმუნოება მათი მჴნემან მან. ამის შემდგომად ცეცხლითა და მახვილითა უწამებიათ სანატრელი იგი". როგორც ჩანს, სალომე ქართველი იყო იერუსალიმის დედათა სავანეში მოღვაწე ქალი. ვარაუდობენ, რომ ის ეწამა წმიდა ლუკა იერუსალიმელის (+1227, ხს. 12 თებერვალს) მონამეობრივი აღსასრულის შემდეგ.

წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) (+1907)
20 (2.08) ივლისი

წმიდა ილია მართალი (ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე) 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით) დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში. პირველდაწყებითი განათლება მან ოჯახში მიიღო: დედამ შეასწავლა წერა-კითხვა, ლოცვები, საღვთო ისტორია. რვა წლის ილია ყვარლის მთავარდიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილისათვის მიუბარებიათ. მასთან გატარებულმა სამმა წელმა წარუშლელი კვალი დატოვა წმიდანის ცხოვრებაში. ილიამ სწავლა ჯერ თბილისის კერძო პანსიონში, შემდგომ კი კეთილშობილთა გიმნაზიაში გააგრძელა. მშობლები მას ადრე გარდაეცვალა და დაობლებული ოჯახის მეურვეობა მამიდა მაკრინემ იტვირთა.

1857 წელს ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ილია ძალიან ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით ძველი ქართული წიგნებით იყო დაინტერესებული. აკადემიური მოსწრებაც მაღალი ჰქონდა, მაგრამ ილიას იურიდიული განათლების ოფიციალური მოწმობა არ აინტერესებდა. მან მეოთხე კურსიდან მიატოვა სწავლა და 1861 წელს ღრმად და მრავალმხრივ განსწავლული დაბრუნდა საქართველოში.

„რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?.. შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“ — ეკითხებოდა ოცდაოთხი წლის ყმაწვილი საკუთარ თავს. ამის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი წუთი, რომ მას საქართველოსთვის არ ეფიქრა. საჭირო იყო ერის გამოღვიძება, მართალი სიტყვის თქმა... ილიაც არ ერიდებოდა მწარე მხილებას.

ილიას მიაჩნდა, რომ „როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა“, რომელსაც „აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე არად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს“, ამიტომაც ახსენებდა თანამემამულეებს წარსულ დიდებას, ქართველთა თავდადებას რწმენისა და მამულის დასაცავად: „რა არ

გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაივაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანავეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი ნვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით, აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრეს, მოგვულიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსნორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას?... დრო-ჟამი ამას გვიქადის" („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?")...

ეროვნული ინტერესები აიძულებდა ილიას, ისტორიკოსის ფუნქციები ეკისრა: მატიანეებს ულრმავდებოდა, ეძიებდა, იკვლევდა და საქართველოს ღირსების შემლახველებს, ისტორიის ფალსიფიკატორებს ღირსეულ პასუხს სცემდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილების ციკლი „აი, ისტორია" და „ქვათა ღაღადი". განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე ცხოვრების ამსახველ „შინაურ მიმოხილვებსაც" — „ივერიის" საპროგრამო წერილებს, რომელთაც ილია მიზნად უსახავდა „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენას, ფეხზედ დაყენებას და დაცვას ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან".

დიდი ქართველი მოღვაწე ხშირად იმეორებდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო". იგი ზრუნავდა ენის სიწმინდისათვის, იბრძოდა მისი უფლებების დასაცავად სკოლებში. 1881 წელს, როცა კავკასიის სასწავლო ოლქის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქართული ენის გაძევება სკოლებიდან, მან სტატიაში „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო" დაასაბუთა, რომ „უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია, მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის... გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა"... ამ გამოსვლამ შედეგიც გამოიღო. ის მინიმალური უფლებები, რომლებიც ქართულ ენას შეუნარჩუნდა სკოლებში, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ილიას ბრძოლის შედეგიც იყო.

ილიამ ჩაუდგა სული ბევრ სხვა ეროვნულ საქმესაც: მან დააარსა ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ძველ ქართულ ხელნაწერთა და სიძველეთა საცავი, საფუძველი დაუდო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეგროვებას. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსებისა.

ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში განაცხადა ილია მართალმა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ მას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ: 1905 წლის ოქტომბერში დასნრებია წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში გამართულ სამღვდელოების კრებას, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტონომიის საკითხს მიეძღვნა, მეთაურობდა საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც კავკასიის მეფისნაცვალს მიმართა თხოვნით, მხარი დაეჭირა ქართველთა ბრძოლისათვის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად.

ილიას მოღვაწეობა იმდენად აღიზიანებდა და აშინებდა ეკლესიისა და ყოველგვარი ეროვნულობის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი სატანური მოძღვრების გზააბნეულ მიმდევრებს, რომ ილიას ფიზიკურად მოსპობა განიზრახეს...

1907 წლის 30 აგვისტოს თბილისიდან საგურამოს მიმავალი ეტლი, რომელშიც ილია და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი იმყოფებოდნენ, ნიწამურის ტყესთან შედგა. თოფის გრიალმა შეძრა დადუმებული გარემო. ილია ზეზე ნამოიჭრა: „შესდექით, უბედურნო, ილია ვარ!!!“ — დაიძახა, მაგრამ ბერდანის ტყვიამ გაუჩერა ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულით აღვსილი გული.

მთელი საქართველო დასტიროდა წმიდა ილიას ცხედარს.

კავკასიის სამხედრო სასამართლომ ილიას მკვლელებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. თბილისის გენერალ-გუბერნატორს მკვლელების შეწყნარების თხოვნით მიმართა თვით ილიას ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა: „მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა მათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა... მე თითქოს მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამსოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზააბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია, ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი

ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთისოფელში — შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიური სიყვარულის შუქით განათლებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმ მტრებისას, „რამეთუ არა იციან, რასა იქმან".

ილიამ კი სიცოცხლეშივე შეუნდო თავის მკვლელებს ცნობილი ლექსით „ლოცვა": „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმიდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან!"

1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა: „ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმიდანად და ეწოდოს მას ილია მართალი".

წმიდა ილარიონ თუალელი (XI)
24 (6.08) ივლისი

ღირსი ილარიონ თუალელის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ვიცით, რომ იგი თავდაპირველად ხახულის მონასტერში მოღვაწეობდა და თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი სასულიერო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი ყოფილა. გიორგი მცირე (XI ს.) „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში" წერს, რომ წმიდა ილარიონი იყო „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღურებათა შინა განთქმული". ილარიონი „ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა, რომლისა სათნოებათა და მოღუაწებათა წარმოთქუმაი შეუძლებელ არს."

ღირსმა ილარიონმა აღზარდა ხახულის მონასტერში მიყვანილი ყრმა გიორგი მთაწმიდელი (ხს. 27 ივნისს). „ვითარცა ღმრთისა მიერ მოცემული კეთილი შვილი, ეგრეთ შეიწყნარა და წესიერებისა მიმართ და სათნოებისა წურთად უწყის და ესრეთ წარემატებოდა ნებითა ღმრთისაჲთა, ვითარცა ნერგი კეთილი, დანერგული თანაწარსადინელსა ღმრთივ-სულიერთა სწავლათასა, დღითი-დღე აღორძნდებოდა". როგორც ჩანს, ხახულის მონასტრიდან წმიდა ილარიონი ანტიოქიაში წასულა სამოღვაწეოდ. მისი ზეწოდება თუალელი მომდინარეობს ანტიოქის მახლობლად მდებარე თუალის მონასტრიდან.

წმიდა ილარიონმა აღკვეცა მონაზვნად გიორგი მთაწმიდელი და მანვე ჩაუნერგა ის სიწმიდე და სიბრძნე, რითაც გიორგიმ დაატკბო საქართველოს ეკლესია. მიხეილ საბინინის (1845-1900) ცნობით, ღირსი ილარიონი გარდაიცვალა 1041 წელს.

ღირსი გიორგი მაშენებელი — ათონელი (+1029)
28 (10.08) ივლისი

ღირსი გიორგი მაშენებელი იყო ათონის ივერთა მონასტრის მესამე იღუმენი. როგორც ათონელ წმიდა მამათა ცხოვრების აღმწერელი გიორგი მთაწმიდელი (ხს. 27 ივნისს) მოგვითხრობს, მონასტრის პირველმა იღუმენმა, ღირსმა იოანემ (ხს. 12 ივლისს), თავის შვილს, ღირს ექვთიმეს (ხს. 13 მაისს) გადააბარა წინამძღვრობა და თან დაუბარა: „შემდგომად თავისა... რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობაჲ, რომელ იგი თვისივე იყო მათი, კაცი სახელოანი და ფრთხილი ჴორციელთა საქმეთა ზედა". ზოგი ცნობით, გიორგი იოანეს ძმისშვილი იყო.

ექვთიმეს გადადგომის შემდეგ გიორგიმ აქტიურად დაიწყო მონასტრის მართვა. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ივერონის მთავარი ტაძარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა. ტაძრის წარწერაში ნათქვამია: „მე დავამტკიცენ სუეტნი მისნი და უკუნისამდე არა შეიძრნენ. გიორგი მონაზონი, ქართველი და მაშენებელი".

ივერონის წინამძღვარს დიდ პატივს სცემდნენ ბიზანტიის იმპერატორის კარზე, „დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ", შემდეგ კი „თუ ვითარ ექმნა, ღმერთმან უნყის, განდგომილებაჲ და ორგულებაჲ დასწამეს", კუნძულ მონოვატზე გადაასახლეს და იქვე აღესრულა.

გიორგის გადასახლება საბედისწერო შეიქნა ივერთა ლავრისათვის, ცილისმწამებლებმა ახლი საბაბი იპოვეს, „საბერძნეთის დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მოდრიკნეს" და ათონელ ქართველებს მძიმე ვითარება შეუქმნეს. ამ დროს გაიძარცვა და განადგურდა „მამათა ჩვენთა მოგებული", სისხლითა და ოფლით მოპოვებული მონასტრის სიმდიდრე.

კეთილმსახურ და ქრისტესმოყვარე იმპერატორ მიხეილის დროს ივერთა მონასტერს ისევ დაუბრუნდა კუთვნილი ქონება და ძველებური სიტკბოება მოეფინა სავანის ძმობას.

ქართველმა ბერებმა გიორგის ცხედარი მონოვატიდან ათონს გადაასვენეს.

ათონის ივერთა მონასტერში წმიდა გიორგი მაშენებლის ხსენება იოანესა და ექვთიმესთან ერთად აღესრულება.

წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელი (+551)
29 (11.08) ივლისი

წმიდა ევსტათი მცხეთელი წარმოშობით სპარსი იყო. იგი საქართველოში ჩამოვიდა და ქართლში დასახლდა. მას ისე მოეწონა ქართველთა ზნე-ჩვეულება, რომ გაქრისტიანება გადანყვიტა, ეს კი იმ დროისათვის ძალიან საშიში იყო. გვირობანდაკმა (ასე ერქვა მას ნათლობამდე) კათოლიკოს სამოელის ხელით მიიღო ნათლობა და ქრისტიანული სახელი — ევსტათი ეწოდა. მალე მან ქართველი ქალი შეირთო და მთლიანად დაუმოყვრდა ქრისტესთან დამოყვრებულ ერს.

ერთხელ მცხეთელმა სპარსელებმა დღესასწაულზე მიიწვიეს ევსტათი, მაგრამ წმიდანმა შორს დაიჭირა: „მე ქრისტეს ბეჭდითა აღბეჭდილ ვარ და ბნელსა მაგას განშორებულ ვარ", — შეუთვალა მან ძველ თანამემამულეებს. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ცეცხლთაყვანისმცემლებმა მცხეთის ციხისთავთან, უსტამთან, დაასმინეს ევსტათი. მან თავისთან დაიბარა წმიდანი.

ევსტათი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი გაიფიქრა: „ესენი ჩემი მოყვარენი არიან და თუ ამათი შემეშინდება, სხვასთან როგორღა მოვიქცევი. წავალ და ცხადად ვაღიარებ ქრისტეს, რამეთუ წერილ არს: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უვარ ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა".

უსტამმა სადაურობა გამოჰკითხა ევსტათის. წმიდანმა მიუგო: სპარსელი ვარ, არშაკეთის ხევიდან, ქალაქ განძაკიდან. მამაჩემი მოგვი იყო, მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ ჩვენს ქალაქში ბევრი ქრისტიანი ცხოვრობდა, შევისწავლე მათი რჯული, ვარჩიე მოგვობას და ახლა ქრისტიანი ვარ.

უსტამს არ ჰქონდა დასჯის უფლება, ამიტომ ქართლის მარზაპანთან, არვანდ გუშნასპთან, გაგზავნა აღმსარებელი. შემასმენელნი კვლავ ეახლნენ მცხეთის ციხისთავს და აუწყეს, რომ კიდევ შვიდი სპარსელი შესდგომოდა ქრისტეს სჯულს. რვავე ქრისტიანს ბორკილები დაადეს და თბილისში გაგზავნეს.

მარზაპანმა მკაცრად დაკითხა ქრისტეს მსასოებელი სპარსელები. მათ უპასუხეს: „მამულსა-ღა ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული

ვიცოდით, ხოლო რაჟამს ქართლად შემოვედით და ქრისტეანეთა რჩული ვიხილეთ, ქრისტეანე ვიქმნენით და აწ ქრისტეანე ვართ, რამეთუ ქრისტეანეთა რჩული წმიდა და სურნელ არს და ფრიად კეთილ და შუენიერ არს, ხოლო სხუაჲ რჩული ვერ ესწორების რჩულსა ქრისტეანეთასა".

განრისხებულმა მარზაპანმა ბრძანა, სასტიკად დაესაჯათ ისინი: გაეპარსათ თმა და წვერი, გაეხვრიტათ ცხვირები, დაედოთ ბორკილები და საპყრობილეში ჩაეყარათ, ხოლო თუკი რომელიმე უარყოფდა ქრისტეს — შეეწყალებინათ.

ექვსი თვის შემდეგ მარზაპანი სპარსეთის მეფემ თავისთან იხმო. ამით ისარგებლეს ქართლის კათოლიკოსმა სამოელმა, მცხეთის მამასახლისმა გრიგოლმა, პიტიახშმა არშუშამ და სპარსეთს მიმავალ არვანდ გუშნასპს სთხოვეს, გაეთავისუფლებინა დილეგში ჩაგდებული სპარსი ქრისტიანები. არვანდ გუშნასპმა თხოვნა შეუსრულა ქართველ დიდებულებს, თუმცა დაამატა — ისინი მოსაკლავად მყავდა გამზადებულიო.

სამი წლის შემდეგ ქართლს მარზაპნად ვეუან ბუზმირი მოევლინა. მოგვებმა კვლავ დაასმინეს ევსტათი. წმიდა ევსტათი სამუდამოდ გამოეთხოვა ოჯახს: „ჯმნულმცა ვარ მე თქვენგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ და ქრისტე მე არა უვარ ვყო და მათ მე არღარა განმიტეონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოიწიოს აქვე ნებითა ღმრთისაჲთა".

წმიდა ევსტათი შეევედრა ღმერთს: „უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, უკუეთუ ღირს მყო მე სიკუდილსა სახელისა შენისათჳს ქრისტიანობით, ჴორცთა ჩემთაჲ ნუ ჯერ გიჩნს განგდებაჲ გარე და შეჭმაჲ ძაღლთა და ფრინველთა ცისათაჲ, არამედ ჴორცთა ჩემთა ბრძანე აქვე მოქცევაჲ და დამარხვაჲ მცხეთას, სადაც ნათელ მიღებიეს".

წმიდა ევსტათი თბილისში ჩაიყვანეს და ვეუან ბუზმირს მიჰგვარეს. ევსტათისგან მოსმენილი ქრისტიანული აღმსარებლობით გაკვირვებულმა და მისი სიმშვენიერით მოხიბლულმა ბუზმირმა ტკბილად მიმართა წმიდანს: „შვილო ჩემო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისა შენისათა ქრისტეანებისათჳს და ნუ ქურივ სუამ ცოლსა შენსა და ობოლ შჳლთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყუასთა შენთა ამას ცხორებასა". წმიდა ევსტათიმ განუცხადა, რომ ქრისტეს არ უარყოფდა. გაბრაზებულმა მარზაპანმა ბრძანა, წმიდანი საპყრობილეში წაეყვანათ, ღამით კი თავი მოეკვეთათ და ქალაქგარეთ დაეგდოთ ფრინველთა საჯიჯგნად. ვიდრე საპყრობილეს მიაღწევდნენ, მან ითხოვა ლოცვისათვის დრო მიეცათ, მუხლი მოიდრიკა, თვალები ზეცად აღაპყრო და უფალს შეევედრა: „უფალო ღმერთო ყოვლისა

მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაჲ გნებავს ცხორებაჲ, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახლსა წმიდასა შენსა; რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირველთა მათ მოწამეთაჲ... ამას ვილოცავ და გევედრები და ვითხოვ შენ სახიერისაგან, რათა არა დაეტეოს გვამი ჩემი აქა ტფილისს შინა, არამედ რაჲთა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა იგი შენ გამომიჩნდი და რათა აქუნდეს მადლი და კურნებაჲ ძუალთა ჩემთა, ვითარცა იგი პირველთა მათ". უცებ გაისმა ხმა: „არა უნაკლულეს იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისაჲთა, რომელთა ვჰრწმენე მე, ხოლო გუამისა შენისათჳს ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ სთქუ ყოფად". მარზაპნის მსახურებმა თავი წარკვეთეს წმიდა ევსტათის, გვამი კი ღამით გაიტანეს და ქალაქგარეთ დააგდეს.

ქრისტიანებმა ევსტათის ცხედარი მალულად წაასვენეს მცხეთას. მოწამის ნეშტს წმიდა სამოელ კათოლიკოსი (ხს.30(13.2) ნოემბერს) შემოეგება და პატივით დაკრძალა სვეტიცხოველში, წმიდა ტრაპეზის ქვეშ.

წმიდა ცოტნე დადიანი — საქართველოსთვის თავდადებული და აღმსარებელი (XIII)
30 (12.08) ივლისი



წმიდა ცოტნე დადიანი — „კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლასა შინა სახელოვანი" ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნეში. ამ დროს საქართველო მონღოლთა უღელქვეშ იტანჯებოდა. რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ (1245 წელს) მონღოლებმა საქართველოს მთავრებს უმძიმესი ხარკი დაუწესეს და თან ბრძოლებში მონაწილეობაც დაავალეს. ქვეყნის მდგომარეობა იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ საქართველოს მთავრებმა გადაწყვიტეს, გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ მტერს.

კოხტასთავს დადგენილ შეკრებაზე მთავრებმა „დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა". ცოტნე დადიანი, „კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა", და რაჭის ერისთავი ლაშქრის შესაკრებად წავიდნენ. როგორც კი თათრებმა ქართველთა მთავრების ფარული შეკრების შესახებ გაიგეს, მაშინვე კოხტასთავს გაემართნენ, იქ შეკრებილი ყველა ქართველი დიდებული დაატყვევეს და ანისის ქვეყანაში, შირავაკანში წაასხეს.

შეკრების მიზეზად ქართველები მონღოლთათვის ხარკის აკრეფას ასახელებდნენ. მონღოლებმა მთავრები გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და, მშიერ-მწყურვალნი, პაპანაქება სიცხეში დატოვეს, თან ყოველდღე შეკრების მიზეზს ეკითხებოდნენ.

როცა დათქმულ დროს ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი ლაშქრით და შეიტყო მომხდარი, „მწუხარე იქმნა უზომოდ, და თჳსად სიკუდილად და სირცხჳლად შეჰრაცხა საქმე იგი, და წარავლინა ლაშქარი თჳსი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თჳსისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა". ცოტნემ იხილა სასიკვდილოდ განწირული თანამოძმეები, ცხენიდან ჩამოხტა, სამოსელი გაიხადა, თვითონ შეიკრა ხელ-ფეხი და გვერდით მიუჯდა მათ.

მონღოლებმა ცოტნეს მოსვლის მიზეზი ჰკითხეს. „ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანებაჲ თქუენი აღვასრულოთ — ეს იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძჳრის-მოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენ-

სა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო", — უპასუხა ცოტნემ.

ცოტნე დადიანის ასეთმა თავდადებამ იმდენად იმოქმედა მონღოლებზე, რომ მათ ქართველების განთავისუფლება გადაწყვიტეს. „ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მინდობილ ვართ", — უთხრეს მათ ცოტნეს და ყველანი გაათავისუფლეს.

1259 წლის მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ცოტნე დადიანის სახელი აღარ ჩანს. ვარაუდობენ, რომ ამ დროისათვის ცოტნე დადიანი უკვე გარდაცვლილი იყო.

საქართველოში ყველამ იცის ცოტნე დადიანის შესახებ, მისი გმირობა ყოველთვის სარწმუნოების, სიყვარულისა და თავდადების მაგალითი იყო და ერი ყოველთვის წმიდანის პატივს მიაგებდა მას.

წმიდა სინოდის 1999 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ცოტნე დადიანის წმიდანად შერაცხვა იყო მართლმორწმუნე ერის ნების გამოხატულება, ამიტომაც ყველამ გაიხარა ახალი ზეციური მეოხის დადგინებით.

წმიდა არსენ ნინოწმიდელი (+1082)
31 (13.08) ივლისი

წმიდა არსენ ნინოწმიდელი XI საუკუნის სასულიერო მოღვაწე, მთარგმნელი, მწიგნობარი და ერთ-ერთი საუკეთესო კალიგრაფი იყო. ის მონაზვნად იერუსალიმში აღიკვეცა, შემდეგ კი „კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათაᲲ“ საქართველოში მოიწვიეს და ნინოწმიდის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი.

წმიდა არსენმა „ღვთისათვის დაუტევა ეპისკოპოსობაᲲ და დავით კურაპალატის წინაშე მოვიდა“. ტაოს მფლობელმა დავითმა არსენი „ღირსად სიწმიდისა მისისა მოიკითხა და ოთხთა ეკლესიასა წარმოგზავნა“. იმ ხანებში ოთხთა ეკლესიაში ცხოვრობდა ბერი იოანე გრძელისძე. არსენი და იოანე დიდად დამეგობრებულან: „მათ უკუე ნეტართა მამათა ჩუენთა, იოანეს და არსენის, ფრიადი სიყვარული აქუნდა ერთმანეთისაᲲ და მრავალჟამ იღუწიდეს მუნ კეთილსა მას ღუაწლსა მონაზონებისასა“, მაგრამ ოთხთა ეკლესიაში ისინი ამქვეყნიური ცხოვრებისაგან საკმაოდ განრიდებულად ვერ გრძნობდნენ თავს, „მყუდროებით ცხოვრებაᲲ ვერ იყოფებოდეს“, ამიტომ „უცხოსა ქვეყანასა“ წასვლა განიზრახეს. „წარვიდეს კერძოთა პონტოისათა“ და იქ ერთ-ერთ მონასტერში დამკვიდრნენ. მათი იქ ყოფნა შეუტყვიათ იოანე და ექვთიმე მთაწმიდელთ, რომელნიც ამ დროს ახლად დაარსებულ ათონის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობდნენ და თავისთან მიიწვიეს მამები. მეორე წელს არსენი და იოანე ჩავიდნენ ათონზე და მხარში ამოუდგნენ ექვთიმეს, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ წინამძღვრობის მთელი სიმძიმე დააწვა. ისინი „დიდად თანაშემწე ექმნნეს წმიდასა მამასა... ეფთჳმეს თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთასა და მოშურნე და მობაძავ წმიდათა სათნოებათა მისთა იქმნნეს და მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი ჟამსა სიბერისასა თჳსითა ხელითა აღწერნეს“, — მოგვითხრობს გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი.

წმიდა არსენი გარდაიცვალა ათონის მთაზე. დაუკრძალავთ „გარეგან მონასტრისა ერთსა შინა ეკლესიასა წმიდისა სჳმეონ მესვეტისასა“. როცა ივერიის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს წმიდა გიორგი მთაწმიდელი, მან წმიდა არსენის ნეშტი წშიდა ექვთიმე მთაწმიდელის გვერდით, დიდი ეკლესიის საგანგებო სამარტვილეში გადაასვენა.

3 (16)—პირველმოწამე რაჟდენი, სოფელ წრომს
ნამებული (+457)
—ცხრა ძმა ხერხეულიძე დედით, დით და მათ თანა
ცხრაათასი ქართველი, მარაბდას ბრძოლის
ველზე მომწყდარნი (+1625)

8 (21)—ღირსი ექვთიმე - ნათლისმცემლის მონასტრის
წინამძღვარი (+1804)

12 (25) —ღირსი გარეჯელი მოწამენი: გერონტი,
სერაპიონი, გერმანე, ბესარიონი, მიქაელი,
სვიმეონი და ოთარი (+1851)

14 (27) —მღვდელმოწამენი: მიტროპოლიტი ნაზარი,
დეკანოზი გერმანე, მღვდლები: იეროთეოსი,
სიმონი, პროტოდიაკონი ბესარიონი (+1924)
და ყოველნი ახალმოწამენი (XX)

16 (29) —წმიდა მოწამე ქრისტეფორე გურული (XVI)

17 (30) —წმიდა ტბელი აბუსერიძე (XIII)

18 (31) —ღირსი ქრისტოდულე ფილოსოფოსი (XII)

21 (3.09)—წმიდა სარმეან კათოლიკოსი (+779)

24 (6.09)—ღირსი სერაპიონ საკვირველთმოქმედი,
ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი (+1747)

28 (10.09)— წმიდა მოწამე შუშანიკი (+475)

პირველმოწამე რაჟდენი, სოფელ ნრომს ნამეგბული (+457) 3 (16) აგვისტო

წმიდა პირველმოწამე რაჟდენი წარმოშობით სპარსი დიდებული იყო. როცა წმიდა ვახტანგ მეფემ (ხს. 30 ნოემბერს) სპარსეთის მეფის, ჰორმიზდ III-ის, ასული ბალენდუხტი ცოლად შეირთო, დედოფალს ქართლში რაჟდენიც ჩამოჰყვა, ქრისტიანობა მიიღო და სამუდამოდ აქ დარჩა. ვახტანგ მეფემ სოფელნი და აგარაკნი მიანიჭა და „საკუთარ და თანამზრახველ თვისსა ყო იგი".

ვახტანგ მეფე იღვწოდა ეკლესიის გაძლიერებისათვის: ჩამოაყალიბა საქართველოში საეკლესიო იერარქია, საქართველოს ეკლესიას მოუპოვა დამოუკიდებლობა და მყარი მშვიდობა, სამეფოდან გააძევა სპარსელები, დახურა მაზდეანთა სამლოცველოები.

მცხეთელ მოგვთა გასაჭირი რომ გაიგეს, სპარსელებმა არ დააყოვნეს, პეროზ მეფემ დიდძალი ჯარი დაძრა საქართველოსკენ. ვახტანგ გორგასალმა წინასწარ გაამაგრა ციხე-ქალაქები, თვითონ კი მცხეთაში დადგა თავისი ჯარით.

მტერი მცხეთის მახლობლად დაბანაკდა. დაიწყო ხანგრძლივი ომი. ქართველ მებრძოლთა რაზმები მოულოდნელად ესხმოდნენ სპარსელებს თავს და მუსრს ავლებდნენ. ასე გრძელდებოდა ხუთი თვის განმავლობაში.

ომის დროს თავი ისახელა „ახოვანმან ნყობათა შინა და გამოცდილმან, რჩეულმან მებრძოლმან" — რაჟდენმა, რომელიც ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი სარდალი იყო. ღვთის შეწევნით, მან მრავალჯერ აგე-მა დამარცხება მტერს. განრისხებულმა პეროზ მეფემ ბრძანა, ცოცხლად შეეპყროთ გაქრისტიანებული სპარსი.

ერთ-ერთი შეტევის დროს სპარსელებმა გზა შეუკრეს რაჟდენს, მოულოდნელად შემოერტყნენ გარს, შეიპყრეს და შეკრული მიჰგვარეს სპარსთა მეფეს. პეროზმა დიდად გაიხარა ქართველთა რჩეული მხედრის ხელში ჩაგდებით და მხიარულად მიმართა ტყვექმნილს: „გიხაროდენ, მხნეო რაჟდენ, მშვიდობა შენდა! სად უკუე იყავ ესოდენთა ამათ ჟამთა, რაისათჳს უარ გიქმნიეს მამული შჯული და შედგომილ ხარ სჯულსა უცხოსა, რომელი არა გასწავეს მამათა შენთა და ბრწყინვალისა მზისა წილ და ცეცხლისა და სხუათა მათ მნათობთა მსახურებ

ჯუარცმულსა კაცსა, რომელი ჰურიათა მოაკუდინეს და შენ იგი ღმერთად შეგირაცხიეს, ანუ არა ესე ყოველი ესრეთ არსა?"

რაჟდენმა გაბედულად მიუგო: „ჭეშმარიტად ეგრეთ არს, ვითარცა სთქუ, მეფეო, რამეთუ მე ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული ულმრთოებაი და არღარა თაყუანის-ვსცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მზესა, კაცთათჳს სამსახურად დაბადებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანაი და ყოველნი, რაი არს მათ შინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქუს უკუდავებაი და მკჳდრ არს იგი ნათელსა შინა თუალთ-შეუდგამსა, რომელი-იგი არავინ იხილა, ვერცა შემძლებელ არს".

პეროზ მეფე გულისწყრომით აღივსო, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ფიქრობდა, რომ დაყვავებით და პატივით მოიგებდა რაჟდენის გულს და უთხრა: „ისმინე, რაჟდენ, და დაუტეევენ უხმარნი ეგე სიტყუანი და ერჩდი ბრძანებათა ჩუენთა და მიგანიჭნეთ პატივნი და დიდებანი უფროის პირველისა და გყოთ თანაზიარ დიდებისა ჩუენისა და იყო საკუთარ მეგობარ და საყუარელ ჩუენდა. და უკუეთუ არა ყო, სიკუდილითა მწარითა და სატანჯველითა მრავალფერითა მოგაკუდინოთ შენ".

რაჟდენმა მშვიდად მოუსმინა მეფეს, შემდეგ კი მიუგო: „რაი არიან ნიჭნი და პატივნი შენნი, მეფეო, არა საწუთრონი არიან და მსგავსად სიზმრისა განქარვებადნი და აჩრდილებრ წარმავალნი? ხოლო სული უკუდავ არს და უკუდავადაც ჰგიეს, და უკუეთუ ვისმინო ბრძანებისა შენისა და ვერჩდე თქმულთა შენთა, არა მოვკუდეა მეცა, ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი და მერმე საუკუნოდ ვიტანჯებოდე ცეცხლსა შინა უშრეტსა და სიმდიდრე შენი აქავე დაუტეევო, ხოლო უკუეთუ მოვკუდე ქრისტესთჳს, უკვდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე".

განრისხდა უსჯულო მეფე და ბრძანა, სასტიკად ეცემათ წმიდანი. წამების ოსტატებმა ძირს დასცეს წმიდა რაჟდენი და საშინლად სცემეს, კბილები ჩაულეწეს, სახე სისხლით შეულებეს, ციცაბო კლდეზე ათრიეს, შემდეგ მძიმე ბორკილები დაადეს და საპყრობილეში ჩაადეს.

დილეგში მყოფი წმიდანი გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, მიენიჭებინა მისთვის ძალა მოთმინებისა, რომ არ ეღალატა ქრისტესთვის. სპარსელები საპყრობილეშიც ბევრს ეცადნენ წმიდანის გადაბირებას, მაგრამ ამაოდ.

რაჟდენის ტყვედ ჩავარდნისა და წამების ამბავი მყისვე გაიგეს მცხეთაში. პეროზ მეფეს რამდენიმე წარჩინებული ქართველი ეახლა და მცირე ხნით რაჟდენის განთავისუფლება სთხოვა. პეროზმა რაჟდენს უკან დაბრუნების ფიცი ჩამოართვა და მცხეთაში გაუშვა.

პირველად მეფეს ეწვია რაჟდენი. გაიხარა ღვთისმოყვარე მეფემ,

ამბორს უყო და სიყვარულით მოიკითხა. სიხარულით აივსო სახლეული, რადგან არ ელოდნენ მის ხილვას. როცა ცოლმა გაიგო, რომ რაჟდენი ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყო, შეევედრა მეუღლეს: „რად ესრეთ განგიწირავს ცხორებაჲ თჳსი და მიგიცემიეს თავი შენი სიკუდილად და ჩუენცა სრულიად ოხერ და ობოლ გუყოფ? ჰყოფდი ბრძანებასა მათსა და იხსენ თავი შენი და ჩუენცა, რათა არა ბოროტად მოკუდე შენ და ჩუენ სიკუდილითა შენითა მივეცნეთ განსაცდელსა მწარესა და მწუხარებასა ძელსა“. წმიდა რაჟდენმა რბილად უსაყვედურა ცოლს: „რად ესრეთ ბოროტისა განმზრახ მექმნები, დედაკაცო, ვითარცა ევა, ანუ ვითარცა ცოლი იგი იობისი, რაჲთამცა ვისმინე შენი და ვიქმნეცა ვითარცა ადამ, უკუდავებისა წილ მოკუდავ და უხრწნელებისა წილ განხრწნილ და მიწად ქცეულ“...

წმიდანი კვლავ უკან დაბრუნდა. პეროზი ისევ შეეცადა რაჟდენის გადაბირებას, თან დიდ პატივსა და სიმდიდრეს დაჰპირდა, მაგრამ რაჟდენმა კადნიერად მიუგო: „ვერარამან განმაშოროს სიყუარულსა ქრისტესსა, ჭირმან ანუ იწრო̀ებამან, დევნამან ანუ პყრობილებამან, სიკუდილმან ანუ ცხორებამან, სიმდიდრეთა ანუ სიგლახ̈აკეთა, ვერარამან შეუძლოს განყენებაჲ ჩემი სიყუარულსა ღმრთისასა, რამეთუ მზა ვარ ყოვლისავე დათმენად“.

განრისხებულმა პეროზმა ბრძანა, წრომს დაბანაკებულ სარდალთან გაეგზავნათ რაჟდენი, თან შეუთვალა: უკუეთუ ისმინოს, პატივით გაისტუმრეთ, თუ არა - ისეაწამეთ, დასამარხადაც არ ვარგოდეს მისი ხორციო.

წრომში მყოფ სარდალს ადრევე ჰქონდა გაგებული რაჟდენის მამაცობის ამბავი, ამიტომ დიდად გაუხარდა, როდესაც პირადად ნახა იგი და ტკბილი სიტყვებით შეეცადა მის გადაბირებას. წმიდანმა მტკიცედ მიუგო: „რაჲსა მაიძულებთ, უსჯულონო, ცხოველისა ღმრთისა დატევებად, რომელმან დაბადა ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველი, რაჲ არს მათ შინა... მე პატიჟნი თქუენნი და ნიჭნი გინებად შემირაცხიან, რომელი დღეს არს და ხვალე არღარა. აწი რომელიცა გენებოსთ, ყავთ იგი, რამეთუ მე მზა ვარ დათმენად ყოველთა ძჳრთა ქრისტესთჳს“.

„ვინაჲთგან ძელსა ზედა მოკლულისა მიმართ აქუს სასოებაჲ, რაჲთა ესეცა ძელითა აღესრულოს“, — გამოუტანეს განაჩენი წმიდანს, შემდეგ კი „აღმართეს ძელი იგი და მას ზედა დამსჭუალეს ტარიგი ქრისტესი“. ჯვარზე გაკრულ წმიდა მოწამეს ისრები დაუშინეს. წმიდანის ბოლო სიტყვები იყო: „ხელთა შენთა, უფალო, შეევედრებ სულსა ჩემსა“. ეს მოხდა 457 წლის 3 (16) აგვისტოს.

იქაურმა ქრისტიანებმა ღამით მოიყვანეს მღვდელი, გარდამოხსნეს ჯვრიდან წმიდა მოწამის გვამი და ფარულად მიაბარეს მიწას.

აგვისტო

რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში მშვიდობა დამყარდა. წმიდა ვახტანგ გორგასალმა წრომიდან ნიქოზს გადაასვენა წმიდა მოწამე რაჟდენის გვამი და დაკრძალა ნიქოზის საკათედრო ტაძარში. წმიდა ვახტანგ მეფემ მოწამის სახელობის ტაძრები ააშენა უჯარმასა და სამგორში.

ცხრა ძმა ხერხეულიძე დედით და დით და მათ თანა ცხრაათასი ქართველი, მარაბდას ბრძოლის ველზე მომწყდარნი (+1625)
3 (16) აგვისტო

1625 წლის ხარების დღესასწაულზე მარტყოფის ველზე ქართველებმა სასტიკად გაანადგურეს შაჰ-აბასის არმია. ოცდაათი ათასი სპარსელიდან მხოლოდ სამი ათასი გადაურჩა სიკვდილს. მარტყოფის ბრძოლაში დაეცა შაჰ-აბასის ბევრი სახელგანთქმული სარდალი.

ამ გამარჯვებამ გააერთიანა ქართლ-კახეთი. ქართველთა ძლევამ შაჰისაგან დაპყრობილი სხვა ხალხებიც გაამხნევა და „ყველგან შფოთი გაჩნდა"... გააფთრებულმა შაჰ-აბასმა საქართველოსკენ უზარმაზარი სპარსული ურდო დაძრა, რომელაც ისა-ხან ყორჩიბაში სარდლობდა. ქართველები კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში დაბანაკდნენ ოციათასიანი ლაშქრით. მარაბდის ველზე დაბანა-კებულ ირანელთა რიცხვი კი ორმოცდაათი ათასს აჭარბებდა.

გათენდა 1625 წლის 1 ივლისი. საზიარებლად განემზადა ქართველთა ლაშქარი: წესისამებრ, მეომრები ომის დაწყების წინ ქრისტეს წმიდა სისხლსა და ხორცს ეზიარებოდნენ ცოდვათა მისატევებლად და ბრძოლაში წარმატების საწინდრად.

მეომართა გვერდით იარაღით შეჭურვილი სამღვდელოებაც დამდგარიყო, რადგან ესეც წესად იყო დადებული: ყოფნა-არყოფნის ზღვართან მყოფ საქართველოს ჯვრით და მახვილით იცავდა ერი და ბერი. მროველი ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი წარდგა ლაშქრის წინაშე წმიდა ბარძიმით ხელში. ლაშქარმა ერთხმად შესძახა: „უკუეთუ დღეს აღიღებ მახვლსა ბრძოლად, უბრძანე, რათა გვაზიაროს სხუამან, და უკეთუ არა, უმჯობეს არს შენს მიერ". მროველი ჩაფიქრდა და თქვა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა ჩემ ზედა, ამისათჳს არა ვყო, უკუეთუ უწინარეს თქუენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მახვლის ამღებმან".

რუისელმა ეპისკოპოსმა დალოცა მხედრობა, თვითონაც, აბჯრით შეჭურვილი, მეწინავე რაზმში ჩადგა. გორგასლიან-დავითიან-თამარიან

დროშას ცხრა ძმა ხერხეულიძე დაუყენეს დარაჯად.

შეტევა გარიჟრაჟზე დაიწყო. წინ რჩეული ცხენოსანი ჯარი წავიდა, უკან ქვეითი მიჰყვა. იგრიალა თორმეტი ათასმა სპარსულმა თოფმა და ზარბაზანმა, მაგრამ მამულისათვის და ქრისტესთვის მებრძოლ რაინდთა შეჩერება ვერავინ შეძლო — ქართველები მტრის ბანაკში შეიჭრნენ, ლაშქარს დაერივნენ და შეიქნა შუბთა ძგერება, „ჴმალთა და ლახტთა მუზარადებზედ ჴეთქინება“.

მცირერიცხოვან ქართველთა სიმამაცემ ყიზილბაშები უკუაქცია, მაგრამ გამოცდილმა მთავარსარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა არ დათმო ბრძოლა. ამასობაში აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანიც მივიდა მაშველი რაზმით... ქართველები შედრკნენ. ამას ზედ დაემატა ერთი საბედისწერო შემთხვევაც: მტრის ხელით მკერდშელეწილი დაეცა თეიმურაზ მუხრანბატონი. „განჴდა ჴმა და ჰგონეს ყოველთა კახთ-ბატონის სიკუდილი და ივლტოდენ კახნი და ქართველნი“, მეფის სიკვდილი ხომ ომის დასასრულს ნიშნავდა. გვიან მიხვდნენ ქართველები საბედისწერო შეცდომას. შეთხელდა ივერიელთა რიგები. გულგანგმირულნი დაეცნენ: დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსნი — რუსთველი და ხარჭაშნელი.

ცხრა ძმა ხერხეულიძის ხელში გადაინაცვლა ქართულმა დროშამ, ცხრა ძმა გმირულად დაეცა მარაბდის ველზე, შემდეგ ნაბოლარამ — ერთადერთმა დამ იპყრა ხელთ დიდგორსა და ბასიანში გამოვლილი დროშა და როცა იმანაც ჩაიმუხლა, დედამ აღმართა ქართველთა უკვდავების სიმბოლო.

მზის ჩასვლამდე იბრძოდა თეიმურაზ მეფე, რომელმაც იმ დღეს „დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და არღარა შემორჩომოდა რა. ბეჭდებიცა დაემტვრია მუშტის ძგერებით“. დაღლილი, სიცხისაგან არაქათგამოცლილი ქართველობა გმირულად იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მაგრამ უშედეგოდ, გარიჟრაჟზე დაწყებული ბრძოლა გვიან ღამით ქართველთა მარცხით დამთავრდა.

ბრძოლის ველზე მკერდგანგმირული იწვა ქრისტესა და მამულისათვის თავდადებული ცხრა ათასი ქართველი, მათ შორის: დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, თეიმურაზ მუხრანბატონი, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები — რუსთველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, დედა მათი და ერთადერთი და, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი... საქართველოს ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა რჯულისა და მამულისათვის თავდადებული მამულიშვილები.

ღირსი ექვთიმე — ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი (+1804)
8 (21) აგვისტო

წმიდა ექვთიმე იყო გარეჯის მრავალმთის უდაბნოს წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის წინამძღვარი. მონასტრის სიგელ-გუჯრებიმას „მრავალღვაწლმშრომელად" მოიხსენიებს.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ექვთიმე იყო „კაცი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე. ამან ფრიად იღვაწა მონასტრისათვის და აღაშენა სოფელი ხაშმი, რომელიც იყო ქსნის ერისთავთა ლეკთა მოყვანის მიზეზით დამწვარი; აღაშენა უცხო ვენახი და წისქვილნი... მრავალი შემატა მონასტერსა, ვითარცა ნივთნი, ეგრეთვე მამულნიცა". მისი კურთხევით სავანეში ითარგმნებოდა დიდძალი სასულიერო ლიტერატურა, იწერდნენ იშვიათ წიგნებს.

იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ წმიდა ექვთიმემ შეასწავლა „რაოდენთამე მონაფეთა ფილოსოფია და ღვთისმეტყველებაᲲ".

წმიდა ექვთიმეს საბა ნინოწმიდელის დავალებით დაუწერია წმიდა ნინოს საგალობლები: „ათორთა უდაბნოთა მაკურთხეველმან, ყოვლადსამღვდელომან, ნინოწმიდელ მიტროპოლიტმან საბა მიბრძანა მე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტს, უღირს ექვთიმის, აღწერად მუჴლედნი „გიხაროდენ" საქართველოს განმანათლებლისა, მოციქულთა სწორისა, დედისა ნინოსი".

1797 წელს თბილისში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. მცხოვრებლები ტყეებსა და ხეობებში გაიხიზნენ. კლდის ნაპრალებიდან გამოსული უდაბნოს მოღვაწე ბერები მფარველ ანგელოზებად მოევლინნენ ავადმყოფობისა და შიმშილისაგან ღონემიხდილ ხალხს: ეხმარებოდნენ, ემსახურებოდნენ და ნუგეშს სცემდნენ მათ. როგორც ბევრ სხვა სიკეთეს, ამ საქმესაც წმიდა ექვთიმე ხელმძღვანელობდა.

წმიდა ექვთიმე 1804 წელს აღესრულა მშვიდობით.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანად შერაცხა ეკლესიისა და ერისათვის დამაშვრალი, გაჭირვებულთა იმედი და ნუგეში, „მრავალღვაწლშემოსილი" ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი ექვთიმე წინამძღვარი.

ღირსი გარეჯელი მოწამენი: გერონტი, სერაპიონი, გერმანე, ბესარიონი, მიქაელი, სვიმეონი და ოთარი (+1851) 12 (25) აგვისტო

ღირსი მოწამენი: გერონტი, სერაპიონი, გერმანე, ბესარიონი, მიქაელი, სვიმონი და ოთარი დავით-გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობნენ.

დავით-გარეჯის უდაბნო XVIII—XIX საუკუნეებში ლეკთა მუდმივი შემოსევებისა და რბევის საგნად იქცა. მოთარეშეები ანადგურებდნენ ეკლესია-მონასტრებს, ბერების სენაკებს, იტაცებდნენ ღვთისმსახურებისათვის საჭირო ძვირფას ნივთებს, აწამებდნენ და ხოცავდნენ იქ მოღვაწე მამებს.

1851 წლის ზაფხულში გარეჯის უდაბნოს თავს დაესხა ლეკების დიდი რაზმი. მათ დაარბიეს დავითის ლავრა. „იწყეს ტანჯვად მამათა და ძმათა. პირველად ბერ-დიაკონი ოთარი უჩინოჲთა მახვილითა აღესრულა, შემდეგ იერო-მონაზონსა გერონტის თავი წარკვეთეს, სერაპიონ იერომონაზონსა უხეთქეს მახვილი თავსა და აღესრულა, გერმანე მწირმონაზონსა განუპეს მუცელი და მერმეთ თავი წარკვეთეს. ბესარიონ მწირმონაზონსა მყის თავი წარკვეთეს. სვიმონ დიაკონი, რომელი იყო ჭაბუკი ასაკითა, იწყო სილტოლვა და უჩინოჲთა მახვილითა ტყორცნილმან ვერღარა უძლო სვლად და მერმეთ თავი წარკვეთეს. ხოლო რომელი იყო მიხაელ დუმილით შეწყნარებული და ფრიად მორჩილი კრებულისა და მონასტრისა, სხვათა უმეტეს სტანჯეს...

შემდგომად აღსრულებისა მათ ღირსთა მამათა გარდამოხდა ნათელი დიდი და დაადგრა წამებულთა მათ... ღირს არიან იგინი, შემდგომად ხორცთა გარყვნისა აღმოხმად ძვალთა მათთა და დადებად პირველ წამებულთა ღირსთა მამათა... და დღესასწაული მათი იხსენიებოდეს წლითი წლად. მე უღირსმან დიდისა მონასტრის გაენათისამან ისააკ, რომელი მეცა ტყუედ მყოფი ვიყავ მათ თანა, რომელი ვხედავდი თვალითა, დავსწერე წამება წმიდათა მამათა უმეტნაკლოდ შემოკლებული ისტორია ესე," — წერს პლატონ იოსელიანისადმი მიწერილ წერილში ბერმონაზონი ისააკი, რომელიც დაღესტანში წაუყვანიათ უსჯულოებს ტყვედ

და შემდეგ გამოუხსნია რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს ძეს.

სამწუხაროდ, ბევრი ასეთი ისტორია დარჩა აღუწერელი და ჟამთა სიავემ წარხოცა ბევრი დაწერილი ისტორიაც, დაიკარგა და ძნელად მოგვეპოვება წმიდანების ბიოგრაფიული ცნობები, მაგრამ, დიდება ღმერთს, ჩვენი ეკლესია ყოველთვის პატივს მიაგებს მის ზეციურ წმიდა წევრებს და მეოხებას ითხოვს მათგან.

წმიდა მოწამენი: მიტროპოლიტი ნაზარი; დეკანოზი გერმანე, მღვდლები: იეროთეოსი, სიმონი; პროტოდიაკონი ბესარიონი (+1924) და ყოველნი ახალმოწამენი (XX)
14 (27) აგვისტო'

მიტროპოლიტი ნაზარი (ერსკაცობაში იოსებ ლეჟავა) დაიბადა 1872 წელს იმერეთის სოფელ დიდ ჯიხაიშში. მისი წინაპრები სასულიერო პირნი ყოფილან და მომავალი მიტროპოლიტი სიყრმიდანვე სარწმუნოებრივ-საეკლესიო გარემოში იზრდებოდა.

ნაზარიმ დაწყებითი განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. 1892 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. იგი ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი, 1893 წლის 22 თებერვალს, მღვდლად აკურთხეს. პირად ცხოვრებაში დატრიალებული უბედურების შემდეგ (ჯერ მეუღლე გარდაეცვალა, შემდეგ — ორივე ასული), 1904 წელს იგი ბერად აღიკვეცა. 1905 წელს მღვდელ-მონაზონი ნაზარი დაინიშნა ველენსკის სასწავლებლის ჰომილეტიკის პედაგოგად; 1907 წელს კი კლევანსკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს.

1910 წელს მღვდელ-მონაზონი ნაზარი აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. 1911 წელს იგი იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი გახდა. ამავე წლის 1 დეკემბერს არქიმანდრიტი ნაზარი ეპისკოპოსის ხარისხში იქნა აღყვანილი და ქუთათელ მიტროპოლიტად დადგინდა.

ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარის სასულიერო მოღვაწეობა მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა: 1905 წელს ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმა წამოჭრეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რამაც რუსეთის მხრიდან მძაფრი რეაქცია გამოიწვია.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა გაგრძელდა 1906 წელსაც. რუსეთის უმაღლესი სინოდი იძულებული გახდა, საქართველოს ეკლესიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრებაზე გაეტანა. ამ კრებაზე საკითხი უარყოფითად გადაწყდა.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ქართველებმა ისევ დასვეს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი და 1917 წლის 12 მარტს მცხეთის

სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 16 მარტს თბილისში შემდგარმა სასულიერო მოღვაწეთა კრებამ კი დაადგინა, რომ ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო. ყველა ამ მოვლენის ცენტრში ტრიალებდა მიტროპოლიტი ნაზარი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდი რეპრესიების ახალი წლებით შეიცვალა. ახალმა რეჟიმმა ახალი წესები მოიტანა. 1921 წელს მინაზე კერძო საკუთრება გაუქმდა და ეკლესია-მონასტრებს თავიანთი კუთვნილი მიწები ჩამოერთვათ. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მიტროპოლიტ ნაზარის ეპარქიაში შემავალი გელათის მონასტერიც. საუკუნეებგამოვლილმა მონასტერმა, რომელიც „ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად" იწოდებოდა, 1923 წლის გაზაფხულზე არსებობა შეწყვიტა.

1922-23 წლები უმძიმესი პერიოდია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ბოლშევიკური მთავრობის ინიციატივით დაინგრა ათას ორასი ეკლესია, განადგურდა საეკლესიო განძეულობა, დაიწვა უამრავი უნიკალური ხელნაწერი, რეპრესირებულ იქნა მრავალი სასულიერო პირი და ეროვნული ორიენტაციის მქონე ადამიანი.

1921 წლის 23 თებერვალს წითელი არმიის შეტევის გამო მენშევიკური მთავრობის წინადადებით და საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილების თანახმად, სიონისა და სვეტიცხოვლის განძეულობა გადატანილ იქნა ქუთაისში. პატრიარქ ლეონიდეს მითითებით განძეულობის ოთხი ყუთი დამარხეს ბაგრატის ტაძრის ძირში მდებარე ნაზარის სამიტროპოლიტო სახლის აივნის ქვეშ.

ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა მიაკვლიეს განძეულობას და დააპატიმრეს მიტროპოლიტი ნაზარი. მას ბრალად ედებოდა მონაწილეობა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციასა და სიონისა და სვეტიცხოვლის ქონების გადამალვაში. კითხვაზე, თუ ვისთვის ინახებოდა განძეულობა, სასამართლო პროცესზე მიტროპოლიტმა უპასუხა: „ეკლესიისათვის და ქართველი ერისათვის". სასამართლომ ნაზარის მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. შემდგომში იგი შეიცვალა პატიმრობითა და პირადი ქონების კონფისკაციით.

1924 წლის აპრილში ამნისტიის საფუძველზე ორი წლის პატიმრობის შემდეგ მიტროპოლიტი ნაზარი გაათავისუფლეს. იგი დაუბრუნდა თავის ეპარქიას, სადაც ძალზე მძიმე მდგომარეობა დახვდა. მიტროპოლიტი არ შეუშვეს სარეზიდენციო სახლში, რომელიც საწყობად იყო გადაქცეული. იგი იძულებული შეიქნა, ძმის ოჯახისათვის შეეფარებინა თავი.

უდრტვინველად ატარებდა მიტროპოლიტი ნაზარი თავის ჯვარს, რომელსაც სარწმუნოებისათვის თავდადების ღვაწლით უნდა გაებრწყინებინა მღვდელმთავარი. მეუფე ნაზარს გვერდით ედგნენ და სამღვდელმთავრო ღვაწლს უმსუბუქებდნენ ეპარქიის ღვთისმსახურები, რომლებიც ასევე სასტიკად იდევნებოდნენ ხელისუფლებისაგან.

ქართველი ხალხი ათეისტურ რეჟიმს ვერ შეურიგდა. 1924 წელს საქართველოში დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. 28 აგვისტოს, მარიამობას, აჯანყებამ იფეთქა ქუთაისში და მალე იგი მთელ საქართველოს მოედო. საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაკებმა მიაგნეს აჯანყების შტაბს შიო-მღვიმის მონასტერში და დააპატიმრეს მისი ხელმძღვანელები. საბჭოთა ხელისუფლების ანგარიშსწორებამ შეუზღუდავი ხასიათი მიიღო, რასაც შედეგად უამრავი უდანაშაულო პირის დასჯა და დახვრეტა მოჰყვა.

1924 წლის აჯანყების დაწყების წინა დღეს, 27 აგვისტოს, მიტროპოლიტ ნაზარის სოფელ როდინოულიდან ეწვია დელეგაცია და სოფლის ეკლესიის კურთხევა სთხოვა. დანიშნულ დროს მიტროპოლიტი ნაზარი სასულიერო პირებთან ერთად სოფელში მივიდა. მათ ეკლესია აკურთხეს. ღამით სიმონეთში ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მყოფ მიტროპოლიტს და მის თანმხლებ სამღვდელოებას მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩეკისტები, ხელ-ფეხი შეუკრეს, თოფის კონდახებით სცემეს, შემდეგ ურემზე დააკრეს და სოფლის საბჭოში მიიყვანეს.

მეორე დღეს პატიმრები ქუთაისის შინსახკომში გადაიყვანეს და სხვა პატიმრებთან ერთად ბნელ საკანში გამოამწყვდიეს. ყოველგვარი გასამართლების გარეშე „განსაკუთრებულმა სამეულმა“ საფიჩხიას ტყეში დახვრიტა მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად ოთხი სასულიერო პირი: დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდლები: სიმონ მჭედლიძე, იეროთეოს ნიკოლაძე და დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე.

1994 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოწვეულმა გაფართოებულმა საეკლესიო კრებამ ბევრ სხვა საკითხთან ერთად განიხილა აღნიშნული მოვლენა და დაადგინა: მიტროპოლიტ ნაზართან ერთად მოკლულთა სახით კანონიზებულ იქნას საქართველოში ეკლესიისა და ერისათვის ურწმუნოთაგან მოკლული ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი და ეწოდოთ მათ სახელად ახალმოწამენი.

წმიდა მოწამე ქრისტეფორე გურული (XVI)
16 (29) აგვისტო

წმიდა მოწამე ქრისტეფორე გურულის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. მისი სახელი საქართველოს საეკლესიო კალენდარში XVI საუკუნიდან შემოდის.

როგორც ნესი, წმიდა ეკლესია ყოველთვის სათუთად ინახავს მათ ხსოვნას, რომლებმაც თავიანთი წმიდა ცხოვრებით ან მოწამეობრივი სიკვდილით დაამტკიცეს ღვთის სიყვარული და ღმერთმაც ადიდა ისინი ზეციური ნიშნებითა თუ სხვადასხვა სასწაულებით. იწერება და ზეპირადაც გადმოიცემა მათი ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, პირველ საუკუნეებში მათ საფლავებზე აღასრულებდნენ წირვა-ლოცვას. მათ სახელზე იგება ტაძრები ან ახლად აშენებულ ტაძრებში გადააქვთ მათი წმიდა ნაწილები, იწერება ხატები და შესაბამისი ლოცვები, მოსახსენიებლად დგინდება რომელიმე განსაკუთრებული, უმეტეს შემთხვევაში, მათი ამქვეყნიდან განსვლის, ანუ უფალთან წარდგომის დღე.

სამწუხაროდ, არიან ისეთი წმიდანებიც, რომელთა მხოლოდ სახელებია ცნობილი და დარჩენილია ხსენების დღე. ჟამთა სიავემ და ჩვენმა უდებებამ დავიწყების სიღრმეს მისცა მათი ცხოვრება.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVI ს-დან ყოველწლიურად 16 (29) აგვისტოს იხსენიებს წმიდა ქრისტეფორე გურულს, რომლის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი საქართველოში მოღვაწეობდა და მოწამეობრივად აღესრულა ქრისტესთვის.

წმიდა ტბელი აბუსერიძე (XIII)
17 (30) აგვისტო

წმიდა ტბელი აბუსერიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII–ში. წმიდანის მამა, ივანე, ზემო აჭარის ერისთავთ–ერისთავი, თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა. დაქვრივების შემდეგ წმიდა ტბელის დედა მონაზვნად აღიკვეცა ეკატერინეს სახელით. წმიდა ტბელს ორი ძმა ჰყავდა — აბუსერი და ვარდანი, რომელნიც თავისი დროის ცნობილი მოღვაწენი იყვნენ.

წმიდა ტბელმა მისი გვარის შესაბამისად შესანიშნავი განათლება მიიღო. მან როგორც ჰიმნოგრაფმა, პროზაიკოსმა, ასტრონომმა, საეკლესიო მუსიკათმცოდნემ და საერთოდ, ღრმა მეცნიერული აზროვნებით გამორჩეულმა მწიგნობარმა, წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართული კულტურის ისტორიას.

როგორც წმიდანის ნაწერებიდან ჩანს, მან ზემო აჭარაში სოფელ ხიხანში ააშენა წმიდა გიორგის ეკლესია. ვარაუდობენ, რომ წმიდა ტბელი იქ მოღვაწეობდა როგორც სასულიერო პირი და იქ შექმნა თავისი თხზულებების უმეტესი ნაწილი. წმიდა ტბელს ჰყოლია შვიდი შვილი და როგორც თავის საგვარეულო მატიანეში წერს, თუ კიდევ გაუჩნდებოდა შვილი, მათი სახელებიც უნდა შეეტანათ მატიანეში.

წმიდა ტბელს ინტენსიური კულტურული ურთიერთობა ჰქონდა გელათის აკადემიასთან, ვარაუდობენ, რომ მან იქ მიიღო ისეთი მრავალმხრივი განათლება, რომელიც მას საშუალებას აძლევდა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჟანრებში ეთქვა თავისი ბრძნული და წმიდა სიტყვა.

წმიდა ტბელის ჰიმნოგრაფიულ კრებულში — „გალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოანე მახარებლისა და წმიდისა იოანე ოქროპირისანი" – კარგად ჩანს ავტორის, როგორც უდიდესი ღვთისმეტყველი მწერლისა და წმიდანის, სახე. გალობანის ღრმა საღვთისმეტყველო აზრები, მეტაფორები, მოვლენების სიმბოლური და მისტიკური გააზრება, „ცნობა ხილულთა" და „უხილავთა მეცნიერჰყოფა" წმიდა ტბელს წარმოაჩენს, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერსა და ღვთისმეტყველს.

წმიდა ტბელი დაინტერესებული ყოფილა წელთაღრიცხვის პრობლემებით და შეუდგენია „ქრონიკონი სრული საუწყებელითა და განგე-

ბითა", რომელშიც ასტრონომიისა და ისტორიის ცოდნასთან ერთად გადმოცემულია კალენდრის კოსმიური გააზრება და ქრისტიანული ესქატოლოგია.

ცნობილია წმიდა ტბელ აბუსერიძის ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულება — „ახალნი სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი", რომელიც მნიშვნელოვანია თავისი ისტორიული ღირებულებითაც, იგი გვაწვდის ცნობებს ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საგვარეულოს — აბუსერიძეთა — მოღვაწეობისა და მათი კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ.

გარდა ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისა, რომელიც სათანადოდ არის დაფასებული ქართველი მეცნიერების მიერ, წმიდა ტბელი ცნობილია, როგორც წმიდა და ღმერთშემოსილი მამა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმიდა ტბელის კანონიზაციით სამუდამოდ დაკანონდა მისი, როგორც წმიდა მამის, პატივისცემა და შესაბამისად დაფასდა ის ღვაწლი, რითაც მან სამართლიანად მოიპოვა ქართველი ხალხის სიყვარული.

ღირსი მამა ქრისტოდულე ფილოსოფოსი (XII)
18 (31) აგვისტო



ღირსი მამა ქრისტოდულე ფილოსოფოსი XII საუკუნის იმ წმიდა მამათა რიცხს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დატოვა ეკლესიისა და ერის ისტორიაში.

ცნობილი საეკლესიო მწერლისა და ფილოსოფოსის, არსენ ვაჩეს ძის, „დოგმატიკონში" გვხვდება ერთი ანტიმაჰმადიანური საპო-ლემიკო თხზულება, რომელსაც ასეთი სათა-ური აქვს: „Წსენებაი სიტყვისგებისაი და სას-ჯელისაი სჯულისათჳს ქრისტიანეთაᲲსა და სარკინოზთა". აქ მოთხრობილ ამბავს ავსებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობა", რომელ-შიც გვაქვს ცნობები „მამისა ქრისტოდულე ოსად წოდებულისათჳს".

ამ ცნობების მიხედვით, მამა ქრისტოდულე იყო მონაზონი, წარჩინებულთაგან და კეთილშობილთა ძირთაგან აღმოსრული. ქრისტოდულე ფილოსოფოსი ყოფილა წმიდა წერილში ღრმად ჩახედული, არაბულ და სპარსულ ენებში განსნავლული და ყურანის მცოდნე.

როცა საქართველოში სპარსთა ხელმწიფე იამამე შემოიჭრა, თბილისში იგი უომრად შემოუშვეს, რისთვისაც უსჯულო მეფე იქაურებს კეთილად მოექცა და „მრავალთა მიანიჭა საბოძვარნი".

ერთხელ იამამემ შეკრიბა ქართველნი და სარკინოზნი. მათ შორის იყო ქართველი ბერი ქრისტოდულეც. მასა და სარკინოზებს შორის ამ კრებაზე პაექრობა გაიმართა. ბერს შეეკამათა ჯერ თვით იამამე ხელმწიფე, რომელიც ძლეულ იქნა, შემდეგ მას შეენაცვლა ვინმე მოგვი, ვარსკვლავთმრიცხველი. ისიც რომ ვერას გახდა, მოუწოდეს „კაცსა ვისმე მოძღუარსა და სიტყჳს მეცნიერად საგონებელსა", რომელიც თითქოს უფრო მომზადებული იყო საპაექროდ. კამათი გაიმართა შემდეგი საკითხების ირგვლივ: აზრი და მნიშვნელობა ქრისტიანთა ბერმონაზვნობისა; იესო ქრისტეს ღვთაება და განხორციელება; არის თუ არა მუჰამედი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი. ბერს თავისი არგუმენტები მოჰყავდა როგორც საღვთო წერილიდან, ისე ყურანიდან. მან სძლია მეტოქეებს, რომელნიც „შეკდიმებულ და სირცხვილეულ" დარჩნენ.

მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი) თავის „მიმოსლვაში" აღწერს წმიდა ათონის მთაზე მოგზაურობას, მოიხსენიებს იქ მოღვაწე მამებს და წერს: „...და იყო მუნ დაყუდებული ქართველი ანთიმოს ჯავახი, შორად მყოფი სენაკებსა, ესე არა გამოვიდოდის სენაკით ფრიადისა შიშვლოებისა და უპოვარებისა მისისათვის. და იყო სხვა ქართველი, გერმანე ატოცელი სამარლანაშვილი და კვალად ფცელი გერასიმე და იმერელი, საქარელი ხრისტოდულო და კვალად პატიოსანი და დაყუდებული კახი, საალავერდელო გრიგოლი, ფრიად პატიოსანი მონაზონებითა".

სხვაგან ტიმოთე გაბაშვილი აღწერს პატმოსზე მოგზაურობას და ამბობს: „და იყო მთლიე გვამი წმიდისა ხრისტოდულოსი მუნ".

სავარაუდოა, რომ საქართველოში მოღვაწე ბერი შემდგომ ათონს გაემგზავრა, ქართველთა მონასტერში, და აღესრულა კუნძულ პატმოსზე.

წმიდა სარმეან კათოლიკოსი (+779)
21 (3.09) აგვისტო

წმიდა სარმეან კათოლიკოსი საქართველოს ეკლესიას მესაჭეობდა 767-779 წლებში. მისი მამამთავრობა საქართველოში არაბთა ბატონობას დაემთხვა. არაბები სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანებს, ავიწროებდნენ ღვთის-მსახურებს, ყველგან მაჰმადიანობის დამკვიდრებას ცდილობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სარმეან კათოლიკოსის მამამთავრობის დროს თვით ამირას საბრძანებელ ქალაქ თბილისშიც კი მრავალი ეკლესია მოქმედებდა. სარმეანი მტკიცე დამცველი იყო მართლმადიდებლობისა, მაგრამ ერთხელ, ყველიერის ხუთშაბათს, შიომღვიმის მონასტერში სარმეანმა „გამოუძიებლივ" აზიარა მასთან ძღვნით მისული უცნობები, რომლებიც თურმე იაკობიტთა მწვალებლობის მიმდევრები ყოფილან. „იმ ღამესვე ძილში ზეგარდამოეხილა სარმეანს ესრეთ წინდაუხედაობა და უღირსებით შეურაცხებულ ხარისხისა მისისა", გამოღვიძებულმა კათოლიკოსმა შეკრიბა ეპისკოპოსები, აუწყა მომხდარი, მათ წინაშე დაწვა იაკობიტთა მორთმეული ძღვენი და „ცრემლით სტიროდა ცთომასა თვისსა". ყოვლადმოწყალე ღმერთმა მალე აუწყა წმიდა სარმეანს მისი ასეთი შეცოდების შენდობა, მცხეთიდანაც მოვიდა ეპისკოპოსთა წერილი: „დიდსა მამამთავარსა მეუფესა ჩვენსა სარმეანეს, გიხაროდენ! შვილნი შენნი და სიწმიდისა შენისა მრწმენნი ყოველნი ეპისკოპოსნი გაუწყებთ, რათა არღარა დააშრობდე მოხუცებულსა გვამსა შენსა, რამეთუ მოწყალე ჰყვეს დიდებულისა მაგას წმიდისა შიოს მეოხებითა და გამოგვიჩნდა უღირსთა მონათა მისთა, რიცხვით ხუთთა და თვითოეულსა გვიბრძანა, ვითარმედ „მიუტევა ღმერთმან სარმეანეს კათალიკოზსა ბრალნი მისნი და აწ შეუორგულებულად მიიყვანეთ მწყემსი თქუენი". აწ გვიბრძანენ სიწმიდემან შენმან, რათა ყოველნი მანდა მოვიდეთ და მადლი აღუაროთ საკვირველთ მოქმედსა მამასა შიოს".

ასეთი ღვთის შიშით, სიმდაბლით, სარწმუნოებითა და სიყვარულით შემკული მღვდელმთავარი სიბრძნით განაგებდა თავის სამწყსოს:

შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, იქმნებოდა უძვირფასესი სასულიერო ხასიათის ლიტერატურა, ეკლესიის სწავლების სინმიდის დაცვითა და ცოდვათა ტყვეობისაგან გამოხსნით თანდათან მზადდებოდა ხორციელი ტყვეობისაგან განთავისუფლების კონკრეტული ღონისძიებები.

ქართლის კათოლიკოსთა ქრონოლოგიებში მისი კათოლიკოსობა 767 (ზოგი ვარაუდით 760) წლიდან 774 წლამდე გრძელდება.

ღირსი სერაპიონ საკვირველთმოქმედი (+1747)
24 (6.09) აგვისტო

ღირსი სერაპიონ სასწაულთმოქმედი იყო გარეჯის უდაბნოს წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი. საქმითა და სიტყვით ძლიერ, მოღვაწეობით გამორჩეულ, დიდ მმარხველსა და მლოცველ წმიდა მამას ღვთისგან სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული.

ერთხელ ღირსი სერაპიონი მონასტრის ძმებთან ერთად ქალაქში წავიდა საქმეზე. წინ მიმავალ მსახურებს, რომლებსაც საღმრთო მსახურებისათვის საჭირო ნივთები მიჰქონდათ, ავაზაკები შემოხვდნენ და გაძარცვეს. ისინი უკან გაიქცნენ და, შეწუხებულებმა, წინამძღვარს აუწყეს ყოველი. „დიდია ღმერთი, არ დავანებებ არანმიდა ნარმართებს სიწმიდეების მიტაცებას", — თქვა წმიდა სერაპიონმა, მოიმარჯვა კვერთხი და მარტო გაედევნა მძარცველებს. ავაზაკებმა როგორც კი დაინახეს სერაპიონი, ტვირთიანი სახედარი იქვე დატოვეს და თვითონ კლდეღრეში მიიმალნენ. შემდგომ ავაზაკებს უთქვამთ: „ვინ იყო ის მონაზონი, რომელიც ჩვენ გამოგვიდგა, რადგან ვნახეთ ცეცხლი, რომელიც მისი კვერთხიდან გამოდიოდა".

სხვა დროს ნეტარი სერაპიონი თავის სენაკში ლოცულობდა. მოულოდნელად გარეთ გამოვიდა შეწუხებული და ძმებს უთხრა: „ვაი, ვაი, მონასტრის მსახურები ავაზაკებს გადაეყარნენ". ეს თქვა და მაშინვე სენაკში შევიდა, დახშო კარი და მხურვალე ლოცვა დაიწყო. ორიოდე საათის შემდეგ მონასტრის მსახურები შეწუხებულები მოვიდნენ და თქვეს, გზაზე ავაზაკები შეგვხვდნენ, ჩვენ სახედრები ტვირთითურთ მივატოვეთ და გაქცევით ვუშველეთ თავსო. ცოტა ხნის შემდეგ დატვირთული სახედრებიც დაბრუნდნენ მონასტერში ადამიანთა თანხლების გარეშე. ღვთის მადლითა და ღირსი სერაპიონის წმიდა ლოცვით უვნებლად დაბრუნებული მსახურები ადიდებდნენ ღმერთს, რომელმაც მამა სერაპიონს დაფარული გამოუცხადა თავისი სიმდაბლისა და სიკეთისათვის.

სათნოებით გამორჩეული მონასტრის წინამძღვარი გადადგა, დიდი სქემა შეიმოსა და დაყუდებულ მოღვაწეობას შეუდგა. მუდმივი

მეტანიებისა და ფეხზე დგომისაგან წმიდანს ფეხები ისე დაუავადდა, რომ დგომა აღარ შეეძლო. მალე მას ამქვეყნიდან გასვლის მოახლოებაც ეუწყა და ძმებს სთხოვა, მისი გვამი ეკლესიის შესასვლელში, მის მიერვე წინასწარ მომზადებულ საფლავში დაემარხათ, რათა ტაძარში ყოველ შემსვლელ-გამომსვლელს მისთვის გადაევლო. წმიდა სერაპიონი 1747 წელს აღესრულა. ანდერძისამებრ დაკრძალეს ტაძრის შესასვლელში.

წმიდა მოწამე შუშანიკი (+475)
28 (10.09) აგვისტო

წმიდა შუშანიკი ჰერეთის პიტიახშის, ვარსქენის, მეუღლე იყო. ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი დედოფალი ბავშვობი-დანვე ღვთის შიშითა და სიყვარულით გამოირჩეოდა. იმ დროს ქართლში სპარ-სელები ბატონობ-დნენ. სპარსეთის სამეფო კართან კეთილი ურ-თიერთობის დამყარების მიზნით ვარსქენ პი-ტიახში სპარსეთის მეფე, პეროზს ეწვია, სა-კუთარი ნებით უარყო ჭეშმარიტი სარწმუ-ნოება, მაზდეანობა მიიღო და მეფეს დაჰპირ-და, როგორც კი ქართლში დავბრუნდები, ჩემს ცოლსა და შვილებსაც რჯულს შევაცვლევინე-ბო.

ქართლს მოახლოებულმა ვარსქენმა მოცი-ქულები გაგზავნა საპიტიახშო ქალაქ ცურტავში, რათა ქვეშევრდომები შესაფერი პატივით მიგებებოდნენ სამშობლოში დაბრუნებულ პიტიახშს. სანატრელმა შუშანიკმა, რომელიც ადრევე გრძნობდა მე-უღლის გულგრილობას სარწმუნოების მიმართ, წინასწარმეტყველურად უთხრა გამოგზავნილებს: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალ-მცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენდავე მოიქეცინ“. როცა შუშანიკმა ვარსქენის განდგომა შეიტყო, მიწაზე დაემხო და მწარე ცრემლებით გამოიტირა უბადრუკი და ქრისტეს უარმყოფელი ვარსქენი: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“. შემდეგ შუშანიკმა დატოვა სასახლე, თან წაიყვანა თავისი ოთხი შვილი და ეკლესიას შეაფარა თავი. მან შვილები საკურთხევლის წინ დააყენა და უფალს შეჰღაღადა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმი-დისაგან ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისაiთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. მწუხრის ლოცვის შემდეგ წმიდა დედოფალმა ეკლესიის მახლობლად მდგომ სახლს მი-აშურა, „შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“.

წმიდა შუშანიკი საღამოს თავისმა მოძღვარმა, იაკობ ხუცესმა, მოინახულა და გააფრთხილა სულიერი შვილი: ვარსქენი დაუნდობელია

და საშინლად გაგტანჯავს, ამიტომ, თუ საკუთარი სიმტკიცის იმედი არა გაქვს, სჯობს, მოერიდო მასთან შეჯახებასო. ამაზე წმიდა შუშანიკმა უპასუხა: „უმჯობეს არს ჩემდა ჴელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ“.

სამი დღის შემდეგ პიტიახშიც ჩავიდა ცურტავში. მან მეორე დღესვე იხმო ეპისკოპოსი და მღვდელნი თავისთან და ლმობიერად უთხრა: „აწ ნუ რას მერიდებით მე და ნუცაღა გძაგ“. მღვდლებმა კი ამხილეს სჯულის უარმყოფელი: „წარწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ“. მხილებით გაგულისებულმა ვარსქენმა მეუღლის გადაბირება გადაწყვიტა, მაგრამ შუშანიკმა მტკიცედ შეუთვალა: „შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის ეც, და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“. ამგვარი პასუხით განრისხებულმა ვარსქენმა თავისი ძმა, ჯოჯიკი და აფოც ეპისკოპოსი გაგზავნა წმიდა შუშანიკის სასახლეში წამოსაყვანად. დედოფალმა შინ დაბრუნებაზე კვლავ უარი განაცხადა. ჯოჯიკმა იცოდა, რომ ვარსქენი მას ძალით მიიყვანდა სასახლეში და სთხოვა, ნებით დაბრუნებულიყო. შუშანიკმა აიღო წმიდა სახარება, წმიდა მოწამეთა წიგნები, მივიდა სასახლეში და იქ ერთ მცირე სენაკში ჩაიკეტა.

ორი დღის შემდეგ ვარსქენი სასახლეში დაბრუნდა და პურის საჭმელად ძმასთან და რძალთან ერთად წმიდა შუშანიკიც მიიწვია. დედოფალს არ სურდა ქრისტეს მოლალატე ქმართან ტრაპეზის გაყოფა, აღარ უნდოდა ქრისტეს მოწამის გვირგვინის გარიდება: მან ჯოჯიკის ცოლს ხელი აუკრა მოწოდებულ ჭიქაზე და ამით კიდევ ერთხელ გამოხატა ქრისტესთვის წამების სურვილი.

გამხეცებულმა ვარსქენმა სასტიკად სცემა მეუღლე. ცოცხალ-მკვდარი შუშანიკი ჯოჯიკმა ძლივს გამოჰგლიჯა მას ხელიდან. ვარსქენის ბრძანებით შებორკილი დედოფალი სენაკში შეიყვანეს და დარაჯი დაუყენეს.

დილით პიტიახშმა მოინახულა შუშანიკი. შემდეგ მსახურს უბრძანა, არავინ შეეშვა მასთან, თვითონ კი სანადიროდ წავიდა.

შუშანიკის მოძღვარმა მოახერხა დატყვევებულ დედოფალთან შესვლა და, როცა მისი ნაწამები სახე იხილა, განცდებს ვეღარ გაუძლო და ხმამაღლა ატირდა. წმიდა შუშანიკმა მშვიდად უთხრა: „ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამე ესე“.

იაკობ ხუცესი ევედრა წმიდანს, მიეცა ნება, მისთვის პირიდან სისხლი მოებანა და ჭრილობებზე სალბუნი დაედო. შუშანიკმა მიუგო: „ჴუცეს, მაგას ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელ არს ცოდვათა ჩემთა“.

ვარსქენმა თავისი ნაჩუქარი სამკაულები წაართვა შუშანიკს... ამასობაში დიდი მარხვაც დადგა. წმიდა დედოფალი კვლავ ეკლესიის მახლობლად მდებარე პატარა ბნელ სენაკში გადავიდა და მარხვა-ლოცვაში გაატარა წმიდა ორმეოცი.

მარხვის შემდეგ ვარსქენმა ცემით წაიყვანა დედოფალი სასახლეში, სამასი ჯოხი დაჰკრა, მისთვის ქედზე ჯაჭვის დადება და საპყრობილეში ჩასმა ბრძანა.

ექვსი წელი გაატარა წმიდა შუშანიკმა ციხეში. ამ ხნის განმავლობაში არ შეუწყვეტია ლოცვა, მარხვა და სხვა ღვთისსათნო საქმეები. საპყრობილეში მყოფი, იგი თავად ამხნევებდა მის გასამხნევებლად მისულ ქრისტიანებს, დახმარების მიღების მაგივრად თვითონ ეხმარებოდა გაჭირვებულებს. მისი ლოცვით ავადმყოფები იკურნებოდნენ, უშვილოებს შვილი ეძლეოდათ... შუშანიკის ლოცვით განიკურნა და მართალ სარწმუნოებაზე მოექცა ერთი კეთროვანი სპარსი დედაკაცი. დედოფალი ყველაზე უფრო შვილების ცეცხლთაყვანისცემაზე გადაბირებამ შეაძრწუნა — „ტირილითა დიდითა... თავსა თჳსსა ქუე დამართ სცემდა", მაგრამ მაინც სამადლობელი აღმოთქვა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაი შენი, უფალო, და დამიცევ მე საქმეთაგან მტერისათა".

სიკვდილის წინ წმიდა მოწამემ ყველანი დალოცა და ითხოვა, დაესაფლავებინათ იქ, საიდანაც პირველად გამოათრია უშჯულო ქმარმა, შემდეგ ფსალმუნის სიტყვები გაიმეორა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე", და სული უფალს შეავედრა.

VI საუკუნეში ქართველებმა შუშანიკის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს და მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.

4 (17)—ღირსი სვიმეონი, გარეჯის წინამძღვარი (+1773)

8 (21)—წმიდა აღმსარებელნი: იოანე (მაისურაძე) (+1957)
და გიორგი-იოანე (მხეიძე) (+1960)

12 (25) —მღვდელმოწამე დოსითეოზ თბილელი (+1795)

13 (26) —წმიდა დიდმოწამე, საქართველოს მნათობი,
კახეთის დედოფალი ქეთევანი (1624)

15 (28)—ღირსი აბბა იოსებ ალავერდელი, ათცამეტ
სირიელ მამათაგანი (+570)

16 (29)—წმიდა მოწამენი, ქართველნი: ისააკი და იოსები,
კარნუ-ქალაქში წამებულნი (+808)

18(1.10)—წმიდა მოწამენი: ბიძინა ჩოლოყაშვილი და
ქსნის ერისთავნი — ელიზბარი და შალვა(+1661)

25(8.10)—წმიდა არსენი დიდი, კათოლიკოსი (+887)

26(9.10)—დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა
ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც
ჩამოსვენდა საქართველოში ათონის ივერთა
მონასტრიდან (1989)

29(12.10)—ღირსი ონოფრე გარეჯელი,
საკვირველთმოქმედი(XVIII)

ღირსი სვიმეონი, გარეჯის წინამძღვარი (+1773)
4 (17) სექტემბერი

ღირსი სვიმეონ გარეჯელი დაიბადა დაახ. 1700 წელს კახეთში. ცნობილია, რომ იგი სიყრმიდან გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა. ყოვლადპატიოსანი ღვთისკაცი მოხუცებულობამდე უბრალო მონაზონი იყო, შემდეგ კი მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს.

სათნოებით და სიმდაბლით გამორჩეულ წმიდა მამას ღვთისგან სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული.

ერთხელ ღირსი სვიმეონი ავად გახდა და გარდაიცვალა. ერთ საათზე მეტ ხანს იყო უსულოდ, შემდეგ კი, ღვთის განგებით, წამოდგა, ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, საკუთარი ხელით განუყო მონასტრის მამებს და, ისედაც უპოვარმა, მთლიანად უარყო ამქვეყნიური საჭიროებანი.

როცა ეს ამბავი მამა სერაპიონმა (ხს. 24 აგვისტოს) გაიგო, სხვების დახმარებით მივიდა და ნახა წინამძღვარი სვიმეონი და, წინასწარმცნობელობის მადლით განათლებულმა, მანუგეშებელი ცრემლით უთხრა: „ჰოჲ, სასურველო მამაო, მომეცი შენი წმიდა ხელები, რათა ვეამბორო მათ, რადგან მსურდა შენი წმიდა ხელებით მივბარებოდი მიწას მე უვარგისი მტვერი, ახლა კი ჩემზე უწინ შენ მიდიხარ საუკუნო ცხოვრებაში. შენ ნახვალ, მამაო, მაგრამ მეც შენს გარეშე აღარ დავრჩები აქ, არამედ ჩემი სული ჩქარა გამოჰყვება შენსას". ასე, ნუგეშის ცრემლებით, ეამბორნენ ერთმანეთს ნეტარი მამები უკა-ნასკნელად. სვიმეონმა ერთ კვირაში კეთილად მოაწესრიგა მონასტრის საქმეები და 1773 წლის 4 (17) სექტემბერს ზუსტად იმ დღის სწორს, როდესაც ერთი საათით იყო უსულოდ, მშვიდობით მიიცვალა — უფალს მიაბარა წმიდა სული. დასაფლავებულია გარეჯში.

წმიდა აღმსარებელნი: იოანე (მაისურაძე) (+1957) და გიორგი-იოანე (მხეიძე) (+1960) 8 (21 სექტემბერი)

არქიმანდრიტი იოანე (ერისკაცობაში ვასილ მაისურაძე) დაიბადა ცხინვალში, დაახლოებით 1882 წელს. ვასილს ბავშვობიდანვე კარგად ეხერხებოდა ყოველგვარი საქმის კეთება. იგი, თორმეტიოდე წლის ყმაწვილი, თავდაუზოგავად ეხმარებოდა ბეთანიის მონასტრის წინამძღვარს, მღვდელმონაზონ სპირიდონს (კეთილაძე), რომელმაც 1894-96 წლებში დიდი გაჭირვებით მოაწყო და აღადგინა სავანე.

სიყრმიდანვე ბერ-მონაზვნური ცხოვრებისკენ მიდრეკილი და სიწმიდის მაძიებელი ვასილი 1903 წლიდან, ღვთისგანგებულებით ათონის მთაზე იწყებს ცხოვრებას წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანეში. უბრალოებით, ძმათა მსახურებით და ყოველგვარი სათნოებებით გამორჩეული ახალგაზრდა მოღვაწე მალე აღკვეცეს მონაზვნად და წმიდა იოანე ღვთისმეტყველისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად იოანე უწოდეს. მონაზონი იოანე მალე მღვდლად აკურთხეს, რამაც კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა მისი პიროვნება. ღვთის უსაზღვრო სიყვარულითა და მოყვასისადმი უანგარო მსახურებით აღჭურვილი წმიდა მამა ყოველნაირად ცდილობდა, სათნოყოფოდა ღმერთს და მოყვასისთვისაც სასარგებლო ყოფილიყო მისი ცხოვრება (უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვისება გაჰყვა მას მთელი სიცოცხლის მანძილზე, წმიდა ათონის მთიდან უკანონოდ გამოდევნისა და შემდგომში ათეისტური ხელისუფლებისა სასიკვდილოდ განწირვის მიუხედავად, წმიდა იოანე ყოველთვის საოცარ კაცთმოყვარეობას იჩენდა ყველასადმი.).

წმიდა იოანემ ჩვიდმეტი წელი დაჰყო ათონზე, შემდეგ კი, დროთა მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, 1920-21 წლებში იგი სხვა ქართველ ბერებთან ერთად იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა წმინდა მთა. საქართველოში დაბრუნებული წმიდა იოანე არმაზის მონასტერში დამკვიდრდა, სადაც ღვთისმებრძოლი ბოლშევიკების დევნის გამო მხოლოდ ერთი ბერი ცხოვრობდა. ერთხელ მონასტერში მისულმა შეიარაღებულმა ჩეკისტებმა ბერები ძალით წაიყვანეს, გზაში ხევის პირას ორივე

ბერს ტყვია დაახალეს ზურგში. ხევში გადაცვენილი ბერები ჩეკისტებმა მკვდრად ჩათვალეს. ღვთის განგებით, შედარებით მსუბუქად დაჭრილი ბერი დიდი გაჭირვებით მილასლასდა მცხეთამდის. იპოვეს ცოცხალმკვდარი იოანეც და სამთავროს დედათა მონასტერში მიიყვანეს.

გამოჯანმრთელებული მამა იოანე ბეთანიის მონასტერში წავიდა, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობდა მისი ბავშვობის მოძღვარი, მღვდელ-მონაზონი სპირიდონი. სულ მალე სავანის წინამძღვრობა მამა იოანემ გადაიბარა.

ბავშვობიდანვე შრომას შეჩვეულმა მამა იოანემ მალე მოაწყო სამონასტრო მეურნეობა და მონასტერში სულიერი რჩევა-დარიგებისათვის მისულ ხალხს მშვენიერი ტრაპეზითაც უმასპინძლდებოდა. ხალხის დასანახად თვითონაც მხიარულობდა, ძალიან უყვარდა ბავშვები და ყოველთვის ჰქონდა ტკბილეული მათთვის, ბავშვები იმდენად შეთამამებული იყვნენ მასთან, რომ იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს მამა იოანეს მიერ მრევლის დალოცვისა და წმიდა აიაზმის სხურების შემდეგ ბავშვებმა მთლიანად გაწუწეს ღირსი მამა. ბავშვების ასეთი საქციელით უხერხულობაში ჩავარდნილ მშობლებს მამა იოანემ მხიარულად უთხრა: დღესასწაულია და ასეა საჭიროო. ბავშვებთან ასეთი უშუალო ურთიერთობის მქონე მამა იოანემ საოცარი პატივით მიიღო იმ დროს მოსკოვის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, სრულიად ახალგაზრდა ირაკლი ღუდუშაური. მამა იოანეს მაშინდელი აუხსნელი მოქმედება — სიხარულის დაუფარავი ცრემლები და სტუდენტისადმი გამოჩენილი უჩვეულო მოკრძალება გვაფიქრებს, რომ მან ლოცვა-კურთხევისთვის მისულ სტუდენტში საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის აღორძინებაც განჭვრიტა.

მამა იოანე ძალიან მკაცრად ცხოვრობდა, მთელ დღეს შრომობდა, ეძინა მხოლოდ ფიცარზე და მთელი ღამეები ლოცულობდა, მასთან მყოფნი ვერ ხვდებოდნენ, როდის ისვენებდა მამა იოანე და საიდან ჰქონდა მას ასეთი მხნეობა. გარდა მლოცველებისა, მონასტერში ხშირად მოდიოდნენ ხელისუფლების წაყრუებით გათამამებული ავაზაკები და ჰპარავდნენ და ართმევდნენ ბერებს გაჭირვებით მოპოვებულ სურსათ-სანოვაგესა და პირუტყვს. თუმცა მონასტერს მფარველებიც ჰყავდა მთავრობაში ფარული ქრისტიანების სახით, რომელთა დახმარებით მამა იოანე მაისურაძის და მამა გიორგი მხეიძის მონასტერში ცხოვრება გაფორმებული იყო, როგორც ძეგლის დარაჯებისა და ბერები მცირეოდენ ხელფასსაც იღებდნენ.

ცნობილია მამა იოანეს ლოცვით აღსრულებული მრავალი სასწაული, რომელთა გამჟღავნებას ყოველთვის ერიდებოდა იგი. მამა იოანემ და მამა გიორგიმ ლოცვით განკურნეს ყრუ-მუნჯი, მათთან მიჰყავდათ სხვადასხვა უკურნებელი სენით დაავადებულნი და ბეთანიაში რამდენიმე დღით დარჩენის შემდეგ (ამით მამები თავიანთ სასწაულთქმედების ნიჭს მალავდნენ) ავადმყოფები იკურნებოდნენ. მამა იოანე მონასტრის ყველაზე მძიმე სამუშაოს თვითონ ასრულებდა და ძალიან წუხდა მამა გიორგიზე, რომელიც სუსტი ჯანმრთელობისა იყო, მაგრამ ამ ქვეყნიდან ის უფრო ადრე გავიდა. ცხოვრებისეულმა ტანჯვამ და გამუდმებულმა შრომამ მისი ჯანმრთელობა შეარყია და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1957 წელს 75 წლის ასაკში აღესრულა.

არქიმანდრიტი გიორგი (მხეიძე) დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფ. სხვავაში დაახლოებით 1887 წელს. თავადაზნაურობაში არსებული მაშინდელი ტრადიციის მიხედვით გიორგიმ სამხედრო სასწავლებელში დაიწყო სწავლა, მაგრამ იმპერიაში სამხედრო კარიერის გაკეთების ნაცვლად იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება და გარკვეული დროის მანძილზე წმიდა ილია მართალთან მსახურობდა პირად მდივნად, ხშირად ხვდებოდა წმ. ილიას მოძღვარს, წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), მღვდელმონამე ნაზარს (ლეჟავა) და ახლოს იცნობდა თავისი დროის თითქმის ყველა გამოჩენილ პიროვნებას.

მთელი სიცოცხლის ღვთისთვის შეწირვის სურვილით, გიორგიმ მონაზვნური ცხოვრების გზა აირჩია, იგი მღვდელმონამე ნაზარიმ აღკვეცა. უაღრესად განათლებული და თავმდაბალი, დახვეწილი არისტოკრატული მანერებითა და ბერული ასკეტიზმით საოცრად ჰარმონიულად შერწყმული მამა გიორგი მღვდლად აკურთხეს და არქიმანდრიტის ხარისხშიც აღამაღლეს. ღვთის სიყვარულითა და მამულისადმი თავდადების სურვილით აღვსილმა ამ წმიდა მოღვაწემ თავის თავზე იწვნია ყოველი განსაცდელი, რაც ამ დროს თავს დაატყდა ჩვენს ეკლესიას და ერს.

ხირსის მონასტერში მოღვაწე მამა გიორგის 1924 წელს თავს დაესხნენ შეიარაღებული ჩეკისტები. ცემეს, შეკრიჭეს თმა-წვერი და მოკვ-

ლითაც დაემუქრნენ. ოჯახში დროებით თავშეფარებულს კი უფრო მტკივნეული წყენა მიაყენეს ათეისტური მსოფლმხედველობით მოწამლულმა საკუთარმა ძმებმა, რომლებმაც მძინარე ბერს ისევ შეჭრეს წვერები (შემდგომში ერთმა ძმამ თავი მოიკლა, მეორე კი ცოლთან ერთად დახვრიტეს).

1924 წელს ავიდა წმიდა გიორგი ბეთანიის მონასტერში, სადაც მას დახვდა მამა იოანე მაისურაძე და ამ დღიდან ეს ორი წმიდა მამა მთელი ცხოვრება ერთად მოღვაწეობდა, მათ ცხოვრებასაც შეიძლება ეწოდოს „ერთი სული ორ სხეულში".

მამა გიორგი სუსტი ჯანმრთელობის გამო მონასტერში შედარებით მსუბუქი სამუშაოებით - ფუტკრის მოვლით და ბოსტნის დამუშავებით იყო დაკავებული. მამა გიორგი საოცრად გულმოწყალე იყო, მისი უსაზღვრო ხელგაშლილობით ზოგჯერ თითქმის უსურსათოდ იყვნენ დარჩენილები, იგი იმედიანად ეტყოდა ხოლმე მამა იოანეს, ღმერთი მოგვცემსო.

მაღალი, გამხდარი და მუდამ წელში გამართული მამა გიორგი გარეგნულად უფრო მკაცრი ჩანდა, ნაკლებად საუბრობდა მონასტერში მოსულ ხალხთან და ვერც ბავშვები ბედავდნენ მამა იოანეს მსგავსად ეთამაშათ მასთან და ყოველთვის ცდილობდნენ, ლოცვების ზეპირად სწავლითა და წესიერი ქცევით გაეხარებინათ წმიდა მამა.

მამა გიორგი იშვიათად გადიოდა მონასტრიდან, მაგრამ მაინც უწევდა თბილისში ჩასვლა, სადაც მას უამრავი მრევლი ჰყავდა, რომელთა შორის იყვნენ მთავრობაში მომსახურე პატრიოტულად განწყობილი ფარული ქრისტიანები.

მამა გიორგი წინასწარმეტყველებისა და კურნების ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომელსაც გულმოდგინედ მალავდა, გამჟღავნების შემთხვევაში კი ყოველმხრივ ცდილობდა, ყოფითი მოვლენებით აეხსნა მომხდარი. ერთხელ მან სახელით უხმო მონასტერში მისულ უცხო კაცს და ამით გაოცებული სტუმარი დაამშვიდა: როცა ამა და ამ ეკლესიაში გნათლავდნენ, მეც იქ ვიყავიო, ნათლობა კი ოცდაათი წლის წინ მომხდარა, როცა ეს კაცი ორი თვის იყო. მამა გიორგიმ წინასწარ, სულით იგრძნო, როცა მის ძმისშვილს მასთან ორმოცდარვა წლის უნახავი დები მიჰყავდა და, მიუხედავად დიდმარხვის ბოლო კვირისა, თევზი განუმზადა დებს ტრაპეზად.

მამა გიორგისა და მამა იოანეს ლოცვით განიკურნა მონასტერში მიყვანილი მამა გიორგის ძმისშვილი, რომელიც ტვინის ანთებით იყო სასიკვდილოდ განწირული. მონასტერში მიიყვანეს ყრუ-მუნჯი ბავშვი, რომელსაც სმენა დაუბრუნა მამების ლოცვამ, მოჰყავდათ სხვადასხვა

სნეულებებით შეპყრობილნი და განკურნებულები მიჰყავდათ შინ.

1957 წელს, როდესაც მამა იოანე გარდაიცვალა მამა გიორგი დიდ სქემაში აღიკვეცა და მასაც მისი სულიერი ძმის მსგავსად იოანე უწოდეს. მარტო დარჩენილ გიორგი-იოანეს მთელი მონასტრის სიმძიმე დააწვა და კიდევ უფრო შეურყია ისედაც სუსტი ჯანმრთელობა. მის მოსავლელად ქალაქიდან ადიოდნენ სულიერი შვილები. მონასტერში ოციოდე წლის ქალიშვილი მისულა, რომელსაც საშინელი თავის ტკივილები აწუხებდა. ვიღაცას ერჩია, ბეთანიის მონასტრის წყალი განგკურნავსო და, მართლაც, მონასტერში ერთი კვირის ცხოვრების შემდეგ სრულიად განკურნებულა. მამა გიორგი-იოანეს რვა კილომეტრის მანძილზე გაუცილებია ქალიშვილი.

მამა გიორგის ჰქონდა ღვთისმშობლის გამოცხადება: ყოვლადწმიდა ქალწულმა აუტანელი ტკივილებისაგან გატანჯული მონამე განკურნა. წმიდანს გამოეცხადა პირველმოწამე თეკლა და ყურძნის მტევანი მიართვა ძღვნად. აღსასრულამდე რამდენიმე დღით ადრე მოძღვარი ქალაქში იმყოფებოდა, სადაც მას ანგელოზი გამოეცხადა, მოახლოებული აღსასრული აუწყა და უთხრა, მონასტერში დალოდებოდა ამქვეყნიდან გასვლას.

წმ. მამა გიორგი-იოანე (მხეიძე) 1960 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია ბეთანიის მონასტერში მამა იოანეს (მაისურაძის) გვერდით.

მღვდელმოწამე დოსითეოზ თბილელი (+1759)
12 (25) სექტემბერი



წმიდა დოსითეოზ თბილელი მოწამეობრივად აღესრულა 1795 წლის 12 (25) სექტემბერს.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო მუდამ მტერთა აგრესიას განიცდიდა.

1795 წელს ირანელები ოცდათხუთმეტათასიანი ჯარით კვლავ საქართველოსკენ გამოემართნენ საბრძოლველად. მეფე ერეკლე, „ფრიად მწუხარე სიმცირისათვის სპათასა", თვითონ ჩაუდგა ლაშქარს სათავეში, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. მეფემ ასორმოცდაათკაციანი ამალით, რომელშიც თითქმის ყველა დაჭრილი იყო, ძლივს დაალწია თავი ტყვეობას. სამშვიდობოს გასულმა იხილა, თუ როგორ თელავდნენ სამშობლოსათვის თავდადებულთა გვამებს და როგორ შედიოდნენ დედაქალაქში ურჯულოები. მან უკან შემოაბრუნა ცხენი, უნდოდა შეკვდომოდა მტერს, მაგრამ აღარ გაუშვეს, ძალით გაიყვანეს გალმა. ხიდზე გასულმა მეფემ წმიდა აბოს შეავედრა საქართველო. 11 სექტემბერს, ღამით, მთელი თბილისი ცეცხლის ალში გაეხვია, ძარცვავდნენ და კლავდნენ მოსახლეობას, ცეცხლს მისცეს წიგნსაცავები, დაარბიეს სტამბა, გაძარცვეს ეკლესიები, გაიძარცვა მეფე ერეკლეს სასახლეც. ურჯულოები განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავდნენ სასულიერო პირებს, თავებს აჭრიდნენ და მტკვარში ყრიდნენ მათ წმიდა სხეულებს.

ქალაქის დარბევისა და მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მტრებმა შეიპყრეს თბილელი მიტროპოლიტი წმიდა დოსითეოსი, უამრავი ჭრილობა მიაყენეს ხმლებით და მტკვრის პირას მიიყვანეს სხვა დატყვევებულ ღვთისმსახურებთან ერთად.

ვერანაირი სატანჯველით ვერ გატეხეს ღვთისმსახურთა სარწმუნოება, წმიდა დოსითეოსმა და მთელმა მისმა სამღვდელო დასმა ქრისტესთვის სიკვდილი ირჩია. უსჯულოები ხელ-ფეხშეკრულ ღვთისმსახურთ სათითაოდ ყრიდნენ მდინარეში, წმიდა დოსითეოსს კი „სამღვდელმთავრო შელავათი მისცეს" — წამებისაგან ისედაც სიკვდილის პირას მისული მღვდელმთავარი ხელ-ფეხშეუკვრელი გადააგდეს მტკვარში.

წმიდა დიდმონამე, საქართველოს მნათობი, კახეთის დედოფალი ქეთევანი (1624)
13 (26) სექტემბერი

წმიდა ქეთევანი, აშოთან მუხრანბატონის ასული, დაიბადა დაახ. 1570 წელს. კეთილგონიერი და მორწმუნე ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრეს, უფროს ვაჟზე, დავითზე დააქორწინეს. მეფე ალექსანდრეს კიდევ ორი ვაჟიშვილი ჰყავდა — გიორგი და კონსტანტინე. კონსტანტინე შაჰ-აბასის კარზე იზრდებოდა ბავშვობიდანვე და რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა.

ალექსანდრე მეფე მონაზვნად აღიკვეცა ალავერდის ტაძარში. ტახტზე დავითი ავიდა, მაგრამ ოთხიოდ თვეში, 1602 წელს, კახეთის ახალგაზრდა მბრძანებელი მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს დარჩა ქალ-ვაჟი — თეიმურაზი და ელენე. ალექსანდრე კვლავ სამეფოს დაუბრუნდა. ქვეყნის არეულობისა და სხვადასხვა საშიშროების გამო ქეთევანმა თეიმურაზი შაჰ-აბასთან გაგზავნა.

შაჰ-აბასმა, როგორც კი დავითის სიკვდილი და ალექსანდრეს დაბრუნება შეიტყო, თავის კარზე აღზრდილ გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზას უბრძანა, წასულიყო კახეთში, მოეკლა მოხუცებული მამა, მოეკლა ღვიძლი ძმა გიორგი და თვითონ ასულიყო კახეთის სამეფო ტახტზე.

გამხეცებულმა კონსტანტინე-მირზამ შეასრულა ბრძანება, შემდეგ მამისა და ძმის მოკვეთილი თავები, ვითარცა ძვირფასი ძღვენი, „მამობილს“ გაუგზავნა, მათი გვამები კი აქლემს აჰკიდა და ალავერდს გაგზავნა დასამარხად. ქეთევანმა პატივით დაკრძალა მამამთილისა და მაზლის ცხედრები.

სისხლში გასვრილმა კონსტანტინემ ქეთევანს ცოლობა სთხოვა: „შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისაო“.

ქეთევანმა კახეთის დიდებულები იხმო, ყოველივე აუწყა და უთხრა, თუ სარწმუნოებას და ქვეყნის ღირსებას ვერ დაიცავთ, ქართლს დავბრუნდებიო, მუხრანში. დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს დედოფალს, შეიკრიბნენ, მიუვარდნენ სჯულისა და ტრადიციების შემაგინებელს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქეთევანმა ურწმუნო კონსტანტინეს

გვამი გვარისთვის შესაფერი პატივით დაკრძალა, შაჰს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა და სთხოვა, მეფედ თეიმურაზი დაემტკიცებინა. მანამდე კი, დროებით, თვითონ იტვირთა სამეფოზე ზრუნვა.

შაჰ-აბასი შეშინდა: კახეთი განმიდგება, ქართლს შეუერთდება და საბოლოოდ დავკარგავო და 1606 წელს მეფედ დაამტკიცა თეიმურაზი და დიდი პატივით დააბრუნა საქართველოში.

გაიხარა წმიდა დედოფალმა შვილის ხილვით, გაიხარა მთელმა სამეფომ ქრისტიანი უფლისწულის დაბრუნებით. მეფე იკურთხა და ქვეყანაში დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ახალგაზრდა მეფემ გურიელის ასული ანა შეირთო. მეფე-დედოფალს ორი ვაჟი და ერთი ასული — ლევანი, ალექსანდრე და თინათინი შეეძინათ. მალე ანა დედოფალი გარდაიცვალა. შაჰის იძულებით, თეიმურაზმა ლუარსაბ II-ის და, ხორეშანი შეირთო, შაჰმა კი ხორეშანის და — ელენე მოიყვანა ცოლად. ასე ცბიერებით „დაუმოყვრდა" იგი ქართლ-კახეთის სამეფოს, ნამდვილად დამოყვრებულ ქართლსა და კახეთს შორის კი მუდმივად თესავდა განხეთქილების ღვარძლს.

შაჰ-აბასმა 1614 წელს ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. იცოდა თეიმურაზმა შაჰის ვერაგობა, მაგრამ დიდებულების იძულებით უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე, მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან დედაც — წმიდა ქეთევანიც გააყოლა: „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ-აბასისაგან". შაჰმა ჯერ უფროსი შვილი, ლევანი ითხოვა, შემდეგ კი თეიმურაზსაც შეუთვალა: „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო".

ყველასათვის ნათელი გახდა შაჰის სურვილი: მას სურდა, კახეთის სამეფო კარისთვის ერთად მოეყარა თავი და ერთიანად შეემუსრა. დრო აღარ ითმენდა. თეიმურაზი და ლუარსაბი შეითქვნენ და გაერთიანებული ძალებით სძლიეს ჟალეთში დაბანაკებულ მტერს.

შემდგომ დაიწყო ქართლის ცხოვრების უსაშინლესი პერიოდი. კახეთის დასალაშქრად გამზადებულმა შაჰ-აბასმა მძევლები — წმიდა ქეთევანი და მისი შვილიშვილები — შირაზს გაგზავნა, თვითონ კი კახეთს შეესია. მტერმა ააოხრა სამეფო კარი, შერყვნა ეკლესია-მონასტრები, გადაასახლა და დააცარიელა სოფლები. ქვეყანა შიმშილმა და ძალადობამ მოიცვა. უსჯულოებმა ცეცხლს მისცეს კახეთი. სამასი ათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლეს, გაუდაბურებულ ქვეყანაში კი ულუსები ჩამოასახლეს.

შირაზს გადასახლებიდან ხუთი წლის შემდეგ შაჰმა ქეთევანს ჩამოაშორა თეიმურაზის ძენი, ისპაანს წაიყვანა და დაასაჭურისა. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ლევანი შეიშალა.

სამშობლოს ხვედრით შეძრწუნებული წმიდა დედოფალი, რომელმაც შვილიშვილების უბედურება არ იცოდა, შირაზის მმართველის, გათათრებული ქართველის, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სასახლეში ცხოვრობდა. ნაქართველარი თათარი დიდი პატივით ეპყრობოდა ქეთევანს და ამბობდა, დიდად საპატიო სტუმარი არისო ჩვენი, ის კი არ არის ტყვე, ჩვენ თვითონ ვართო მისი ტყვეები. მისი ბრძანებით წმიდა დედოფალს არ უმხელდნენ, თუ რა საშინელი ბედი ეწიათ ბატონიშვილებს — ლევანსა და ალექსანდრეს.

ათი წელი იტანჯებოდა დედოფალი „საპატიო" ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაილია დედოფლის სხეული. მაინც მხნედ იყო, უვლიდა, ზრუნავდა და ზედ დაჰფოფინებდა თავის სამწყსოს — მის გამგებლობაში მყოფ ოციოდე ქართველს.

ხედავდა გულმრისხანე შაჰი, რომ „უდრეკ იყო დედოფალი", ისევ წმიდა სამებას სასოებდა კახეთის მანათობელი ვარსკვლავი, ჯვარცმულ მაცხოვარს ავედრებდა თავის ჯვარცმულ ქვეყანას და ემზადებოდა დიდი მისიისათვის.

უსჯულო აბასმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა წმიდანმა თავისი შვილიშვილების ბედი შეიტყო.

შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათრდეს, ანამე და სასჯელით მოჰკალიო". შეძრწუნდა უნდილაძე, მოციქულის პირით შეუთვალა: „ბერი დედაკაცი არის და ახლა ეს არ გათათრდება, რას აქნევ ამის გათათრებას, თქვენთვის სირცხვილი არის მისი სიკვდილი". შაჰ-აბასი გაბრაზდა, ბრძანების სასწრაფოდ აღსრულება უბრძანა შირაზის ხანს. ნაქართველარი შეევედრა დედოფალს, სხვის დასანახად მაინც აღიარე მაჰმადი, გულში კი ქრისტიანად დარჩიო. წმიდა ქეთევანმა შორს დაიჭირა უნდილაძის ნათქვამი და წამებისთვის განემზადა. ილოცა: „მეუფეო ქრისტე, სიტყუაო ღვთისაო, არა შუენოდა მხევლისა შენისად უარის ყოფაჲ შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა".

ხალხით გაჭედილ მოედანზე გაიყვანეს ქართველთა სათაყვანებელი დედოფალი, რომელსაც მგლოვიარე ქართველები მიაცილებდნენ. ჯალათებმა მოამზადეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, შეაწყვეს შიგ შანთები გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმიდა მოწამემ: „დედის ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცხმყოფთ სიშიშვლით".

უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით ანამეს ქართველთა წმიდა

დედოფალი: გახურებული რვალის ქვაბი დაამხვეს თავზე, მარწუხებით დააგლიჯეს ძუძუები, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დააგლიჯეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზედაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს.

წმიდა სულმა დატოვა ნაგვემი სხეული. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმიდა დედოფლის გვამი, მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული — წმიდანის ნეშტს ნათელი დაადგა.

წამების მხილველმა ფრანგებმა წმიდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კახეთის მეფეს, თეიმურაზს, გამოუგზავნეს თავისი წმიდა დედის თავი მკლავთან და სხვა ნაწილებთან ერთად, რომლებიც ალაევერდის მონასტერში ინახებოდა და 1723 წელს დაიკარგა.

ღირსი აბბა იოსებ ალავერდელი, ათცამეტ სირიელ მამათაგანი (+570)
15 (28) სექტემბერი

წმიდა მამა იოსებ ალავერდელი იყო მონაფე წმიდა იოანე ზედაზნელისა (ხს. 7 მაისს), რომელიც VI საუკუნეში თორმეტი მონაფის თანხლებით სირიიდან საქართველოში ჩამოვიდა ქრისტიანობისა და ქვეყანაში ბერმონაზვნობის ასაღორძინებლად. ამ დროს, მართალია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონდა, მაგრამ ურწმუნოება კვლავ მძლავრობდა, „ურწმუნოებაᲘ არა სადა დაცხრომილ იყო, არამედ კნინღა და სძლევდაცა".

აბბა იოსები ღვთის ნებით და ცხოველმყოფელი ჯვრის წინამძღოლობით დაემკვიდრა კახეთს, იმ ადგილას, სადაც დღეს ალავერდის ტაძარია. გადმოცემით, აბბა იოსები განუშორებლად თან ატარებდა ჯვარს, გამოთლილს იმ ჯვრის ძელისგან, რომელზეც აწამეს უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

ალავერდი უდაბური, კაცთაგან უვალი და უნაყოფო ადგილი იყო. მრავალი ჭირი, ნაკლულევანება და საშიშროება დაითმინა ღირსმა მამამ: ცხოვრობდა „მხოლოᲘ მხოლოსა ღვთისა მზრახველი", ფიცხელი მოღვაწეობით, ყოველგვარ ამქვეყნიურ ნუგეშს მოკლებული.

მხეცთა და ნადირთა სამკვიდრებელში განმარტოების ღვაწლს შემდგარ მამა იოსებს უფალმა მოუვლინა ერთი დიდებული მონადირე, რომელიც მრავალი ყმის თანხლებით გამოსულიყო იმ მიდამოებში სანადიროდ. მონადირემ როგორც კი იხილა წმიდა მამა, მიხვდა, რომ მის წინ ღმერთშემოსილი კაცი იდგა, ცხენიდან ჩამოხტა, თაყვანისცემით მიეახლა, ეამბორა და მდაბლად გამოჰკითხა ვინაობა და იქ ყოფნის მიზეზი.

ღირსმა მამამ, ღვთის შემწეობით მასში სრული სარწმუნოება და საღმრთო სიყვარულისა და ჭეშმარიტებასთან მიახლოების დაუოკებელი სურვილი დანერგა. დიდებულმა მონადირემ აღუთქვა ამბა იოსებს, რომ ტაძარს ააშენებდა ალავერდის უდაბნოში და შეასრულა კიდეც აღთქმა: საფუძველი დაუდო ალავერდის მონასტერს. ღირსმა მამამ, დიდად გაიხარა ღვთივსათნო საქმის აღსრულებით.

ხალხმა მალე გაიგო წმიდა ბერის ამბავი და აქ სიარული იწყო, რათა ეხილა საკვირველი მამა და მოესმინა მისი სწავლება. წმიდა იოსებიც დაუცხრომლად ქადაგებდა, იძლეოდა რჩევა-დარიგებებს. მისი მოუკლებელი ღვაწლით ამ მხარეში აღმოიფხვრა ურწმუნოება და განმტკიცდა ღვთისმსახურება. იმ ადამიანთაგან, რომელთაც ბერის წმიდა ცხოვრება, სიყვარული და სასწაულები იზიდავდა უდაბნოში, ბევრი იქვე რჩებოდა სამოღვაწეოდ. მეუდაბნოეთა რიცხვი თანდათან გაიზარდა და დიდი კრებული შეადგინა. წმიდა მამა იოსებ ალავერდელი იყო საძმოს პირველი წინამძღვარიც და მოძღვარიც.

დიდი ხნის მოღვაწეობითა და შრომით ხორციელად მოუძლურებულმა წმიდანმა აღსასრულის მოახლოება იგრძნო, მონაფეები შეკრიბა, დაარიგა, აკურთხა, წინამძღვარიც დაუდგინა და მშვიდად მიიცვალა.

მონაფეებმა დიდი პატივით დაკრძალეს წმიდა იოსების ცხედარი მის მიერ აშენებულ ალავერდის ტაძარში. ღირსი მამის საფლავზე მრავალი სასწაული აღესრულება.

წმიდა მოწამენი, ქართველნი: ისააკი და იოსები, კარნუ-ქალაქში ნამეგზულნი (+808)
16 (29) სექტემბერი

წმიდა მოწამენი: ისააკ და იოსები დედით მართლმორწმუნენი იყვნენ, მამა კი მაჰმადის სჯულის მიმდევარი ჰყავდათ. დედა შვილებს ფარულად ქრისტეს მცნებებით ზრდიდა. იმდენად დიდი იყო ძმებში ქრისტიანულად ცხოვრების სურვილი, რომ მათ ბიზანტიაში წასვლა და იქ ცხოვრება გადაწყვიტეს. ამ დროს ბიზანტიას კეთილმსახური მეფე ნიკიფორე ფოკა (802-811) განაგებდა. ძმებმა ფარულად მისწერეს წერილი კეისარს და თავშესაფარი სთხოვეს.

ნიკიფორემ პატივით მიიწვია მთელ თეოდოსიპოლელ (კარნუელ) დიდგვაროვანთა წრეში გამორჩეული და პატივცემული ძმები. ერთი ძმა მაშინვე გაემგზავრა, წვრილშვილიანი იოსები კი მოუცლელობის გამო თეოდოსიპოლში დარჩა და წმიდა ისააკიც თავისთან დატოვა.

თეოდოსიპოლის ამირამ შეიტყო ძმების განზრახვა და სახლიკაცის კონსტანტინოპოლში წასვლის მიზეზი გამოჰკითხა ისააკსა და იოსებს. ძმები მიხვდნენ, რომ ჭეშმარიტების აღიარების ჟამი დადგა და ამირას გამოგზავნილებს მიუგეს, რომ ძმათაგან ერთის ბიზანტიაში წასვლის მიზეზი მათი ქრისტიანობა იყო. ასეთმა კადნიერებამ გააკვირვა კარისკაცები. როცა ამირას მოახსენეს ყოველივე, უსჯულო მბრძანებელი შეწუხდა: არ ემეტებოდა მოსაკლავად რჩეულთა შორის რჩეული, საყოველთაო სიყვარულით გარემოცული ძმები, ამიტომ გადაწყვიტა, ქრისტეს უარყოფაზე დაეთანხმებინა ისინი.

თეოდოსიპოლის ამირა და მთავრები ევედრებოდნენ წმიდანებს. მოხუცი მამაც ცრემლებს ღვრიდა და შვილებს ქრისტეს განგდებას შეაგონებდა. წმიდანებმა მიუგეს: „უწყებულ იყავნ, მძლავრო, რამეთუ ვიცით, ვითარმედ „ყოველი ხორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა. განხმა თივა და ყუავილი მისი დამოსცვივა“. თქვენი ქადებანი ტანჯვათანი და სიკუდილისა მძვინუარისა ჩვენდა შიშად საგონის-ყოფაჲ საცინელ არს. არცა სიკუდილმან, არცა

ცხორებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა". ჭაბუკთა კადნიერებამ ამირა განარისხა და ბრძანა, მახვილით განეგმირათ წმიდა იოსები და ისააკი.

ჯალათებმა წმიდანები მოსაკლავად წაიყვანეს. ძმებმა მცირე ჟამი სთხოვეს მტარვალებს ლოცვისათვის, მუხლი მოიდრიკეს და მხურვალედ შეჰღაღადეს უფალს: „მეუფეო უფალო, მამაო უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესო, მოიხილე მონათა ამათ შენთა ზედა, მიითუალე შენდამი შეწირვაჲ, რომელნი-ესე შევსწირავთ შენდამი თავთა ჩუენთა, და წმიდათა მოწამეთა შენთა თანა აღგურაცხენ და გკრგკნი სიმართლისა მოგუეც ჩუენ, რამეთუ „ყოველი მიცემული კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამოსულ მამისაგან ნათლისასა", გადაისახეს პირჯვარი და თავი მოიდრიკეს. ჯალათმა პატიოსანი თავები წარკვეთა წმიდა მოწამეებს.

უსჯულოებმა წამებულთა გვამები იქვე დატოვეს. ღამით წმიდანთა ნეშტს ღვთაებრივი ნათელი დაადგა. ამ საკვირველებამ შეაძრწუნა უსჯულოები და ქრისტიანებს უბრძანეს, დაეფლათ წმიდა მოწამეთა ცხედრები.

ქალაქის ეპისკოპოსმა და სამღვდელოებამ პატივით მიაბარეს წმიდანთა გვამები მიწას. შემდგომ იმ ადგილას ეკლესია ააგეს.

ანტონ კათოლიკოსის თქმით, წმიდა ძმათა, ისააკისა და იოსების „ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲘ დასდუეს პირველთა მამათა ქართველთა, სათთუეოსა მოსახსენებელთა შინა".

წმიდა მოწამენი: ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავნი — ელიზბარი და შალვა (+1661) 18 (1.10) სექტემბერი

წმიდა ბიძინა ჩოლოყაშვილი და ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი XVII საუკუ-ნეში აღესრულენ მოწამეობრივად. შაჰ-აბას I-მა და მისმა ძემ, შაჰ-აბას II-მ, განსაკუთრებული სისასტიკით ააოხრეს კახეთი. მამა და შვილი საბედისწეროდ, ყორნებივით დასჩხაოდნენ თავს ივერიას და ცეცხლის ალში ხვევდნენ ეკლესია-მონასტრებს და ციხე-სიმაგრეებს, ათასობით ქართველს მშობლიური მიწიდან ყრიდნენ, სპარსეთში მიერეკებოდნენ და მათ ნაცვლად სპარსელებს ასახლებდნენ.

ხალხი ილტვოდა მტარვალთაგან და იხიზნებოდა. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ „აღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი, თვინიერ მცირეთა ოდენ მთით კერძო თუშთა, ფშავთა და ხევსურთა შორის“. მიუნვდომელია კაცთათვის ღვთის განგებულება: სწორედ ამგვარი გაჭირვების ჟამს, როცა თითქოს ცოდვა-მადლი არ განირჩეოდა, როცა ცეცხლის კალოდ ქცეული საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა, უფალმა თავისი ერთგული მხედრობა გამოარჩია. ამ საუკუნეში შეუერთდნენ ზეციურ საქართველოს: წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი, წმიდა მოწამე ლუარსაბ მეფე, წმიდა ექვსი ათასი გარეჯელი ბერი, წმიდა მღვდელმოწამე ევდემოზ კათოლიკოსი, წმიდა მღვდელმოწამე თევდორე კველთელი. ამ საუკუნეში აღესრულა ღვთისა და ერის სადიდებლად ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათთან ერთად ცხრაათასი მხედარი მარაბდის ველზე და ამ საუკუნეშივე მოუვლინა ყოვლადსახიერმა უფალმა ქვეყანას ხსნად და იმედად კახეთის გმირები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

გლახაკთა ხელის აღმპყრობელმა და უღონოთა განმაძლიერებელმა უფალმა კახეთის მთავარს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, კეთილი განზრახვა შთააგონა: მან არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად თავს იდვა კახეთის გათავისუფლება თათართაგან. ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ბიძინა ეახლა თავის მოყვარეს, არაგვის ერისთავს

ზაალს და გულისნადები აუწყა. ზაალ ერისთავს თვითონაც გული უდუღდა ამდენი უბედურებისა და უსამართლობისაგან, მოიწონა განზრახვა და ქსნის ერისთავი ელიზბარიც მოიწვია შალვასთან ერთად. წმიდა ბიძინამ კახეთისათვის თავსდატეხილ ჭირზე მოუთხრო ერისთავებს, აუხსნა მათ, რომ უმოკლეს ხანში ამგვარივე განსაცდელში ქართლიც შეიძლებოდა ჩავარდნილიყო და მოუნოდა, ერთად ებრძოლათ მომხდურთა ნინააღმდეგ: „ან უკუე აღუდგეთ მათ ზედა, დაღაცათუ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ, არამედ ძალითა და შეწევნითა დამბადებლისა და ღუთისა ჩუენისათა და წინაძღომითა და განძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და თანადგომითა ახოვანისა მხედრისა წმიდისა გიორგისათა, რამეთუ დიდებული ტაძარი მისი (ალავერდი) დაიპყრეს და შეაგინეს და პატიოსანი ხატი მისი შემუსრეს“.

ბიძინა კარგად ხედავდა ქართველთა შესაძლებლობებს, მაგრამ, ღვთის ნებას მინდობილს და სამშობლოს გამოხსნის აუცილებლობაში დარწმუნებულს, სჯეროდა გამარჯვებისა.

არაგვის ერისთავმა „მცირედნი ოდენ კაცნი რჩეული მხედრები მისცნა თანამემწედ საიდუმლოდ“, ხოლო ქსნის ერისთავებმა — ბიძა-ძმისწულმა -- ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი... უმთვარო ღამეს მთა გადაიარეს, ახმეტა ჩავლეს და მოულოდნელად დაეცნენ თავს ბახტრიონს უზრუნველად დაბანაკებულ თათრებს. იმავე დღეს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე მიუხდნენ ალავერდს მყოფ ყიზილბაშებს და ისე გაანადგურეს, რომ არდალანის სულთანმა სელიმ-ხანმა ძლივს მოასწრო გაქცევა, მიატოვა ცოლ-შვილი და სპარსეთს მიაშურა.

ქართველთა ძლევამოსილი მხედრობა მადლობდა ღმერთს და ერის მფარველ წმიდა გიორგის, „რამეთუ ცხადად იხილვებოდა მთავარმოწამე გიორგი ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმომსრბოლი წინამავლად მათდა“.

თავისუფლად ამოისუნთქა კახეთმა, უზომოდ გახარებული თავს ევლებოდა თავის ერთგულ შვილებს... მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა სამშობლოს მხსნელი გმირების ნეტარება. განრისხებულმა შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს, ვახტანგს, სპარსთაგან შაჰ-ნავაზად წოდებულს, უბრძანა, ქრისტეს ახოვანი მხედრები მასთან გაეგზავნა.

კახეთის მხსნელი გმირები უდრტვინველად გაემართნენ უკანასკნელ გზაზე. მათ იცოდნენ, რომ შაჰ-აბასისგან დანდობა არ ექნებოდათ, მაგრამ იცოდნენ ისიც, რომ დაყოვნება ქვეყანას ზიანს მოუტანდა.

ცბიერმა შაჰმა პატივით ისტუმრა ქართველი დიდებულები, მაგრამ შემდეგ სიმდიდრისა და პატივის საფასურად სარწმუნოების გამოცვლა

მოსთხოვა. ქართველებმა სპარსეთის მბრძანებელს არდალანის სულთნის პირით შეუთვალეს: „ჩუენ ნიჭთა და პატივთა თქუენთათჳს არა გული გჳთქუამს. არცა ვეძიებთ საბოძუართა თქუენთა, რამეთუ ჩუენ ზეცათა მეფის მონანი ვართ და მხედრად ქრისტესა განწესებულნი... მზად ვართ ყოვლისავე დათმენად, რაჲთა მის თანა ვსუფევდეთ და მის თანა ვიხარებდეთ". ბევრს ეცადა არდალანის სულთანი, მაგრამ ვერავითარმა დაპირებამ ვერ მოხიბლა ქრისტეს ერთგული მსახურები. მაშინ შაჰის ბრძანებით წმიდანები სასტიკად აწამეს. წამებულნი ერთმანეთს ამხნევებდნენ, ტანჯვას ითმენდნენ და უფალს განმტკიცებას ევედრებოდნენ.

წმიდანები გააშიშვლეს და გზაზე დაყარეს მწერთაგან დასაგესლად. განრისხებულმა სელიმ-ხანმა გადაწყვიტა, ბიძინას შესაშინებლად მის თვალწინ თავი წარეკვეთათ წმიდა ელიზბარისა და შალვასათვის. „არა რა არს უტკბილეს ქრისტესთჳს სიკვდილისა", — ბრძანა წმიდა ბიძინამ.

ქსნის ერისთავებმა მშვიდად დადრიკეს თავები, მაგრამ ჯალათებმა მახვილები ვერ შეაწვდინეს დასარტყმელად, რადგან სანატრელნი ახოვანებით დიდად აღემატებოდნენ უსჯულოებს. მაშინ მტარვალებმა წვივებში ჩასცეს მახვილი და, როცა დავარდნენ, თავები წარკვეთეს ნეტარ ბიძა-ძმისწულს.

თანამებრძოლთა სიკვდილს ოდნავადაც არ შეუშინებია წმიდა ბიძინა. მტარვალმა გადაწყვიტა, შეურაცხყოფით მოეტეხა ბიძინას სიმხნეევ. ახოვან გმირს დედაკაცის ჩადრი დაახურეს, ვირზე შესვეს და ქუჩა-ქუჩა ატარეს, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ რჩეულთა შორის გამორჩეულ ქართველს; წმიდა ბიძინა კი მადლობდა ღმერთს.

ამის შემდეგ ჯალათებმა გადაწყვიტეს, ცოცხლად აეჩეხათ წმიდანი: ალესილი მახვილებით ჯერ ხელის თითები მოჰკვეთეს სათითაოდ, მერე — ფეხისა; თითების შემდეგ ხელები მოსჭრეს მაჯებამდე და ფეხები — კოჭებამდე; შემდეგ მოჰკვეთეს ორივე მკლავი იდაყვამდე და ორივე წვივი მუხლამდე. მოკვეთილ ასოებს მიწაზე ათრევდნენ და შეურაცხყოფდნენ. ბოლოს დაჩეხილ ტანზე თავიღა დარჩა უვნებელი. ბაგეების მოძრაობით ჩანდა, რომ გული ჯერ კიდევ ფეთქავდა და წმიდანი ლოცულობდა. მაშინ ერთმა ჯალათმა შუბი უგმირა და გულიც გაუჩერა, გული, რომელმაც გაუძლო ამდენ ტკივილს. ეს ამბავი 1661 წელს მოხდა.

წმიდა მოწამეთა გვამები მთელი დღე ღია ცის ქვეშ ეყარა და მიახლოებას ვერავინ ბედავდა. ღამით მათ ნათელი დაადგა. ქრისტიანებმა ფარულად დაკრძალეს წმიდანთა ნეშტი.

მრავალი წლის შემდეგ შალვას მეულლემ, ქეთევანმა და მისმა ძემ, დავითმა, სარწმუნო კაცები წარგზავნეს წმიდანთა ნეშტის ჩამოსასვენებლად.

ქართლში ჩამოსვენებულ წმიდა ნანილებს მრავალი მორწმუნე შეეგება თაყვანისცემითა და ამბორისყოფით. კახეთის მხსნელი გმირები პატივითა და დიდებით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზების სახელობის ტაძარში.

წმიდა არსენი დიდი, კათოლიკოსი (+887)
25 (8.10) სექტემბერი

წმიდა არსენი დიდი, კათოლიკოსი, დაიბადა დაახ. 820 წელს, სამცხის ცნობილი და გავლენიანი დიდებულის, მირიანის, ოჯახში.

აფხაზეთს მიმავალმა წმიდა გრიგოლის თანამოსაგრეებმა, თეოდორემ და ქრისტეფორემ (ხს. 5 ოქტომბერს), გზად სამცხეში, მირიანის სახლთან გაიარეს, მირიანმა სახლში მიიწვია ბერები. დილით მან და მისმა მეუღლემ ბერებს შვილები დაალოცვინეს, შემდეგ კი, მათი სათნოებით გაკვირვებულებმა, უმცროსი ძე, ექვსი წლის არსენი მისცეს აღსაზრდელად. ბერებმა მშობლებს აღუთქვეს, რომ მას თავიანთ სულიერ მამას და მოძღვარს, კლარჯეთის უდაბნოს არქიმანდრიტს, გრიგოლს, წარუდგენდნენ.

როცა ღირსმა გრიგოლმა თავისი რჩეული ძმები — თეოდორე და ქრისტეფორე მოიძია აფხაზეთში და მათთან ერთად კვლავ კლარჯეთს დაბრუნდა, ყრმა არსენი, მომავალი „კათოლიკოზი ქართლისა და მცხეთის საყდრის გვირგვინი დაუჭნობელი" და ჭაბუკი ეფრემი, შემდგომ აწყურის სასწაულთმოქმედი ეპისკოპოსი, თან გაიყოლა.

მონასტრის ბერებმა მოძღვრის და ძმების დაბრუნებით გაიხარეს, მაგრამ ყრმების მოყვანას დრტვინვით შეხვდნენ, რადგან სამონასტრო წესდება ამას კრძალავდა. ღირსმა გრიგოლმა აუწყა საძმოს, რომ ეს იყო ერთადერთი გამონაკლისი, თვით ღვთის ნებით და გამოცხადებით ნაკარნახევი, რათა „ვითარცა ეფრემ ასური და არსენი ჰრომაელი, კაცთაგან განშორებულნი და ღმრთისა მიახლებულნი, ესრეთ იყვნენ ღირსნი ესე ყრმანი აღზრდილ უბინოდ ხანძთას შინა ვიდრე უამადმდე პატივისა მათისა".

როდესაც არსენი სრულწლოვანი გახდა, მამამ, მირიან აზნაურმა, იგი საეკლესიო და სამღვდელმთავრო კრების დაუკითხავად, სამცხის ერისკაცთა დახმარებითა და რამდენიმე ეპისკოპოსის თანადგომით, კათოლიკოსად დაადგინა. ეს იყო საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა და ერისკაცის კადნიერი ჩარევა მის საქმეებში.

ქართლის და კლარჯეთის სამღვდელოებამ სადავო საკითხის გადასაჭრელად საეკლესიო კრება მოიწვია ჯავახეთში. კრებას თავმჯ-

დომარეობდა ეფრემ მაწყვერელი. საეკლესიო სამართალი მამათა მხარეს იყო. არსენს გადაყენება ემუქრებოდა, მაგრამ კრებაზე გამოცხადდა მამა ყოველთა მეუდაბნოეთა — გრიგოლ ხანძთელი და ყველა, მათ შორის ეფრემიც, დაარწმუნა იმაში, რომ არსენის კათოლიკოსის ტახტზე დადგინება ღვთის ნებით აღსრულდა: „ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისისათჳს, არამედ მირეან მამამან მისმან აუგიან ყო უუამოდ შესწრაფებითა, ვითარცა ადამ ჭამა ხილი იგი, რომელი არ-ღა მწიფე იყო“.

მღელვარება ჩაცხრა. ეფრემსა და არსენს შორისაც განახლდა სიყვარული.

კათოლიკოსმა არსენმა აკურთხა ხანძთის ძველი ეკლესია, თავისი ღვთივსათნო ცხოვრებით და ქრისტესმიერი სიყვარულით ქართლის ეკლესიებს სიხარული მოჰფინა, „საყდარი მამათმთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“.

წმიდა არსენი შესანიშნავი ჰაგიოგრაფი და ისტორიკოსი იყო. მას ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-პოლემიკური თხზულება „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, რომელშიც გადმოცემულია სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია.

არსენ დიდსავე მიაკუთვნებენ „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებასა და წამებას“.

წმიდა არსენი ოცდაშვიდი წლის მანძილზე განაგებდა ქართლის ეკლესიას. გარდაიცვალა 887 წელს და „მხიარულებით მიიწია წინაშე ქრისტესა და აქუს მადლი შეწევნად ჩუენდა“.

დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც ჩამოსვენდა საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან (1989) 26(9.10) სექტემბერი

1989 წლის 26 სექტემბერს ათონის ივერთა მონასტრიდან თბილისში ჩამოასვენეს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის, პორტაიტისას, ასლი, რომელიც წმიდა მთის ბერებმა შეასრულეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ქართველი ერისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად.

მთელი საქართველო ზეიმობდა ამ დღეს. ერის იმდროინდელი გაჭირვების ჟამს ივერიის მფარველი ხატის ჩამობრძანება ყველამ ზეციურ კურთხევად აღიქვა და ეს დღე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც დღესასწაული.

ხატი ასვენია თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში.

ღირსი ონოფრე გარეჯელი, საკვირველთმოქმედი (XVIII)
29 (12.10) სექტემბერი

წმიდა ონოფრე გარეჯელი (ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძე), ქართლელი აზნაური იყო. მდიდარი და სახელგანთქმული დიდებული საოცარი სტუმართმოყვარეობით, უცხოთშემწყნარებლობით, მოწყალებითა და გაჭირვებულთა ნუგეშინისცემით გამოირჩეოდა. ოთარს საღვთო შური ჰქონდა მონაზვნობისა, აზნაურის შესამოსლის ქვეშ ძაძა ემოსა და გამუდმებით ევედრებოდა უფალს, მიემადლებინა მისთვის მონაზვნური ცხოვრების ძალა. ერთხელ წმიდანმა თავის მეუღლეს უთხრა: „ან მნებავს მე უარისყოფა სოფლისა და შედგომა ქრისტესი. ამის პირისათჳს ვითხოვ კეთილ მორწმუნეობისაგან შენისა, რათა შენდობა მოვიღო თქუენ ყოველთა მიერ და მიტევება ბრალთა ჩემთა ნებსითთა და უნებლიეთთა". კეთილმორწმუნე ქალმა არ დააბრკოლა მეუღლე, შენდობა მისცა და მშვიდობით განუტევა.

ოთარი ორ უფროს ვაჟიშვილთან ერთად ჩავიდა თბილისში, შვილები დალოცა, დაარიგა და გამოეთხოვა. შვილებთან განშორების შემდეგ ოთარმა მიაშურა გარეჯის მონასტერს, რომლის არქიმანდრიტიც იყო გერმანე, „კაცი გულითადი ღმრთისა". ნინამძღვარმა სიხარულით შეიწყნარა მოსული და ძმათა კრებულს აუწყა: „კაცი ესე დიდსა საზომსა მიწევნად არს, რამეთუ აწვე გამოსვლით სოფლით აღუსრულებიეს სიტყვა წმიდისა სახარებისა, რომელსა ბრძანებს უფალი, „რომელმან დაუტეოს სახლი, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკი სახელისა ჩემისათჳს, ას წილად მიიღოს და ცხორება საუკუნო დაიმკვიდროს".

მცირე ხნის შემდეგ გერმანემ მონაზვნად აღკვეცა ოთარი, უწოდა მას ონოფრე და ძმათა მწყობრს შერთო. ნეტარი ონოფრე მშვიდი, მდაბალი, მორჩილი და დაუცხრომელი მოღვაწე იყო. იგი ღამის მყუდროებაში მოუკლებლად ლოცულობდა, ცისკრის შემდგომ ხევში ჩადიოდა, სადაც არანაირი ხმაური არ აღწევდა და იქ აგრძელებდა ფსალმუნების კითხვას. საზრდელს — ისიც მხოლოდ წყალსა და პურს — მწუხრის ლოცვის შემდეგ იხმევდა ხოლმე.

ერთხელ დავით-გარეჯის მონასტერს ლეკები შეესივნენ, მოაოხრეს, იავარჰყვეს, რამდენიმე ბერი, მათ შორის მღვდელ-მონაზვნები —

მაქსიმე და იოაკიმე, ბერი ონოფრე, და კიდევ ოთხი კერძოდიაკონი, ტყვედ წაიყვანეს. დატყვევებულთა შორის უხუცესი იყო ღირსი ონოფრე. უსჯულოებს მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ სახიერმა უფალმა დაიცვა იგი. ყოვლადმოწყალე ღვთის განგებულებით ბერები გაათავისუფლეს და მონასტერში დააბრუნეს.

ლეკთა შემოსევებისგან მონასტერი ძალზე გაღარიბდა. ერთხელ არქიმანდრიტმა მოუწოდა ღირს ონოფრეს და უთხრა, „სიყვარულისათჳს ძმათასა, წარვედ ქუეყანად ქართლისა და იღვაწე საზრდო, რათა მიიღო გვირგვინი უოხჭნო მორჩილებისა და მეცა წავიდე სხვით კერძო და რაოდენ ძალ მედვას, მოვირეწო“.

ღირს ონოფრეს ეძნელებოდა მონასტრიდან გასვლა, მაგრამ წინამძღვრის ბრძანებას დაემორჩილა და ერთ დროს ქართლის უპირველესმა აზნაურმა კარდაკარ სიარული დაიწყო წყალობის სათხოვნელად. „ნამდვილვე ესე მიიტაცებს სასუფეველსა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა“, — ამბობდნენ მისი ნაცნობები.

ცხინვალს მიახლოებული ღირსი მამის ყურადღება მიიპყრო მშფოთვარე ბრბომ: ვილაც ჭაბუკი ეშმაკეულ ქმნილიყო და ურიებთან მიჰყავდათ, რომ მიზეზი შეეტყოთ. ღირსმა ონოფრემ ლმობიერად უთხრა შეკრებილებს: „შვილნო, არა არს საქმე ეგე ყოვლადვე წესი ქრისტეანთა, არამედ მომგვარეთ მე იგი აქა“. ავადმყოფის დედა ფეხებში ჩაუვარდა წმიდანს და შემწეობა სთხოვა. ონოფრემ წამოაყენა დედაკაცი და ანუგეშა: „მაქვს მე აქა წმიდის დავითის გარეჯელის საფლავისაგან მტვერი ევლოგიად“, წყალში გაურია წმიდანის საფლავიდან აღებული მინა, ბოროტისგან გვემულ ჭაბუკს დაალევინა და ავადმყოფიც განიკურნა.

ერთხელ მონასტერში მივიდა ვილაც არაბი, რომელსაც ცალი თვალი დაზიანებული ჰქონდა და რადგან არაბული ენა ონოფრეს გარდა არავინ იცოდა, მას გამოელაპარაკა. ღირსმა ონოფრემ წმიდა დავით გარეჯელის წყაროს წყლით მობანა მას სნეული თვალი. ორიოდე დღის შემდეგ მონასტერში მობრუნებულმა განკურნებულმა არაბმა მადლობა შესწირა უფალსა და ღირს ონოფრეს.

ღირს ონოფრეს დიდი სქემით შემოსვა სურდა. მონასტრის არქიმანდრიტი ყოყმანობდა, მაგრამ ოცდაათდღიანი ლოცვისა და მარხვის შემდეგ უფალმა მას გამოუცხადა, რომ ონოფრე ღირსი იყო ამისა.

სქემით შემოსვის შემდეგ ღირსმა ონოფრემ მდუმარების ღვაწლი იტვირთა, დღენიადაგ ფსალმუნებს კითხულობდა და დაგლეჯილ

ჭილოფზე ეძინა, შიშველ ტანზე რკინის ჯაჭვი ემოსა; სენაკიდან მხოლოდ წირვა-ლოცვის დროს გამოდიოდა.

ნეტარი ონოფრე ბოლოს ისე დასნეულდა, რომ ფეხზე დგომა არ შეეძლო. ძმები ევედრებოდნენ მას, საწოლში ჩაწოლილიყო და თავი სასთუმალზე დაედო. მაშინ ნეტარმა პირველად აღაღო პირი და თქვა: „აღთქმა მიქმნიეს, რათა იყოს აღსასრული ჩემი ჭილსა ამას ზედა".

ღირსი ონოფრე მადლიერებით ითმენდა სნეულებას, ხელიდან სკვნილს არ იშორებდა და განუწყვეტლივ იმეორებდა იესოს ლოცვას. მასთან მიდიოდნენ თაყვანისსაცემად, მაგრამ თავმდაბალი ბერი მნახველებს სთხოვდა: „მიბოძეთ ფესვი სამოსლისა თქუენისა, რათა ამბორს-უყო და ფერჴნი თქუენნი მომეცით, რათა დაგბანოთ ცრემლითა".

ღირსმა ონოფრემ წინასწარ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, თავის მოძღვარს, მაქსიმეს, მოუწოდა და ზიარება ითხოვა. წმიდა ზიარების მიღების შემდეგ ონოფრემ გონება დაკარგა. არქიმანდრიტის კურთხევით ძმებმა სულთმბრძოლის ლოცვის კითხვა დაიწყეს. ღირსი მამის გონება „აღტაცებული იყო და შექცეულ მაღალთა ხედვათა მიმართ".

ნათლისღების დღესასწაულზე, ლიტურგიის შემდეგ, წმიდანს მართალთა ძილით მიეძინა. წმიდა ონოფრეს ნეშტი დაკრძალეს წმიდა დავით გარეჯელის საფლავის სამხრეთით, საკურთხევლის სარკმელთან.

1 (14)—დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა; მცხეთობა — სვეტიცხოვლობა; მოციქულთა სწორნი: მეფე მირიანი და დედოფალი ნანა; წმიდა სიდონია და აბიათარ მღვდელი (IV)
—წმიდა მელქისედექ I, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (XI-ს.)
2 (15)—დიდმოწამენი: დავითი და კონსტანტინე (+740)
4 (17)—მღვდელმოწამე ევდემოზი, კათოლიკოს-პატრიარქი (+1642)
5 (18)—ღირსი გრიგოლ ხანძთელი (+861)
—კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი (VIII–IX)
7 (20)—წმიდა იოსებ ხუცესი, მოხევე (+1763)
13(26)—ღირსი ანტონი — ჭყონდიდელი (+1815) და იაკობ ხუცეს-მონაზონი
17(30) —წმიდა იოსები, კათოლიკოს-პატრიარქი (+1770)
19(1.11)—წმიდა ნიკოლოზ დვალი (+1314) (იხ. 12 (25) თებერვალი)
26 (8.11)—წმიდა ალექსანდრე (ოქროპირიძე), გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი (+1907)
28 (10.11)—მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი (VII)
29 (11.11)—ღირსი სერაპიონ ზარზმელი (+900)
30 (12.11)—წმიდა მოწამე იოთამ ზედგენიძე (+1465)
31 (13.11)—წმიდანი ათნი ბევრნი (100.000) მოწამენი, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულნი (+1227)

დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა; მცხეთობა — სვეტიცხოვლობა; მოციქულთასწორნი: მეფე მირიანი და დედოფალი ნანა; წმიდა სიდონია და აბიათარ მღვდელი (IV)

1 (14) ოქტომბერი

ქრისტეს შობის დროს ქართლს მეფე ადერკი განაგებდა. ამ დროს მცხეთაში მცხოვრები ებრაელების მეშვეობით ქვეყანაში ცნობილი გახდა ისრაელში მომხდარი მოვლენები: იესო ქრისტეს შობა და მოგვების თაყვანისცემა.

ოცდაათი წლის შემდეგ კი, როცა ქართლის სამეფო ტახტზე მეფე ადერკი იჯდა, იერუსალიმიდან იუდეველთა მღვდელმთავარმა და სინედრონმა მოციქული გამოგზავნეს მცხეთელ ურიებთან: „რომლისათჳს იგი მოვიდეს მოგუნი და შესწირეს ძღვენი, აღზრდილ არს იგი და იტყჳს თავსა თჳსსა ძედ ღმერთისა და სხუასა რასმე ახალსა სჯულსა გჳქადაგებს და აწ წარმოგჳვლენია მოციქულნი ყოველთა თანა ჰურიათა, რათა მოვიდენ მეცნიერნი სჯულისანი. მოვედით უკვე ყოველნივე მოსეს სჯულისა თანამდებნი და განვაბჭოთ მას ზედა". ქართლიდან სინედრიონის ბჭობაზე წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედამ შვილს სთხოვა, წილი არ დაედო მესიის სისხლის დათხევაში, „რამეთუ ის არის სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთაგან თქმული".

როცა მაცხოვარი გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, ელიოზის დედამ მცხეთაში გაიგონა ჩაქუჩის ხმა, „საშინელითა კრჩხიალებითა" დაიძახა: „მშვიდობით, მეუფებაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მჴსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ შემოქმედისა!" — და მყის აღესრულა.

როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს, ღვთის განგებულებით, იგი მცხეთელებს შეხვდა. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება „დაჲ თჳსი", სიდონია. მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა, ტირილით და გოდებით მოისმინა ძმისგან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული

სწრაფად გახმაურდა მთელ ქართლში. ადერკი მეფემ მოისურვა, თავად შეემოსა კვართი, მაგრამ იგი სიდონიას გაციებულ მკლავებს ვერავინ მოაშორა, ელიოზმა სიდონია წმიდა კვართთან ერთად დამარხა. საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა.

სულთმოფენობის შემდგომ მოციქულებმა წილი ჰყარეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ქართლის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ მას მაცხოვარი გამოეცხადა და უბრძანა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთჳს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკჳდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა". ღვთის განგებულებით და ღვთისმშობლის კურთხევით, საქართველოში საქადაგებლად წამოვიდა წმიდა ანდრია პირველწოდებული (ხს. 30 ნოემბერს).

წმიდა ანდრიამ იქადაგა დიდაჭარაში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მოაქცია წარმართები, დაადგინა ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები, შემდგომ გადმოიარა მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდა, განვლო ოძრხის ხევი, მოაღწია სამცხის საზღვარს და დაივანა სოფელში, რომელსაც ზადენ-გორა ერქვა. აქ ლოცვით შემუსრა კერპები. აწყურში მთავრობდა ქვრივი ქალი სამძივრის გვარისა, რომელსაც ერთადერთი ვაჟი გარდაცვლოდა. წმიდა ანდრია მოციქულმა ღვთის ნებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის მადლით მიცვალებული აღადგინა მკვდრეთით. წმიდა მოციქულმა მესხეთში დაადგინა ეპისკოპოსი, მღვდლები, დიაკვნები, ამის შემდეგ იქადაგა კლარჯეთში, არტანუჯში, სომხითში და იერუსალიმში დაბრუნდა პასექის აღსასრულებლად.

ადერკი მეფემ ნათელღებული ქართველები კვლავ წარმართობაზე მიაქცია და შერისხა კლარჯეთის ერისთავი, რომელმაც მშვიდობით განუტევა წმიდა ანდრია. მოციქული კვლავ დაბრუნდა ქართლში. ამჟამად მას მატათა და სვიმონ კანანელი ახლდა თან. წმიდა მატათამ (ხს. 9 აგვისტოს) საქადაგებლად სვანეთს მიაშურა, წმიდა ანდრია და წმიდა სვიმეონი (ხს. 30 ივნისს) ოსეთს წავიდნენ და მრავალი მოაქციეს, შემდგომ კი აფხაზეთს მიმართეს.

გავიდა ჟამი. ურჯულოთა ზედამდგომელობით და წარმართთა შიშით ქართველებმა დაივიწყეს შემოქმედი თვისი და ჯვარცმული მაცხოვარი.

V ს-ის. დასაწყისში კაბადოკიაში ცხოვრობდა მართლმორწმუნე ცოლ-ქმარი, ზაბულონი და სოსანა (ხს. 20 მაისს). მათ ჰყავდათ ასული ნინო (ხს. 14 იანვარს და 19 მაისს). სოსანა იერუსალიმის პატრიარქის, იუბენა-

ლის, და იყო. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, თავი უფლისათვის შეეწირათ, იერუსალიმში წავიდნენ, თავიანთი ქონება ღარიბებს დაურიგეს, მცირეწლოვანი ასული ძიძას ჩააბარეს აღსაზრდელად, თვითონ კი განდეგილ ცხოვრებას შეუდგნენ.

აღმზრდელი ნინოს მოუთხრობდა უფლის ვნების, ჯვარცმის, დაფლვის, აღდგომისა და ამაღლების შესახებ. გამზრდელისაგან შეიტყო ნინომ უფლის კვართის საქართველოში ყოფნის შესახებ და გადაწყვიტა საქართველოში საქადაგებლად წასვლა, რომელიც იმ დროისათვის თითქმის მთლიანად წარმართებითა და კერპთმსახურებით იყო დასახლებული.

ამ დროს ქართლში მეფობდა მირიანი. მას ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული ნანა. მირიანი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა: თაყვანს სცემდა ცეცხლსა და კერპებს, ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული, მის ყურამდე მისული იყო წმიდა კონსტანტინე დიდის (ხს. 21 მაისს) მიერ მტრის სასწაულებრივი ძლევის ამბავი.

ქართლში მოსული ნინო ურბნისში ჩავიდა და ურიათუბანში დასახლდა. ოციოდე დღის შემდეგ მთელი ქართლი დაიძრა წარმართული ღვთაების, არმაზის, დღესასწაულზე. დღესასწაულს მთელი სამეფო კარი ესწრებოდა. წმიდა ნინომ ლოცვა აღავლინა ღვთის წინაშე და არმაზის, გაცის და გაიმის კერპები სასწაულებრივ დაიმსხვრა. ნინო მცხეთაში დასახლდა. ის ყველას ეკითხებოდა კვართის ამბავს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არავის ახსოვდა. ამ ძიებაში ნინომ გაიცნო მცხეთელ ჰურიათა მღვდელმოძღვარი აბიათარი, ელიოზის შთამომავალი, მისი ასული სიდონია და კიდევ ექვსი დედა. წმიდა ნინომ ისინი ქრისტეს სჯულზე მოაქცია, მაგრამ, რადგან მღვდელი არ იყო, ნათლისღების საიდუმლო არ ჩაუტარებიათ.

ნანა დედოფალი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ნინოს ქადაგებას, გმობდა ახალ მოძღვრებას და მის მქადაგებელს. მირიან მეფეს კი „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა და არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა". ერთხელ მან ებრაელთა დევნისაგან ფარულად დაიხსნა აბიათარ მღვდელი, ასული მისი სიდონია და სხვა ქრისტიანები.

გავიდა ხანი. ერთხელ ნანა დედოფალი დასნეულდა და წმიდა ნინოს ლოცვამ იგი უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა, რის შემდეგაც ნანამ აღიარა მაცხოვარი. დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფე კიდევ უფრო დაინტერესდა ქრისტეს სჯულით და ურიაყოფილ აბიათარს ხშირად ეკითხებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე. აბიათარმა

მას ნებროთის წიგნი წააკითხა. მეფეს ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა.

ერთ დღეს მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. მოუხდა უჩინო მტერი, გულში კვლავ ჩაუდო კერპთა სიყვარული და მცხეთაში დაბრუნებისთანავე ქრისტიანთა განდევნა და ნინოს მოკვდინება გადაწყვიტა. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა და მის ირგვლივ უკუნი ღამე ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობნი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა, მზე გამობრწყინდა. მირიანმა განიპყრნა ხელნი აღმოსავლისაკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის". მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს იმპერატორ კონსტანტინესთან და სთხოვა, სამღვდელოება გამოეგზავნა ნათლისღებისთვის.

სანამ კონსტანტინოპოლიდან მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა ნაძვის ხისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმიდა ნინო მონაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამთენიისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი, „ყოვლად ცეცხლითა მობლარდნილი" ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და თორმეტი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანსაცემად, მის მიახლოებაზე ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ.

კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდნენ მოციქულები ეპისკოპოს იოანეს, მღვდლებისა და დიაკვნების თანხლებით. წმიდა კონსტანტინე დიდმა ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და ერს გამოუგზავნა ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილი — კვარცხლბეკი და ორი სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელიღო მეფე-დედოფალმა, სამეფო კარმა და მთელმა ქართლმა.

მცხეთაში, ერთი კლდის თავზე, მშვენიერი, სურნელოვანი, სასწაულთმოქმედი ხე იდგა. მისი ფოთლებით ისარნაკრავი მომაკვდავი ნადირი იკურნებოდა. როდესაც იოანე ეპისკოპოსს ეუწყა ეს ამბავი, ბრძანა: „ჭეშმარიტად ღვთისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი და დამარხულ ჟამისა მისთვის და აწღა მოეფინა მადლი ღვთისა ქართლსა და მის ხისგან ჯერ არს შექმნა ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანის

სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან".

მირიან მეფის ძემ, რევიმ, ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევითა და ერის თანხლებით მოჭრა ხე, რტოებითურთ წამოასვენა და ეკლესიის სამხრეთით აღმართა. ხეს ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში არც ფერი შეუცვლია, არც ფოთლები დასცვენია. შემდგომ ამ ხისგან სამი ჯვარი გააკეთეს.

ამის შემდეგ მრავალი დღის განმავლობაში ხალხი ერთსა და იმავე ჩვენებას ხედავდა: ღამით ეკლესიას ვარსკვლავებით გარშემორტყმული ცეცხლოვანი ჯვარი ადგებოდა თავს, განთიადისას ორი ვარსკვლავი გამოეყოფოდა სხვებს, ერთი აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, მეორე კი — დასავლეთისაკენ, თავად ცეცხლოვანი ჯვარი კი არაგვს გაღმა, კლდოვანი ბორცვის თავზე ჩერდებოდა და იქიდან უჩინარდებოდა ზეცაში. ამ სასწაულის გამო, წმიდა ნინოს რჩევით, მეფემ ერთი ჯვარი დასავლეთით, თხოთის მთაზე აღამართვინა, მეორე — ქალაქ უჯარმაში, მესამე ჯვრისთვის კი ადგილი ვერ შეარჩიეს.

მირიან მეფემ ლოცვით შესთხოვა უფალს, მიენიშნებინა ადგილი, სადაც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ღმერთმა ისმინა კეთილმორწმუნე მეფის ვედრება და ანგელოზის პირით აუწყა, რომ ჯვარი აღემართა არაგვს გაღმა, კლდოვან ბორცვზე.

როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

სიკვდილის წინ მეფემ აკურთხა ძე თვისი ბაქარი და ღვთივ მიისვენა. წმიდა კეთილმსახური მეფე საკუთარი სურვილისამებრ დაკრძალეს ზემო ეკლესიაში (სამთავროს დედათა მონასტრის ეკლესია). მან არ ისურვა დასაფლავება ქვემო ეკლესიაში (სვეტიცხოველი), რომელსაც „წმიდათა წმიდაᲐ" ერქვა, იმ მოკრძალებისა და რიდის გამო, რომელიც დიდებული ნათლის სვეტის წინაშე ჰქონდა. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ნანა დედოფალიც და დაკრძალეს იქვე, მირიან მეფის გვერდით.

წმიდა მელქისედეკ I, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (XI-ს.)
1 (14) ოქტომბერი

წმიდა მელქისედეკი, კათოლიკოს-პატრიარქი, საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ ეკლესიას მესაჭეობდა დაახ. 1010–1030 წლებში, მეფეების ბაგრატ III–ის, გიორგი I–ისა და ბაგრატ IV–ის დროს. წმიდანმა კათოლიკოსის ტახტი დაიკავა კათოლიკოს სვიმეონის გარდაცვალების შემდეგ. წმიდა მელქისედეკი არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველი მამათმთავარი, რომელიც კათოლიკოს–პატრიარქის ტიტულით მოიხსენიება.

„მატიანე ქართლისას" მოხედვით წმიდა მელქისედეკი იყო „დიდებულთა კაცთა შვილი", აღზრდილი მეფე ბაგრატ II–ის მიერ. წმიდა მელქისედეკმა მისი კათოლიკოსობის პერიოდში ააშენა და განამშვენიერა სვეტიცხოვლის ტაძარი, წმიდანი დახმარების სათხოვნელად „წარვიდა ბერძენთა მეფისა ბასილის წინაშე კონსტანტინეპოლედ" და დიდძალი განძით სამშობლოში დაბრუნებულმა „იწყო შენებად გარეთითა ბჭითა და გარეშემოთა სტოითა მოქმნითა და ზედაბერვითა, და ყოველი განასრულა". გარდა ამისა, კათოლიკოსმა შეამკო სვეტიცხოველი „ყოვლითა სამკაულობითა, ოქროთი და ვერცხლითა, თუალითა და მარგალიტითა".

წმიდა მელქისედეკი რამდენიმეჯერ ეწვია ბიზანტიას და, როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ამ ვიზიტების დროს მოხდა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისთვის კათოლიკოს–პატრიარქის ტიტულის დამტკიცება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი მელქისიდეკ I გარდაიცვალა 1030 წელს. დასაფლავებულია სვეტიცხოვლის მარჯვენა მხარეს, წმიდა ილია თებზიტელის ეკვდერის შესასვლელთან.

ისტორიამ შემოგვინახა წმიდა მელქისედეკის მიერ შედგენილი ანდერძი – „აღწერილი მცხეთის საყდრისადმი", სადაც ჩამოთვლილია იმ ნივთების, ეკლესია–მონასტრებისა და სოფლების სრული სია, რომელ-

იც კათოლიკოს–პატრიარქმა შესწირა მცხეთის სვეტიცხოველს. სწორედ ამ ანდერძშია მოხსენიებული პირველად საქართველოს მამამთავარი კათოლიკოს–პატრიარქად და ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ მელქისედექ I–მა სვეტიცხოველში გაიჩინა დასაკრძალი ადგილი – „სამხრით სადიაკვნოსა, წმიდათა მონამეთა სამარტუილოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამა საკურთხეველსა ზედა დავაყენე ჟამის მწირველად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის გაზრდილი ჩემი იოვანე“ (კათოლიკოს–პატრიარქი იოვანე V (ოქროპირი) +1049).

წმიდა მელქისედექის კანონიზაცია მოხდა 2002 წლის 17 ოქტომბერს.

წმიდა დიდმოწამენი, არგვეთის მთავარნი — დავითი და კონსტანტინე (+740)
2 (15) ოქტომბერი

წმიდა მოწამენი: დავითი და კონსტანტინე არგვეთის მთავრები იყვნენ. „მეცნიერნი ძუელისა და ახალისა სჯულისა, ჭეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა".

დავითი იყო „ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და ხშირ წვერითა", კონსტანტინე — „შუენიერ გუამითა, მოწაბლე თმითა... წვერ გამო". როცა ძმებმა უსჯულო თემურლენგის შემოსევა შეიტყვეს, შემწეობა სთხოვეს უფალს, შეკრიბეს ლაშქარი, ერს კი გაძლიერებული ლოცვები და ღამისთევები დაუდგინეს.

უსჯულონი თავს დაესხნენ ფერსათის მთასთან დაბანაკებულ ქართველებს. ღვთის შეწევნით ქართველებმა გაიმარჯვეს. გაბრაზებულმა მურვან-ყრუმ ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა, არაბებმა მოაოხრეს ყველაფერი. გადარჩენილმა მოსახლეობამ ტყეებს შეაფარა თავი. უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს ძმები — დავითი და კონსტანტინე.

ტყვეები მურვან-ყრუს წარუდგინეს. უსჯულო სარდალმა დაცინვა დაუწყო შებორკილ ქრისტიანებს, მათ კი უპასუხეს: „სიცილი და ქადილი შენი ცუდ და ამაო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთ ჟამ არს დიდებაჲ შენი და ადრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისა შენისათჳს იქმნა ძლევაჲ შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათჳს, რომელ გარდავჴედით მცნებათა ღმრთისათა, იქმნა ფლობაჲ თქუენი ჩუენ ზედა, რათა გუწუართნეს ღმერთმან ჴელითა თქუენ უსჯულოთა და უღმრთოჲთა". ამ კადნიერ პასუხზე მურვანი განრისხდა და წმიდათა წამება ბრძანა.

დავითისა და კონსტანტინეს მხნეობით გაკვირვებულმა მურვანმა ლიქნით მოინდომა ძმების მოდრეკა. მან დავითს უთხრა: „გამიგია შენი ვაჟკაცობის ამბავი, ამიტომ გირჩევ, დაუტეო ცუდი და ამაოჲ სიტყუაჲ სიცოფისა თქუენისაჲ და დაემორჩილო სჯულსა მუჰამედისა". სასყიდლად პატივსა და სპასალარის წოდებას დაჰპირდა. წმიდა

დავითმა პირჯვარი გამოისახა და უპასუხა: „ნუ იყოფინ ესე ჩუენდა, რაჲთა დაუტეოთ ნათელი და შეუდგეთ ბნელსა, ღმერთმან ჩუენმან განგვანათლა, რაჟამს ძე თჳსი მოავლინა ქვეყნად და კაც იქმნა ჩვენთვის, ყოველი განგებულება თავს იდვა: ჯვარცმა, დაფლვა, აღდგომა, ამაღლება; კვალად მოვალს განსჯად ცხოველთა და მკუდართა. მაცხოვარმა წარავლინა მოწაფენი თჳსნი ყოველსა ქვეყანასა საქადაგებლად. ჩვენთან მისმა ორმა მოწაფემ იქადაგა და მოგვაქცია კერპთა მსახურებისაგან. ჩვენ, მის მიერ განსწავლულნი და განათლებულნი, არა ვმონებთ სხვასა სჯულსა, არამედ მზად ვართ ქრისტესთვის გვემასა, ტანჯვასა, ცეცხლსა, წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა". შემდგომ ამხილა ყურანი და სჯული აგარიანთა: „მუჰამედმა ცეცხლის მსახურებისაგან მოგაქციათ, მაგრამ ღმერთი ვერ შეგამეცნებინათ, ამიტომ ემსგავსებით იმ ნავდანთქმულთა, რომელნიც შუა ზღვაში გადარჩნენ, მაგრამ ნაპირს მიწევნულნი დაინთქნენ".

დავითის პასუხით განრისხებული მურვანი კონსტანტინეს მიუბრუნდა და მისი გადაბირება მოინდომა, მაგრამ კონსტანტინემაც უშიშრად აღიარა წმიდა სამება: „ვითარცა წამა და აღიარა უფალმან ჩემმან დავით... მეცა ვწამებ და აღვიარებ, რამეთუ ერთსა სჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა განსწავლულ ვართ და მრწამს მამაჲ და ძეჲ და სული წმიდაჲ და მისთჳს მოვკუდები".

გამძვინვარებულმა მურვანმა ბრძანა, შიმშილითა და წყურვილით მოეუძლურებინათ ძმები. ათი დღის „მრავალფერი ტანჯვის" შემდეგ მან მოგვნი და მისანნი წარავლინა არგვეთელ წმიდანთა წინაშე, მაგრამ მოწამეებმა ისევ უშიშრად აღიარეს ქრისტე.

ძმები წმიდა კოზმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად, მდინარის ნაპირას გაიყვანეს, სასტიკად გვემეს, მერე ხელ-ფეხი შეუკრეს, ქედზე ლოდები გამოაბეს და მდინარეში გადააგდეს.

სიკვდილის წინ ძმებმა ილოცეს: „ჰოჲ, უფალო ღმერთო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისა მამისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს გუყვნენ წამებასა სახელისა შენისათჳს წმიდისა, ანცა შეისმინენ ვედრებანი და თხოვანი ჩუენ მონათა შენთანი და ვითარცა დავიმარხენით ჴორცნი ჩუენნი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისათჳს შენისა წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩუენისა დაჰმარხენ გუამნი ჩვენნი განუხრწნელად და დაურღეველად და რომელთა ხადონ სახელითა ჩუენითა სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ეწიენ წყალობაჲ შენი და მიეც შენდობაჲ ბრალთაჲ და ყვენ ასონი ჴორცთა ჩუენთანი მკურნალ ყოველ სენთა და უძლურებათა, დიდებად ყოვლად საგალობელისა სახელისა შენისა".

ზეცით გაისმა ხმა, რომელიც მათი თხოვნის შესმენას ადასტურებდა. ზეციური ხმით შეშინებული მტარვალები გაიქცნენ.

ღამით აღსრულდა სასწაული: ზეციდან მიწაზე სამი ნათელი სვეტი გარდამოვიდა, შუქმა გაანათა იქაურობა. ღვთის ნებით, მოწამეებს „ლოდნი შემოეძარცვნეს ქედთა მათთა" და წმიდა სხეულები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. მთავართა მსახურებმა ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. უცებ მათ მოესმათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა: „აღიჴუენით გუამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყვანენით ტყით კერძო აღმოსავალით და სადა-იგი გთნდესთ, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანებაჲ უფლისა ღმრთისაჲ, რათა გებისა თანა არსთასა იყვნენ მუნ გებულცა გუამნი წმიდათა მოწამეთანი".

მოწამეთა წმიდა ნაწილები დაკრძალეს წყალწითელას ნაპირზე მდებარე მურვან-ყრუს მიერ დარღვეულ ეკლესიაში.

წმიდა მღვდელმონაზე ევდემოზ I, კათოლიკოსი (+1642)
4 (17) ოქტომბერი

წმიდა ევდემოზი (დიასამიძე) საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მართავდა გამაჰმადიანებული მეფის, როსტომ-ხანის, დროს (1632-38). როსტომს ქართლ-კახეთის მმართველობა შაჰ-აბასმა ჩააბარა ქართლიდან თეიმურაზის განდევნის შემდეგ. გამაჰმადიანებული მეფე თითქოს შაჰის პოლიტიკასაც ატარებდა საქართველოში და თითქოს ქართველობდა კიდეც. მან სამღვდელოებას ჯამაგირი დაუნიშნა, ტკბილად ექცეოდა, ეკლესიებსაც აშენებდა, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. განმრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა... შემოვიდა ზოგ-ზოგად ტყვის სყიდვა თავადებისაგან", აღზევდნენ „მეძავნი და ბილწების მოქმედნი". მეფის ფუფუნებისა და ცოდვის მოყვარეობა თანდათანობით გადაედო ერს, „თვით სამღვდელონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... მოუძლურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე".

„სიმართლის მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი", უპატიოქმნილნი, ცუდებად და შეუძლებლებად წოდებულნი, სასოებით იტანდნენ ყოველგვარ გასაჭირს.

გაუჭირდა ერის სულიერ მამას, მას არ შეეძლო მშვიდად ეცქირა ქართველთა დაცემისათვის და მოქმედებდა კიდეც მწყემსმთავრისათვის შესაფერისი უშიშრობითა და თავდადებით: მან რამდენიმეჯერ შეკრიბა ქართლის წარჩინებული ვაჟკაცები სპარსელებთან საბრძოლველად. მისი გავლენით ცალკეული მთავრები არ ემორჩილებოდნენ როსტომ-ხანის პოლიტიკას და თავიანთ სამთავროებს იცავდნენ მუსლიმანური ტრადიციების ზეგავლენისაგან. კათოლიკოსი ევდემოზი წინ აღუდგა ბაგრატიონთა და სხვა დიდებული გვარის შვილთა სიყრმიდანვე ყაენის კარზე აღზრდის იმდროინდელ ჩვეულებას. ევდემოზი არც მეფის პირდაპირ მხილებას ერიდებოდა — სადაც კი შეხვდებოდა რო-

სტომ-ხანს, ყველგან ეუბნებოდა: „მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო". კათოლიკოს ევდემოზის სულიერი შვილი იყო როსტომ-ხანის მეუღლე, კეთილმორწმუნე დედოფალი, მანუჩარ დადიანის ასული, მარიამი. წმიდა კათოლიკოსის მოღვაწეობითა და დედოფალ მარიამის თანადგომით, ქვეყანაში ისევ ცოცხლობდა სარწმუნოებრივ-ეროვნული სული, შენდებოდა ეკლესიები, იწერებოდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა და მაღლდებოდა პატრიოტული სულისკვეთება.

როსტომ-ხანი კარგად ხედავდა კათოლიკოსის ორიენტაციასა და ავტორიტეტს. ევდემოზი ყველგან ქადაგებდა და კონკრეტულ გეგმებსაც ადგენდა ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფის, თეიმურაზის, დასაბრუნებლად.

1638 წელს როსტომ-ხანმა შეიპყრო წმიდანი, მაგრამ ვერაფრით გატეხა ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული კათოლიკოსი — წმიდა ევდემოზი კიდევ უფრო უშიშრად ამხელდა მეფის უსჯულოებას და ხალხს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

1642 წელს როსტომ-ხანმა საპყრობილეში მოაშთობინა წმიდანი, მისი გვამი კი შეურაცხყოფის მიზნით ნარიყალას ციხიდან გადააგდებინა აბანოების მხარეს.

ქრისტიანობისთვის წამებული ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქის გვამი ფარულად წამოიღეს ქრისტიანებმა და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.

ღირსი გრიგოლ ხანძთელი, კლარჯეთის სავანეთა აღმაშენებელი და არქიმანდრიტი (+861)
5 (18) ოქტომბერი

წმიდა გრიგოლ ხანძთელი დაიბადა 759 წელს, იგი დიდგვაროვანთა წრიდან იყო. ნერსე ერისთავის კარზე იზრდებოდა და „საშოჲთგანვე დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა“.

ღვთისაგან გამორჩეული ყრმის „გულისხმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკჳრვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითნი და ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწვართნა“.

აღმზრდელებმა და მშობლებმა ნეტარი გრიგოლის მღვდლად კურთხევა ინებეს. გრიგოლს მღვდლობის სურვილი ჰქონდა, მაგრამ უდიდეს მოვალეობასაც გრძნობდა და უარი შეჰკადრა ერისმთავარს და მშობლებს: „აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“. ახლობლებმა მაინც დაითანხმეს: „მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტესსა და ჰმონე მას მღვდლობითა, რომელმან ივნო ჩუენთჳს, მღვდელმან მან საუკუნემან და ჩუენ ყოველნი გუაცხოვნა“.

სამღვდელო ხელდასხმის დროს უძლურთა მკურნალმა და ნაკლოვანებათა აღმავსებელმა საღვთო მადლმა უფრო საცნაურ-ჰყო წმიდა გრიგოლის პიროვნება, ერი იხარებდა, „რაჟამს წმიდითა ხელთა მისითა ღირს იქმნნეს მიღებად ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა“.

შემდგომ ეპისკოპოსად კურთხევაც დაუპირეს გრიგოლს, ამან კი ძალზე შეაკრთო მოძღვარი, იგრძნო „თავი თჳსი ჴორციელად დიდებასა შინა“ და სასწრაფოდ განერიდა ახლობელთა სურვილს, დატოვა დროებითი, „შეცვალებადი პატივი ქუეყანისა, მოკუდავთა კაცთა სუფევისაჲ, მოჰრიდა ჟამიერთა და ნივთიერთა ბუნებათა, რაჲთა უჟამოჲ იგი ნათელი უძღოდის უცვალებელსა დიდებასა სასუფეველსა ცათასა“.

გრიგოლმა თან წაიყვანა სამი თანამოსაგრე: დედის დისწული — საბა იშხნელი, თეოდორე — ნეძვის მაშენებელი და ქრისტეფორე — კვირიკეთის მაშენებელი. ესე ოთხნი ძმანი სარწმუნოებითა და საღმრთო სიყვარულით იყვნენ „ერთზრახვად შეკრულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული“.

ძმები ქართლიდან მესხეთს ჩავიდნენ, მივიდნენ კლარჯეთს, ოპიზის წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში და ორი წელი იღვაწეს იქაურ მოძღვარ ამბა გიორგისთან.

გრიგოლმა იცოდა კლარჯეთის უდაბნოში მცხოვრები განდეგილი ბერების მოღვაწეობის შესახებ და მათგან სწავლობდა ლოცვასა და მარხვას, სიმდაბლესა და სიყვარულს, სიმშვიდეს, უპოვარებას, მღვიძარებასა და მდუმარებას.

ამ დროს მურვან-ყრუსაგან მოოხრებული კლარჯეთი გაუდაბურებული იყო. არაბთა რისხვას განრიდებული წმიდა აშოტ კურაპალატი (ხს. 29 იანვარს) ქართლიდან კლარჯეთს ჩავიდა, წმიდა მეფის, ვახტანგ გორგასლის (ხს. 30 ნოემბერს), მიერ აშენებული არტანუჯი სატახტო ქალაქად გამოაცხადა და დაიწყო ძალთა შეკრება საქართველოს გაერთიანებისათვის.

ოპიზაში ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ღირსი გრიგოლი ხანძთელ მეუდაბნოეს, მართალ და წმიდა ბერს, ხუედიოსს ეწვია. ხუედიოსს ადრევე გამოუცხადა ღმერთმა, რომ ამ ადგილას მონასტერი აშენდება და „ჴელითა გრიგოლ მღვდელისა, კაცისა ღმრთისაჲთა და სულნელებაჲ ლოცვათა მისთაჲ და მოწაფეთა მისთაჲ, ვითარცა კეთილი საკუმეველი, აღიწეოდის წინაშე ღმრთისა“. ბერმა ღირს მამას ხანძთის სანახები დაათვალიერებინა. გრიგოლს ძალზე მოეწონა იქაურობა და ძმებთან ერთად დაიწყო მონასტრის მშენებლობა. ბერებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა, რადგან უდაბნო მთა-გორიანი იყო, ნიადაგი — კლდოვანი, მათ კი სამუშაო იარაღებიც არ ჰქონდათ.

ხანძთის მახლობლად ცხოვრობდა სიმდიდრით, სიბრძნით, ახოვნებით შემკული აზნაური გაბრიელ დაფანჩული. გრიგოლმა დახმარებისთვის მიმართა მას. გაბრიელმა სიხარულით მისცა წმიდა მამას ყველაფერი ქვითკირის ეკლესიის ასაშენებლად და კირითხურონიც დაახმარა. ასე აშენდა ხანძთის ძველი ეკლესია.

გაბრიელ დაფანჩულმა მეფე აშოტ კურაპალატს წარუდგინა გრიგოლ ხანძთელი. პატივითა და სიყვარულით შეიტკბეს ერთმანეთი წმიდა მეფემ და წმიდა მამამ. აშოტმა „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა — ადარნერსე, ბაგრატ და გუარამ — შეწირეს თითოეულად, რაჲცა საჴმარი მონასტერსა მისსა უჴმდა, ყოველი უხუებით“. არაბთა ბატონობისაგან სისხლდაწრეტილ და სასომიხდილ საქართველოში კლარჯეთის უდაბნო იყო სიცოცხლის მომნიჭებელი ოაზისი. აქ თავი მოიყარეს ერის საუკეთესო შვილებმა, საღვთო მადლით აღვსებულმა მამებმა.

ღვთივსათნო ცხოვრებისა და მოშურნეობისათვის კლარჯელ მეუდაბნოე მამებს უფლისგან სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონდათ მიმადლებული. ისინი იყვნენ „ღირსნი და სასწაულთმოქმედნი, მოთმინებისა სუეტნი, შეურყეველნი, ვითარცა განმტკიცებულნი დაუცემლად სუეტნი ცათანი“.

გრიგოლმა საბა იშხნელთან ერთად კონსტანტინოპოლის წმიდა ადგილები მოილოცა. იქიდან დაბრუნებულებმა ტაოში წმიდა მოწამის, აშოტ კურაპალატის, მკვლელობის ამბავი შეიტყვეს. „მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთის-მსახურისა მის ჴელმწიფისა დაცემისათჳს და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა“. გზად მიმავალ გრიგოლს და საბას ღვთისგან ეუწყათ კაცთაგან მიუვალ ადგილას მდებარე დანგრეული იშხნის ეკლესიისკენ მიმავალი გზა, აგრეთვე ის, რომ ეკლესია საბას ხელით განახლდებოდა. გახარებულ საბას არ უნდოდა ხანძთას დაბრუნება, მაგრამ გრიგოლის თხოვნით მცირე ხანს დარჩა სულიერ მამასთან, შემდეგ კი ორ ძმასთან ერთად იშხანს წავიდა ეკლესიის აღსადგენად.

ნეტარმა გრიგოლმა „განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასე დაულევნელთა კეთილთაჲ“.

მონასტრის ტიპიკონი მკაცრი იყო. მამა გრიგოლი „უდებთაგანს არ შეიწყნარებდა“. ძმების ქონებას შეადგენდა მცირე სარეცელი, შეურაცხი საგებელი და თითო სარწყული წყლისათვის. ბევრი მათგანი საერთოდ არ სვამდა ღვინოს, სხვანი კი მცირედს იხმევდნენ. სენაკებში ცეცხლს და სანთელს არ ანთებდნენ. თავად გრიგოლის სათნოებანი მხოლოდ უფალმა უწყოდა.

გრიგოლი უდიდესი ავტორიტეტი იყო არა მარტო კლარჯეთის უდაბნოს მამებისათვის, არამედ სრულიად ქართლისათვის. მირიან აზნაურის მძლავრებით ეპისკოპოსთა მცირე კრებამ ქართლის კათოლიკოსად დაადგინა მისი ვაჟი, წმიდა გრიგოლ ხანძთელის აღზრდილი და სულიერი შვილი არსენი (ხს. 25 სექტემბერს). სჯულის-კანონის ასეთმა უხეშმა დარღვევამ სამღვდელოებისა და ერისკაცთა გულისწყრომა გამოიწვია. გუარამ მამფალის ხელმძღვანელობით ჯავახეთში საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელსაც არსენი უნდა გადაეყენებინა. საეკლესიო სამართალი გუარამისა და იმ ეპისკოპოსთა მხარეს იყო. ნეტარი გრიგოლის მოსვლამდე სიტყვის თქმა ვერავინ გაბედა. ერუშნელმა ეპისკოპოსმა თქვა: „ოდეს მოვიდეს ვარსკვლავი უდაბნოთაჲ, მაშინ წარემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ“.

კრებაზე გამოცხადებული გრიგოლი საკვირველი სანახავი იყო: „სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაი, ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გკრგკნი სამეუფოი". მამები მიხვდნენ, რომ მისი სიტყვა ღვთივგამოცხადებული იქნებოდა და მართლაც, როცა წმიდა გრიგოლმა თქვა, რომ „ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაი არსენისი სისრულისა მისისათჳს", — უდრტვინველად მიიღეს მისი ნაბრძანები.

ღირსი გრიგოლის მადლმოსილი მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოსაც მისწვდა. ღირსმა მამამ მოიარა მთელი აფხაზეთი, თავისი მადლიანი სწავლებითა და ქადაგებით გაათბო იქაური ქრისტიანები, შემდგომ კი იმერ-ამერის საზღვარზე ააშენა უბისის მონასტერი.

უფალი მრავალ სასწაულს ახდენდა ღირსი გრიგოლის ხელით. ერთხელ დეკანოზმა მნათეს უთხრა: „წადი მამა გრიგოლთან, გაიგე, სძინავს თუ ღვიძავს, ცისკრის ჟამიაო". მნათე მივიდა გრიგოლის კელიასთან და ნახა, რომ სენაკიდან ნათელი გამოდიოდა. მან იცოდა, რომ ღირსი მამა არც ცეცხლს, არც კანდელს არ ანთებდა სენაკში და შეეშინდა, ეგონა, ხანძარი იყო გაჩენილი, დეკანოზმა მნათე დაამშვიდა: „ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შემწველი, გარნა სული ღმრთისა განმანათლებელი", — მას ბევრჯერ ეხილა ეს დიდებული ხილვა. მართლაც, ხელაპყრობით ლოცვად დამდგარი წმიდანი მზესავით ბრწყინავდა და მისი სხეულიდან ნათლის ისარნი გამოდიოდნენ ჯვრის სახედ.

ერთ ზამთარს ძმები ტყეში იყვნენ გასულნი შეშისთვის. მოულოდნელად დიდი ხე მოცურდა და ის-ის იყო მოხუცებული ბერი უნდა გადაეჩეხა, რომ ღირსმა გრიგოლმა ჯვარი გადასახა მას და თქვა: „სახელითა ქრისტესითა დადეგ, ძელო"! სიტყვამან მისმან, ვითარცა კლდემან უძრავმან, დააყენა ადგილსა მას მყაფარსა მყინვარსა ზედა მოქანებული საშინელად". ღირსი გრიგოლის ლოცვით მრავალი კურნება აღესრულა.

გრიგოლი მკაცრი დამცველი იყო ზნეობისა. მან ამხილა მეფე აშოტ კურაპალატი (ხს. 29 იანვარს), არ შეეპუა მის მაღალ მდგომარეობას, იცოდა, რომ მეფის არასწორი ქმედება დამაბრკოლებელი და დამღუპველი იყო ერისათვის.

ღირსი გრიგოლი საღმრთო სიყვარულით იხარებდა თანამოსაგრეებთან, მაგრამ იფქლთა შორის ღვარძლიც გამოერია: ანჩის დაქვრივებული კათედრა მძლავრებით მიიტაცა ვინმე ცქირმა, თბილისის ამირა

საჰაკის ახლობელმა. უღირსი მღვდელმთავარი მრავალ ბოროტებას ჩადიოდა. მამები, განსაკუთრებით კი გრიგოლი, მკაცრად ამხელდნენ ცქირს, მან კი, ამპარტავნებისგან ძლეულმა, საღმრთო შიში განაგდო და ვიღაც ანჩელი კაცი მოისყიდა ღირსი გრიგოლის მოსაკლავად. მკვლელმა იხილა „სასნაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდამო, რამეთუ სვეტი ნათლისაჲ ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისა ცის-სარტყელის სახედ, შუენიერად რაჲ გამოჩნდის ჟამსა წკმისასა". მკვლელს მოულოდნელად მკლავი გაუშეშდა და მხოლოდ ღირსი გრიგოლის ლოცვით განიკურნა. ანჩში მოწვეულმა კრებამ პატივისაგან განკვეთა ცქირი. ხარისხაყრილი ცქირი თბილისში წავიდა საჰაკ ამირასთან, მისი დახმარებით ხელახლა ჩაიგდო ხელში ანჩის საყდარი და ხალხი მიუსია ხანძთის მონასტერს დასარბევად. ღირსი გრიგოლი ცრემლებით ევედრებოდა უფალს მონასტრისა და ძმების დაცვას. მას უფლის ანგელოზისაგან ეუწყა, რომ ცქირი დაისჯებოდა. მართლაც, ორი დღის შემდეგ ცქირი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ღირს გრიგოლს უფლისგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე. მან კლარჯეთის უდაბნოს მონასტრებში სანთლები დაგზავნა და შეუთვალა, ელოცათ მისთვის. მიცვალების დღეს წმიდანთან მეუდაბნოე მამები მივიდნენ პატივის მისაგებად და კურთხევის გამოსათხოვად.

გრიგოლმა აკურთხა მამები, უკანასკნელად დაარიგა და ლოცვით შეჰვედრა სული უფალს. ზეციდან გაისმა ხმა: „ნუ გეშინინ მოსლვად ჩუენ თანა, მსახურო ქრისტესო სანატრელო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა გიწესს მეუფე ცათაჲ ქრისტე. ან მოვედ სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებელად, რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა ნეტარსა მას დიდებასა დამკვიდრებად განმზადებული და მხიარული საუკუნოდ".

ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 102 წლის ასაკში 861 წლის 5 ოქტომბერს.

წმიდანის ნეშტი, საკუთარი ანდერძისამებრ, დაკრძალეს ხანძთის მონასტერში, ძმათა საფლავებს შორის.

კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი (VIII–IX)
5 (18) ოქტომბერი

ტაო–კლარჯეთი ქართველი კაცის ცნობიერებაში ყოველთვის სიწმიდის, ერთიანობისა და სიძლიერის ნანატრ და ტკივილიან გრძნობას უკავშირდება. VIII-X საუკუნეებში, როცა არაბთა ბატონობის გამო ქართლში კულტურული ცხოვრება ჩამკვდარი იყო, რწმენა — მინავლებული, ეროვნული თვითშეგნება — დაქვეითებული, არაბთა შემოსევებისგან და ქოლერის ეპიდემიისგან გაუდაბურებული და გაუკაცრიელებული ტაო-კლარჯეთი ეკლესია-მონასტრებით გადაიფარა. „ყოველ მონასტერში იყო სკოლა, სემინარია, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმრთო სჯულს, ფილოსოფიას, ბერძნულს და სხვა ენებს, გალობას, კალიგრაფიას, მხატვრობას, ოქრომჭედლობას და სხვა. აქედან გამოდიოდნენ მღვდელმოძღვარნი, მთარგმნელები და გადამწერნი წიგნებისა, მინიატურისტები და ოქრომჭედელნი" (წმ. ექვთიმე თაყაიშვილი). იწერებოდა აგიოგრაფიული ნაწარმობები, ორიგინალური საგალობლებით ივსებოდა ლიტურგიკული კრებულები, ითარგმნებოდა საღმრთო წიგნები... ამ პერიოდის ლიტერატურული ძეგლები იმდენადაა გამსჭვალული ეროვნულ-ქართული ხასიათითა და სულით, რომ ამ ხანას ჩვენი მწერლობის ეროვნული ხანა ეწოდა...

ცნობები ტაო-კლარჯეთში მოღვაწე დედათა და მამათა შესა'ებ შემოგვინახა **წმ. გიორგი მერჩულის** „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ". გიორგი მერჩულე ხანძთის უდაბნოში მოღვაწეობდა X საუკუნეში. მისი ზედწოდება — მერჩულე — რჯულის მცოდნეს, ღვთისმეტყველს უნდა ნიშნავდეს.

გიორგი მერჩულე გვაწვდის ცნობას **წმიდა ნერსე III კათოლიკოსის** შესახებ. ნერსე ეროვნებით სომეხი იყო. იგი აღიარებდა მართლმადიდებლურ (დიოფიზიტურ) მრწამსს და მოღვაწეობდა ქართველი მამების გვერდით (VI-VII საუკუნეებში ტაო-კლარჯეთისთვის თავი შეუფარებიათ სამშობლოდან დევნილ დიოფიზიტ სომხებს). წმიდა ნერსემ VII საუკუნის 30-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა იშხნის ტაძარს და იქვე მოღ-

ვანეობდა სიწმიდითა და სასნაულთქმედებით.

წმიდა ილარიონ კათოლიკოსი „მამაჲ და მაშენებელი წყاროსთავისაჲ". სიწმიდისა და სიბრძნის გამო არჩეულ იქნა ქართლის კათოლიკოსად. ამ ხარისხში წმიდანის მოღვაწეობა მოიცავს პერიოდს დაახლოებით IX ს–ის 50–იანი წლების ბოლოდან 860 წლამდე. ქართლის კათოლიკოსთა სიაში წმიდა ილარიონი მოხსენიებულია გაბრიელ II – ის (დაახლოებით IX ს–ის 30–50–იანი წლები) შემდეგ და წმიდა არსენ I დიდის (დაახ. 860–887 წწ.) წინ.

წმიდა სტეფანე მტბევარი ტბეთის პირველი ეპისკოპოსი იყო. იგი ცნობილია, როგორც საეკლესიო მწერალი და ჰაგიოგრაფი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური თხზულება „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი".

წმიდა ზაქარია ანჩელი ბავშვობიდან გამოირჩეოდა ღვთისმოშიშებითა და სიყვარულით, იგი წმიდა მეფსალმუნე დავითის მსგავსად ბავშვობიდანვე მწყემსის ლაღი და მკაცრი ცხოვრების წესით იზრდებოდა. წმიდანი ბავშვური გულწრფელობით შემოიკრებდა თავის თანატოლებს და საოცარი სიზუსტით იმეორებდა ეკლესია–მონასტრებში ნანახ და გაგონილ ღვთისმსახურთა მოქმედებებსა და სიტყვებს. ერთხელ მის ასეთ ბავშვურ თამაშობას შეესწრო ანჩელი ეპისკოპოსი, რომელმაც ყრმა ზაქარიას თავზე „ზეცით მოწევნული" ნათლის სვეტი იხილა. ღვთის მინიშნებით, სრულწლოვანებას მიღწეული წმიდანი მალე მთელი საძმოს მოძღვარი შეიქნა. მისი ლოცვით უამრავი სასნაული აღესრულებოდა: მან ლოცვით შეაჩერა კედლის მონყვეტილი უზარმაზარი ლოდი, განდევნა მონასტრის ბაღ–ვენახს შერეული ფრინველები და კალიები, შემუსრა ორი საშინელი გველი, რომლის შიშით ძმები ვენახში ვეღარ მიდიოდნენ სამუშაოდ. ასეთი სიწმიდით გამორჩეული წმიდა ზაქარია მღვდელმთავრად იქნა დადგენილი ანჩის კათედრაზე.

წმიდა მაკარი ანჩელს წმიდა გრიგოლ ხანძთელის მიცვალების ჟამს, 861 წელს ეპყრა ანჩის კათედრა.

წმიდა ეზრა ანჩელი — „დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი" — X საუკუნის მოღვაწე იყო.

წმიდა საბა იშხნელი წმიდა გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილი და მისი ერთ–ერთი პირველი თანამზრახველი იყო. მან ხელმეორედ ააშენა წმიდა ნერსე კათოლიკოსის მიერ იშხანში აგებული ეკლესია, რომელიც უკვე დანგრეული იყო და მისი ეპისკოპოსი გახდა. წმიდა საბამ მტკიცე და შეუვალი ტონით დაანახა მეფე ბაგრატ კურაპალატს მიწიერ და ზეციურ მეუფებათა ურთიერთდამოკიდებულება და ქრისტეს მეუფების

უპირატესობა ყოველგვარ ამქვეყნიურ მეუფებაზე: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთა. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა; შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნო მეუფე"...

წმიდა საბამ გულწრფელი თავმდაბლობითა და კრძალვით უმასპინძლა იშხნის ეკლესიის დასათვალიერებლად ჩასულ წმიდა გრიგოლსა და მეფე ბაგრატ კურაპალატს. მან წმიდა გრიგოლი თავის საეპისკოპოსო ტახტზე დასვა და თვითონ გვერდით მიუჯდა.

წმიდა იოანე — „ახალი იგი ქრისტეს მოწამე... სანატრელი" — მოღვაწეობდა ხანძთის მონასტერში, იგი იერუსალიმში გაემგზავრა წმიდა ადგილების მოსალოცად; ქალაქ ბაღდადში სარკინოზებმა შეიპყრეს და წამებით აიძულეს ქრისტიანობის უარყოფა, მაგრამ მან სისხლის დათხევით დაამტკიცა მაცხოვრის სარწმუნოების ერთგულება.

წმიდა თეოდორე, ნეძვის მაშენებელი და წმიდა ქრისტეფორე, კვირიკეთის მაშენებელი, წმიდა გრიგოლ ხანძთელის სულიერი შვილები, მისი პირველი თანამზრახველნი და თანამდგომნი, მოძღვართან ერთად მოღვაწეობდნენ ჯერ ოპიზაში, შემდეგ კი ხანძთაში. წმიდა მამებმა გადაწყვიტეს საქართველოს დასავლეთ კუთხეში, აფხაზეთში წასვლა და იქ სამონასტრო ცხოვრების აღორძინება. გზად, სამცხეში, მათ ადგილობრივმა აზნაურმა მირიანმა აღსაზრდელად მიაბარა უსაყვარლესი შვილი, ექვსი წლის არსენი (შემდგომში ქართლის კათოლიკოსი არსენი დიდი; ხს. 25 სექტემბერს).

წმიდა გრიგოლ ხანძთელმა გადაწყვიტა, უკან დაებრუნებინა თეოდორე და ქრისტეფორე და თვითონაც აფხაზეთს გაემგზავრა. გზაში მან დაიმონაფა ყრმა ეფრემი (შემდგომში — აწყურის სასწაულთმოქმედი მღვდელმთავარი; ხს. 30 აპრილს). წმიდა გრიგოლმა ეფრემი და არსენი ხანძთაში დაბრუნებულ თეოდორესა და ქრისტეფორეს ჩააბარა აღსაზრდელად, თან პირობაც ჩამოართვა, რომ ყრმების აღზრდამდე ისინი ხანძთიდან არ წავიდოდნენ.

როდესაც ეფრემი და არსენი გაიზარდნენ „სრულნი სიბრძნითა", წმიდა მამებმა დატოვეს ხანძთის უდაბნო და დააარსეს ნეძვისა და კვირიკეთის ცნობილი მონასტრები, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდნენ.

წმიდა ამბა გიორგი, ამონა, პეტრე და მაკარი მოღვაწეობდნენ ოპიზის უდაბნოში. ბერმონაზონთა სულიერი გამოცდილების გასაზიარებლად წმიდა გრიგოლ ხანძთელი რამდენიმე ძმასთან ერთად ოპიზის უდაბნოში წავიდა, სადაც მან ორი წელი გაატარა. იმ დროს

ოპიზის უდაბნოს წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერს წინამძღვრობდა წმიდა ამბა გიორგი, რომელიც სავანის მესამე ილუმენი იყო **წმიდა ანდრიასა და წმიდა სამუელის** შემდეგ. ამბა გიორგიმ „საღმრთოითა ცნობითა“ გულისხმაჰყო „ღირსებისა მათისა მადლი და შეიწყნარნა იგინი სიხარულით არა ვითარცა მონაფენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი მისა, რამეთუ პატივი ზეგარდამო ღმრთისა მიერ მონიჭებად იყო მათდა“. სწორედ ამ ნეტარი ოპიზელი მამების წმიდა ცხოვრებაზე დაკვირვებით განიმტკიცა წმიდა გრიგოლმა ლოცვის, მარხვის, სიმდაბლისა და სიმშვიდის სათნოებანი. ისტორიას შემორჩა 913 წელს ოპიზის უდაბნოში გადაწერილი წმიდა სახარება.

IX საუკუნის მეორე ნახევარში ზარზმაში წმიდა **სერაპიონ ზარზმელმა** (ხს. 29 ოქტომბერს) დააარსა ზარზმის ცნობილი მონასტერი. ამ მონასტერში გაბრწყინდა სიწმიდითა და სასწაულთქმედებით წმიდა სერაპიონის ძმისშვილი, **წმიდა ბასილ ზარზმელი**, ავტორი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა“. წმიდა ბასილიმ შემოგვინახა ცნობები ამ მონასტერში მოღვაწე სხვა მამების შესახებაც.

წმიდა გიორგი — „კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვითა და საქმითა“, წმიდა სერაპიონის შემდეგ წინამძღვრობდა ზარზმის სავანეს. წმიდა გიორგის შეენაცვლა **წმიდა მიქაელი**, რომელმაც წმიდა სერაპიონის წინასწარმეტყველებისაებრ, დაიწყო მეორე ტაძრის მშენებლობა ზარზმაში. ეს საქმე განასრულა ზარზმის მომდევნო წინამძღვარმა — **წმიდა პავლემ**, „კაცმა წამებულმა ყოვლისა მიერ ერისა“.

წმიდა ხუედიოსი, „კაცი მართალი და წმიდა“, დაყუდებული ბერი იყო და ხანძთის სანახებში მოღვაწეობდა. მას საღმრთო გამოცხადებით წინასწარ ეუწყა ხანძთაში წმიდა გრიგოლის ჩასვლის შესახებ და სიხარულით შეიწყნარა მასთან მისული ძმათა კრებული. წმიდა ხუედიოსმა დალოცა და თვითონაც ლოცვა–კურთხევა ითხოვა წმიდა გრიგოლ ხანძთელისაგან, თან ისურვა, ცალკე გამოქვაბულში განეგრძო ცხოვრება, რომ მარტომყოფობის აღთქმა არ დაერღვია. წმიდა ხუედიოსის გარდაცვალების შემდეგ მისი მღვიმე საოცარი კეთილსურნელებით აივსო.

წმიდა ეპიფანე წმიდა გრიგოლ ხანძთელის სულიერი შვილი იყო. სასწაულთქმედებითა და სიმტკიცით შემკული მამა უდიდესი მორჩილებითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. მის წმიდა ლოცვას სნეულებისაგან სასიკვდილოდ განწირული მრავალი ადამიანი განუკურნავს. ეპიფანეს სიწმიდესა და მორჩილებაში მრავალჯერ დარწმუნებული წმიდა გრიგოლ ხანძთელი ძმებს მოუწოდებდა, ენახათ „სიმდაბლე

საქმით სრული ეპიფანესი".

წმიდა მატო მოღვაწეობდა ხანძთის უდაბნოში. მერეს დედათა მონასტრის წინამძღვრის გარდაცვალების შემდეგ იგი ორმოცი წლის განმავლობაში წინამძღვრობდა ამ მონასტერს და „ექმნა ყოველთა სახე კეთილისა". მის სიწმიდეზე და ასკეტიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ ხნის განმავლობაში მას დედებთან ერთად არასდროს უჭამია პური და არც არაფერი გამოურთმევია მათთვის უშუალოდ ხელიდან ხელში; ღრმად მოხუცებულმა და დასნეულებულმა წმიდანმა თავი აარიდა დედების ხელით მსახურებას, მამათა მონასტერში მოღვაწე თავის ნათესავს სთხოვა, თან წაეყვანა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

წმიდა ზენონი სამცხელი დიდგვაროვნის შვილი იყო. მას, სიყრმიდანვე ღვთისმსახურებით აღზრდილს, მონაზვნობა ჰქონდა გადაწყვეტილი. განზრახვის შესრულებამდე ცოტა ხნით ადრე ერთმა „უკეთურმან კაცმან" მისი და მოიტაცა. ცხენზე ამხედრებული და შეიარაღებული ზენონი გამოუდგა დის გამტაცებელს, მაგრამ გზაზე მტანჯველმა ფიქრებმა შეიპყრო: „მე ვარ ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს". რომ დავეწიო და მოვკლა, სულს ნარვინყმედ, უკან რომ დავბრუნდე, ესეც სირცხვილიაო, და გადაწყვიტა: „აღთქუმა მონაზონებისა აწ აღუსრულო უფალსა". შემდგომში იგი წმიდა გრიგოლ ხანძთელის უახლოესი მოწაფე გახდა.

„სათნოებათა საუნჯე, მონაზონებისა წესი წმიდა, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდე" — წმიდა ზენონი ღრმა მოხუცებულობაში აღესრულა.

ხანძთის წინამძღვარი, **მამა იოანე**, ცნობილია იმით, რომ მან დაასრულა თავისი წინამორბედის, „ნათესავით აზნაურის", **მამა არსენის** მიერ დაწყებული ხანძთის ახალი ეკლესიის მშენებლობა. „ორნივე ესე ხანძთას მამობასა შინა აღესრულნეს".

წმიდა ბასილი ხანძთელი გრიგოლ ხანძთელის დედის მსახური ქალის შვილი იყო. გრიგოლს მისთვის წინასწარ განუცხადებია, რომ იგი ხანძთის წინამძღვარი გახდებოდა.

წმიდა თეოდორე და მისი ძმა **წმიდა იოანე** ერთად მოღვაწეობდნენ ხანძთის მონასტერში. წმიდა თეოდორე მონასტრის წინამძღვარი იყო, სწორედ ამ წმიდა მამებს ახსენებს წმიდა გიორგი მერჩულე თავისი ცნობილი თხზულების — „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" — თანაავტორებად, თუმცა, როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ისინი იყვნენ არა უშუალოდ თხზულების თანაავტორნი, არამედ ამ წმიდა საქმის მაკურთხეველნი და ხელშემწყობნი.

ამავე მონასტერში მოღვაწეობდა სიწმიდითა და სასწაულთქმედებით ცნობილი **ბერი გაბრიელი**, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა

მონასტერში მცხოვრებ სნეულ და მოხუცებულ ბერებს. წმიდა გაბრიელი ყველას მოუთხრობდა მისთვის ცნობილი მამების მოღვაწეობის შესახებ და მოუწოდებდა, მტკიცედ დაეცვათ მონასტერში ცხოვრების მამათა მიერ დადგენილი წესები.

წმიდა დიმიტრიოსი – ნეტარი დედის, წმიდა ფებრონიას გაზრდილი იყო. იგი წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელს დაემონაფა და ეს „ქრისტეშემოსილი" შვილი გრიგოლ ხანძთელისა „შერაცხილ იყო პირველთა თანა მონაფეთა მისთა". იგი იხსენიება იმ წმიდა მამების გვერდით, „რომელთაგან მრავალნი უდიდესსა საზომსა მონაზონებისასა მიწევნულ იყვნენ და სასწაულნი დიდნი მათ მიერ იქმნებოდეს ჴორცთა შინა ყოფასა მათსა და შემდგომად სიკუდილისა მათისა". წმიდა დიმიტრიოსი იერუსალიმის სიწმიდეების მოსალოცად გაემგზავრა და იქ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან წერილი მისწერა წმიდა ფებრონიას და წმიდა გრიგოლ ხანძთელს.

წმიდა არსენი და მაკარი – „კეთილნი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთა მოქმედნი" წმიდა ეფრემ მაწყვერელის (ხს. 17 აპრილს) ნათესავები იყვნენ. ისინი იერუსალიმის საბაწმიდის მონასტერში მოღვაწეობდნენ და მუდმივი კავშირი ჰქონდათ ხანძთელ ბერებთან. წმიდა არსენი და მაკარი ხშირად სწერდნენ წერილებს ხანძთაში მოღვაწე მამებს – მათ ერთმანეთთან აკავშირებდათ ქრისტესმიერი სიყვარული და დედაეკლესიისა და სამშობლოს თავდადებული მსახურება.

„**დიდი შიო საკვირველთმოქმედი**, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა, ბრწყინვიდა ქვეყანასა ქართლისასა," ბასილი ზარზმელის ცნობით წმიდა მიქელ პარეხელის (ხს. 27 მაისს) მოძღვარი იყო.

წმიდა ბასილი და მარკელაოზი, „სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა", წმიდა მიქელ პარეხელის მონაფეები იყვნენ. მამა ბასილი, რომელიც წმიდა მიქელის შემდეგაც „პარეხთა მკვიდრ იყო", მოძღვრის სიახლოვეს დაუკრძალავთ. სარწმუნოებით მისულებს წმიდა საფლავებიდან კურნება მიემადლებოდათ.

წმიდა დავითი — „წმიდათა უხორცოთა" მსგავსი დიდი და სანატრელი მამა, „მაშენებელი მონასტერთა", მიძნაძოროს სავანეს წინამძღვრობდა. იგი იყო სულიერი მოძღვარი წმიდა ილარიონ კათოლიკოსისა.

წმიდა იაკობი — „მრავალფერი მადლით" შემკული X საუკუნის დიდი მამა, თავდაპირველად შატბერდში მოღვაწეობდა, შემდეგ კი მიძნაძოროს ხევში დამკვიდრდა და „ბრწყინვიდა... ვითარცა მთიები შორის ვარსკვლავთა".

„**დიდი სოფრონ**, სანატრელი მამაჲ, შატბერდის ეკლესიისა განახ-

ლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გკრგკნი მისი", ცნობილი საეკ-ლესიო მწერალი იყო. სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია მისმა ლიტ-ერატურულმა მემკვიდრეობამ. წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერელი წმიდა გიორგი მერჩულე მას იმ ბრძენ და სრულ მამათა რიცხვს მიაკუთვნებს, რომელთაგან ელოდა იგი „ცხორებისა ამის დაწ-ერად". ამავე მონასტერში მოღვაწეობდა **წმიდა გრიგოლ შატბერდელ-იც**. საბედნიეროდ, დროთა ავბედითობას გადაურჩა და ჩვენამდე მოაღ-წია ამ მონასტერში შესრულებულმა და გადაწერილმა X ს-ის ისეთმა წერილობითმა ძეგლებმა, როგორიცაა: შატბერდის კრებული, უდაბნოს მრავალთავი, ჰადიშის, ჯრუჭისა და პარხალის სახარებების სახელით ცნობილი ხელნაწერები.

წმიდა ზაქარიამ ააგო ბერეთელთის ცნობილი მონასტერი და სათ-ავე დაუდო შემდგომში აქ მცხოვრები წმიდა მამების სიწმიდითა და სიბრძნით მოღვაწეობას.

წმიდა ილარიონ პარეხელს, ამ წმიდა და ღმერთშემოსილ მამას, წმიდა გიორგი მერჩულე იხსენიებს, როგორც თავისი დროის ერთ–ერთ თვალსაჩინო მწერალსა და საეკლესიო მოღვაწეს.

წმიდა ილარიონი, უბისის მამასახლისი, დიდხანს მოღვაწეობდა იერუსალიმის საბაწმიდის ქართველთა მონასტერში. მოხუცებულობა-ში წმიდა მამა საქართველოში ჩამოვიდა და ხანძთის მონასტერში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. უაღრესად წიგნიერ და განათლებულ წმი-და ილარიონს დაევალა უბისის ეკლესიის აშენება და იქ მოღვაწეობდა აღსასრულამდე.

წმიდა ფებრონია მოღვაწეობდა სამცხეში, მერეს დედათა მონას-ტერში. წმიდა ფებრონიასა და წმიდა გრიგოლ ხანძთელს საღმრთო სიყ-ვარული და გულითადი მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან.

წმიდა ფებრონიას სიწმიდესა და სიბრძნეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წმიდა მამათა კრებული „თვინიერ დედისა ფებრონიას განზრახვისა" საქმესა არა ხელ–ჰყოფდა. წმიდა ფებრონიას ჩააბარა წმიდა გრიგოლ ხანძთელმა მეფე აშოტ კურაპალატის (წმიდა მოწამის; ხს. 29 იანვარს) სახლიდან ძალით წამოყვანილი ქალი, რომლის მიმართ-აც მეფეს „გარდარეული სიყვარული" ჰქონდა. წმიდა ფებრონიამ შეძ-ლო, მეფისთვის მტკიცე უარი ეთქვა დედაკაცის სასახლეში დაბრუნება-ზე. ცნობილია, რომ წმიდა ფებრონიას ზეციური ანგელოზები აუწყებდ-ნენ ღვთის ნებას.

წმიდა ფებრონიასთან ერთად მოღვაწეობდა **წმიდა თემესტია**, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მერეს დედათა მონასტერში მწირველ მღვდელ **წმიდა მატოს**. როგორც თვითონ წმიდა

თემესტია აღნიშნავდა, ისეთი მოკრძალებული იყო მათი ურთიერთობა, რომ წმიდა მატოს უშუალოდ მისი ხელიდან საცეცხლურიც კი არ მიუღია არასდროს.

მერეს დედათა მონასტერში დაყუდებით მოღვაწეობდა **წმიდა ანატოლე** („რომელსა უწოდეს **ანტონიოს**"). ზეციურ უხორცო ძალთა მსგავსი ცხოვრებით გაბრწყინებულ წმიდა დედას ხშირად ეცხადებოდნენ ანგელოზები. სანატრელ დედებს, თემესტიასა და ანატოლეს, ანგელოზთაგან ეუწყათ მათი მოძღვრის, წმიდა მატოს ამქვეყნიდან განსვლაც.

წმიდა დედათა დასში ასევე გამორჩეული სიწმიდითა და სიმდაბლით მოღვაწეობდა **წმიდა ანასტასია**. იგი წარმოშობით აფხაზეთიდან იყო, შემორჩენილია მისი საერო სახელი – ბევრელი. იგი მეფე ადარნასეს ცოლი იყო და, როგორც დედოფალი, უაღრესად შეეწეოდა მერეს დედათა მონასტერს. მეფე ადარნასეს მიერ დედოფლის უკანონოდ მოძულების შემდეგ ბევრელი დედათა მონასტერში მივიდა და იქ აღიკვეცა ანასტასიას სახელით.

წმიდა ანასტასია მონასტერში ყველაზე მძიმე მორჩილების საქმეებს აღასრულებდა, მარადჟამ-ძაძა ემოსა, თავისი ხელით ეზიდებოდა შეშას ტყიდან და გამუდმებით ლოცულობდა.

წმიდა ანასტასიას ყოფილი მეუღლე, მეფე ადარნასე, მოულოდნელად დასნეულდა. მან მოციქულები გაგზავნა ფერსათის მონასტერში, სადაც იმ დროს წმიდა ანასტასია მოღვაწეობდა და შენდობა ითხოვა წმიდანისაგან. წმიდა ანასტასიამ ილოცა დასნეულებული მეფისათვის: „ქრისტემან შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი და განკურნენ სულით და ხორცით", რის შემდეგაც ადარნასე „მსწრაფლ ხოლო განიკურნა".

სიწმიდითა და სიმდაბლით გაბრწყინებული წმიდა ანასტასია სიცოცხლის ბოლომდე ფერსათის დედათა მონასტერში მოღვაწეობდა. სიცოცხლეში სასწაულთქმედებით ცნობილი წმიდანი მიცვალების შემდგომაც სასწაულებით განაბრწყინა ღმერთმა, მის საფლავთან განიკურნნენ მისი დასნეულებული შვილები, გურგენ კურაპალატი და სუმბატი, რამაც დასაბამი მისცა სხვადასხვა სნეულებებით შეპყრობილთა განკურნებას წმიდა ანასტასიას საფლავთან.

ამ წმიდა მამათა და დედათა სისხლით და ოფლით გაპოხილი ტაოკლარჯეთის მიწა — საქართველოს უძველესი, ისტორიული ტერიტორია, რომელიც დღესაც ქართველებითაა დასახლებული, 1921 წლიდან (კომუსტური რეჟიმის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ) თურქეთის სახელმწიფოს შემად-

გენლობაში იმყოფება; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კუთვნილი საეპისკოპოსო კათედრები და ეკლესია-მონასტრები ხშირად სომხეთის კუთვნილებად ცხადდება, მაგრამ ისტორიული სინამდვილის უგულებელყოფა შეუძლებელია.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ აღადგინა და თავის იურისდიქციაში ნომინალურად გამოაცხადა ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია; ზემოჩამოთვლილი წმიდანების სახით კი მოხდა ტაო-კლარჯეთში მოღვაწე, „დიდი სულიერებით, სასწაულთქმედებით, მონასტერთა აღმშენებლობით" გამორჩეულ ღირს მამათა და დედათა კანონიზაცია.

ღირსი იოსებ ხუცესი, მოხევე, საკვირველთმოქმედი (+1763)
7 (20) ოქტომბერი



წმიდა იოსებ ხუცესის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ვიცით, რომ ის იყო მოხევე და იქვე მსახურობდა მღვდლად.

მოხევეები — „კაცნი მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი", ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოებრივი შემართებით, იქაური ეკლესია-მონასტრები გვაცვიფრებენ თავიანთი სილამაზითა და მიუწვდომლობით. იქ თითქოს საგანგებოდ აშენებდნენ ეკლესიებს ისეთ ადგილებში, სადაც მისვლაც კი უკვე აღმსარებლობას უტოლდებოდა.

ხევის მშვენებასა და სიმბოლოს წარმოადგენს „მარადის ყინულით შეკვერცხილი" მყინვარი, რომლის კალთებზე არის აშენებული სამების მონასტერი, „შუენიერ ნაშენი შუენიერს ადგილას", სადაც ერთ დროს წმიდა ნინოს ჯვარი ინახებოდა.

მყინვარზე, ყინულებში, კაცთაგან მიუვალ ადგილას გამოკვეთილი ყოფილა გამოქვაბული, რომელსაც ბეთლემს უწოდებდნენ. გამოქვაბულში შესვლა მხოლოდ იქიდან ჩამოშვებული ჯაჭვის საშუალებით შეიძლებოდა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, იქ მრავალი საკვირველება ინახებოდა: „იტყჳნ უფლისა აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ და სხუათა საკჳრველთა".

მეფე გიორგი XII-ის უფროსი ძის, დავით ბატონიშვილის (1776-1819), ცნობით, იოსებ მოხევე „იყო ფრიად სიწმიდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღმრთისაჲთა აღვიდა მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა, და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამ მამამთავრისა, რომელ ჯერეთცა არავინ აღსრულ არს მთასა მას და მოართო მეფეს ირაკლის ნაჭერი კარვისა მის. და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულთმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა".

აღესრულა 1763 წელს.

ღირსი ანტონი — ჭყონდიდელი მიტროპოლიტი (+1815) და მონაფე მისი იაკობ ხუცეს-მონაზონი
13 (26) ოქტომბერი

ღირსი ანტონ ჭყონდიდელი — საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე — დაიბადა სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის მრავალშვილიან ოჯახში. დედა — გულქანი — რაჭის ერისთავის — შოშიტა III-ის ქალიშვილი იყო. ოჯახში ხუთი ვაჟი და ერთი ასული — მარიამი იზრდებოდა (შემდგომში იმერეთის დედოფალი, ცოლი სოლომონ დიდისა). შვილებს პირველდაწყებითი განათლება დედამ მისცა. ის იყო ძველი დედების ტრადიციის გამგრძელებელი ქალი, რომლის ცოცხალი სარწმუნოება და კეთილი საქმეები მისაბაძი იყო ყველასათვის. მამის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ანტონი (მისი საერო სახელი უცნობია) ძმის, კაცია დადიანის, კარზე იზრდებოდა. მას საერო მოღვაწედ ამზადებდნენ და ამიტომაც საღვთო წერილსა და მამათა შრომებზე უფრო ღრმად საერო მწერლობა, პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება შეასწავლეს. ანტონი ფლობდა თათრულ ენასაც, რომელიც იმ დროისათვის ძალზე პრესტიჟული და აუცილებელი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ანტონმა მონაზვნობა გადაწყვიტა და მალე აღიკვეცა კიდეც.

მონაზვნად შემდგარმა ანტონმა მომეტებულად იგრძნო წყურვილი საეკლესიო განათლებისა. მან მიმართა მარტვილის ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ეცნობოდა წმიდა მამათა თხზულებებს. განათლების შესავსებად მას მიჰგვარეს ფრანგი მისიონერები, რომელთაც მისთვის უნდა ესწავლებინათ სქოლასტიკური ფილოსოფია. ანტონს არც ფრანგების ქცევა მოეწონა და არც მათი სწავლება, მან შეიტყო, რომ ფრანგი ბერები მწვალებლობის ღვარძლს ურევდნენ მართლმადიდებლურ მოძღვრებაში. ერთხელ, სადილობის დროს, ანტონმა უთხრა ლათინ ბერს: „თუ შეგიძლია ამ წყლიან ჭიქაში ღვინო ჩაასხა ისე, რომ წყალს არ გაერიოს?" ლათინმა მოძღვარმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია. მაშინ ანტონმა უთხრა, „როგორც ერთ ჭიქაში წყალი და ღვინო არ ჩაისხმის ისე, რომ ერთმანეთში არ გაერიოს, აგრეთვე ერთი კაცის გონება ვერ დაიტევს მართლმადიდებლურ და

მწვალებლურ მოძღვრებებს ისე, რომ ერთი მეორეს არ გაჰრიოს", — და იმ დღიდან დაითხოვა ლათინი ბერი.

სწავლის სურვილი არ ასვენებდა ანტონს. „ურვა მქონდა სწავლისა და მკურნალს ვეძიებდ", — წერს თავად. ამ დროს სამეგრელოში გაიგეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გაიხსნა საფილოსოფოსო სკოლა და 1757 წლის ახლო ხანებში ანტონი გაემგზავრა თბილისს, მეფე ერეკლე II-ის კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდა დარეჯანი.

სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ, 1761 წელს ღირს ანტონს ხელი დაასხეს ცაგერის ეპისკოპოსად. 1765 წელს ანტონ ცაგერელს მოუხდა თბილისში წასვლა: ერეკლეს და, ელისაბედი, მისთხოვდა ანტონის ძმას, კაცია დადიანს. წირვის დროს ახალგაზრდა ანტონს ხელში მისცეს დაუწერელი ქაღალდი. მაშინდელი ჩვეულებით, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ქადაგება უნდა წარმოეთქვა. ეს მოხდა სულთმოფენობის დღეს. ანტონს ისე ლამაზად და ბრძნულად უქადაგია, რომ აღტაცებულ კათოლიკოსს იგი ამბიონზე გადაუკოცნია.

1777 წელს გარდაიცვალა ჭყონდიდელი გრიგოლი, ბეჟან დადიანის ძე. იმავე წელს ჭყონდიდის ტახტზე ავიდა ანტონ ცაგერელი, ხოლო ცაგერის კათედრა მიიღო მისმა ნათესავმა სოფრონმა.

ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებას განუზომელი გავლენა ჰქონდა მსმენელებზე. მის მარხვისაგან გალეულ პირისახეზე აღბეჭდილი იყო ანგელოზებრივი სათნოება. საოცრად კეთილი მღვდელმთავრის ბრძანებით, ჭყონდიდელის რეზიდენციაში ყოველდღე მზადდებოდა სადილი ღარიბ-ღატაკთათვის. ამ წესს შემდგომ ყველა ჭყონდიდელი იცავდა.

XVIII საუკუნეში სამეგრელოში ზოგიერთმა დიდებულმა შემოიღო ტყვეთა გაყიდვის უსაშინლესი წესი. ანტონი მტკიცედ აღუდგა წინ ამ ბოროტ ჩვეულებას: ის შეაჩვენებდა ტყვეების მსყიდველთ,. მათ სახლში მღვდელს არ უშვებდა, სოფელში ეკლესიას კეტავდა. 1792 და 1794 წელს ანტონის თავმჯდომარეობით ჩატარდა ადგილობრივი კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მსყიდველებს. სასტიკი ზომები მიზანს აღწევდა: დამნაშავენი შენდობას თხოულობდნენ, საკანონოს იხდიდნენ და გაყიდულ ტყვეს გამოიხსნიდნენ ხოლმე.

1789 წელს მიტროპოლიტმა ანტონმაც დატოვა ჭყონდიდის კათედრა, უბრალო მონაზვნური ღვაწლი იტვირთა და მის მიერვე აშენებულ ნახარებაუს მონასტერში განმარტოვდა. მან ეს მონასტერი გაამდიდრა სიწმიდეებით, ძველი ხატებით, დიდძალი მამულებით და გლეხებით. ჭყონდიდლობიდან გადადგომის წინა წელს (1788 წ.) მთავარს, კაცია დადიანს, ყველა საეკლესიო მამული გაათავისუფ-

ლებინა საერო გადასახადებისაგან. წმიდა ანტონს მუდამ გვერდით ედგა უახლოესი მეგობარი და თანაშემწე, მღვდელ-მონაზონი იაკობი, რომლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება.

ღირსი ანტონი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1815 წელს მის მიერ აშენებულ მონასტერში, დაკრძალულია იქვე.

წმიდა იოსები კათოლიკოს-პატრიარქი (+1770)
17 (30) ოქტომბერი



წმიდა იოსები, კათოლიკოს-პატრიარქი (ჯანდიერიშვილი) მოღვაწეობდა დოდოს მონასტერში. „მრავალთა მისთა სათნოებათა-თვის“ იგი მღვდელმთავრად იქნა დადგენილი რუსთავის კათედრაზე. წმიდა იოსებს სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონდა მიმად-ლებული ღვთისგან: ერთხელ მისი დიაკონი მუცლის სიმსივნით დაავადდა. ავადმყოფობა ისე გართულდა, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო. როდესაც მღვდელმთავარი სნეულთან შევიდა, ავადმყოფი ვეღარც სუნთქავდა და აღარც ლაპარაკი შეეძლო. წმიდა იოსებმა „იხილა სენი და შეელმა გულსა მის ლმობიერსა“, დაუტევა სნეული და სამლოცველოში განმარტოვდა ლოცვად. მხურვალე ლოცვის შემდეგ ის ისევ ავადმყოფთან დაბრუნდა და, რადგან კაცთაგან განდიდებას ერიდებოდა, ჩვეულებრივად თქვა, რომ ასეთი სნეულების დროს წამლად თხილის ჯოხის ნახშირის მიღება იყო საჭირო. ცეცხლში შეაგდო თავისი თხილის ჯოხისაგან გამოთლილი კვერთხი, წყალში გალესა, ჯვარი გადასახა და სნეულს დაალევინა. სიმსივნე იმ წუთსვე დაუცხრა, მესამე დღეს კი ავადმყოფი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. ასეთი სიმდაბლითა და სასწაულთქმედებით გამორჩეული მღვდელმთავარი 1755 წელს კათოლიკოსად იქნა არჩეული ანტონ I-ის მაგივრად. წმიდა იოსები, კათოლიკოსობის ტვირთისა და პატივის მიუხედავად, მაინც უდიდეს ასკეტ ბერად რჩებოდა: „მამამთავრობასა შინა რაოდენ დაუგებდნენ ცხედარსა, ნიშანსა დასდებინ იდუმალ და იხილონ ხვალისად, რომელ ყოვლადვე არა დაწოლილ იყვის ცხედარსა, არამედ ღამე ყოველ ილოცვის მარტოებით ლმობიერად“. მან, როგორც იოანე ბატონიშვილი წერს, „კეთილად დამწყსო ეკლესია თვისი და მერმე დაუტევა საყდარი თვისი“.

1764 წელს წმიდა იოსებ კათოლიკოსმა, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის მსგავსად, ეკლესიის მშვიდობისათვის, სიმდაბლით დაუტევა კათოლიკოსის ტახტი, ახმეტაში წავიდა და „ცხოვრობდა ჭეშმარიტისა მონაზონებითა“. წმიდანი საკუთარი ხელით ამუშავებდა ვენახს და მოსავლის უმეტეს ნაწილს ღარიბებს ურიგებდა. იმ მხარეში

ძალიან ხშირია გვალვები და სეტყვა, რომელიც ხშირად თითქმის მთელ მოსავალს ანადგურებდა. წმიდა იოსების იქ მოღვაწეობის დროს „არცა მოკლების წვიმა ვენახთა და არცა მისრულ არს სეტყვა მავნებელი". იგი ლოცვით კურნავდა ავადმყოფებს და ბრმებს თვალთა სინათლეს ანიჭებდა, რის გამოც იქაურებს ძალიან უყვარდათ.

წმიდა გაბრიელ მცირე (ხს. 17 მარტს) სიხარულით წერს, რომ მან „ერთგზის იხილა" და „ორგზის ამბორს უყო ხელსა მას წმიდასა".

1770 წელს „ესრეთ სიწმიდით მოხუცებულმან სული თვისი შეჰვედრა ღმერთსა".

მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე), გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი (+1907) 26 (8.11) ოქტომბერი

წმიდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე) დაიბადა 1824 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში, მღვდლის ოჯახში. ბავშვობიდანვე ეკლესიურ ცხოვრებას ნაზიარებმა, სწავლა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1845 წელს, თბილისის სამინარიის კურსის დამთავრებისთანავე იგი თბილისის ფერისცვალების მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ალექსანდრე უწოდეს, იმავე წლის 18 აგვისტოს წმიდანი მთავარდიაკვნად აკურთხეს.

ალექსანდრე სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში გაემგზავრა, წარჩინებით დაამთავრა იგი და სამშობლოში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა. პირველ ხანებში, 1851 წლის 27 ივნისამდე, იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა საღმრთო წერილსა და ლათინურს, ზნეობრივ ღვთისმეტყველებასა და არქეოლოგიას. ამის შემდეგ, უწმიდესი სინოდის ბრძანებით (1851 წ. 21 სექტემბერი), მღვდელმონაზონი ალექსანდრე დაინიშნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და მასვე მიენდო აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმსახურთა შორის მღვდელ-მონაზონთა ხელმძღვანელობა, იგი შეთავსებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

ალექსანდრე უმთავრეს საქმედ თავის ირგვლივ მყოფთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა-განმტკიცებასა და მათთვის სასწავლებელთა დაარსებას მიიჩნევდა, აფხაზეთში ჩასვლისთანავე მან დიდი გულმოდგინება გამოიჩინა აფხაზთათვის ილორში დაარსებული სასწავლებლების წარმატებული მუშაობის ხელშესაწყობად. მისი მოღვაწეობა, ჯერ როგორც პედაგოგისა, შემდეგ კი არქიმანდრიტისა (1856 წლის 26 თებერვლიდან) და ეპისკოპოსისა (1862 წლის 4 მარტიდან), როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე სრულიად საქართველომ დამსახურებისამებრ დააფასა და, ყოველგვარი

გადამეტების გარეშე, მას აფხაზეთის მეორე მოციქული უწოდა. სამწყსოსა და მას შორის არსებობდა მამაშვილური კავშირი, დაფუძნებული ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულზე.

1869 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე აფხაზეთიდან ქართლ-კახეთის ეპარქიის ეპისკოპოსად გადაიყვანეს ორგზის (1869-1882 და 1886-1898 წლებში). ალექსანდრე ოქროპირიძე ოცდახუთი წელი გორის ეპისკოპოსი და ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსია. 1882-1885 წლებში იგი მართავდა გურიის ეპარქიას, ხოლო 1903 წლამდე — გურია-სამეგრელოს ეპარქიას.

ალექსანდრე ეპისკოპოსის სამღვდელმთავრო მოღვაწეობა ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა: საქართველო ყოფნა-არყოფნის პირას იყო მისული — საქართველოში ქართული წირვა-ლოცვა აღარ აღევლინებოდა, რის გამოც ისედაც უმძიმეს ყოფით პირობებში ჩაყენებულ ქართველ ერს ეკლესიისთვისაც ზურგი ჰქონდა შექცეული. ძველთაგანვე მეცნიერებისა და კულტურის ცენტრებად მიჩნეული ქართული ეკლესია-მონასტრები უდაბნოებად ქცეულიყო, სკოლებში ქართული ენა არ ისწავლებოდა; ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობას თავიანთი შვილებისათვის სწავლა-განათლების მისაცემი სახსარი არ გააჩნდა, აუცილებელი იყო სულისათვის სასარგებლო და გონების გასანათლებელი ქართულენოვანი წიგნების გამოცემა-გამრავლება, მუხლჩაუხრელი და შეუსვენებელი გარჯა ესაჭიროებოდა ქვეყანას ჩამკვდარი ეროვნული ცნობიერების აღსადგენად.

წმიდა ალექსანდრემ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლების საქმეს. მან აღმშენებლობითი საქმე აფხაზეთიდანვე დაიწყო — სოხუმში თავისი ღვაწლითა და საფასით აღადგინა ორი ეკლესია, ქართლ-კახეთსა და შემდეგ გურია-სამეგრელოში მოღვაწეობისას განაახლა და აღაშენა შიომღვიმის, ზედაზნის, დავით გარეჯის მონასტრები, დიდძალი თანხა გაიღო შემოქმედის მონასტრის აღდგენის დასაწყებად, აღადგინა და განაახლა მცხეთის ჯვრის მონასტერი, მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის დიდი ტაძარი, მშობლიური სოფლის, დისევის ეკლესია, უამრავი ეკლესია გურია-სამეგრელოში, აჭარასა და იმერეთში. მისი განსაკუთრებული ღვაწლი და მზრუნველობა თითქმის უდაბნოდ ქცეული შიო-მღვიმის მონასტრისა და მისი შემოგარენისკენ იყო მიმართული. მან მთლიანად აღადგინა მონასტერი, ბერებისთვის ააგო სავანეები, შიომღვიმეში გაიყვანა გზა, მდინარე მტკვარზე გამართა ბორანი, ძეგვში დააარსებინა რკინიგზის ბაქანი მატარებლის გასაჩერებლად, მონასტრის შემოგარენსა და მცხეთაში, მტკვრის გასწვრივ მონასტრისთვის შეიძინა

ბაღები და ვენახები, აღადგინა ძველი სამონასტრო ტრადიციული მეურნეობა: მევენახეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა... მისი პირადი მაგალითი სხვა ეპისკოპოსებმა და მონასტრებმაც გადაიღეს და დაიწყეს მონასტრებთან ბაღ-ვენახთა მოშენება.

წმიდა ალექსანდრეს ფინანსური დახმარებით 1878 წელს თბილისში დაარსდა ეპარქიალური ქალთა სასწავლებელი, რომელმაც ჩვენს ერს აღუზარდა მრავალი განათლებული ქალი და შესანიშნავი დედა.

წმიდა ალექსანდრეს მიერ გაღებული საფასით, მისივე ინიციატივითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა მრავალი სასულიერო და ისტორიული წიგნი, სახელმძღვანელო და საგალობლების კრებული.

წმიდა ალექსანდრეს ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე საქართველოში არ დაწყებულა არც ერთი სარწმუნოებრივ-ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონანილეობის გარეშე.

მღვდელმთავარი მთელი ცხოვრების მანძილზე თავგამოდებული დამცველი იყო ქართული ენისა. მან ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დასაცავად. ამის შემდეგ დიდხანს აღარ დარჩენილა მხცოვანი ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. ეგზარქოსისა და უწმიდესი სინოდის განკარგულებით, „საკუთარი თხოვნის“ საფუძველზე განთავისუფლებულ იქნა ეპარქიის ხელმძღვანელობიდან და „მოსასვე-ნებლად“ თავისსავე აღდგენილ შიომღვიმის მონასტერში გაიგზავნა. მონასტრიდან მხოლოდ ერთხელ, 1907 წელს, წმიდა ილია მართლის (ხს. 20 ივლისს) დასაფლავებისას გამოვიდა და დაიტირა თავისი სულიერი შვილი. ოთხმოცდასამი წლის მხცოვანმა მღვდელმთავარმა, ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ, თვითონაც იმავე წელს, 9 ნოემბერს მიიძინა საუკუნო ძილით მის მიერვე აღდგენილ შიომღვიმის სავანეში. იგი 16 ნოემბერს დაკრძალეს იმავე მონასტერში.

მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი (VII)
28 (10.11) ოქტომბერი



წმიდა მღვდელმოწამე ნეოფიტე წარმოშობით სპარსელი იყო. VII საუკუნეში „არაბთა და სირთა და მიდთა" მფლობელი ამირა მუმნის ბრძანებით სარდალი აჰმადი დიდძალი სპით საქართველოს შემოესია. ლიახვის ხეობის მოოხრების შემდეგ აჰმადმა ორი მხედართმთავარი, ომარი და ბურული, გაგზავნა მცხეთისაკენ. მტკვრისა და არაგვის შესართავთან, სოფელ ციხედიდთან მეომრებმა მდინარის გაღმა, სარკინეთის კლდეთა შორის იხილეს „ქუაბნი გამოქნილნი", მისი დაურბევლობა სირცხვილად და სულთნის წინაშე დანაშაულად მიიჩნიეს და გაღმა გასასვლელად მტკვარში შევიდნენ, მაგრამ მდინარის გადალახვა ვერაფრით შეძლეს.

შეცბუნებულმა სარკინოზებმა ტყვეებს ჰკითხეს: „რაჲმე არს ქუაბთა შინა?" ტყვეებმა უპასუხეს, რომ ეს ნეტარი შიო მღვიმელის მონასტერი იყო, სადაც ცხოვრობდნენ „კაცნი მონანი ღმრთისანი", ყოველგვარ ამქვეყნიურ შვებას მოკლებულნი.

მათი ამბის გაგონებამ უსჯულო მხედრობა დიდად გააკვირვა. სარდლებმა გადაწყვიტეს, ყოველივე აჰმადისათვის ეცნობებინათ. საღმრთო ძალისგან შემკრთალმა აჰმადმა მონასტერში ომარი გაგზავნა, ოქრო და მრავალი სახმარი ნივთი გაატანა და ბერებთან დააბარა თხოვნა: „ლოცუა ჰყავთ ჩემთჳს, მონანო ღმრთისანო, და ძღუენი ესე ჩემი მიიღეთ და ალუაჲ და გუნდრუკი მიართუთ საკმევად სამარხოსა მოძღუარისა თქუენისასა".

სარკინეთის ქვაბებს მიახლებულმა ომარმა მონაზვნებს კაცი გაუგზავნა და აცნობა, ნუგეშინისცემად და სამსახურად მოვდივარ და არა საავნებლადო.

მონასტრის ბჭესთან მისულმა მხედართმთავარმა იხილა „სიმრავლეჲ უჭორცოთა მჭედართა ნათლისათა, საკკრველ მავალნი ჰაერთა ზედა და შორის მათსა კაცი მოხუცებული მონაზონი ფრიადითა ელუარებითა შესახედავისათა". მონასტრის მკვიდრთა თავმდაბლობამ და ისეთმა მოკრძალებულმა ყოფამ, თითქოს „ანგელოსნი ჰბრწყინვიდეს ჴორცთა შინა", უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ომარზე. ის მიხვდა, რომ უცხო მხედარნი უფლის ანგელოზები იყვნენ, მოხუცებული მონაზონი კი — ამ მონასტრის წინამძღვარი და ბერებს უთხრა: „წმიდანო ღმრთისანო,

•

რაჲსთჳს-მე მოშიშ ხართ თქუენ კაცთაგან? რამეთუ ვხედავ ჭეშმარიტად მცუელთა მონასტრისა თქუენისათა, მჴედართა ნათლისათა მცუელად თქუენდა, მფრინუალეთა ჰაერთა ზედა და შორის მათსა მონაზონსა ვისმე საკჳრველსა მჴცოვანსა წუერითა და თმითა, რომლისა ხილვისა სიკეთეჲ ვერ შესაძლებელ არს ჩემდა თქმად, ხოლო მრწამს, ვითარმედ მჴედარნი იგი არიან ანგელოსნი ღმრთისანი და მონაზონი იგი არს მოძღუარი თქუენი".

ომარმა მონაზონთა წინაშე აღთქმა დადო: „დამეკუეთოს რა ჟამი მარჯუე, მოვიდე თქუენდა და ვიქმნე ქრისტიანე და ნათელსვიღო და მონაზონ ვიქმნე და თქუენ თანა დავადგრე სიკუდილადმდე ჩემდა". მან დაუტევა უღმრთოება, მამული, მთავრობა, სიმდიდრე, შიო მღვიმელის სავანეში მივიდა და მოინათლა. მასთან ერთად ნათელიღო მისმა ორმა მონამ. ნათლისღების შემდეგ ომარს ნეოფიტე (ახალი ნერგი) დაარქვეს, მის მეგობრებს კი — ქრისტოდულოსი (ქრისტეს მონა) და ქრისტოფოროსი (ქრისტეშემოსილი).

ღვთის განგებით, წმიდა ნეოფიტე მღვდელმთავრად იქნა დადგინებული ურბნისის კათედრაზე. ყველას განაკვირვებდა მღვდელმთავრის სიბრძნე და შემართება. ის თავისი სამწყსოს ნამდვილი მამა იყო: „მოუძლურებული მათი განაძლიერა, სნეული განამრთელა, შემუსრვილი შეჰკრა და ბოროტად მყოფსა უსხეულსაქმა, ცთომილი მოაქცია და წარწყმედული მოიძია, დაადგრა მათ თანა, დაიცუნა და არა განაბნივნა".

მტერმა ვერ მოითმინა სპარსის მოციქულებრივი მოღვაწეობა. მაზდეანებმა გადაწყვიტეს, მოეკლათ ქრისტეს მქადაგებელი მღვდელმთავარი.

უსჯულოებმა გამონახეს მარჯვე დრო და სალოცავად განმარტოებულ ნეოფიტეს თავს დაესხნენ. უსჯულოებმა იცოდნენ, რომ წმიდა ნეოფიტე წმიდა სტეფანე პირველმოწამის სიკვდილს შენატროდა, ამიტომ ქვით ჩაქოლვა მიუსაჯეს. წმიდანმა ტკბილი ხმით მიუგო: „ტკბილ ჩემდა სიკუდილი, უღმრთონო, ტკბილ ჩემდა. საწადელ ჩემდა განყოფაჲ კავშირთა უკუდავისა და მოკუდავისა არსებისათა... ამიერითგან სისხლითა ჩემითა დავამტკიცო შრომილი ჩემგან წმიდაჲ ეკლესიაჲ, რომელიც შეჰკრიბა ქადაგებისა მიერ ჩემისა ძემან და სიტყუამან ღმრთისამან პატიოსნითა სისხლითა თჳსითა, ხოლო რომელიცა განაგო ჩემთჳს ღმერთმან, იყავნ იგი, რამეთუ მომიწოდა მე უღმრთოებისაგან ნათლისა მიმართ თჳსისა".

გამძვინვარებულმა უსჯულოებმა წმიდანი ქვებით ჩაქოლეს. წმიდა მღვდელმოწამის უკანასკნელი სიტყვები იყო: „უფალო იესო ქრისტე, შეივედრე სული ჩემი".

ღირსი სერაპიონ ზარზმელი (+900)
29 (11.11) ოქტომბერი

წმიდა სერაპიონ ზარზმელი კლარჯელი აზნაურის შვილი იყო. ღირსი სერაპიონის მამა კვიპრიანე და დედა, რომლის სახელი „მოუჴსენებლად დაიფარა სოფლით", ღვთისმოშიშებით და პატიოსნად ცხოვრობდნენ, „ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გალახაკთა და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა ჴელის აპყრობასა".

სერაპიონს ჰყავდა ორი ძმა. დედა ადრე გარდაეცვალა. შვილები კეთილად აღზარდა მამამ და მცირე ხნის შემდეგ იგიც აღესრულა.

სერაპიონს სიყრმიდანვე მეუდაბნოეობის სურვილი ჰქონდა. სერაპიონი თავის უმცროს ძმასთან, იოანესთან ერთად წავიდა და თავი თვისი შეჰვედრა „მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა", „სასწაულთა და ნიშთა მოქმედსა", დიდ მიქელ პარეხელს (ხს. 27 მაისს). ღირსმა მამამ მიიღო სერაპიონი და იოანე და „თანააღრაცხილ ყვნა დასსა მონაფეთასა". უფროსი ძმა შინ დარჩა და ოჯახის ტრადიცია გააგრძელა — „უცხოთა და გლახაკთა" მსახურებით ცხოვრობდა.

ღირსი მიქელი ხედავდა სერაპიონის საღმრთო მოქალაქეობას, მოშურნეობას და მღვდლად აკურთხა იგი. ერთხელ, ლოცვისას, ღირსმა მიქელმა იხილა მღვდელშვენიერად შემოსილი კაცი, რომელმაც უბრძანა, რომ მის მიერ განსწავლული მონაფეები, სერაპიონი და იოანე, სამცხეში გაეგზავნა მონასტრის ასაშენებლად. სერაპიონი შეაკრთო დიდმა პატივმა და მოვალეობამ, მაგრამ, ცხოველმყოფელი ჯვრის მსასოებელი და მოძღვრის მიერ გამხნევებული, თანამოსაგრეებთან ერთად სამცხეში წავიდა. ძმებს თანაშემწედ „თანა-ეტკრთათ ცხოველი ხატი ფერისცვალებისაჲ".

ბერები მშვიდობით მივიდნენ ადგილზე, ძალიან მოეწონათ ერთი მთა, დაათვალიერეს იქაურობა, და, მიუხედავად იმისა, რომ „სასწაულნი იგი ადგილსა ამას" ვერ იხილეს, გადაწყვიტეს, აქ აეშენებინათ მონასტერი. მალე იქაურმა მცხოვრებლებმა ძმები განდევნეს. დაღონებულმა ბერებმა მდინარის გაღმა, დასავლეთით, სწორედ ის ადგილი იპოვეს, რომელიც მიქელმა იხილა გამოცხადებით. ამ მხარის

მთავარი იყო კეთილმსახური ფეოდალი გიორგი ჩორჩანელი. ერთხელ, ნადირობისას, გიორგი ჩორჩანელმა ნახა უსიერი ტყის თავზე აღმართული კვამლი, გაუკვირდა და მაცნე გაგზავნა ამბის გასაგებად. მას აუწყეს ორი საკვირველი ბერის შესახებ. გიორგი დიდი პატივით გაეშურა მამებისკენ, მდაბლად მოიკითხა, თაყვანი სცა ფერისცვალების წმიდა ხატს და კურთხევა ითხოვა ბერებისგან. შემდეგ იქაურობა უბოძა მონასტრის ასაშენებლად და მთელი იმ ადგილების დამტკიცებასაც დაჰპირდა, რომელსაც ბერები დილიდან საღამომდე შემოივლიდნენ. მაგრამ ყველა ადგილობრივი მკვიდრი როდი შეხვდა ბერებს ასე გულთბილად: დაბა-წისქვილის მცხოვრებლები აუჯანყდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ მათ დაბრკოლებას. წმიდა სერაპიონმა გონებადაბინდულ ხალხს წინასწარმეტყველურად მიმართა: „ვიხილე უღმრთო აღმაღლებული ნაძვთამდე ლიბანისათა და თანაწარვხედ და არა იპოვა ადგილი მისი“.

იმ ღამით დიდი სასწაული აღესრულა: მიწა იძრა, კლდე გაიპო, სათახვის მღვრიე ტბა გადმოდინდა და დაბა-წისქვილი სრულიად წალეკა, მხოლოდ ორი ძმა გადარჩა სასწაულებრივად: ახდა წმიდა სერაპიონის წინასწართქმა. შიშით თავზარდაცემულმა ხალხმა ამ ადგილს ზარზმა უწოდა.

ძმებმა ეკლესიისთვის შესაფერი ადგილის ძიება დაიწყეს. წმიდა სერაპიონს მაღალ ბორცვზე სურდა მშენებლობის დაწყება, იოანე და სხვა ბერები კი ეუბნებოდნენ: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს და ძმანი ესე შიშველ და გლახაკ“. მაშინ ნეტარი მამები ასე მოიქცნენ: ორ კანდელში თანასწორი რაოდენობის ზეთი ჩაასხეს. ერთი თავად სერაპიონმა დადგა მაღალ ბორცვზე, მეორე კი ბორცვის სამხრეთით, მცირე ღელეში — იოანემ. ორივენი დადგნენ ლოცვად. როცა გათენდა, ნახეს, რომ სერაპიონის კანდელი დაშრეტილიყო, იოანესი კი შუა-სამხრამდე ბრწყინავდა.

ეკლესიის საძირკველი იოანეს არჩეულ ადგილზე ჩაყარეს, მაგრამ მშენებლობა გაძნელდა: ირგვლივ დაბურული ტყეები იყო, მშენებლობისთვის საჭირო ქვები მხოლოდ მდინარეში იპოვებოდა. გიორგი ჩორჩანელის რჩევით, უმწის მიწისძვრისგან დანგრეული ეკლესიის ქვებიც გამოიყენეს და სამ წელიწადში ტაძრის მშენებლობა დასრულდა, წესისამებრ შეიმკო იგი და შიგ დაასვენეს ფერისცვალების სასწაულთმოქმედი ხატი. ამის შემდეგ ძმათა სენაკებიც ააგეს. მამა სერაპიონმა „განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი“.

ნეტარმა სერაპიონმა წინასწარ იგრძნო, რომ მისი ამსოფლიდან გასვლის ჟამი მოახლოვდა, მოუწოდა ძმათა კრებულს, დამოძღვრა

ისინი და წინამძღვრად განუწესა მღვდელ-მონაზონი გიორგი, „კაცი კეთილი, სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვითა და საქმითა“.

რამდენიმე დღის შემდეგ დასნეულებული სერაპიონი წამოდგა, საკურთხეველში შევიდა, ემთხვია წმიდა ტრაპეზსა და მაცხოვრის ხატს, ეზიარა, ძმებს სთხოვა, ელოცათ მისთვის, „მიიწია ცხედრად ჟამსა მეექვსესა და მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა“.

წმიდა სერაპიონი პატივით დაკრძალეს საკურთხევლის აღმოსავლეთით. წმიდა მამას თავისი საფლავი ადრევე გაეთხარა საკუთარი ხელით, რომ მისი ხილვისას მოჰგონებოდა სიკვდილი, „რომელი იგი სამარადისოდ წინაშე თვალთა აქუნდა“.

წმიდანის ძმისწულმა, ბასილ ზარზმელმა (ხს. 5 ოქტომბერს) სერაპიონის წმიდა ნაწილები ღვთის ბრძანებით ახალშემზადებულ ქვის ლარნაკში ჩაასვენა და „გადაასვენა საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისასა“.

წმიდა იოთამ ზედგენიძე (+1465)
30 (12.11) ოქტომბერი

წმიდა იოთამ ზედგენიძე სიმხნევით, სარწმუ-ნოებითა და მეფის ერთგულებით ცნობილი აზნაურიშვილი იყო. კეთილ-მსახურებით აღზრდილ წმიდანს კარგად ესმოდა, რომ მირონცხებული მეფის ერთგულება ქვეყნისა და წმიდა ეკლესიის სიყვარულს ნიშნავდა. 1446 წელს საქართველოს მეფედ აკურთხეს გიორგი VIII, ძე ალექსანდრე დიდისა. „ყოვლითა სიკეთითა და საღმრთოსა-მჴედროთი სრულმან და აღმკულმან" თავისი მეფობის ოცი წელი ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას შეალია. მისი მეფობის ჟამს „განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა ცოდვათა ჩუენ ქრისტიანეთათჳს და აღიღო სულტანმა მაჰმად კონსტანტინეპოლი".

ამასობაში საქართველოში მდგომარეობა ისევ დაიძაბა. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე მეფეს განუდგა. 1463 წელს კი, ჩიხორთან გამარ-ჯჳების შემდეგ, ქუთაისის გამგებელმა ბაგრატმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავი.

1465 წელს გიორგი მეფე სამცხეს წარემართა ყვარყვარე ათაბაგთან საომრად, „რათა შურ-აგოს ათაბაგსა". ფარავნის ტბასთან დაბანაკებულ გიორგის „შემოუჩინნეს განდგომილთა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თჳსნი". მეფის ამალაში მყოფმა იოთამ ზედგენიძემ შეიტყო მეფის წინააღმდეგ არსებული საზარელი შეთქმულების შე-სახებ და გააფრთხილა იგი. „მეფემან არა ირწმუნა", — წერს ვახუშტი „ქართლის ცხოვრებაში", — „ვინაჲთგან უგონებელ იყო მათგან ღალატი მეფისა". როცა ერთგულმა კარისკაცმა მართალი და უბოროტო მეფე მტყუვარ ქვეშევრდომთა ღალატში ვერ დაარწმუნა, შესთავაზა: „უკე-თუ ვცბი და არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, ან გევედრები, რათა არა მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვე საგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, გარნა ნუ და-ივიწყებ ძეთა ჩემთა". მეფე დათანხმდა, თუმცა სრულიად დარწმუ-ნებული იყო, რომ იოთამ ზედგენიძის ეჭვიანობის მიზეზი სიყვარული და ერთგულება იყო და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. „ღამესა მას შემოვიდნენ მობირებულნი იგი და მოკლეს იოთამ და განერა მეფე მათგან".

დილით, როცა გიორგი სამეფო კარავში შევიდა, მისი საყვარელი

კარისკაცი სისხლში ცურავდა. მან სინანულით დაიტირა იოთამი, მტრები კი შეიპყრა და „მოსწყვდნა ყოველნი". მადლიერმა მეფემ წყალობით აავსო წმიდა იოთამ ზედგენიძის შთამომავლობა.

უფლის ცხებულისათვის, ღვთივდადგენილი მეფისათვის თავდადებული იოთამი საქართველოს ეკლესიამ წმიდანთა დასში შერაცხა.

წმიდანი ათნი ბევრნი (100.000) მოწამენი, თბილისს ხვარაზმელთაგან ნამეგზულნი (+1227) 31 (13.11) ოქტომბერი

საქართველოს ეკლესიას მოწამეთა ეკლესიას უწოდებენ, ქართველი ერი თავისთავში ატარებს დაფარულ და ქვეცნობიერ სიყვარულს ქრისტე ღმერთისა, რომელიც ხშირად ამა ქვეყნის სიავკარგის ეკალ-ბარდებითაა დაფარული. ისტორიული ქარტეხილები და იმპერიებს შორის მიმოხეთქებანი თითქოს საცერში ატარებს ჩვენი სარწმუნოებრივ-ეროვნული სიწმიდისა და ტრადიციების ნაერთს და ამა ქვეყნის ორომტრიალიდან ცალკე გამოიყოფა წმიდა ფქვილი — „საზეპურო ერის" თვისებები და ბზე — ის უვარგისი მინარევი, რომელიც არც ღვთისთვის შეინირვის და ერისთვისაც საზიანოა.

„უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე. ტკბილ ხარ შენ უფალო და სიტკბოებითა შენითა მასწავლე მე სიმართლენი შენი", — ვკითხულობთ ფსალმუნში. საქართველოს კეთილმსახური მეფის, წმიდა თამარის, მეფობის ჟამს „სიტკბოებით„ სწავლობდა ქართველი ერი ღვთის სამართალს, თამარის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დაუდგა ქვეყანას. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ქვეყანა საქართველოისა მიეცა განსარყვნელად ამის ძალითა, რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიწრფოება, სიმართლე, და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, სიძვანი, უწესობანი". ღმერთმა სჯულის დამვიწყებელ ერს სასტიკი სასჯელი მოუვლინა: „გულისწყრომით გვამხილა და რისხვით გვასწავლა" ღვთის სიმართლე: ჩინგის ყაენისაგან ძლეული ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი დედაწულითურთ აიყარა და საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ დროს საქართველოს თამარ მეფის ასული რუსუდანი განაგებდა. რუსუდანის ბრძანებით შეკრებილი ქართველთა ლაშქარი გარნისთან გამართულ ომში დამარცხდა.

ადარბადაგანსა და ნახჭევანს დამკვიდრებულმა ჯალალედინმა საქართველოს მაშინდელი ათაბაგი ავაგ მხარგრძელი იხმო და

შესთავაზა: „აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა (მონღოლებს). რომელ მეფე თქუენი დედაკაცი არს და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენ ზედა და ვძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა. უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოოჴრდეს სამეფო თქუენი“.

ჯალალედინის უტიფარმა განზრახვამ გააოცა მეფე და დარბაზი. რუსუდანმა ავაგს შეუთვალა: „არცა თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად განყენებად“. ავაგ ათაბაგმა რუსუდანის გულისწყრომა და უარი აცნობა ჯალალედინს.

სულთანმა ლაშქარი აჰყარა და თბილისისკენ დაიძრა.

ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა“, დიდად დაჯაბნეს ხვარაზმის სულთანი, მაგრამ ღამით თბილისელმა სპარსელებმა უღალატეს ქართველებს, ქალაქის კარი გააღეს და მტერი თბილისში შემოუშვეს.

„ვინ-მე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნულთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა?“ — კითხულობს ჟამთააღმწერელი და მოგვითხრობს ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ უსაშინლეს სისხლიან დღეზე, — „ჩკლნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან და რომელსამე თუალნი წარსცკვდიან და რომელსამე ტჳნი დაეთხიის“... სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი. ბორცვებად ეყარნენ დახოცილები, ცხენების ფლოქვები სრესდა უძლურთ, ჭაბუკებს ასაჭურისებდნენ, დედას შვილს აკლავდნენ. „ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ჴმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი“. თბილისის ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო.

ჯალალედინმა სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვევინა და ბრძანა ზედ თავისი „ბილწი საჯდომელის“ დადგმა. შემდგომ ბოროტებამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა: ჯალალედინის ბრძანებით სიონის ტაძრიდან გამოასვენეს მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენეს და თბილისელებს უბრძანეს „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.

ასი ათასი ქართველი შეეწირა ამ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას, ასი ათასი მოჭრილი თავი და ასი ათასი თავწარკვეთილი სხეული გაატანეს უსჯულოებმა მდინარე მტკვარს. ამ დღიდან ასი ათასი მფარველი შეემატა საქართველოს, რომელთა ხსენება ყოველთვის „ქებით აღესრულების“.

ნოემბერი

3 (16)—ღირსი ნიკოლოზი, ქართველთა მნათობი,
აკოლოთიათა აღმწერელი (+1308)

4 (17)—წმიდანი და მართალნი მცველნი ქრისტეს
საფლავისათა:
იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი

10 (23) —დიდმოწამე გიორგი კაბადოკიელი (+303)
—დიდმოწამე კონსტანტი-კახი, ქართველთა
მთავარი (+852)

17 (30) —დიდმოწამე მიქაელი, რომელსა ეწოდა
გობრონ და ასოცდაცამეტნი მხედარნი
მისნი (+914)

19(2.12)—ღირსი ილარიონ ქართველი,
საკვირველთმოქმედი (+875)

23(6.12)—მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე) (+1942)

29(12.12)—მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი (VI)

30(13.12)—წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი (+502)
—წმიდა პეტრე I, კათოლიკოსი (V)
—წმიდა სამოელ I, კათოლიკოსი (V-VI)

ღირსი ნიკოლოზი, ქართველთა მნათობი (+1308)
3 (16) ნოემბერი

ღირსი ნიკოლოზი, ქართველთა მნათობი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნის შუა წლებიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე. მისი მოღვაწეობის ბოლო წლები ემთხვევა დემეტრე თავდადებულის (ხს. 12 მარტს) ძის, ვახტანგის, მეფობის დროს (1301-1308წ.წ.).

ღირსი ნიკოლოზის ქართველთა მნათობის, აკოლოთიათა აღმწერელის შესახებ ცნობები მწირადაა შემონახული.

წმიდა ნიკოლოზი თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ჰიმნოგრაფი და გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე იყო. სამწუხაროდ, მისი შემოქმედებიდან ჩვენამდე ძალიან ცოტა რამაა მოღწეული.

ანტონ კათალიკოსი (1720-1788) წერს, რომ ნიკოლოზი იყო „ავქსონი კანონთ, მრავალ აკოლოთიათ" და ასახელებს მის ერთ თხზულებას: „ამან უზომოდ წმისა გარდამოსვლის დასაყენები შექმნა აკოლოთია, მხურვალსავედრი ღვთისადმი ერისაგან, მაღალგამოთქმით". ეს აკოლითია გვხვდება ქართულ კურთხევანში.

წმიდა ნიკოლოზი ქართულ სასულიერო ლიტერატურას მთარგმნელობითი მოღვაწეობითაც ამდიდრებდა, ვარაუდობენ, რომ როგორც ლიტურგისტს, მას უნდა ეკუთვნოდეს ის წესები, კერძოდ, „განგება წყლის კურთხევისა", რომელიც 1306-1308 წლებშია ნათარგმნი ბერძნულიდან ქართულად.

ცნობილი მეცნიერი და ისტორიკოსი, პლატონ იოსელიანი (1809-1875), წერს, რომ მან წმიდა ნიკოლოზის სხვა აკოლოთიანიც ნახა ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერებში.

წმიდა მამა 1308 წელს აღესრულა მშვიდობით.

წმიდანი და მართალნი მცველნი ქრისტეს საფლავისანი: იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი
4 (17) ნოემბერი

წმიდანთა იოანე, სტეფანე და ესაია ქართველების შესახებ ცნობები მხოლოდ საეკლესიო კალენდარმა შემოგვინახა.

წმიდანთა დასში მართლად იწოდებიან ის ქრისტიანები, რომელთაც მთელი ამქვეყნიური ცხოვრება ღვთის დიდებასა და ერის სამსახურში გალიეს. მათი ცხოვრება თავის თავში იტევს ღირსი და ღმერთშემოსილი მამების, აღმსარებლებისა და მოწამეების ღვაწლს.

საქართველოს ეკლესიაში გაბრწყინებულ წმიდანთა შორის სულ ოთხი წმიდანია მართლის წოდებითა და ღვაწლით კანონიზებული. მათ შორის — ყველასათვის კარგად ცნობილი, ერის მამად და უგვირგვინო მეფედ წოდებული ილია ჭავჭავაძე და დროჟამისა და ჩვენი უდებების გამო დავიწყებული წმიდანები: იოანე, სტეფანე და ესაია ქართველები. მათ ხსენებას საქართველოს სამოციქულო ეკლესია უკვე რამდენიმე საუკუნეა აღასრულებს.

როგორც მეცნიერები და მკვლევარები ვარაუდობენ, წმიდანები იერუსალიმში მოღვაწეობდნენ და იყვნენ ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები.

წმიდა დიდებული დიდმოწამე და ძლევაშემოსილი გიორგი (+303)
10 (23) ნოემბერი

დიდმოწამე გიორგი მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებული დედა კაბადოკიიდან რომში, თავის სამშობლოში, წავიდა და იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა.

ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში განმწესდა მხედრად. ახოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) ყურადღება მიიპყრო. მან თავის პირად მცველთა რაზმის უფროსად დანიშნა წმიდა გიორგი და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა.

კერპთაყვანისმცემელმა იმპერატორმა თავისი განმგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. სენატის საბჭოზე ნიკომიდიაში მან სრული თავისუფლება მიანიჭა პროვინციის მმართველთ ქრისტეს მიმდევართა დასასჯელად და, თავის მხრივ, მხარდაჭერაც აღუთქვა.

წმიდა გიორგიმ ეს რომ შეიტყო, გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკთ დაურიგა, სენატში გამოცხადდა, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა და ყველა იქ მყოფსაც მოუწოდა, მიეღოთ ეს ჭეშმარიტი სარწმუნოება: „მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი მისი. საკუთარი ნებით წარვმდგარვარ თქვენს წინაშე, რათა ვენამო ჭეშმარიტებისათვის". — „რა არის ჭეშმარიტება?" — ჰკითხა ერთ-ერთმა წარჩინებულმა. „თავად ქრისტეა ჭეშმარიტება, დევნილი თქვენ მიერ", — იყო პასუხი.

თავისი საყვარელი მხედართმთავრის ამ კადნიერი სიტყვით თავზარდაცემულმა დიოკლეტიანემ სცადა, დაერწმუნებინა იგი, განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის. წმიდა აღმსარებელმა მტკიცედ მიუგო: „ვერავითარი ამსოფლიური დიდება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს, ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს". განრისხებული მბრძანებლის განკარგულებით მეომრები შეეცადნენ,

შუბის კვრით გაეყვანათ იგი დარბაზიდან, მაგრამ წმიდანის სხეულზე შეხებისას რკინა რბილდებოდა და იდრიკებოდა. საპყრობილეში მას ფეხებზე ხუნდები, მკერდზე კი დიდი ლოდი დაადეს და დილამდე ასე ამყოფეს.

მეორე დღეს ნაწამები წმიდა გიორგი ისევ იმპერატორს წარუდგინეს: „უმალ შენ მოუძლურდები ჩემი ტანჯვით, ვიდრე მე, შენ მიერ გვემული", — ასე პასუხობდა იგი დიოკლეტიანეს ყოველ შეკითხვას. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ. სხეულდასერილმა წმიდანმა ჯერ ხმამაღლა უხმო უფალს, შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, რომ იგი უკვე აღესრულა, ბრძანა, ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან, თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესაწირად.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ კი მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!" ბორბალთან უჩვეულო ნათლითმოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს, უთხრა: „გიხაროდენ!" — და გაუჩინარდა. წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან.

ამის მხილველმა განცვიფრებულმა მეომრებმა წმიდა გიორგი მაშინვე საკერპოში წაიყვანეს, იმპერატორთან. დიოკლეტიანემ თვალებს არ დაუჯერა, როცა საღ-სალამათი მოწამე იხილა, ვერც ქურუმმა ათანასემ დამალა გაოცება. მომხდარი სასწაულით გამხნევებულმა საიმპერატორო კარის ორმა წარჩინებულმა მოხელემ — ანატოლიმ და პროტოლეონმა, რომლებიც მანამდე მალავდნენ ქრისტიანობას, საჯაროდ აღიარეს თავიანთი სარწმუნოება და იმწამსვე დიოკლეტიანესაგან თავის მოკვეთაც მიესაჯათ. თვით დიოკლეტიანეს მეუღლე ალექსანდრაც ხმამაღლა განადიდებდა ქრისტეს და მზად იყო, გაეზიარებინა მის თვალწინ ნამებულ დიდებულთა ხვედრი, მცველებს სასწრაფოდ, ძალით რომ არ წაეყვანათ სასახლეში.

ამის შემდეგ, იმპერატორის განკარგულებით, წმიდა გიორგი ღრმა ორმოში ჩააგდეს და თავზე გამოუწვავი გახურებული კირი დააყარეს, ხოლო როცა სამი დღის შემდეგ კირი ამოიღეს და წმიდანი სრულიად უვნებელი იხილეს, იმპერატორისავე ბრძანებით, მას წვერწამახულ ლურსმნებგაჩრილი რკინის გავარვარებული ჩექმები ჩააცვეს და ცემით წაიყვანეს საპრყობილემდე.

მეორე დღეს, როცა დიოკლეტიანემ კვლავ ისურვა წმიდა გიორგის ნახვა, წამებულმა ღიმილით უთხრა, ჩექმა ძალიან მომეწონაო. ამის გამო

ისე სცემეს ხარის გამხმარი ძარღვებით, რომ წმიდანის სისხლი და ხორცი მიწას შეერია, მაგრამ მისი სიმტკიცე მაინც ვერ გატეხეს. იმპერატორმა დასახმარებლად წარმართ მოგვს, ათანასეს უხმო. ათანასემ შეზავებული სითხით სავსე ორი თასი მისცა მონამეს, პირველს მორჩილი უნდა გაეხადა იგი, მეორეს კი უნდა მოეკლა. მონამემ მშვიდად შესვა ორივე და კვლავ ადიდა ღმერთი.

მისნის რჩევით, დიოკლეტიანემ წმიდა გიორგის უბრძანა, ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მიცვალებული აღედგინა მკვდრეთით. წმიდანი საფლავთან მიიყვანეს. მან უფალს შეჰღაღადა: „უფალო იესო! წინაშე შენსა წარმომდგართ უჩვენე, რომ ერთი ღმერთი ხარ მთელი ქვეყნისა, რათა გიცნან შენ, ყოვლადძლიერი მეუფე ჩვენი“.

მიწა იძრა, საფლავი გაიხსნა და მიცვალებული მკვდრეთით აღდგა. ამ სასწაულის მოწმეებმა ერთხმად ადიდეს ღმერთი, თვით ათანასემ იმწამსვე აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება, წმიდა გიორგის დაუჩოქა და სთხოვა, ცოდვები მიეტევებინა მისთვის. გამძვინვარებულმა დიოკლეტიანემ სიკვდილით დასაჯა ათანასეც და მკვდრეთით აღმდგარი კაციც, წმიდა გიორგი კი კვლავ საპრყობილეში ჩააგდო, რათა მეორე დღესვე სიკვდილით დაესაჯა იგი, თუკი საბოლოოდ არ უარყოფდა ქრისტეს.

იმ ღამეს წმიდა გიორგის თავად მაცხოვარი ეჩვენა. უფალმა გვირგვინით შეუმკო თავი მოწამეს და უთხრა: „ნუ გეშინინ, მხნე იყავ, განძლიერდი. მალე მიხილავ და მიიღებ შენთვის განკუთვნილ ადგილს“.

დილით დიოკლეტიანემ კიდევ ერთხელ შესთავაზა წმიდა მოწამეს, თაყვანი ეცა კერპებისთვის. წმიდა გიორგი დათანხმდა მბრძანებელს აპოლონის ბომონში გაყოლაზე, ხოლო როცა გახარებულმა იმპერატორმა პატივით შეიყვანა იგი სამსხვერპლოში, წმიდანი მიუახლოვდა კერპს, ჯვარი გადასახა და ყველა კერპი დაიმსხვრა.

ხალხი აბობოქრდა. ქურუმები წმიდანის მოკვდინებას მოითხოვდნენ. ხმაურზე წმიდა დედოფალი ალექსანდრა მოვიდა. როცა ნახა, რომ წმიდა გიორგი სასიკვდილოდ მიჰყავდათ, თვითონაც აღიარა ქრისტიანობა და დიოკლეტიანესაგან სიკვდილმისჯილი, სიხარულით გაჰყვა გვერდით საყვარელ წმიდანს.

დასჯის წინ წმიდა გიორგიმ მთელი გულით შესთხოვა უფალს, შეენდო მტარვალთათვის, რომელთაც არა უწყოდნენ, რას იქმოდნენ და სთხოვა, ჭეშმარიტი რწმენის შეცნობამდე მიეყვანა ისინი, შემდეგ კი მორჩილებით მოუდრიკა ქედი ჯალათის მახვილს. იგი აღესრულა 303 წლის 23 აპრილს.

ანდერძისამებრ, წმიდა გიორგის სხეული დაკრძალეს პალესტინის ქალაქ რამლაში, კონსტანტინე დიდის მეფობის დროს კი გადაასვენეს წმიდანის სახელზე აშენებულ დიდ ტაძარში, ქალაქ ლიდაში.

წმიდა გიორგი ეწამა ოცდაათი წლის ასაკში და ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

ეკლესია წმიდა გიორგის ხსენებას დღესასწაულობს ორჯერ: 23 აპრილს (6 მაისს) — წმიდანის აღსრულების დღეს და 10 (23) ნოემბერს — მისი ბორბალზე წამების დღეს (ამ უკანასკნელ დღესასწაულს ქართული ენოდება, რადგან საქართველოდან გადავიდა სხვა ადგილობრივ ეკლესიებში).

დიდმოწამე კონსტანტი-კახი, ქართველთა მთავარი (+852) 10 (23) ნოემბერი

წმიდა დიდმოწამე კონსტანტი დაიბადა დაახ. 767 წელს. იგი ქართლში ცხოვრობდა. ზედწოდება კახი კი მისი კახური წარმომავლობის გამო ეწოდა „მამულისა მის ქუეყანისა".

დიდი სიმდიდრისა და ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთის მფლობელს, არა მარტო საქართველოში და კავკასიაში, არამედ საბერძნეთის სამეფო კარზეც კარგად იცნობდნენ, როგორც ღვთისმოშიშსა და უაღრესად ქველმოქმედ ადამიანს.

ქრისტესმოყვარე მთავარი ყველაზე ცოდვილად თვლიდა თავს და ხშირად ამბობდა: „არავინაჲ ვესავ მოტევებასა ცოდვათა, გარნა დათხევითა სისხლთა ჩემთაჲთა მისთჳს, რომელმან იგი დასთხივნა სისხლნი ჩუენთჳს".

კონსტანტის დიდი სურვილი ჰქონდა, მოელოცა იერუსალიმის წმიდა ადგილები. იერუსალიმში ჩასულმა, დიდძალი საფასე შესწირა ეკლესიებს, მოიარა იორდანეს უდაბნოები, მეუდაბნოე მამებისა და ეკლესიათა წინამძღვრებისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო და, სიხარულით აღსავსე, დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კონსტანტი ყოველწლიურად ოცდაათი ათას ვერცხლს აგზავნიდა იერუსალიმში იქაური წმიდა ადგილებისათვის.

853-854 წლებში ქართლს შემოესია არაბთა მრავალათასიანი ლაშქარი ბუღა-თურქის წინამძღოლობით. ამ ლაშქრობისას მარტო თბილისში დაიღუპა ორმოცდაათი ათასი კაცი, შემდგომ ააოხრეს ქართლი, კახეთი და მთიანეთი.

ოთხმოცდახუთი წლის მთავარი ძესთან, თარხუჯთან, ერთად ქართლის ლაშქარს ჩაუდგა სათავეში. გორის მისადგომებთან გაიმართა უთანასწორო ბრძოლა არაბთა და ქართველთა შორის. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ქართველები დამარცხდნენ. მტრებმა ტყვედ ჩაიგდეს კონსტანტი და თარხუჯი.

ქართლის ცხოვრების ამ შემზარავი ეპიზოდის შესახებ ლაკონურად და შთამბეჭდავად მოგვითხრობს ატენის სიონის წარწერა: „თთუესა

აგუსტოსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქრონიკონსა ოგ-სა, ისმაიტელთა წელსა სლთ-სა ქალაქი თბილისი დაწუა ბულა და შეიპყრა ამირაჲ საჰაკ და მოკ-ლა და მასვე თთუესა აგუსტოსა კვ-სა, დღესა შაბათსავე ზირაქ შეიპყრა კახაჲ და ძე მისი თარჯუჯი".

ტყვეექმნილი კონსტანტი მთავარი ბულა თურქს წარუდგინეს. მან გაკვირვებით ჰკითხა კონსტანტის: „ანუ არა უწყოდეა შენ, რამეთუ ვერ განრინებად იყავ სივლტოლითა შენითა ჴელთაგან ჩემთა... აჰა ესერა მოგუცნა თქუენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად ჴელთა ჩუენთა". წმიდა კონსტანტინმ მშვიდად მიუგო: „ღმერთმან მოგუცნა ჴელთა თქუ-ენთა არა სიყუარულისა თქუენისათჳს, არცა საქმეთა თქუენთათჳს, არა-მედ რამეთუ არა დავიმარხენით ჩუენ მცნებანი მისნი, ამისათჳსცა ნათე-სავითა მით ურჩებისაჲთა განგუკაფნა ჩუენ". მორჩილი და მონანული მთავარი ხედავდა, რომ ქართველთა ცოდვები იყო მიზეზი ქვეყნის უბე-დურებისა. საპყრობილეში მყოფი წმიდანი მხნედ იტანდა განსაცდელს. იგი მეუდაბნოე მამებსა და ეკლესიათა წინამძღვრებს წერილებს სწერდა და სთხოვდა, ელოცათ მისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ ბორკილდადებული კონსტანტი-კახი ბაბილონის ქალაქ სამარაში გაგზავნეს ხალიფა ჯაფართან. ჯაფარმა იცოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პიროვნება იყო იგი ქართველთათვის და სრუ-ლიად საქრისტიანოსათვის, თავაზიანად მოიკითხა და შესთავაზა სარ-წმუნოების გამოცვლა; სანაცვლოდ პატივსა და დიდებას დაჰპირდა, თან დაემუქრა: „უკეთუ არა ისმინო ჩემი, სიკვდილითა მოჰკვდე შენ პირითა მახვილისაჲთა და ჴორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინ-ველთა ცისათა".

ქრისტეს მიერ განმტკიცებულმა მხცოვანმა მთავარმა თამამად უთხრა: „არა მეშინის მე მახჳლისაგან შენისა, არამედ მისა მეშინის, რომელი-იგი შემძლებელ არს მოწყუედად სულისა და ჴორცთა და კუალად ჴელმწიფებაჲ აქუს განცხოველებად, ვითარცა იგი მოსიკუდიდ, ამისთჳსცა სიხარულით მოვითმენ სახელისა მისისათჳს, რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი, ძლიერი ჴელმწიფე და მთავარი მშჯდობისა, მამა მერმეთა მათ საუკუნეთა".

ამის გამგონე ჯაფარმა დილეგში ჩააგდებინა წმიდა კონსტანტი; შემდგომ მიუგზავნა სარწმუნოების უარმყოფელი და ხალიფასგან განდიდებული ორი სომეხი დიდებული. წმიდა კონსტანტინემ სომხებს მიუგო: „ესრე არქუთ მეფესა თქუენსა: ნუ ჰგონებ რასა ესევითარსა საქმესა ჩემგან, დალაცათუ ჩვეულებაჲ მეფეთაჲ ბაბილოვნისათაჲ გაიძულებს შენ, რამეთუ იგინიცა წინაალმდგომ იყვნეს ჭეშმარიტებისა, არამედ ბრძანე შენ ყოფად, რაჲ იგი გეგულების ყოფად, იქმოდე. ხოლო

თქუენ რაჲსაღა ზედამდგომელობთ და დამესხმით, ვითარმცა მეცა თქუენ გემსგავსე? ამიერითგან განმეშორენით ჩემგან, რაჲთა გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი". შემდეგ აღაპყრო ხელნი და ლოცვა დაიწყო: „გიგალობ შენ, უფალო ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინააღდგომად უკეთურისა ამის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინაჲსწარ სთქუ, ვითარმედ: „თქუენ მომცენით გულნი თქუენნი და მე მიგეც ძალი ჩემი". ღირს მყავ მე ნათელსა პირსა შენისასა, რამეთუ შენდა მოვივლტი ქრისტე, ძეო ღმრთისაო". ლოცვად მდგარ წმიდა კონსტანტინეს „ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოდიოდეს თვალთაგან მისთა... ხოლო გარემოს მდგომარენი იგი მისნი სცემდეს პირსა მისსა და მრავლითა ტანჯვითა სტანჯვიდეს მას, არამედ ენაჲ მისი ვერ დააბრკოლეს გალობად".

ხალიფამ ჯალათებს უბრძანა, თავი მოეკვეთათ წმიდა კონსტანტისთვის. უცხოთესლმა ლოცვად დამდგარ მარტვილს თავი მოჰკვეთა და „მიართუა მეფესა თჳსსა, ვითარცა იგი თავი იოანე ნათლისმცემელისაჲ ჰეროდეს". ეს მოხდა 10 ნოემბერს, წმიდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს.

წმიდანის გვამი მაღალ ძელზე დაჰკიდეს ხალხის დასაშინებლად, შემდგომ კი დამარხეს. რამდენიმე წლის შემდეგ ქართველებმა წმიდა კონსტანტი-კახის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს.

დიდმოწამე მიქაელი, რომელსა ეწოდა გობრონ და ასოცდაცამეტნი მხედარნი მისნი (+914) 17 (30) ნოემბერი

არაბებმა 914 წელს უკანასკნელად დალაშქრეს ამიერკავკასია. ამირა-მუმნის ურიცხვ ლაშქარს სარდლობდა აბულ-კასიმი. სარკინოზებმა მოსრეს „ყოველი სომხითი, სიგნეთი, ვაეძორი, ასფურაგანი“.

სომხეთიდან აბულ-კასიმი „სპითა დიდითა და ურიცხჳთა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა“, საქართველოს შემოესია.

თბილისში ამირად იჯდა ჯაფარ, ძე ალისი. მან კეთილად მიიღო მრისხანე თანამემამულე. აბულ-კასიმი აქედან კახეთს გადავიდა და მრავალდღიანი ალყის შემდეგ მოაოხრა უჯარმა. ბოჭორმელებმა თვითონ დატოვეს ციხე და გაიქცნენ.

კახეთის ერისთავმა კვირიკე ქორეპისკოპოსმა დაზავება შესთავაზა აბულ-კასიმს. სარდალმა მიიღო სარფიანი გარიგება და კვლავ ქართლს შეესია. უფლისციხე თავად ქართველებმა დაარღვიეს, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში. სარკინოზები სამცხეს და ჯავახეთს მოედვნენ, თმოგვის ციხეზე მიიტანეს იერიში, მაგრამ ვერ აიღეს და, უკან გაბრუნებულებმა, ყველის ციხეს შემოარტყეს ალყა.

იმჟამად ყველისციხის მეპატრონე იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავი. ციხე კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ მეციხოვნენი შიგ ცოტანი იყვნენ. „ბრძოლასა მას ფიცხელსა მჴნე იქმნნეს ციხოანნი იგი და დაჴოცდეს მბრძოლთა მათ და დაჰყრიდეს ჴორცთა მათთა, ვითარცა სკორეთა ქუეყანისათა“. მებრძოლთა შორის გამოირჩეოდა ნეტარი გობრონი: „ძალი ბრძოლისა მისისაჲ ყოველსა მას სიმრავლესა ზედა საცნაურ იყო“.

ოცდარვა დღე გაგრძელდა ბრძოლა. ხან სარკინოზებს მიჰქონდათ იერიში ციხეზე, ხან მეციხოვნენი გამოუხდებოდნენ მტერს გობრონის მეთაურობით, რისხვას დაატეხდნენ მას თავს და კვლავ ციხეს უბრუნდებოდნენ.

მტრებმა უკანასკნელი იერიში მიიტანეს ყველისციხეზე, აიღეს იგი და შეიპყრეს ცოცხლად დარჩენილი მეციხოვნენი, მათ შორის გობრონიც. ქართველი მეომრის ვაჟკაცობით გაოცებულმა აბულ-კასიმმა ბრძანა „ნეტარისა გობრონისი უმეტეს ყოველთასა კრძალვით პყრობაჲ“.

ადარნასე მეფემ დიდძალი საფასი გადაიხადა და პყრობილთა ნაწილი გამოიხსნა. მათ შორის არ იყო გობრონი, რადგან არაბებმა მის განთავისუფლებაზე უარი განაცხადეს. ქართველმა რაინდმა განჭვრიტა თავისი მომავალი და „განუმზადა თავი თჳსი ქრისტესთჳს სატანჯჳელთა".

სარკინოზებმა დასასჯელად გაიყვანეს გობრონთან ერთად შეპყრობილი ას ოცდაცამეტი მხედარი, „ვითარცა მჴეცნი ბოროტნი განძჳნებულნი შეერინეს აღრეულად და ურთიერთსა უსწრობდეს, რომელნიმე მახჳლითა სცემდეს, რომელნიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩხუეპდეს და დასჭრიდეს, ჴორცთა მათთა დანებითა განაპებდეს და ღჳძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა, პირითა გაეტაცა".

აბულ-კასიმმა გადაწყვიტა, უძლეველი რაინდი ცთუნებით ეძლია და ნეტარ გობრონს უთხრა: „მენყალის მე სიკეთე სიჭაბუკისა შენისაჲ და მშურს სიკუდილისათჳს მჴედრობაჲ შენი, რომელი სახელოვან ხარ წინაშე ჩუენსა და აწ ვითარცა შვილსა საყვარელსა გასწავებ შენ, დაუტევე უგუნურებისა შენისა შჯული, რომლითა ვერა ირგეს მოყუასთა შენთა და აღიარე ჭეშმარიტი შჯული ჴელმწიფებისა ჩუენისაჲ". სამაგიეროდ სარდლობას, სასახლეებს, დარბაზებს და მონებს შეჰპირდა.

წმიდა გობრონმა მშვიდად მიუგო ამირას: „გევედრები, ჴელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატევებად ქრისტეანობისა, რომლითა აღმზარდეს მე მშობელთა ჩემთა და აღბეჭდილ ვარ სულითა წმიდითა... ჭეშმარიტად უწყოდე შენ, რამეთუ არცა კეთილთა შენთა აღთქუმითა, არცა ძკრძკრთა ბოროტთა შენთა ჩემ ზედა მოწევნითა შემიძლო განყენებად უფლისა ჩემისა იესო ქრისტესა".

წმიდანის პასუხით განრისხებულმა აბულ-კასიმმა ბრძანა, გარეთ გაეყვანათ გობრონი და ეჩვენებინათ ცალკერძ დახოცილი თანამებრძოლები, ცალკერძ — აღთქმული სიმდიდრენი: „ვინ უწყის, უკუე შიშმან სიკუდილისამან, ანუ შესაძინელმან კეთილისამან მოდრიკოს გული მისი". უკან მობრუნებულმა გობრონმა ამირას შეკითხვაზე — „რაჲ გამოირჩიე თავისა შენისა?" — უპასუხა: „მე პირველადვე გითხარ შენ არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან".

ამირამ უარესი განსაცდელი მოუმზადა წმიდანს: „არა იცის მაგან ჭირი სიკუდილისაჲ, წარიყვანეთ ეგე და წარწყმიდენით მაგის წინაშე დარჩომილნი ქრისტეანენი და მცირედ წყალით ეგე და კუალად მოიყვანეთ".

წმიდანი ცოცხლად გადარჩენილ მოყვასთა შორის დააყენეს და უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს. დახოცილთა სისხლი ეპკურებოდა გობრონს, გვამები ფეხებთან უგორდებოდა, მაგრამ საშინელებამ ვერ შეაძრწუნა მისი გული. მაშინ ქედი გადაუდრიკეს წმიდანს, ორგზის სცეს მახვილი და მსუბუქად დაჭრეს. გობრონმა სისხლით ჯვარი გამოისახა

შუბლზე და თქვა: „გმადლობ შენ, უფალო იესო ქრისტე, რომელმან ღირს მყავ მე, ულირსი ესე და ცოდვილი და უკანაჲსკნელი ყოველთაჲ, ნაწილსა ამას მკჳდრობისასა და მოწამებისასა“.

სარკინოზებმა კვლავ აბულ-კასიმს მიჰგვარეს წმიდა გობრონი. ამირამ უკანასკნელად სცადა წმიდანის მოდრეკა, მაგრამ სისხლმდინარე მოწამემ მტკიცედ მიუგო: „იქმოდე, რაჲცა გნებავს, მე ქრისტეანე ვარ და არასადა უარ ვყო სახელი მისი“. მოთმინებადაკარგულმა აბულ-კასიმმა ბრძანა, თავი წარეკვეთათ წმიდანისთვის და მოკლულებთან დაეგდოთ.

ამირას ბრძანებით სამი დიდი საფლავი გათხარეს, მოწამეთა გვამები შიგ ჩაყარეს, მიწა მიაყარეს და ქრისტიანებს მათთან მიახლოება აუკრძალეს. საფლავებს ღამღამობით ზეციური ნათელი ადგებოდა.

ღირსი ილარიონ ქართველი, საკვირველთმოქმედი (+875)
19 (2.12) ნოემბერი

ღირსი მამა ილარიონი კახელი აზნაურის შვილი იყო, დონაურთა გვარიდან. ექვსი წლის ყრმა სასწავლებლად ღირსეულ და ღმრთისმოყვარე ბერს მიაბარეს. ილარიონი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა. როცა მამამ იხილა შვილის გულმოდგინება და ღვთის სიყვარული, იქვე, სოფელში, ააშენა მონასტერი.

თოთხმეტი წლის ილარიონმა გადაწყვიტა, განრიდებოდა მამის ზედმეტ ყურადღებას, დატოვა მონასტერი, გარეჯის უდაბნოს მიაშურა, ჰპოვა პატარა გამოქვაბული და იქ დაეყუდა.

ილარიონი საოცარ მოღვაწეობას შეუდგა. „მარხვითა და მღკძარებითა ჰასაკსა მას სიჭაბუკისასა დააჭკნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უჴორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრეღა წარემატებოდა მოღუაწებითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა, რამეთუ ყოველთავე უკჳრდა ეგეოდენი შრომაჲ მისი და მოთმინებაჲ“.

ახალგაზრდა მონაზონმა მეუდაბნოეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. „აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა და შეუვრდებოდეს მას, რათა იყოფებოდიან მის თანა“. ასე დაემკვიდრნენ ღირს ილარიონთან „ათერთმეტნი ძმანი მოღუაწენი მშჳდნი და მდაბალნი“.

ანგელოზებრ მმარხველი და დაუცხრომლად მლოცველი ბერის ამბავი მთელმა ქართლმა და კახეთმა გაიგო. მის სანახავად, ლოცვა-კურთხევისა და რჩევა-დარიგების მისაღებად უამრავი ხალხი მიდიოდა. როდესაც მასთან მისულმა რუსთველმა ეპისკოპოსმა ფერმკრთალი, თავმდაბალი, შეურაცხ სამოსელში ჩაცმული ბერი იხილა, მოწიწებით სთხოვა, მისი ხელიდან მიეღო მღვდლობის პატივი. მიწიერი დიდების უარმყოფელი ილარიონი ევედრებოდა მღვდელმთავარს, არ დაემძიმებინა იგი მღვდლობის პატივით, მაგრამ ბოლოს მაინც დაემორჩილა.

კურთხევის შემდეგ ახალი დიდებით შეიმოსა ღირსი მამის სახელი. მან გადაწყვიტა, განრიდებოდა სამშობლოს, მონასტრის წინამძღვრად

ერთი ძმათაგანი დატოვა, თვითონ კი იერუსალიმს გაემგზავრა წმიდა ადგილების მოსალოცად.

გზაში ღირს ილარიონს ავაზაკები დაესხნენ თავს და მახვილები იშიშვლეს მის მოსაკვდინებლად. მოულოდნელად მათ ხელები გაუშეშდათ. შეშინებული და გაოცებული ავაზაკები მიხვდნენ, რომ ღვთის სასჯელი დაატყდათ თავს, ფეხებში ჩაუვარდნენ წმიდანს და შენდობა სთხოვეს.

წმიდა მამამ ჯვარი გადასახა ავაზაკებს, განკურნა და მშვიდობით განუტევა. განკურნებულებმა კვლავ შენდობა ითხოვეს ღირსი მამისგან, ერთმა მათგანმა კი თაბორის მთამდეც გააცილა წმიდანი.

ილარიონმა მოილოცა იერუსალიმი, შემდეგ იორდანეს უდაბნოს მიაშურა და ერთ გამოქვაბულში დაეყუდა (გადმოცემით, ეს იყო ის გამოქვაბული, სადაც თავს აფარებდა წმიდა ელია თეზბიტელი (ხს. 20 ივლისს). ერთ ღამეს მან ჩვენებით იხილა, თითქოს ზეთისხილის მთაზე, სადაც უფალი დიდებით ამაღლდა, თორმეტი კაცის თანხლებით მდგარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წინაშე წარდგა და მარადის ქალწულმა უთხრა: „ჰოჲ, ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა და უმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა". გამოღვიძებისთანავე წმიდა ილარიონმა გულისხმაჰყო ჩვენება, მადლობა შესწირა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და სამშობლოში გამოეშურა.

საქართველოში დაბრუნებულ ღირს ილარიონს მამა და ძმები აღსრულებული დახვდა. დედამ მამის მთელი საგანძური შვილს გადასცა და უთხრა: „წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო გიჩნს". ნეტარმა ილარიონმა დედათა მონასტერი ააშენა, შესწირა მას სოფლები და განუჩინა წესი, შემდეგ სამოცდათექვსმეტი ღირსი და მოღვაწე ბერი შეკრიბა და მამათა მონასტერიც ააგო, დანარჩენი ქონება კი გლახაკებს და უპოვრებს გაუნაწილა.

კეთილისმოძულე ეშმაკმა ღირსი მამის ბიძა აღძრა მონასტრის დასაწვავად და მოძღვრის მოსაკლავად. ილარიონის ბიძას ეგონა, რომ ნათესავის ქონება თვითონ დარჩებოდა, მაგრამ როცა კეთილი ბერის ხელგაშლილობა იხილა, გაცოფდა და ერთ დღეს მონასტრის კარებზე ნახშირით მიაწერა: „ესრეთ იხილონ ყოველთა ესე მონასტერი სამ დღემდე". განთიადისას მამა ილარიონმა იხილა წარწერა და დიდად შეწუხდა ბიძის სულის წარწყმედის გამო. მთელი ღამე ლოცულობდა და მხურვალედ ევედრებოდა უფალს განსაცდელის თავიდან აცილებას. როცა თვალი მილულა, მას გამოეცხადა ბრწყინვალე კაცი, რომელმაც უთხრა: „ნუ გეშინინ, ჰოჲ ილარიონ, რამეთუ დღესვე განისწავლოს მტერი იგი შენი და შეგივრდეს ფერჴთა შენთა". მართლაც, როცა გათენდა, ილარიონის ბიძა მიწაზე დაეცა, გორავდა და საოცარი ხმით გოდებდა.

მსახურებმა წმიდანს მიჰგვარეს ბოროტისაგან გვემული. წმიდა ილარიონმა მას ჯვარი გადასახა და განკურნა. ბიძა გონს მოეგო, სინანულით ატირდა, აღსარება თქვა, მთელი ქონება მონასტერს შესწირა და თვითონაც მონაზვნად აღიკვეცა.

წმიდა ილარიონის სახელი მთელს საქართველოს მოედო, მრავალს სურდა, ეხილა წმიდა ბერი და მისი რჩევა-დარიგება მიეღო. მალე მისი ეპისკოპოსად კურთხევაც განიზრახეს. მყუდროებისმოყვარე ღირსმა მამამ გაიფიქრა: „დიდებაᲲ ესე ამის სოფლისა მომატყუებელ არს საუკუნოისა მის შეურაცხებისა", მონასტრის ძმათაგან ერთი სიბრძნითა და სიწმიდით გამორჩეული ბერი დაადგინა სავანის წინამძღვრად, უფალს შეავედრა ყველა და ორ ძმასთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემართა.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ილარიონმა და მისმა თანამგზავრებმა ულუმბოს მთას მიაღწიეს, ერთი მცირე მიტოვებული ეკლესია იპოვეს და შიგ დაბინავდნენ.

ყველიერის შაბათის მწუხრზე დიდი ლავრიდან ერთი ბერი მივიდა კანდელის ასანთებად, ნახა ეკლესიას შეხიზნული ძმები და მცირეოდენი საჭმელი მიუტანა.

შემდგომ შაბათს, წმიდა თეოდორე ტირონის ხსენების დღეს, მოწესე ისევ მივიდა პატარა ეკლესიაში და ნახა, რომ ძმებს მთელი კვირა უჭმელად გაეტარებინათ, მხოლოდ მცირედი ცერცვი ეხმიათ. ბერმა წმიდა ილარიონს ჰკითხა, რა სჭირდებოდა. მან მხოლოდ სეფისკვერი და ზედაშე ითხოვა. დიდი ლავრის მამასახლისმა გაიგო, რომ ეკლესიაში ვიღაც უცხო და ბერძნული ენის უმეცარმა კაცმა სწირა, გულისწყრომით აღივსო და იკონომოსსა და რამდენიმე ძმას უბრძანა, უცხოები მონასტრის ტერიტორიიდან გაეძევებინათ.

ეკლესიაში მისულ იკონომოსს წმიდა ილარიონი ბერძნულად გამოელაპარაკა და ღამის გათენების ნებართვა სთხოვა, თან აღუთქვა, რომ მეორე დილით ეკლესიას დატოვებდა.

იმ ღამეს მამასახლისმა ჩვენება იხილა: ყოვლადწმიდა ქალწული რისხვით დაადგა თავს და უთხრა: „ჰოᲲ, უბადრუკო, რაᲲსა ინებე განძებაᲲ უცხოთაᲲ მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათჳს ძისა და ღმრთისა ჩემისა და დაუტევებია ქუეყანაᲲ მათი და არა დაიმარხე მცნებაᲲ იგი უცხოთა და გლახაკთა შეწყნარებისათვის, ვითარ-იგი ეტყჳს მდიდარსა მას უფალი ჩემი და ძე ჩემი. ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკჳდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხორებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათჳს მათისა,

ვინაჲთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისაჲ და ნათელ იღეს". შეშინებული მამასახლისი ფეხებში ჩაუვარდა წმიდა ილარიონს, კადნიერებისთვის შენდობა სთხოვა და შეევედრა, დარჩენილიყო და ყოვლადწმიდა დედოფლის რისხვა აერიდებინა მისთვის.

წმიდა ილარიონი ხუთი წელი ცხოვრობდა ულუმბოს მთაზე, შემდეგ კონსტანტინოპოლში წავიდა, მოილოცა წმიდა ადგილები და რომს გაეშურა წმიდა პეტრე და პავლე მოციქულთა საფლავების თაყვანსაცემად.

რომს მიახლოებულმა ილარიონმა ვენახის ძირთან მჯდარი დავრდომილი ნახა და ერთი მტევანი ყურძენი სთხოვა. დავრდომილმა უთხრა: აჰა, მამაო, ვენახი, რაც გსურთ, მიირთვით, მე კი „ვერ შემძლებელ ვარ აღდგომად ცოდვათა ჩემთაგან".

ღირს ილარიონს შეეცოდა დავრდომილი, ილოცა და ავადმყოფს უთხრა: „აღდეგ, ძმაო, უფალსა უბრძანებიეს და ჴელითა შენითა მომართუ ნაყოფისაგან სამოთხისა მაგის". განკურნებული კაცი მყისვე წამოდგა, ვენახში შევიდა და მტევნით გამოვიდა, მაგრამ წმიდა ილარიონი იქ აღარ დახვდა. ვენახის პატრონი ქალაქისკენ წავიდა თავისი კეთილისმყოფლის მოსაძებნად, თან ყველას უყვებოდა სასწაულს.

წმიდა ილარიონი ორი წელი ცხოვრობდა რომში ანგელოზებრივი ცხოვრებით. შემდეგ კვლავ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა.

გზად წმიდა ილარიონმა თესალონიკში გაიარა, თაყვანი სცა წმიდა დიდმოწამე დიმიტრის (ხს. 26 ოქტომბერს) სამარტვილეს და ქალაქის მთავრის კართან შეისვენა. სახლიდან მხევალმა ოთხი წლის დამბლადაცემული ყრმა გამოიყვანა და მზის გულზე დაანვინა. ღირსმა მამამ ქალს წყლის მოტანა სთხოვა. როცა ქალი წავიდა, წმიდა ილარიონმა ჯვარი გადასახა ყრმას და თქვა: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ ცოცხლებით". ყრმა სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე და დედასთან გაიქცა. წმიდა ილარიონი კი იქაურობას გაშორდა, რომ არავის ეხილა.

როცა განკურნებული ყრმის მამამ, ქალაქის მთავარმა, ეს სასწაული იხილა, ბრძანა, ჩაეკეტათ ქალაქის კარები და ეძებნათ სასწაულთმოქმედი, რომ თაყვანი ეცათ მისთვის. მართლაც, მოძებნეს წმიდა ილარიონი, ფეხებში ჩაუვარდნენ და ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვეს. შემდეგ მთავარი შეევედრა წმიდანს, თესალონიკში დარჩენილიყო და სამოღვა-წეო ადგილი თვითონ აერჩია.

წმიდანმა მთავრის ღვთისმოყვარება რომ იხილა, თხოვნა შეუსრულა — სამოღვაწეოდ გამოირჩია მყუდრო ადგილი, სადაც მთავარმა ეკლესია ააშენა.

მთელმა თესალონიკმა გაიგო წმიდა ილარიონის მოღვაწეობის ამბავი,

მრავალი მოდიოდა მასთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად თუ ღვთივსულიერი საუბრის მოსასმენად. მისმა სათნო ცხოვრებამ ბევრს გაუღვიძა საღვთო შური და ღირსი მამის ხელით მონაზვნობა მიიღო.

ერთხელ წარმართებმა ერთი თესალონიკელი დიაკონი შეიპყრეს. ტყვექმნილი ღვთისმსახური ლოცვით შეევედრა წმიდანს შეწევნას. იმავე ღამეს დიაკონს ძილში წმიდა ილარიონი ეჩვენა და უთხრა: „აღდეგ, ჰოჲ, დიაკონ და ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ, რომელსა იგი მევედრებოდე". გამოღვიძებულმა დიაკონმა იხილა, რომ ბორკილებისგან განთავისუფლებულიყო, შეუმჩნევლად გაიარა წარმართთა შორის და თესალონიკში ჩავიდა. ქალაქში ჩამოსვლისთანავე მან წმიდანი მოინახულა და ფეხებში ჩაუვარდა მადლიერების ნიშნად. წმიდა ილარიონმა უთხრა: „შვილო! ენება ღმერთსა ჴსნაჲ შენი. ამისთჳსცა ანგელოზი თჳსი მოავლინა ხატითა ჩემითა, ვინაჲთგან შენ სარწმუნოებით ჩემ ცოდვილისა სახელსა ხადოდე და გამოგიჴსნა მწარისა ტყუეობისაგან. ამისთჳსცა ჰმადლობდი ღმერთსა მოქმედსა საკჳრველებათასა".

წმიდა ილარიონმა მთელი ცხოვრება თესალონიკში გაატარა. თავისი აღსასრული მას წინასწარ ეუწყა უფლისგან, ქალაქის მთავარი დაიბარა, მადლობა უთხრა ყველაფრისათვის და ანდერძად გლახაკთა და მონაზონთა სიყვარული, სამართლიანობა და მოწყალება დაუტოვა.

დამწუხრებულმა მთავარმა მარმარილოს ლუსკუმა გაამზადებინა წმიდანის ნეშტისათვის. წმიდა ილარიონის სამარხთან სარწმუნოებით მისულნი ყოველგვარი სენისგან იკურნებოდნენ. ამ სასწაულების შესახებ ბიზანტიის კეისარს, ბასილი მაკედონელს (867-886), აცნობეს თესალონიკის მთავარმა და მთავარეპისკოპოსმა. კეისარმა ულუმბოდან მასთან ჩასულ მამებს თესალონიკის ამბები მოუთხრო. მამათა შორის ის მამასახლისიც აღმოჩნდა, რომელმაც წმიდა ილარიონის განდევნა დააპირა ულუმბოს მთიდან, იგი დაწვრილებით მოუყვა კეისარს ნანახსა და გაგონილს. ბასილი დაინტერესდა ილარიონის თანამემამულე მონაფეებით. მას მიჰგვარეს სამი მოხუცებული ბერი. მამების სიწმიდით გაკვირვებულმა კეისარმა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაგზავნა ისინი ლოცვა-კურთხევისათვის.

პატრიარქმა ძმური სიყვარულით მოიკითხა სტუმრები, აკურთხა და მათი ლოცვაც მიიღო. ის მიხვდა, რომ ამ სამ მოხუცში დიდი მადლი ტრიალებდა და კეისარს ურჩია, პატივი მიეგო მათთვის.

კეისარმა წმიდა ილარიონის მონაფეებს შესთავაზა: „გამოირჩიენ ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაც გენებოს, თქუენთჳს და ნათესავისა თქუენისათჳს". მამებმა უარი შეჰკადრეს, რადგან სხვის აშენებულში დასახლება არ იყო მართებული. მაშინ ბასილი კეისარმა

თვითონ შეარჩევინა მამებს სამონასტრო ადგილი და მალე დიდი ტაძარი ააშენა. იქვე თავისთვის ერთი სენაკიც მოინყო: „ესე იყოს საყოფელი ჩემი მახლობელად ღირსთა ამათ მამათა, რაჲთა ლოცვითა მათითა ინებოს ღმერთმან ჴსნაჲ ჩემი მოსაგებელისაგან ცოდვათა ჩემთაჲსა". მონასტერს რომანა-წმიდა უწოდეს. კეისარმა თავისი ორი ძე, ლეონი და ალექსანდრე, მიჰგვარა ღირს მამებს აღსაზრდელად.

ბასილი კეისარმა წმიდა ილარიონის ნაწილების გადასვენება ინება სატახტო ქალაქში, თესალონიკში თავისი ხალხი გაგზავნა და თან წერილიც გააყოლა: „ბასილი მეფე, ცოდვილი მონაჲ ცათა მეუფისაჲ, გევედრები, წმიდაო მამაო ილარიონ, აღმოვედ ქალაქად სამეუფოდ, დაღაცათუ არა ღირს ვიქმენ პირისპირ ხილვად შენდა, გარნა აწ ღირს მყავ ამბორისყოფად წმიდათა ნაწილთა შენთა და იხაროს ქალაქმან ამან სამეუფომან შემთხუევითა მათითა და მადლი შენი იყავნ ჩუენ თანა, ამინ".

თესალონიკელები არ დათანხმდნენ წმიდა ილარიონის ნაწილების მიცემაზე. კეისრის კარისკაცები იძულებულნი გახდნენ, ღამით მალულად გაეხსნათ ლუსკუმა და წმიდანის ნაწილები ჩუმად წაესვენებინათ.

კეისარმა, პატრიარქმა, მთელმა ერმა გალობით, ლიტანიობით, საკმევლის კმევით მიიღეს წმიდა ილარიონის ნაწილები. კეისარმა ის დროებით თავის პალატში დაასვენა, სანამ განსაკუთრებულ საძვალეს ააშენებდა მისთვის.

მესამე ღამეს მეფე კეთილსურნელებამ გამოაღვიძა. როცა მეფემ კვლავ მილულა თვალები, სამღვდელო სამოსელში ჩაცმული წმიდა ილარიონი გამოეცხადა და უთხრა: „კეთილად ჰყავ შეწყნარებაჲ ჩემი, ჰოჲ, მეფე, უცხოჲსა ამის და გლახაკისაჲ, გარნა სულნელებაჲ ესე, რომელ იყნოსე, არა მომიგიეს მე იგი ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა. აწ უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულებით მადლი გაქუნდეს, წარმიყვანე მე უდაბნოსავე ადგ̇ილსა".

კეისარმა პატრიარქს და მთავრებს აუწყა ყოველივე, შემდგომ დიდი პატივით წაასვენა წმიდა ილარიონის ნაწილები რომანა-წმიდის მონასტერში და მის მონაფეებს ჩააბარა.

მღვდელმონამე გრიგოლი (ფერაძე) (+1942)
23 (6.12) ნოემბერი

წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე) 1899 წლის 31 აგვისტოს დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში. მისი მამა, რომანოზი, მღვდელი იყო. გრიგოლმა დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი და სასულიერო სემინარია დაამთავრა თბილისში 1918 წელს, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1921 წლიდან მუშაობდა მასწავლებლად. მალე საქართველოს ეკლესიის მიერ გაიგზავნა გერმანიაში, სადაც შემდგომში ღვთისმეტყველებას ეუფლებოდა. 1922-25 წლებში ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდა თეოლოგიას და აღმოსავლურ ენებს. 1925 წელს გადავიდა ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის — „სამონასტრო საწყისების საკითხები საქართველოში". ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე 1927 წლამდე განაგრძობდა ღვთისმეტყველების შესწავლას — ლექციებს ისმენდა ლიოვაიანეს უნივერსიტეტში.

1927 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას ინგლისში, სადაც გაეცნო ბრიტანეთის მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულ ეკლესიის მამათა თხზულებების უძველეს ხელნაწერებს. 1927 წლის ივლისში იგი დაინიშნა ბონის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე, სადაც დაევალა ლექციების კითხვა ძველ ქართულ და სომხურ ლიტერატურაზე. ლექციებს კითხულობდა 1932 წლამდე. ამავე წელს იგი მიიწვიეს ოქსფორდში ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე ლექციების წასაკითხად. 1931 წელს მონაზვნად აღიკვეცა, მღვდელ-მონაზვნის ხარისხიც მიიღო და პარიზის ქართულ ეკლესიაში დაინიშნა მოძღვრად.

1932 წლიდან მის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო — აირჩიეს მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის პროფესორად ვარშავაში.

მამა გრიგოლი ცხოვრების ძნელ წუთებში ხშირად იმეორებდა წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვებს: „გმადლობ, უფალო, ყველაფრისათვის".

წმიდანის უდიდესი ცოდნა შერწყმული იყო ღრმა რწმენასთან. მისი ლექციები გამსჭვალული იყო ეკლესიის მამების შემოქმედებითი სუ-

ლით. ფიქრებით იგი ხშირად გადადიოდა იქ, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისინი. მამა გრიგოლი ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებსა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში. მთელ თავის სახსრებს იგი ახმარდა სირია-პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, ავსტრიაში, რუმინეთში, იტალიასა და ინგლისში ქართული საეკლესიო ხელნაწერებისა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ცნობების მოძიებას. მისი შრომითა და ღვაწლით ბევრი ქართული ხელნაწერი იქნა აღმოჩენილი.

ქართულმა საზოგადოებამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არაფერი იცოდა მისი ნაშრომებისა და მოღვაწეობის შესახებ, არ იცოდა, რომ უღვთო ხელისუფლებისაგან გადასარჩენად საზღვარგარეთ გატანილი, წმიდა ექვთიმე ღვთისკაცისთვის (თაყაიშვილის) მიბარებული საქართველოს ეკლესიის განძეულობა, როდესაც მას შენახვის ვადა გაუვიდა, ფაშისტების კონფისკაციას მამა გრიგოლის წყალობით გადაურჩა. მან, როგორც ექსპერტმა, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, დასკვნაში აღნიშნა,რომ იგი არავითარ მატერიალურ ფასეულობას არ წარმოადგენდა და მხოლოდ ეროვნული ღირებულება ჰქონდა; ქართულმა საზოგადოებამ არც ის იცოდა, რომ მისი დაარსებულია წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია პარიზში და სამრევლო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“.

1942 წლის მაისში მამა გრიგოლი ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა. მის ბინაზე ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც გაქრა ის ძვირფასი ძველი ხელნაწერები,რომლებზეც იგიმუშაობდა,ასევეძვირფასი საეკლესიონივთები.

დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ მამა გრიგოლი ეხმარებოდა და იფარებდა ფაშისტებისგან დევნილ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. გრიგოლ ფერაძე ჩასვეს პავიაკის ციხეში (ვარშავაში). ამავე წლის ოქტომბერს გადაიყვანეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. ოფიციალური გერმანული ცნობების თანახმად, გრიგოლ ფერაძე აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 საათსა და 45 წუთზე. ესაა ოსვენციმის ბანაკის ადმინისტრაციის მიერ 1942 წლის 30 დეკემბერს გაცემული ცნობა, ხოლო ოსვენციმში პოლონეთის იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლის ჩანაწერში, რომელიც 1942 წლის დეკემბრის ამბებს შეეხება, აღნიშნულია: „ბანაკი ოსვენციმი. აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე, პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი, ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი“.

მამა გრიგოლ ფერაძის სიკვდილის გარემოებასთან ახლოს იყვნენ საკონცენტრაციო ბანაკის ის პატიმრები, რომლებიც განთავისუფლების შემდეგ, 1945 წელს, მიდიოდნენ ვარშავის საპატიმროში და მოჰქონდათ ამბავი მისი მოწამეობრივი აღსასრულისა. როგორც ირკვევა, არქიმანდრიტმა თავს იდო სხვისი დანაშაული, რის გამოც გაზის კამერაში მოაკვდინეს.

მღვდელმონამე აბიბოს ნეკრესელი (VI)
29 (12.12) ნოემბერი

წმიდა აბიბოს ნეკრესელი საქართველოში ჩამოვიდა VI საუკუნეში ცამეტ ასურელ მამასთან ერთად. ისინი უშუალოდ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხა და გამოაგზავნა. მათ ცხოვრებაში სწერია, რომ ისინი იყვნენ „ღმრთისა სათნონი ნათელნი სოფლისანი, ჭურნი რჩეულნი სავსენი ნელსაცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონნი უცთომელნი მონოზონებისანი" და მათ შორის წმიდა აბიბოს ნეკრესელი, „მღვდელთმოძღუარი უბინოჲ, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი. სანთელი მაღლად მნთებარე, მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ, შემწირველი უბიწოდ ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელმან თავიცა თჳსი შენირა მსხუერპლად მისსა მიმართ ჴელითა უსჯულოჲსა მარზაპანისაჲთა".

წმიდა მამა თავიდან ღირს იოანესთან და სხვა ძმებთან ერთად ზადენის მთაზე ცხოვრობდა, შემდგომ კი ევლავიოს კათოლიკოსის და იოანე ზედაზნელის კურთხევით წმიდა აბიბოსი ნეკრესს ჩავიდა და მოციქულებრივ ღვაწლს შეუდგა. მადლმოსილი მსახურებისთვის წმიდა აბიბოსი „იქმნა... ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მჴრისა დიდოთურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესი მთიულნი", — წერს ვახუშტი ბაგრატიონი „ქართლის ცხოვრებაში".

ამ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები ბატონობდნენ და ყველა ძალას ხმარობდნენ თავიანთი ცრუ სარწმუნოების გასავრცელებლად. მათ მრავალგან ააგეს ბომონები, სადაც ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი. მაზდეანები ზარ-ზეიმით აღასრულებდნენ თავიანთ ბოროტ წესებს და ქართველთა გადადრეკას ცდილობდნენ.

წმიდა აბიბოს ნეკრესელი დაუღალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებსა და დაბებში, ჭეშმარიტებას უქადაგებდა ქართველებს და სიმტკიცისკენ მოუწოდებდა. ერთხელ წმიდა მღვდელმთავარმა ნახა, რომ მოგვები აიძულებდნენ ქართველებს, თაყვანი ეცათ ცეცხლისთვის, ველარ მოითმინა ბოროტება, წყალი დაასხა ცეცხლს და ჩააქრო.

განრისხებულმა მოგვებმა შეიპყრეს წმიდა აბიბოსი, სასტიკად სცემეს და ცოცხალ-მკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს. შემდგომ ეს ამბავი აცნობეს სპარსეთის მარზაპანს, რომელიც იმ დროს სოფელ რეხში იმყოფებოდა. მარზაპანმა ბრძანა, მისთვის მიეგვარათ წმიდა აბიბოსი.

წმიდა აბიბოსი შავმთელი სასწაულთმოქმედის, ღირსი მამის, სვიმონ მესვეტის (ხს. 1 სექტემბერს), მეგობარი იყო. ღირს სვიმეონს ღმრთისგან ეუწყა წმიდა აბიბოსის მომავალი წამების შესახებ და ეპისტოლე, ევლოგია და კვერთხი გამოუგზავნა წმიდა მამას. სოფელ იალდოს მიღწეულ აბიბოსს ანტიოქიიდან წამოსული მოციქული შემოხვდა და ღირსი სვიმეონის საჩუქარი გადასცა.

ეპისტოლემ და ძვირფასმა საჩუქარმა გაახარა და განამტკიცა ტანჯვისთვის განმზადებული წმიდა მღვდელმთავარი. გზად მას ქართველები დახვდნენ და განთავისუფლების იდეა შესთავაზეს. წმიდა აბიბოსმა არ მიიღო წინადადება.

მღვდელმოწამემ მტარვალებს სთხოვა, წმიდა შიო მღვიმელის ნახვის უფლება მიეცათ მისთვის. სპარსელები დათანხმდნენ. წმიდა მამებმა მოიკითხეს ერთმანეთი და ერთად ილოცეს. შემდეგ წმიდა ეპისკოპოსმა სასწაულთმოქმედ მეუდაბნოეს სთხოვა, ელოცა მისთვის. წმიდა შიომ უთხრა: „ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ უფალმან, რაჲთა აღტყინებულიცა იგი უჩინოჲ ცეცხლი, რომელ აღუგზნიეს შენთჳს ეშმაკსა განსაცდელად, დაშრიტო ადკლად... უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალი და ჭირი ეგე შენი მათ დაცემა და განბნევა...“ მღვდელმოწამე რეხში ჩაიყვანეს.

მარზაპანმა მრისხანედ ჰკითხა სამსჯავროზე წარმდგარ წმიდა ეპისკოპოსს: „რაჲსათჳს უვარ-ჰყავ უფლებაჲ მეფეთ-მეფისაჲ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი?“ წმიდა აბიბოსმა მშვიდად მიუგო: „მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე, რაჲთამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ, რაჲთა განეყენნეთ უნდოსა მას მსახურებასა და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ“. კადნიერი პასუხით გაგულისებულმა მარზაპანმა კვლავ ჰკითხა: „მე გკითხავ, რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგკყვანნე?“ ნეტარმა აბიბოსმა კვლავ მშვიდად მიუგო: მე ღმერთი კი არ მომიკლავს, მხოლოდ ცეცხლი დავშრიტე. ცეცხლი ღმერთი კი არ არის, ბუნების ნაწილია, ცეცხლი შეშის დანვით წარმოიქმნება, მცირედმა წყალმა ჩააქრო, რადგან წყალი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მოკლა იგი. „აწ მიკჳრს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხჳლ გიჩნს მისი სახელის დებად ღმრთად,

რომელსა ესეოდენი სული აქუს?" მარზაპანი საშინლად განარისხა წმიდა მღვდელმთავრის ასეთმა პასუხმა და მისი ნამება ბრძანა.

ჯალათებმა საშინლად ტანჯეს ნეტარი აბიბოსი და ბოლოს „ქვითა განტვინეს". მისი წმიდა ცხედარი ქალაქგარეთ გაათრიეს, უპატიოდ დააგდეს ცხოველთა და ფრინველთა საჯიჯგნად და მცველები მიუჩინეს, რომ ქრისტიანთაგან არავის წაესვენებინა და პატივით არ დაეფლა წმიდანის ნეშტი.

ღამით რეხის მღვდლები და ბერები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმიდა მღვდელმოწამის ცხედარი სამთავისის მონასტერში. ქართლის ერისთავ სტეფანოზის დროს წმიდა მღვდელმოწამის უხრწნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენეს და დაკრძალეს წმიდა ტრაპეზის ქვეშ.

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი (+502)
30 (13.12) ნოემბერი

წმიდა კეთილმსახური მეფე ვახტანგ გორგასალი თხუთმეტი წლისა იყო, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა. ამ დროს ქართლი, ერთი მხრივ, სპარსეთის აგრესიას განიცდიდა, მეორე მხრივ კი ოსთა შემოსევებისაგან იყო გამწარებული. ოსებმა ერთ-ერთი შემოსევის დროს ტყვედ ჩაიგდეს ვახტანგის მცირეწლოვანი და, მირანდუხტი. არც დასავლეთ საქართველოს ადგა უკეთესი დღე — ბერძნებმა ეგრისიდან ციხეგოჯამდე დაიპყრეს აფხაზეთი.

ვახტანგმა სამეფო ტახტზე ასვლისთანავე შეკრიბა ქვეშევრდომები და თხუთმეტი წლის გვირგვინოსანმა, „ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა", ბრძანა, რომ ქვეყანაზე მოწეული განსაცდელი ღვთის წყრომა იყო ერის ცოდვებისათვის. მეფე ვახტანგმა „სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოთა და წარმძღვანებითა ჯუარისა მის პატიოსნითა" დაამარცხა ოსთა ჯარი, გაათავისუფლა ტყვეები და ბერძენთაგან დაპყრობილი აფხაზეთის გათავისუფლებაც განიზრახა.

სამი წლის ბრძოლის შემდეგ ვახტანგმა აფხაზეთის ყველა ციხესიმაგრიდან განდევნა ბერძნები.

გასაოცარი იყო წმიდა ვახტანგ მეფის სარწმუნოება, სიბრძნე და ფიზიკური სიძლიერე: „უმაღლესს კაცთა მის ჟამისათა" (იგი სიმაღლით 12 ბრჭალი — 2 მ. და 40 სმ. იყო) და „უმშვენიერესს სახითა" შეეძლო დაუღალავად ებრძოდა მტერთა ურიცხვი ლაშქრის წინააღმდეგ და მონოზენური სიმშვიდით ემსახურა „მრავლითა ლოცვითა და ღამისთევითა და გლახაკთა მიცემითა". ხელეწიფებოდა „არა დათმენა კიცხევათა" და პირადი შეურაცხყოფის მოთმენით ატანა. შეეძლო გაქცეული ირმის ხელით შეპყრობაცა და ქვეყნის საკეთილდღეოდ უდიდესი სიდინჯის გამოჩენაც.

ვახტანგის საომარ მუზარადზე წინ მგელი იყო გამოსახული, უკან კი — ლომი. სპარსელებთან ომის დროს მუზარადზე მგელ-ლომ გამო-

სახული მეფის გამოჩენა შიშის ზარს სცემდა ყველას, სპარსელები ხმამაღლა გასძახოდნენ ერთმანეთს: „დურ აზ გორგასარ“ (მოერიდეთ მგლისთავს). ასე ეწოდა ვახტანგს ზედსახელი „გორგასალი“.

ვახტანგ მეფის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრა, მან განდევნა საქართველოდან ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები. ვახტანგ მეფემ კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა განსასჯელად მიქაელ ეპისკოპოსი, რომელმაც, განრისხებულმა, ფეხით კბილები ჩაუმტვრია მასთან კურთხევისათვის მისულ მეფეს. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა პატივი აჰყარა მრისხანე მღვდელმთავარს და მონასტერში გაამწესა გონზე მოსასვლელად და მოსანანიებლად. შემდგომ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და იმპერატორმა ანტიოქიის პატრიარქთან გაგზავნეს ვახტანგ მეფის მიერ გაგზავნილი წმიდა პეტრე (ხს. 30 თებერვალი), სამოელი (ხს. 30 ნოემბერი) და სხვა სამღვდელონი კურთხევის მისაღებად. ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი, ხოლო წმიდა პეტრე კათოლიკოსად დაადგინა.

ვახტანგმა აღასრულა წმიდა მირიან მეფის სურვილი და იერუსალიმში ააშენა ქართველთა ჯვრის მონასტერი.

ვახტანგ მეფემ მცხეთაში წმიდა ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის ნაცვლად ქვის ტაძარი ააგო, მის დროს დაარსდა საეპისკოპოსო კათედრები: ახიზა — კლარჯეთში, არტაანი — ერუშეთში, წუნდა — ჯავახეთში, მანგლისი, ბოლნისი, რუსთავი, ნინოწმიდა, ჭერემი, ჩელეთი, ხორნაბუჯი, აგარაკი. მეფემ ნიქოზის ეკლესია ააშენა და იქაც დასვა ეპისკოპოსი. აქ გადაასვენა წმიდა რაჟდენ პირველმოწამის ნაწილები და ყოველნაირად ეხმარებოდა ახალშექმნილ კათედრას.

ვახტანგ მეფის დროს აშენდა თუხარისის, არტანუჯის და ახიზის ციხეები, დაარსდა არტანუჯის, მერეს, შინდობის, ახიზის მონასტრები, აშენდა და დაარსდა სხვა უამრავი ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტერი. ვახტანგმა ააგო თავის ახალ სამეფო სამყოფელად უჯარმა.

წმიდა მეფემ ჩაუყარა საფუძველი საქართველოს დღევანდელ დედაქალაქ თბილისს. მისი პოლიტიკური ორიენტაცია იყო მართლმადიდებელ საბერძნეთთან თანასწორუფლებიანი კავშირი, ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობა და ერთიანობა.

სამოც წელს მიტანებულ მეფე ვახტანგს 502 წელს ამქვეყნად უკანასკნელად მოუხდა თავისი ქვეყნის დაცვა. სპარსელებთან ბრძოლაში ის სასიკვდილოდ დაიჭრა იღლიის ქვეშ. ისარს ფილტვებამდე მიეღწია და მეფე იძულებული შეიქნა, ბრძოლის ველი დაეტოვებინა. სიკვდილის წინ წმიდა ვახტანგ გორგასალმა თავისთან იხმო პეტრე კათოლიკოსი,

მეუღლე, შვილები, ყველა წარჩინებულნი და უთხრა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა და ვმადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა, აწ გამცნებ თქუენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა დგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ".

მთელი საქართველო გლოვობდა ქრისტესთვის აღსრულებულ მეფეს, უჯარმიდან მცხეთაში გადაასვენეს გვირგვინოსანი, მის მიერ აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს დიდი პატივით და გულზე თავისი ზომის ლოდი დაადეს.

წმიდა პეტრე კათოლიკოსი (V)
30 (13.12) ნოემბერი

წმიდა პეტრე იყო ქართლის პირველი კათოლიკოსი. იგი V-ს–ის 60–იანი წლებიდან VI-ს დასაწყისამდე განაგებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. ღვთის განგებით, მან სათავე დაუდო საქართველოში კათოლიკოსთა დინასტიას.

წმიდა მეფის, ვახტანგ გორგასლის, ცხოვრების აღმწერელი ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვახტანგ მეფემ ბიზანტიაში ლაშქრობის დროს გაიცნო და დაიახლოვა „პეტრე მღვდელი მონაფეთაგან გრიგოლ ღვთისმეტყველისათა" და მონაზონი სამოელი. წმიდა მეფისა და წმიდა მამების სულიერმა სიახლოვემ და შემდგომში მათმა ბრძნულმა და შეთანხმებულმა ვოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებასა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიას.

ლაშქრობის შემდეგ ქართლში მომავალმა ვახტანგ მეფემ ბიზანტიაში „წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა" და თან შეუთვალა, რომ „კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფვით წარმოავლინენ". კონსტანტინოპოლის პატრიარქი დათანხმდა ქართლში კათოლიკოსის დადგენას და, რადგანაც იმ პერიოდისთვის ქართლის წმიდა ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ეკუთვნოდა, წმიდა პეტრე და წმიდა სამუელი ანტიოქიაში წარავლინა, რათა თვითონ ანტიოქიის პატრიარქს ეკურთხებინა პეტრე კათალიკოსად და სამოელი ეპისკოპოსად. ხელდასხმის შემდეგ კათოლიკოსი და ეპისკოპოსები ქართლში ჩამოვიდნენ და ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმმართველობა (ავტოკეფალია).

წმიდა პეტრე კათოლიკოსმა ავტოკეფალური ეკლესიის პრინციპით მოაწყო ეკლესიის მართვა–გამგეობა და ჩამოაყალიბა თვითმმართველობის ის ფორმა, რომელმაც შემდგომში კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტი მსოფლიოს

სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიებს შორის. წმიდა კათოლიკოსისა და წმიდა მეფის ურთიერთპატივისცემამ და შეთანხმებული ქმედებებით სარწმუნოებრივ–ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვამ საფუძველი დაუდო საერო და სასულიერო ხელისუფლების ჰარმონიული ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც განსაზღვრავს ეკლესიის ავტორიტეტს ქვეყანაში და ხალხის მიერ ღვთივკურთხეული საერო ხელისუფლების სიყვარულსა და ერთგულებას.

წმიდა პეტრე წმიდა ვახტანგ გორგასალთან ერთად იყო სპარსელებთან ომის დროს. როცა ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილმა ვახტანგ მეფემ „შეიტყო სიკვდილი თავისა თვისისა, მოუწოდა კათოლიკოსსა, ცოლსა თვისსა და ძეთა და ყოველთა წარჩინებულთა". წმიდა პეტრემ მიიღო წმიდა მეფის ბოლო აღსარება, მეფედ აკურთხა წმიდა ვახტანგ გორგასლის შვილი დაჩი და სიცოცხლის ბოლომდე ბრძნულად განაგებდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას.

წმიდა სამოელ კათოლიკოსი (V-VI)
30 (13-12) ნოემბერი

წმიდა სამოელ კათოლიკოსი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტახტზე აღსაყდრდა წმიდა პეტრე კათოლიკოსის შემდეგ VI ს-ის დასაწყისში. წმიდა სამოელი ისევე, როგორც წმიდა პეტრე კათოლიკოსი, წარმოშობით ბიზანტიიდან იყო. წმიდა სამოელის საქართველოში ჩამოსვლა მოხდა წმიდა ვახტანგ მეფის სურვილით, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ლოცვა–კურთხევისა და ანტიოქიის პატრიარქის მიერ ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ. წმიდა სამოელი სხვა ეპისკოპოსებთან ერთად თან ჩამოჰყვა ქართლში კათოლიკოსად დადგინებულ წმიდა პეტრეს. ამ დროს კათოლიკოსის კათედრა და რეზიდენცია იყო „ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი", წმიდა პეტრე კი მცხეთასვე განაწესეს ეპისკოპოსად.

წმიდა პეტრე კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ ქართლის კათალიკოსის ტახტზე „დაჯდა სამუელ და მეფემან (დაჩიმ) მას მიათუალა მცხეთა, რამეთუ ეგრეთ ებრძანა მეფესა ვახტანგს". წმიდა სამოელ კათოლიკოსი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიას განაგებდა მეფე დაჩისა და მისი მემკვიდრის, ბაკურის დროს. წმიდა სამოელ კათოლიკოსის დროს აშენდა წყაროსთავის ეკლესია ჯავახეთში.

წმიდა სამოელის მოღვაწეობაში კარგად ჩანს შორსმჭვრეტელი კათოლიკოსი და თითოეულ პიროვნებაზე მზრუნველი მამა, წმიდანი კარგად იცნობდა წმიდა მოწამე შუშანიკს (ხს. 28 აგვისტო).

წმიდა სამოელ კათოლიკოსი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინებისა და ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების საქმეს.

2 (15) —წმიდა ისე წილკნელი (VI)

11 (24) —ყოველნი წმიდანნი — ღირსნი მამანი და დედანი, საქართველოში წამებულნი.

12 (25) —ღირსი იოანე, ზედაზნის წინამძღვარი, სარკინოზთაგან წამებული (IX)

19 (1.01)— ღირსი გიორგი მწერალი
და ძმა მისი საბა — ხახულელნი (XI)

21 (3.01)—წმიდა მაკარი მმარხველი, ხახულის მონასტრის წინამძღვარი (X)

31 (13.01)—ღირსი დედა საბიანა (საბაია), სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვარი (XI)

წმიდა ისე წილკნელი (VI)
2 (15) დეკემბერი

წმიდა ისე წილკნელი დაიბადა ასურეთში. მან სიყრმიდანვე მონაზვნური ცხოვრება აირჩია და წმიდა იოანე ზედაზნელთან ერთად მოღვაწეობდა სირიის უდაბნოში. წმიდა იოანეს ზეგარდმო ეუწყა, რომ მას საქართველოში საქადაგებლად თორმეტი საუკეთესო მოწაფე უნდა წამოეყვანა. ღვთის განგებით, მათ შორის აღმოჩნდა წმიდა ისეც.

წმიდანთა ჩამოსვლა ზეგარდამო ძალით ეუწყა ქართლის კათოლიკოს ევლავიოსს. სიხარულმა დაივანა მორწმუნე ერში, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას კიდევ ერთხელ მოჰხედა უფალმა და თავისი რჩეული შვილები გამოუგზავნა მოძღვრად და განმანათლებლად. ღირსმა მამებმა ბევრი ეკლესია-მონასტერი დაარსეს საქართველოში და საფუძველი დაუდეს ბერმონაზვნურ ცხოვრებას. ევლავიოს კათოლიკოსისა და იოანე ზედაზნელის კურთხევით, ღირსი ისე წილკანში მოღვაწეობდა.

წილკნის ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ უბიწოებით განთქმული და სათნოებათა სისრულეს მიწევნული წმიდა ისე ევლავიოს კათოლიკოსმა იძულებით აკურთხა მღვდელმთავრად. წმიდა ისეს არ უნდოდა ეპისკოპოსის პატივის მიღება, ცრემლით ითხოვდა განტევებას, მაგრამ კათოლიკოსისა და წმიდა იოანე ზედაზნელის ლოცვა-კურთხევას წინ ვერ აღუდგა.

წმიდა მღვდელმთავრის მღვიძარებასა და მარხვას საზომი არ ჰქონდა. მოწყალებითა და კაცთმოყვარეობით, უცხოთშეწყნარებითა და გლახაკთა ხელის აღპყრობით შორს გაითქვა მან სახელი. ღირსი ისე მთელს ეპარქიაში მოგზაურობდა და სახარებას ქადაგებდა. წმიდანი განსაკუთრებით მთიან ადგილებში დადიოდა, საკერპოებს არღვევდა და წარმართებს ნათელს სცემდა სამების სახელით.

ერთხელ ნეტარმა იოანე ზედაზნელმა მოუწოდა თავის მოწაფეებს, რათა სათნოებაში გამოეცადა ისინი და ხალხისთვის ქრისტეს ძლიერება ეჩვენებინა. წმიდა მამამ თავის სულიერ შვილებს უთხრა: „მნებავს თქუენ მიერ სასწაულისა რაჲსამე ქმნა, რაჲთა მხილველნი მათნი

ადიდებდენ ღმერთსა, რამეთუ ფრიად მოქენე არიან ქართველნი ხილვად თქუენგან სასწაულთა და საკჳრველებათა, რაჲთა უმეტესად ჰრწმენეს ჩუენ მიერ ქადაგებული იგი სარწმუნოებაჲ". ღირსმა მამებმა მორჩილებით მიიღეს ლოცვა-კურთხევა.

წმიდა იოანემ ელია დიაკონს უბრძანა, ჭიქა მიერთმია მისთვის, შემდეგ საკურთხებლად ისეს მიაწოდა, როგორც ეპისკოპოსს და უპირატესს. ისემ პირიქით, მისგან ითხოვა ლოცვა. „მაშინ ნეტარმა ზეაღაპყრა ჭიქა იგი და ყო ლოცვა, დაასრულა და განუტევა იგი. და ჰაერთა შინა დადგა ჭიქა იგი, ვითარცა მყარსა რასმე ზედა".

შემდეგ იოანემ ღირს შიოს უთხრა: „ჯერ-არს მადლისა მიცემა და საკმევლისა შეწირვა". წმიდა შიო მივიდა ცეცხლთან, ნაკვერცხალი აიღო, ხელის გულზე დაიდო, საკმეველი დაასხა და ყველას უკმია.

ამ სასწაულის მხილველნი ღმერთს ადიდებდნენ. წმიდა იოანემ ახლა ღირს ისეს მიმართა: „მამაო მფლობელო, გუნებავს, რათა შენგან კურთხევა მოვიღოთ, რომელ გუაქუნდეს სახსენებელად შენდა". წმიდა ისე მდინარე ქსნის ნაპირას ჩავიდა, მას უკან გაჰყვნენ წმიდა მამები და უამრავი ხალხი. ღირსმა ისემ ჯვარი გადასახა მდინარეს, შემდეგ კვერთხი „დასცა წყალთა მას ზედა სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა", თან ბრძანა: „მდინარეო, სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა გიბრძანებ, ჩემ მიერ კსინვით ვიდოდე და შემომიდეგ, ვიდრეღა ვიდოდე". მდინარეს წყლის ერთი ტოტი გამოეყო და წმიდა ისეს კვერთხს შეუდგა. საითაც წმიდა ისე მიდიოდა, წყალიც იქეთ მიჰყვებოდა, ვიდრე წილკნის საყდრამდე არ მიაღწია. აღმართს მისთვის ხელი არ შეუშლია.

ამ სასწაულის მხილველი მცხეთისა და გარემო სოფლების მკვიდრნი ადიდებდნენ ქრისტეს სახელს, რომელმაც ასეთი მადლი გარდამოავლინა თავის რჩეულებზე.

სასწაულთმოქმედ მამას უფლისაგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე. შეკრიბა მოწაფენი და ეკლესიის მსახურნი, დაარიგა ისინი, დალოცა, ეზიარა და უფალს შეავედრა სული: „უფალო, ჴელთა შენთა შეევედრებ სულსა ჩემსა", — ეს იყო წმიდანის უკანასკნელი სიტყვები.

ღირსი ისე წილკნელის ნეშტი დაკრძალეს იქვე, წილკნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში.

ყოველნი წმიდანნი — ღირსნი მამანი და დედანი, საქართველოში ნამებულნი
11 (24) დეკემბერი



ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისა და საქართველოს ისტორიის გაცნობისას სამართლიანად იბადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია. არავინ იცის, რამდენმა მოიბანა მინიერი მწიკვლი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ბრძოლისას, რამდენმა განიწმიდა სული მონასტრის ცივ კელიებში ლოცვით, მარხვითა და მოღვაწეობით, მხოლოდ ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე იმ ერისკაცთა და დედათა შესახებ, რომლებიც დაუღალავად ჭედდნენ საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნის მომავალს.

„რაჟამს ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი", — სარწმუნოებრივ-ეროვნული თვითშეგნებით ბრძანა წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელმა თავის დროზე.

„არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ — მონამე არს ჭეშმარიტება", — ვკითხულობთ რუისურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში და ეს იყო ყოველი ქართველის ცხოვრების ქვაკუთხედი.

შეუძლებელია საქართველოს სამოციქულო ეკლესიიდან ზეციურ, მედღესასწაულე ეკლესიაში ამაღლებულ ქრისტიანთა ჩამოთვლა, და, მით უმეტეს, შეუძლებელია მათი ღვაწლის აღწერა: „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები, ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები" (აკ.წერეთელი). სწორედ ამ შეუძლებლობის გამო წერია დღევანდელი დღის მოსახსენებელში, რომ „საქართველოში წამებულთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ" და ყველასთვის ცნობილ წმიდანთა სახელებს გარდა, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია მამათა და დედათა სამასამდე ქართული წარმოშობის სახელი.

ქართველ ქრისტიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამ დღეს მოხსენიებულ წმიდათა სახელებს ატარებს და მათგან ითხოვს მეოხებას.

ღირსი იოანე, ზედაზნის წინამძღვარი, სარკინოზთაგან ნამებული (IX)
12 (25) დეკემბერი

წმიდა იოანე მოღვაწეობდა ზედაზნის მონასტერში, რომელიც დააარსა ღირსმა იოანე ზედაზნელმა (ხს. 7 მაისს), ანტიოქიიდან ჩამოსულმა ბერმა, რომელიც ღვთისმშობლის გამოცხადებით მოვიდა ქართლში სარწმუ-ნოების განსამტკიცებლად და ქვეყანაში ბერ-მონაზონული ცხოვრების ასაღორძინებლად.

თანდათან ზედაზენი საქართველოს სულიერებისა და კულტურის ჩაუქრობელ ლამპრად იქცა. ზედაზნელი მამები ზრუნავდნენ მონასტრის კეთილდღეობაზე, ეწეოდნენ აღმშენებლობით საქმიანობას.

სიწმიდითა და ძმათამოყვარეობით გამორჩეული წმიდა იოანე ზედაზნის მონასტრის წინამძღვრად იქნა დადგენილი. სულიერების ეს ერთ-ერთი უდიდესი კერა IX საუკუნეში არაბთა შემოსევების შემდეგ სარკინოზთა რბევის საგნად იქცა. ერთ-ერთი შემოსევის დროს არაბებმა შეიპყრეს და ნამებით მოკლეს მონასტრის წინამძღვარი იოანე.

არსენ II-ის (XIII ს.ს. I ნახევარი) მიერ შედგენილ ზედაზნელ წინამძღვართა სიაში („სახელები წმიდათა მამათა, ქრისტეს მიერ აღსრულებულთა ზედაზენს შინა შემდგომად იოანესსა") მოხსენიებულია იოანე, „რომელი მოიკლა სარკინოზთაგან ზედაზენს შინა მახჯლითა". ეს მოხდა IX საუკუნეში.

საქართველოს ეკლესიამ წმიდანად შერაცხა მოძალადე ურწმუნოთა ხელით აღსრულებული ბერი.

ღირსი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა — ხახულელნი (XI) 19 (1.01) დეკემბერი

ღირსი გიორგი მწერალი და მისი ძმა საბა წმიდა გიორგი მთაწმინდელის (ხს. 27 ოვნისს) მამის, იაკობის, ძმები იყვნენ. ისინი, ბერმონაზვნობის ღვაწლს შემდგარნი, ხახულის მონასტერში მოღვაწეობდნენ.

წმიდა მამები სავსენი იყვნენ საღმრთო მადლით. „ესენი მკჳდრ იყვნეს ხახულს ორთავე ცხორებითა შეზავებულად, რამეთუ სიმდიდრესა თანა საღმრთოჲსა მოქალაქობისასა ჴორციელიცა სიმდიდრე უხუებით აქუნდა". როცა ღირსმა მამებმა ყრმა გიორგის სიკეთე და ღმრთისმოშიშება გაიგეს, იაკობს მისი ხახულში მიყვანა ურჩიეს. იაკობმაც სიხარულით მიჰგვარა შვილი ღმერთშემოსილ ძმებს.

ღირსმა გიორგიმ და საბამ ყრმა გიორგი ლოცვა-კურთხევის მისაღებად მონასტერში დავანებულ წმიდა მამებს: მაკარი მმარხველს, ბასილი ბაგრატის ძეს, ილარიონ თუალელს და ანტონი მნათეს წარუდგინეს, შემდეგ იქვე, მონასტერში დატოვეს და ხელმძღვანელობდნენ მის აღზრდასა და სწავლა-განათლებას. ამ დროს დაბა ტვარნატაფში ცხოვრობდა დიდებული ფერის ჯოჯიკისძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მეფე ბაგრატ III-ის ასული. მათ განიზრახეს გონიერი და სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი ბერის მიპატიჟება სასახლეში მასწავლებლად და სულიერი ცხოვრების საქმეთა გამგედ. მათი არჩევანი ღირს გიორგი მწერალზე შეჩერდა, რადგან „უგონიერესსა ვერვის ჰპოვებდენ". ვედრებით დაითანხმეს ღირსი მამა მონასტრიდან წასვლაზე.

გიორგი ხახულელმა ფერის ჯოჯოკისძის ოჯახში თან წაიყვანა ყრმა გიორგი. ერთი წლის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ ცილი დასწამა ფერისს და თავი მოჰკვეთა. მისი მეუღლე სახლიკაცებით, რომელთა რიცხვში გიორგი მწერალი და ყრმა გიორგი მთაწმინდელიც იყვნენ, კონსტანტინოპოლს წაიყვანეს, სადაც თორმეტი წელი დაჰყვეს. შემდგომ კვლავ უკან დაბრუნდნენ.

ქრისტესმიერი მოღვაწეობით დამაშვრალი ძმები მშვიდობით მიიცვალნენ.

წმიდა მაკარი მმარხველი, ხახულის მონასტრის წინამძღვარი (X)
21 (3.01) დეკემბერი

წმიდა მაკარი მმარხველი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთი იმ წმიდა მამათაგანია, რომელთა შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, მაგრამ ის ფაქტი, რომ მისი სახელი უკვე ათი საუკუნეა იხსენიება საქართველოს ეკლესიის კალენდარში, მრავლისმთქმელია, მრავლისმეტყველია მისი წოდებაც — მმარხველი.

ხახულის მონასტერი X საუკუნის მეორე ნახევარში აუგია საქართველოს მეფე დავით კურაპალატს. წმიდა მაკარისა და მისი მსგავსი მამების მოღვაწეობამ მონასტერი სიწმიდის, მეცნიერებისა და განათლების კერად აქცია. მონასტერი დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ იქ მოღვაწე ქართველ მამათა მადლი ახლაც სასოებად ეფინება საქართველოს.

ხახულის მონასტრის წინამძღვარი წმიდა მაკარი უდიდესი ასკეტი და ცნობილი მოძღვარი იყო. მასთან მოდიოდნენ რჩევა-დარიგებისა და კურთხევისათვის როგორც მონაზვნობის მსურველნი და გამოცდილი ბერები, ასევე ერისკაცები. ღირს მაკარის მიჰგვარეს კურთხევისთვის ყრმა გიორგი — შემდგომში უდიდესი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი, რომელსაც წინასწარცნობის ნიჭით დაჯილდოებულმა მამა მაკარიმ თავისი სულიერი შვილი უწოდა.

ღირსი მაკარი, ღვთის შეწევნით, ერთმანეთს კარგად უთავსებდა მონასტრის წინამძღვრის მოვალეობასა და განდეგილობას. განსაკუთრებული მარხვისა და ლოცვისათვის მას მმარხველი უწოდეს. მისი წინამძღვრობის დროს ხახულის მონასტერი „ვითარცა მთიები" ბრწყინავდა და გეზს უჩვენებდა სასულიერო და საერო მოღვაწეობის მსურველთ.

ღირსი მაკარი 1034 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა.

ღირსი დედა საბიანა (საბაია), სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვარი 31 (13.01) დეკემბერი

საქართველო ოდითგანვე ცნობილია ქალის სიწმიდით. საქართველოს დედათა მონასტრებში მოღვაწე ქალები საოცარი გულმოდგინებით გამოირჩეოდნენ: გამუდმებული ლოცვა, მარხვა, ხელსაქმე და ობოლთა აღზრდა იყო მათი ძირითადი მოვალეობა. მონაზონ დედათა სიწმიდესა და სიბრძნეს ანგარიშს უწევდნენ და მათ წინაშე ქედს იდრეკდნენ მეფე-დედოფალნიც.

განდეგილ დედებს აძლევდნენ აღსაზრდელად თავიანთ შვილებს საქართველოს თავად-აზნაურთა ცნობილი წარმომადგენლები. გიორგი მცირის ცნობით, როცა გიორგი მთაწმიდელის მშობლებმა თავიანთი პირმშო შვილის, თეკლას, ღვთისადმი შეწირვა — მონაზვნად აღზრდა გადაწყვიტეს, იგი წმიდა საბიანას — „ღირს და წმიდა" დედაკაცს მიჰგვარეს, რომელიც იმ დროს სამცხის ტაძრისის დედათა მონასტერს წინამძღვრობდა. წმიდა საბიანამ „შეიწყნარა იგი, ვითარცა შვილი თვისი და კეთილად აღზარდა".

შემდეგ ამ მონასტერში მიუყვანიათ შვიდი წლის გიორგი მთაწმიდელიც. იგი სამი წლის განმავლობაში იზრდებოდა წმიდა საბიანას მიერ კეთილად აღზრდილ საღმრთო „დედაკაცისა მისგან ღირსისა დისა თჳსისა".

წმიდა საბიანას შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. „ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს" (მათე; 12,33). წმიდა საბიანას ღვაწლი განცხადებულია მისი წინამძღვრობისდროინდელი მონასტრის ცხოვრებასა და მის აღზრდილებში.

ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი
—ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული;
(ცნობები იხილეთ 12 თებერვალს).
— წმიდანი ექვსიათასი მოწამენი, 1616 წელს
დავით გარეჯის უდაბნოში მოწყვეტილნი

მენელსაცხებლე დედათა კვირა
—წმიდა კეთილმორწმუნე მეფე თამარი (+1213)
(ცნობები იხილეთ 1 მაისს).

ამაღლება
—წმიდა ქართველნი მოწამენი, სპარსეთში
მოწყვეტილნი (XVII-XVIII)

ამაღლების შემდგომი ოთხშაბათი
—ღირსი დოდო გარეჯელი (+596)

ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი
—ღირსნი მამანი: დავით გარეჯელი და ლუკიანე (VI)

სულთმოფენობა
—მრავალნი წმიდანი ქართველნი მამანი და დედანი,
აჭარაში თურქთაგან წამებულნი (XVII-XVIII)

ყველიერის ხუთშაბათი
— ღირსი შიო მღვიმელი (VI)

ლაზარეს შაბათი
— ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

წმიდანი ექვსი ათასი მოწამენი, დავით გარეჯის უდაბნოში მოწყვეტილნი (+1616) ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი

დავით გარეჯის ლავრა დასაბამს VI საუკუნიდან იღებს და იმთავითვე ხდება საქართველოს სულიერებისა და კულტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე კერა. დავით გარეჯის ლავრას იქ მოღვაწე ბერ-მონოზონთა სიმრავლის გამო ბერთა ქალაქს უწოდებნენ. ლავრა მრავალგზის დარბეულა მტერთა მიერ, მრავალი გარეჯელი მამა აღსრულებულა მოწამეობრივად, მაგრამ განსაკუთრებულია 1616 წლის აღდგომა ღამეს „სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა".

1615 წელს სპარსეთის შაჰი აბასი დიდძალი ლაშქრით თავს დაესხა საქართველოს, ქვეყნის დაპყრობისა და აოხრების შემდეგ, იგი სანადიროდ გაემართა გარე კახეთის ველებში. გარეჯის მთებში მას შემოაღამდა და იქვე დაბანაკდა მხლებლებთან ერთად. შუაღამისას შაჰის ყურადღება მიიპყრო შორს, მთაზე მოძრავმა ცეცხლოვანმა მწკრივმა. უსჯულოს თავიდან მოჩვენება ეგონა, მაგრამ შემდეგ აუხსნეს: ამ ადგილებში ბერები ცხოვრობენ, რომლებიც ახლა ქრისტეს აღდგომას აღნიშნავენ და ანთებული სანთლებით გარს უვლიან ეკლესიასო. შაჰმა ბრძანა, მონასტერში მეომრები გაეგზავნათ და ამოეხოცათ ბერები.

ამავე ღამეს ღვთის ანგელოზი გამოეცხადა დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარ არსენს და აუწყა: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე დღეს თავის ზეციურ სავანეში მოგიწოდებთ ყველას. ამ ღამით თქვენ დიდი გამოცდა გელით — მახვილით მოისრებით. ვისაც სურს დაზოგოს თავისი დროებითი სიცოცხლე, დაე, გაიქცეს ან დაიმალოს, ხოლო ვისაც სწყურია იხსნას სული თვისი მარადისობისათვის, მახვილით მოწყდება და უფლის მიერ უხრწნელი გვირგვინით შეიმკობა. გამოუცხადე ღმრთის ეს მოწოდება სავანეში შეკრებილ ყველა ბერს".

წინამძღვარმა ყველას აუწყა ჩვენების შესახებ და მამებმაც იწყეს მოწამეობრივი ღვაწლისთვის მზადება. მხოლოდ ორ მორჩილს შეეშინ-

და სიკვდილის და მონასტრის მოშორებით ერთ-ერთ მთაზე დაიმალა.

წირვის ბოლოს, „მამაო ჩვენო"-ს გალობისას, სპარსი მეომრები გარს შემოერტყნენ სავანეს. მონასტრის წინამძღვარი მაშინვე გავიდა რაზმის მეთაურთან და თხოვა, წირვის დასრულებისა და ზიარების ნება დაერთოთ საძმოსთვის.

სპარსელებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, მცირე დროის შემდეგ აღესრულებინათ შაჰის ბრძანება. მამებმა მიიღეს წმიდა ზიარება, ერთმანეთი გაამხნევეს და საზეიმოდ შემოსილები წარდგნენ უსჯულოთა წინაშე.

სპარსელებმა პირველად წინამძღვარს მოჰკვეთეს თავი, შემდეგ კი მხეცებივით დაერივნენ მამებს და უწყალოდ აჩეხეს ყველანი. ამ დროს, სიკვდილის შიშით მონასტრიდან წასულმა ორმა მორჩილმა იხილა ზეციდან გარდამოსული ბრწყინვალე გვირგვინები, რომელთაგან ორი საწყალობლად ტივტივებდა ჰაერში. მორჩილები სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან. სპარსელებმა ისინიც ნაკუწებად აჩეხეს და მიწაზე მიმოფანტეს ფრინველებისა და გარეული მხეცების შესაჭმელად. შემდგომ ამ ადგილას ამოვიდა ვარდის ბუჩქი, რომელიც XIX საუკუნეშიც ხარობდა, უწყლო, მშრალ და ქვიან ნიადაგზე.

მოგვიანებით საქართველოს მეფე არჩილმა დიდი გულმოდგინებით შეაგროვა მოწამეთა ძვლები და ქვის დიდ სანნახელში მოათავსა ტრაპეზის მარცხენა მხარეს. წმიდა ძვლებიდან კეთისურნელოვანმა მირონმა იწყო დენა.

წმიდა დავითისა და წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერთა ძმობამ თხოვნით მიმართა კათოლიკოს ანტონ I-ს, შეედგინა მათთვის ღვთისმსახურება და მათ პატივსაცემად დაედგინა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი.

წმიდა ქართველნი მოწამენი, სპარსეთში მოწყვეტილნი (XVII-XVIII) (ამაღლება)

ბევრი ავბედობა გადაუტანია საქართველოს მისი „სამი ღვთაებრივი საუნჯის: ენის, მამულის და სარწმუნოების" დასაცავად, მაგრამ განსაკუთრებულია XVII ს-ის ტრაგედია, რომელიც დღემდე მოუშუშებელ იარად რჩება ჩვენს ჯვარცმულ ისტორიაში.

1616 წლის გაზაფხულზე, ირანის სისხლიანი მბრძანებელი შაჰ-აბას I დიდძალი ლაშქრით შემოესია საქართველოს, მისი მიზანი იყო, საბოლოოდ გაენადგურებინა და მოეოხრებინა ქვეყანა. შაჰმა კახეთიდან ასიათასობით ტყვე გაიყვანა და ირანის სხვადასხვა კუთხეში ჩაასახლა, დაცარიელებული ადგილები კი თურქმენებს მისცა საცხოვრებლად. ამ დროს დაიწყო ლეკების მასიური დასახლებაც ქართველთა მიტოვებულ კარ-მიდამოებში.

XVII ს-ის ევროპელი მოგზაური პედრო დელავალე ქართველების ირანში გადასახლების აღწერისას ამბობს: „რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, რამდენი სიკვდილი ამ საშინელი გაჭირვებისაგან, რამდენი წყვეტა-ულეტა, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალდატანება... რამდენი ბავშვი ამათ დედის ძუძუს მოსწყვიტეს და დაჰყარეს გზებზე მხეცების შესაჭმელად, ცხენების, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ სასრესად. რამდენი დააშორეს მამა - შვილს, ცოლი - ქმარს, და - ძმას და გაჰფანტეს ერთი ერთმანეთისაგან შორი-შორს ქვეყნებში... რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზე უფრო იაფად... მაგრამ ყველას ვინ მოთვლის".

შაჰ-აბასი უსასტიკეს ზომებს ატარებდა „ურჩი" ქართველების წინააღმდეგ, სჯულშეცვლილებს კი სწრაფად აწინაურებდა სხვადასხვა თანამდებობებზე. მიუხედავად ამისა, ხალხის დიდი ნაწილი მაინც მხნედ იდგა ქრისტიანობაზე და მტკიცედ იცავდა ქართულ ტრადიციებს.

ტყვედ წაყვანილი სასულიერო პირები ჩუმად აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას და ხალხს ქრისტიანობის ერთგულებისკენ მოუ-

წოდებდნენ. სწორედ ამიტომ ირანელები განსაკუთრებული სისასტიკით სჯიდნენ მათ. ერთ ოჯახად შეკრული ქართველები, ურთიერთ თანადგომით ცდილობდნენ, დაეცვათ სარწმუნოება და ეროვნება. შემდგომში მათი ძალად გამაჰმადიანების მიუხედავად, იქაური ქართველები დღემდე მხოლოდ თანამემამულეებზე ქორწინდებიან, ცოცხლად ინახავენ ისტორიას და ტრადიციის ძალით პატივს მიაგებენ ქრისტიანობისთვის წამებულთა ხსოვნას.

წმიდა სინოდმა განიხილა ირანში იძულებით გადასახლებულთა მოწამეობრივი ისტორია: 1616 წელს შაჰ-აბასის მიერ ირანში ასიათასობით იძულებით გადასახლებულ ქართველთა დიდი ნაწილი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მხნედ იცავდა მამა-პაპათა სჯულს და მუსულმანთა უკიდურესად აგრესიულ გარემოცვაშიც ახერხებდა, არ მოსწყვეტოდა ქრისტიანულ ღვთისმსახურებას.

მართლმადიდებლობის ერთგულებისათვის მრავალი სასულიერო პირი იქნა უსჯულოთაგან მოკლული და ათასობით ქართველი მოწამეობრივად აღსრულებული, რასაც ადასტურებენ როგორც ჩვენი მეცნიერები, უცხოელი ისტორიკოსები და მოგზაურები, ასევე ამჟამად ირანში მცხოვრები ქართველები, რომელნიც დღემდე განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ წინაპართა მოწამეობრივ ღვაწლს: მიდიან მათი მარტვილობის ადგილებზე (ერთ-ერთ მათგანს ამაღლება ქვია), მოწიწებით ეამბორებიან მამა-პაპათა სისხლშეუმშრალ ქვებს და ტაპეზსაც ამზადებენ მათი სულების საოხად.

2003 წლის 18 აგვისტოს წმიდა სინოდმა დაადგინა: წმიდანთა დასში შეირაცხოს XVII-XVIII ს-ში სპარსეთში ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მუსულმანთაგან მოწყვეტილი ყოველი ქართველი.

ირანში ქრისტესთვის მოწყვეტილ ქართველთა ერთ-ერთი წამების ადგილის სახელწოდების მიხედვით, მათი ხსენების დღედ დადგინდეს მაცხოვრის ამაღლების დღესასწაული.

ღირსი დოდო გარეჯელი (VI)
ამაღლების შემდგომი ოთხშაბათი

ღირსი დოდო გარეჯელი წარმოშობით კახელი იყო, ანდრონიკაშვილთა გვარიდან. სიყრმიდგან მონაზვნობის ღვაწლის მიმღები და ქრისტეს მსახურებას შემდგარი, ყოველგვარი სათნოებით იყო შემკული. უპოვარებისა და დაყუდების მოყვარული ბერი განმარტოებით მოღვაწეობდა ნინოწმიდაში.

როცა ღირსმა დოდომ გაიგო მამა დავით გარეჯელის სასწაულების ამბავი, გარეჯში წავიდა. ღირსმა მამებმა კეთილად მოიკითხეს ერთმანეთი და გვერდიგვერდ დაიწყეს მოღვაწეობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამა დავითმა იხილა ღირსი დოდოს სარწმუნოებრივი სიმტკიცე, მოეწონა „სიმახვილე დოდოს გონების ა საღმრთოსა შინა" და კურთხევა მისცა, პირდაპირ აღმართული კლდის წვერზე აეგო სენაკები და იქ წაეყვანა თანამოსაგრეები.

ძმებმა ააგეს სენაკები და დაიწყეს მოღვაწეობა. შემდეგ სენაკების რაოდენობამ ორასს გადააჭარბა. თვითონ ღირსი დოდო დაეყუდა ერთ ვიწრო ნაპრალში, რომელიც ერთ კაცს ძლივს იტევდა და დღე და ღამ, ზამთარ-ზაფხულ, სიცხესა და ყინვაში სინანულის ცრემლებით ევედრებოდა უფალს ცოდვათა მიტევებას, ძმათა გაძლიერებას და ქვეყნის მოქცევას ჭეშმარიტ სჯულზე.

ერთხელ მამა დავითმა სასწაულებრივად განკურნა რუსთავის მთავრის, ბუბაქარის დავრდომილი ვაჟი. მადლიერმა მთავარმა მეუდაბნოე ბერებისთვის აუცილებელი ნივთები მიართვა ღირს მამას. წმიდა დავითმა მიიღო ნაწილი, დანარჩენი კი ღირს დოდოს გაუგზავნა და ბუბაქარს ურჩია, მისი ხელით მონათლულიყო. წმიდა დოდომ სიხარულით აღასრულა ნათლობის საიდუმლო და ნათელ-სცა ბუბაქარს, მის სამ ვაჟს და მთელს ამალას.

ღრმა სიბერემდე მოღვაწეობდა ღირსი დოდო მის მიერ დაარსებულ მონასტერში და იქვე აღესრულა მშვიდობით.

სულიერმა შვილებმა და თანამოსაგრეებმა სენაკშივე დაფლეს მისი წმიდა გვამი. შემდგომ წმიდა დოდო გარეჯელის საფლავზე ეკლესია აშენდა.

ღირსი დავით გარეჯელი და ლუკიანე (VI) ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი

ღირსი დავით გარეჯელი ასურეთიდან იყო. იგი ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში დაემონაფა ღირს იოანე ზედაზნელს (ხს. 7 მაისს) და თან წამოჰყვა მას საქართველოში.

წმიდა დავითი თავის სულიერ შვილთან, ლუკიანესთან, ერთად თბილისის მახლობლად მდებარე მთაზე დასახლდა. ამ დროს ქალაქი ცეცხლთაყვანისმცემლებს ეპყრათ. ღირსი მამა მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდა, ქალაქის მცხოვრებთა ცოდვების მიტევებას ევედრებოდა ღმერთს, ლოცვის შემდეგ მთაზე გადმოდგებოდა და ქალაქს აკურთხებდა (შემდგომ ამ ადგილას აშენდა მამა დავითის სახელობის ტაძარი). მამა დავითი კვირაში ერთხელ ლუკიანესთან ერთად დაბლა ჩამოდიოდა და ქრისტეს სჯულს ქადაგებდა.

ერთხელ საქადაგებლად ქალაქში ჩამოსულ წმიდა მამას ცეცხლთაყვანისმცემელმა ქურუმებმა მეძავი ქალი მიუყვანეს, რომელმაც მას მრუშობაში დასნამა ცილი. უფლის მსასოებელმა მოძღვარმა ქალის მუცელს კვერთხი შეახო და ნაყოფს უბრძანა, სიმართლე ეთქვა. ფეხმძიმე ქალის საშოდან ჩვილმა ამხილა დედამისი. საშინელი ცილისწამებით აღშფოთებულმა ხალხმა მეძავი ქალი ქვებით ჩაქოლა. ღირსმა დავითმა გამძვინვარებული ბრბო ვერ შეაჩერა. ამის შემდეგ ლუკიანესთან ერთად მან დატოვა თბილისი და ყარაიას ველზე მდებარე გარეჯის უდაბნოს მიაშურა.

წმიდა ბერებმა დაიარეს უდაბნო, კლდეში პატარა გამოქვაბული იპოვნეს და იქ დაეყუდნენ. მამები მთელ დროს ლოცვასა და მარხვაში ატარებდნენ. ბალახები და ხეების ქერქი იყო მათი საზრდელი. მალე ზაფხულის მცხუნვარებამ ბალახი გაახმო და უფალმა ირმები გამოუგზავნა წმიდა მოღვაწეებს, ლუკიანემ ირმები მოწველა და ჯამი მამა დავითს მიართვა. წმიდა ბერმა ჯვარი გადასახა და რძე ყველად აქცია.

სასწაულის ხილვით შეძრულმა ლუკიანემ მოძღვარს უთხრა: „უკუთუ განიხრწნენ ხორცნი ჩემნი და განილივნენ შიმშილითა და წყურილ-

ითა, ყოლად არა რასმე ვზრუნვიდე მოკუდავთა ამათ ხორცთათვის და ამაოჲსა სანუთროისათვის“.

მამები ოთხშაბათს და პარასკევს საზრდელს საერთოდ არ იღებდნენ. ამ დღეებში არც ირმები მოდიოდნენ მათთან.

შორიახლო გამოქვაბულში საზარელი მხეცი მკვიდრობდა და მუსრს ავლებდა ცხოველებს. წმიდა დავითის ბრძანებით მხეცი იქაურობას გაშორდა.

ერთხელ გარეჯელ მამათა ირმებს მონადირეები გამოედევნნენ და იხილეს, რომ ცხვრებივით მშვიდად მდგარ პირუტყვებს ლუკიანე წველიდა. მონადირეები ფეხებში ჩაუვარდნენ მამა დავითს, შემდეგ კი, შინ დაბრუნებულებმა, მამა დავითის ამბავი ხალხში გაავრცელეს. მალე გარეჯის უდაბნო დაყუდებისა და ანგელოზებრივი ცხოვრების მოშურნეებმა აავსეს. ასე დაედო საფუძველი გარეჯის მონასტერს, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს სარწმუნოებრივი და სამეცნიერო ცენტრი და ქვაკუთხედი იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამა დავითმა იერუსალიმის სიწმიდეების მოლოცვა მოინადინა, მონასტრის ზედამხედველობა ლუკიანეს სთხოვა, თვითონ კი რამდენიმე ძმასთან ერთად პალესტინას გაეშურა. როდესაც მადლის ქედად წოდებულ მთას მიეახლნენ, წმიდა ქალაქიც გამოჩნდა. იერუსალიმის მხილველმა მამა დავითმა მადლობა შესწირა უფალს. ბერმა თავი წმიდა ქალაქში შესვლის ღირსად არ ჩათვალა, მხოლოდ მისი შორიდან ხილვით დაკმაყოფილდა, კარიბჭესთან დადგა და მხურვალე ლოცვას შეუდგა. მამა დავითის თანმხლებმა ბერებმა ქალაქის სიწმინდეები მოილოცეს. უკან დაბრუნებისას წმიდა ბერმა მადლის ქედიდან სამი ქვა წამოიღო. იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: „მოიწია ვიდრე სახლად ჩემდამდე საკუთარი მონაი ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისითა წარიღო სრულიად მადლი იერუსალემისაი, ხოლო შენ სწიენ მალემსრბოლელნი კაცნი, რამეთუ მივალს იგი გზასა ქალაქისა ნაბულისსა და არს იგი მოსული სამოსლითა ძუელითა დაბებკულითა და ჰკიდავს მას ძუელი მახალაკი, რომელსა შინა უსხენ სამნი ლოდნი, რომელნი-იგი მოიხუნა ადგილისა მისგან, სადაით-იგი უკუნიქცა; და მიუმცენ შენ კაცთა მათ მალემსრბოლელთა, რაითა მოუხუნენ მახალაკისაგან ლოდნი იგი და ერთი ოდენ მისცენ მას“. პატრიარქმა მალემსრბოლები დაადევნა წმიდანს და სტუმრობა სთხოვა. მამა დავითმა თავი არ ჩათვალა ასეთი პატივის ღირსად, მან ორი ქვა უკან დააბრუნა. ერთი ქვა წმიდანმა გარეჯის უდაბნოში მოიტანა, იგი დღესაც კურნების სასწაულებრივი მადლითაა აღვსილი.

იერუსალიმში მოგზაურობისა და მადლის ქვის ჩამოტანის შემდეგ

საძმო ერთიორად გაიზარდა.

მამა დავითი გულმოდგინედ ზრუნავდა ძმებისთვის, ნუგეშინის ცემისა და გამხნევების მიზნით დროდადრო განმარტოებულ სენაკებში მცხოვრებ ბერებსაც მოინახულებდა. მისი ბრძანებით აშენდა ნმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი მრავალმთაში.

გავიდა ხანი. ღირს დავითს უფლის მიერ ეუწყა, რომ მალე ზეციურ სავანეში განისვენებდა. მან მოიხმო მეუდაბნოე მამები და უკანასკნელად დამოძღვრა: „ნუ შეძრწუნდებით, არამედ განმტკიცენით და განძლიერდით და დაუცხრომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთა თქვენთა ცხონებისათვის". ნეტარი ბერი ეზიარა და ღვთის მიმართ ხელაპყრობილმა სული ღმერთს შეავედრა.

გარდაცვლილი წმიდანის გვამი სასწაულებს ახდენდა. ცხედრის მთხვევისას განიკურნა დაბადებიდან ბრმა.

საკვირველმოქმედი მამის საფლავის თაყვანისმცემელნი დღესაც ასევე იკურნებიან სულიერი და ხორციელი ტკივილებისაგან.

მრავალნი წმიდანი მამანი და დედანი, აჭარაში თურქთაგან ნამეგზულნი (XVII-XVIII) სულთმოფენობა

აჭარა ოდითგანვე იყო ქრისტიანობის შეურყეველი ბურჯი და ერთგული მეციხოვნე. სწორედ დიდაჭარით შემოვიდა საქართველოში წმიდა ანდრია პირველწოდებული და აქ იქადაგა პირველად სახარება. ქრისტესთვის მოწამეობრივად აღსრულებული წმიდა მატათა მოციქულიც აჭარის მიწამ მიიბარა. იგი გონიოშია დაკრძალული.

საქართველოს ეს განაპირა კუთხე სისხლით და ოფლით წერდა გმირულ ფურცლებს ერის ისტორიში.

XVI საუკუნიდან აჭარა თურქთა მუდმივი აგრესიის ობიექტი გახდა. ირან-ოსმალეთს შორის გამართული ომი ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა. ზავით დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ერგო. სამცხე, აჭარა, ჭანეთი თურქებმა საქართველოს მოსწყვიტეს, ოსმალეთის პროვინციად გამოაცხადეს და ოსმალური მმართველობა დაამყარეს.

უსჯულო მტერმა კარგად იცოდა, რომ ქართველი ერის გასანადგურებლად აუცილებელი იყო ქრისტიანობის აღმოფხვრა, ამიტომ ყოველ ღონეს მიმართავდა აჭარლების გასამაჰმადიანებლად. როცა ცბიერებით და მოტყუებით ვერაფერს გახდა, მან ძალადობას მიმართა.

ცნობილ მეცნიერს, ზაქარია ჭიჭინაძეს, თავის ნაშრომში „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში XVII-XVIII საუკუნეებში", მოჰყავს ღრმად მოხუცი აჭარელის ნაამბობი: „აჭარაში გამაჰმადიანების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ... ასეთ მოხუცებულთა რიცხვი აჭარაში დიდი ყოფილა... ბოლოს მთავრობისაგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთ, თუ არ გამაჰმადიანდნენ, მერე დახოცეთო. მალე აჭარის მოხუცებულები შეუკრებიათ და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდევიათ, ესენი აჭარისწყლის

შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა და რომელ ხიდის ნიშნებიც დღესაც დგას. ამ ხიდზე დაუდვიათ თავსაკვეთი. მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე ენის წვერს და ფაშას უგზავნიდნენ, თავსა და ტანს კი ჭოროხში ჰყრიდნენ. ეს საქმეები მომხდარა ამ ასი წლის წინათ, ე.ი. 1790-იან წლებში".

სახრჩობელები და თავსაკვეთები იყო აღმართული სოფელ აჭარისწყალში, ქედაში, დანდალოში, ჩაქვში, ხულოში, მაჭახელაში და გონიოში.

ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტი უფრო შემზარავად აღწერს ქრისტესთვის თავდადებულთა წამებას: „რომელ ხორცეულ ენას შეუძლია რომ წარმოთქვას იმდროინდელ ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი. ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზე გაკრულს ბაწრებით გულს უღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწ სჭრიდნენ ხმლითა და ვის ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურზედ გაცმულს ცოცხლებრივ ცეცხლზე სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულ საჯდომზედ აგებდნენ... რკინის საწვავით ხვრეტდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში აგდებდნენ...."

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა ქრისტიანობის დაცვისათვის აჭარაში მოწყვეტილი დედები და მამები.

ღირსი შიო მღვიმელი (VI) ყველიერის ხუთშაბათი

საქართველოს სამოციქულო ეკლესია ამ დღეს იხსენებს წმიდა შიო მღვიმელის ნაწილებთან აღსრულებულ სასწაულს: ყოველი წლის ყველიერის ხუთშაბათს „თვინიერ კაცთა" წმიდანის „ძვალნი შიშველნი მღვიმით ქვეშე ქვეყანით ფრთე მაღლით აღმოიწეოდა სიმაღლედ" მორწმუნეთა თაყვანისსაცემად. XVIII საუკუნეში „შაჰ-ნადირ მოავლინა მაჰმადიანნი, რათა იხილონ უკეთუ ჭეშმარიტ არს, მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტვრიეს, შემდეგ შეჰკრეს და დაასვენეს, მიერითგან არღარა აღმოვალს ამ ჟამამდე", — წერს XIX საუკუნის ცნობილი მეცნიერი მარი ბროსე.

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი ლაზარეს შაბათი

1985 წლიდან საქართველოს ეკლესიამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და აღნიშვნის დღედ განაჩინა ლაზარეს შაბათი. როგორც მისმა უწმინდესობამ ბრძანა: „ჩვენი წინაპრები ზეიმობდნენ ქართული ენის დღესასწაულს — ლაზარეს შაბათს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ავბედობამ, ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულმა წაშალა ეს კურთხეული ტრადიცია".

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 1986 წლის საახალწლო ეპისტოლეში ენას ერის „სულის ყველაზე ნათელ გამოხატულებას" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ქართული ენა „ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუნვდომელია, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად-ამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი".

ქართული ენის უჩვეულო სილამაზეს იმთავითვე გრძნობდნენ ჩვენი მწერლები. ამიტომაც მრავალი ლექსი და საგალობელი შექმნეს მის

სადიდებლად. მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს საიდუმლოებით მოცული „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ", რომელიც საუკუნეების განმავლობაში წერილობით გადმოიცემოდა საეკლესიო მამების მიერ და საფუძვლად დაედო აღნიშნულ დღესასწაულს.

იანვარი

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი), (+ 1953) 5
ღირსნი მამანი: ევაგრე, ილია დიაკონი და სხვანი 8
წმიდა მოწამე აბო თბილელი (+786) 9
წმიდა ნინო, მოციქულთასწორი, ქართველთა
განმანათლებელი (IV ს.) 11
წმიდა სალომე უჯარმელი და პეროუავრა სივნიელი (IV ს.) 14
ღირსი ეფრემ მცირე, ფილოსოფოსი (+1101) 15
ღირსი ალექსი (შუშანია) (+1923) 18
ღირსი ანტონ მესვეტე, მარტყოფელი (VI ს.) 21
წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე), (+ 1944) 23
წმიდა გაბრიელი (ქიქოძე) 28
წმიდა მეფე დავით IV, აღმაშენებელი (+1125) 32
წმიდა მოწამე აშოტ დიდი, კურაპალატი (+829) 38

თებერვალი

ღირსი ევაგრე, ციხედიდის მთავრადყოფილი (VI ს.) 42
ღირსი არსენ იყალთოელი (+1127) 44
ღირსი იოანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი (XIII ს.) 46
ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 47
წმიდანნი: პროხორე ქართველი, (XI ს.); ლუკა იერუსალიმელი (მუხაის
ძე), (+1277); ნიკოლოზ დვალი, (+1314) 49
წმიდა ილარიონ ქართველი(ყანჩაველი) — ახალი (XVIII-XIX ს.ს.) 52
მღვდელმოწამე თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX ს.ს.) 56
წმიდა ნიკოლოზი, კათოლიკოს-პატრიარქი (+1591) 57
წმიდა მოწამენი: ცხრანი ყრმანი კოლაელნი (VI ს.) 58

მ ა რ ტ ი

წმიდა იოანე IV (ოქროპირი) კათოლიკოსი (+1001) 61
ღირსი იოანე ხახულელი (X-XI ს.ს.) 62
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის
აღდგენის დღე (1917) 63
წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289) 68
წმიდა ამბროსი აღმსარებელი (+1927) 72
ღირსი პიმენ სალოსი და ანტონი მესხი (XIII ს.) 75
ღირსი გაბრიელ მცირე (+1802) 77
წმიდა იოანე მანგლელი (+1751) 78

აპრილი

ღირსი იოანე შავთელი და ევლოგი
წინასწარმეტყველი - სალოსი (XIII ს.) 80
წმიდა გიორგი მაწყვერელი (IX-X ს.ს.) 82
წმიდა მამანი და დედანი, ქვაბთახევის მონასტერში
წამებულნი (+1386) 83

წმიდანი მოწამენი: სუქია და მოყვასნი მისნი (II ს.) 86
წმიდა ეფრემ დიდი, მაწყვერელი (IX ს.) 88
ღირსი ბასილი (რატიშვილი), (XIII ს.) 90
სარწმუნოებისა და საქართველოსთვის დუდიკვათსა და პაპათში
მოწყვეტილნი წმიდა ლაზი მოწამენი (XVII -XVIII ს.ს.) 92

მაისი

წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი (+1213) 95
წმიდა ზოსიმე ეპისკოპოსი, კუმურდოელი (XVI ს.) 100
წმიდა მამაი კათოლიკოსი (+744) 101
ღირსნი მამანი: მიქაელ და არსენ ქართველნი (IX ს.) 102
ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი ათორმეტი მოწაფე (VI ს.) 103
ღირსი შიო მღვიმელი (VI ს.) 109
ნეტარი ქრისტესია, ქრისტეფორედ წოდებული (+1771) 112
ღირსი ექვთიმე მთაწმიდელი (+1028) 114
წმიდა ღირსმოწამენი, ათონის ივერთა მონასტერში
ლათინთაგან მოწყვეტილნი (XIII ს.) 118
წმიდა მოწამენი: ძმანი დავითი და ტარიჭანი (+693) 119
ღირსი ზაბულონი და სოსანა 122
ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დემეტრე (+1157) 124
ღირსი ბასილი, ძე ბაგრატ III-ისა (XI ს.) 126
ღირსი მიქელ პარეხელი (VIII-IX ს.ს.) 127

ივნისი

ღირსნი მამანი: შიო ახალი, დავითი, გაბრიელ
და პავლე გარეჯელნი (+1696-1700) 130
წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი) (+1609) 132
წმიდა იოანე (თორნიკე) მთაწმიდელი (X ს.) 134
წმიდა ანთიმოზ ივერიელი (+1716) 137
წმიდა ქაიხოსრო ქართველი (+1612) 140
წმიდა მოწამე შალვა, ახალციხელი (+1127) 141
წმიდა მოწამენი, საქართველოს მეფენი: არჩილი (+644)
და ლუარსაბი (+1622) 143
წმიდა გიორგი მთაწმიდელი (+1065) 149
მღვდელმოწამე კირიონ II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი (XX ს.) 154
წმიდა დინარ დედოფალი (X ს.) 158

ივლისი

ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული (+ 1068) 160
წმიდა მოწამე მირდატ მეფე (+410) 162
ღირსნი მამანი ათონელნი: იოანე — ექვთიმეს მამა
და გაბრიელი (X ს.) 163

ღირსი კოზმან ხუცეს-მონაზონი, (+1630) 167
წმიდა სალომე ქართველი (XII ს.) 168
წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) (+1907) 169
წმიდა ილარიონ თუალელი (XI ს.) 173
ღირსი გიორგი მაშენებელი — ათონელი (+1029) 174
წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელი (+551) 175
წმიდა ცოტნე დადიანი (XIII ს.) 178
წმიდა არსენ ნინოწმიდელი (+1082) 180

აგვისტო

პირველმოწამე რაჟდენი, სოფელ წრომს წამებული (+457) 182
ცხრა ძმა ხერხეულიძე დედით და დით და მათ
თანა 9000 ქართველნი (+1625) 186
ღირსი ექვთიმე — ნათლისმცემლის
მონასტრის წინამძღვარი (+1804) 188
ღირსი გარეჯელი მოწამენი: გერონტი, სერაპიონი, გერმანე,
ბესარიონი, მიქაელი, სვიმეონი და ოთარი (+1851) 189
მღვდელმოწამენი: მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზი გერმანე,
მღვდლები: იეროთეოსი, სიმონი;
პროტოდიაკონი ბესარიონი (+1924) და ყოველნი
ახალმოწამენი (XX ს.) 191
წმიდა მოწამე ქრისტეფორე გურული 194
წმიდა ტბელი აბუსერიძე (XIII ს.) 195
ღირსი ქრისტოდულე ფილოსოფოსი (XII ს.) 197
წმიდა სარმეან კათოლიკოსი (+779) 199
ღირსი სერაპიონ საკვირველთმოქმედი (+1747) 201
წმიდა მოწამე შუშანიკი (+475) 203

სექტემბერი

ღირსი სვიმეონი, გარეჯის წინამძღვარი (+1773) 207
წმიდა აღმსარებელნი: იოანე (მაისურაძე), (+1957) და
გიორგი - იოანე (მხეიძე), (+1960) 208
მღვდელმოწამე დოსითეოზ თბილელი (+1759) 213
დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი (1624) 214
ღირსი ამბა იოსებ ალავერდელი (+570) 218
წმიდა ქართველნი მოწამენი: ისააკი და იოსები (+808) 220
წმიდა მოწამენი ბიძინა ჩოლოყაშვილი და
ქსნის ერისთავნი —ელიზბარი და შალვა (+1661) 222
წმიდა არსენი დიდი, კათოლიკოსი (+887) 226
დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა,
რომელიც ჩამოსვენდა საქართველოში ათონის
ივერთა მონასტრიდან (1989) 228

ღირსი ონოფრე გარეჯელი, საკვირველთმოქმედი (XVIII ს.) 229
ოქტომბერი
დღესასწაული კვართისა საუფლოისა — სვეტიცხოვლობა;
მოციქულთა სწორნი: მეფე მირიანი და დედოფალი ნანა;
წმიდა სიდონია და აბიათარ მღვდელი (IV ს.) 233
წმიდა მელქისედექ I, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი (XI ს.) 238
წმიდა დიდმოწამენი: დავითი და კონსტანტინე (+740) 240
წმიდა ღვდელმოწამე ევდემოზ კათოლიკოსი (+1642) 243
ღირსი გრიგოლ ხანძთელი (+861) 245
კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი (VIII–IX ს.ს.) 250
ღირსი იოსებ ხუცესი, მოხევე,საკვირველთმოქმედი (+1763) 259
ღირსი ანტონი ჭყონდიდელი (+1815) და
იაკობ ხუცეს-მონაზონი 260
წმიდა იოსებ კათოლიკოს-პატრიარქი (+1770) 263
მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) (+1907) 265
მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი (VII ს.) 268
ღირსი სერაპიონ ზარზმელი (+900) 270
წმიდა იოთამ ზედგენიძე,მეფისათვის თავდადებული (+1465) 273
წმიდანი ათნი ბევრნი (100000) მოწამენი (+1227) 275
ნოემბერი
ღირსი ნიკოლოზი, ქართველთა მნათობი (+1308) 278
წმიდანი და მართალნი მცველნი ქრისტეს საფლავისათა:
იოანე, სტეფანე და ესაია ქართველი 279
წმიდა დიდებული დიდმოწამე და
ძლევაშემოსილი გიორგი (+303) 280
დიდმოწამე კონსტანტი-კახი, ქართველთა მთავარი (+852) 284
დიდმოწამე მიქაელ - გობრონი და
ასოცდაცამეტნი მხედარნი მისნი (+914) 287
ღირსი ილარიონ ქართველი, საკვირველთმოქმედი (+875) 290
მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე) (+1942) 296
მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი (VI ს.) 298
წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი (+502) 301
წმიდა პეტრე კათოლიკოსი (V ს.) 304
წმიდა სამოელ კათოლიკოსი (V-VI ს.ს.) 306
დეკემბერი
წმიდა ისე წილკნელი (VI ს.) 308
ყოველნი წმიდანნი — საქართველოში წამებულნი,
ღირსნი მამანი და დედანი 310
ღირსი იოანე, ზედაზნის წინამძღვარი (IX ს.) 311

ღირსი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა — ხახულელნი (XI ს.) 312
წმიდა მაკარი მმარხველი, ხახულის
მონასტრის წინამძღვარი (X ს.) 313
ღირსი დედა საბიანა (საბაია),
სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვარი 314

გარდამავალი დღესასწაულები

წმიდანი ექვსი ათასი მოწამენი,
დავით გარეჯის უდაბნოში მოწყვეტილნი (+1616) 316
წმიდა ქართველნი მოწამენი,
სპარსეთში მოწყვეტილნი (XVII-XVIII ს.ს.) 318
ღირსი დოდო გარეჯელი (VI ს.) 320
ღირსი დავით გარეჯელი და ლუკიანე (VI ს.) 321
მრავალნი წმიდანი მამანი და დედანი, აჭარაში
თურქთაგან წამებულნი (XVII-XVIII ს.ს.) 324
ღირსი შიო მღვიმელი (VI ს.) 326
ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ 326

ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი
წიგნის შედგენაზე მუშაობდნენ:
დეკანოზი
ზაქარია მაჩიტაძე
მანანა ბუკია
მაკა ბულია